

თამაზ ბერაძე



# კაჭა



სამოცველობა „საგაოთა საქართველო“  
თბილისი — 1983




31(C 41) 902.6 (c. 922) + 902.7 (c. 99.562.4  
26.891(21)  
91 (47.922)  
8 512

卷之二

ნაშრომში განხილულია საქართველოს ერთ-ერთი ულამა-  
ზესი კუთხის, რაც ის დაწერილებითი ფაზიურ-გეოგრაფიუ-  
ლი ღრმერილობა და ისტორია უძველეს ხანიდან XIX საუ-  
კუნის დასაწყისისმდე. ავევ მჟინხევლი გვეცნობა ძველ გენესს,  
რომელიც რაჭას მეზობელ მხარეებთან ავაგშირებდა. სამორ-  
ტურისმის მოყვარულებს დღესაც შეცდლიათ იმოგზაურონ ამ  
გვა-ძილიყვნით.

၃၀၁၆။ ထုတေသန ဝင်ဆိုလွှာ ကြမ်းမာရာ ဖျောက်လျှော်စုံ၊ ၃၀၁၇။ လူနှေ့  
အောက် ပုဂ္ဂန္တ-ခုနှေ့ရှုရွေ့ခံပါ၏ အလုပ်ရှုရွေ့ခံ၊ အမားအွှေ လုပ်ငန်း၊ လူနှေ့မှ ၂၀၁၈။ လူနှေ့  
အောက် ပုဂ္ဂန္တ-ခုနှေ့ရှုရွေ့ခံပါ၏ အလုပ်ရှုရွေ့ခံ၊ အမားအွှေ လုပ်ငန်း၊ လူနှေ့မှ ၂၀၁၉။ လူနှေ့  
အောက် ပုဂ္ဂန္တ-ခုနှေ့ရှုရွေ့ခံပါ၏ အလုပ်ရှုရွေ့ခံ၊ အမားအွှေ လုပ်ငန်း၊ လူနှေ့မှ ၂၀၂၀။ လူနှေ့  
အောက် ပုဂ္ဂန္တ-ခုနှေ့ရှုရွေ့ခံပါ၏ အလုပ်ရှုရွေ့ခံ၊ အမားအွှေ လုပ်ငန်း၊ လူနှေ့မှ ၂၀၂၁။ လူနှေ့


କେଣ୍ଟରାଲ୍ ପାରିଶର୍ମିତା  
କେଣ୍ଟରାଲ୍ ପାରିଶର୍ମିତା



K 191 035  
3

5080000000—161  
Б \_\_\_\_\_ 207—83  
М601(08)—83

© გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1983



„შეღვრის რაჭას: აღმოსავლეთით კუდაროსა, წონისა  
 და ფაწის მდინარის შორისი მთა, და კავკასი კადელა  
 და მუნიდამ ჩდილოთ წარსტული კაცისივე, ვიღრე  
 დიგორის კავკასიმდე, რაჭა გლოლასა და უღელს შო-  
 რისი; საქართველოს წამოსული მთა დასავლეთად  
 აღმოსავლეთიდამ, ვიღრე არპანისა და დღონიამდე,  
 გაპრილი რიონისგან მუნ“.

ვახუშტი ბაგრატიონი, „აღწერა სამეფოსა საქარ-  
 თველოსა“.

**საქართველოს რელიეფს ნიირსახეობა ახასიათებს.** ლურჯ ზღვას  
 მუდმივი თოვლით დაფარული მწვერვალები ცვლის, დაბლობებს —  
 მდინარეთა ხეობები, რომელებიც ერთმანეთისაგან მაღალი მთებითაა  
 გამიჯნული. ბუნებრივი პირობების ასეთმა მრავალფეროვნებამ შე-  
 უწყო ხელი საქართველოს ცალკეულ მხარეებად დაყოფას. საუკუ-  
 ნეთა მანძილზე აქ ჩამოყალიბდა ეთნოგრაფიული კუთხები ანუ  
 პროვინციები, რომელთაც ისტორიკოსები ზოგჯერ ისტორიულ-გე-  
 ოგრაფიულ ქვეყნებსაც უწოდებენ. თუმციმის, ხევსურეთის, სვანე-  
 თის, აქარისა და სხვა კუთხეთა გვერდით საქართველოს ერთ-ერთ  
 ისეთ კუთხეს რაჭა წარმოადგენს.

**ყ სახელწოდება „რაჭის“ წარმოშობის შესახებ რამდენიმე მოსაზ-  
 რება არსებობს. ვასულ საუკუნეში თვით რაჭველები ამ სახელის  
 კრქმევას დიდებული თამარის სახელს უქავშირებდნენ. თითქოს,  
 საქართველოში ერთ-ერთი მოგზაურობის დროს, სოფელ შქმერის  
 კლდეებიდან რიონის ხეობაში გადაუხედია. აქედან „უშველებელი  
 სოფლები სულ ბუზის ტოლად“ ჩანდა. ამის გამო თამარს „უბრა-  
 ნებია რა ჭაო და მასუკან დაერქვა რაჭას ეს სახელი“. ლრმა ხეობებ-  
 ში განლაგებული რაჭის ტერიტორია მაღალ მთებიდან ერთგვარად  
 ღრმა ჭის ასოციაციას იწვევს, ამიტომ „ჭა“ ძირიდან ამ გეოგრაფი-  
 ული სახელის გამოყვანა ფეოდალურ ხანაში ფართოდ იყო გვარცე-  
 ლებული.**

XVIII ს-ის ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავდა, რომ რაჭამ „სახელი მოიგო გარემოსთა დიდორვანთა მთათაგან და შინაგან ღრმის ადგილობრივი მიერ: „იხილე, რა ჭრა არგი ლი ესე“.

დიდი ქართველი ენათმეცნიერი აკაკი შანიძე ამ გეოგრაფიული სახელის ფუქეში რაჭის პირველი ერისთავის რატის სახელს ხედავს. მისი აზრით, რაჭა სვანური წარმოშობისაა და რატის ქვეყანის ნიშნავს. სვანური რაჭუდან (კურდლელი) გამოჰყავდა ამ მხარის სახელი აკადემიკოს გ. ახვლედიანს.

რაჭის, როგორც ცალკე ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნის მოხაზულობა რამდენჯერმე შეიცვალა, სანამ გვიანთეოდალურ ხანაში საბოლოოდ ჩამოყალიბდებოდა. ამ ხანის რაჭის ტერიტორია მთლიანია და თავსდება დღევანდელი ონისა და ამბროლაურის რაიონების ფარგლებში. ამასთან ამბროლაურის რაიონში, მდ. ასკისწყალის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფლები ჭრებალო, უოშხა, გენდუში, ქვიშარი და ქუვიში ქველად რაჭას არ ეკუთვნოდნენ და ჯერ კიდევ 125 წლის წინათ მეზობელ ლეჩხუშში შედიოდნენ.

ს რაჭა რიონის აუზშია განლაგებული. მას დასავლეთ საქართველოს ამ უდიდესი მდინარის ხეობის ზემო წელი უკავადა, სათავიდან მის მარჯვენა შენაკად ასკისწყლამდე და მარცხენა შენაკადის შარეულას ხეობის ჩათვლით.

მდ. რიონი ფასის მთის მყინვარიდან გამოდის. ისტორიკოსთა ერთი ჯგუფის აზრით, ამ მთის სახელიდან უნდა მოდიოდეს მდინარის ერთ-ერთი ძეელი სახელწოდება ფაზისი, რომელსაც ძეელი ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები ხმარობდნენ. ვახუშტი ბაგრატიონის მიხედვით „სახელი მოიგო მდინარემან დაბის რიონის გამო, ანუ ონისაგან — „რაი ონი“ — ანუ ჩქარა დინებისაგან“. აკად. გ. მელიქიშვილის აზრით, სახელწოდება რიონში იგივე ფუქეა, როგორც ეკროპის მდინარეთა „რაინი“, „რონა“ ფუქებში. ამიტომ ეს სახელი ქართულში რომელიმაც ინდოევროპულ ენიდან უნდა შემოსულიყო.

ფასის მთა კავკასიონის მთავარ ქედზე მდებარეობს. მყინვარიდან წყალი ჯერ კლდის ნაპირალებში მიეონავს, შემდეგ ერთიანი ჩანჩქერის სახით მაღალ კლდიდან ხმაურით ეშვება ძირს. დახლოებით ერთი კილომეტრის შემდეგ რიონის მთავარ ტოტს მარჯვნიდან ნა-

კადული უერთდება, რომელიც ფასის მთის დასავლეთით მდებარე  
პატარა მყინვარიდან გამოდის. ორიოდე კილომეტრის შემდეგ მას  
მარცხნიდან მოზრდილი ღელე უერთდება, რომელიც კადული  
მყინვარიდან მოედინება, საიდანაც მდინარეს უკვე რიონი უწოდება.

თავდაპირველად რიონი ვიწრო ტყიან ხეობაში მოედინება.  
12 კმ-ს შემდეგ ხეობა ფართოვდება. აქ მდინარეს მარჯვენა მხრიდან  
მდ. ლუხუნი უერთდება. ამის შემდეგ რიონი კვლავ ვიწროებში შე-  
დის. 9 კმ-ის შემდეგ მდინარეს მარცხენა მხრიდან მდ. ზოფხითურა  
მიერთვის, რომელიც ზოფხითოს მყინვარიდან გამოდის. მდინარის  
შესართავში მარცხენა ნაპირის ბრილის ჭალებია გაშლილი, ხოლო  
მარჯვენა მხარეს — ზოფხითოს ვრცელი მინდვრები.

ზოფხითურას მიერთების შემდეგ რიონი უკვე დიდი მდინარეა,  
რომელიც ხმაურით მიაქანებს თავის ტალღებს. იგი დასავლეთიდან  
უვლის თევრეშოს ველს და სოფელ ლებს იდგება. აქ რიონის ხეობა  
შედარებით ფართოა. მდინარის ორივე ნაპირზე სოფ. ლებია განლა-  
გბული, ხოლო ცოტა ქვევით, მარცხენა ნაპირზე — სოფ. ჭიორა.  
ლებში რიონს ჩემურა უერთდება, რომელიც კირტიშოს მყინვა-  
რიდან მოედინება. მის ზემო წელში პატარა სოფელი, გონა მდება-  
რეობს.

ჭიორას ქვემოთ რიონის ხეობა თანდათან იზღუდება და ე. წ.  
საგლოლოსთან ძალზე ვიწრო ხეობად იქცევა. აქ რიონს მარცხნიდან  
მიერთვის გლოლის ანუ ჭანჭაბისწყალი, რომელზეც სოფ. გლოლა  
და კურორტი შოვია გაშენებული.

საგლოლოს ქვემოთ რიონი შოდა-კედელის მთის მასივში მიიკვ-  
ლევს გზას. მთის კალთები უშეუალოდ მდინარეში ჩამოდიან. ხეობა  
ძალზე ვიწროა და მას საგლოლოდან სოფ. უწერამდე შესაბამისი  
სახელიც გააჩნია — ჭიდროთა, რომელიც ზედსართავიდან „მჭიდ-  
რო“ მოდის. ძეგლად რიონის ამ მონაკვეთის სახელად „იწროთასაც“  
ხმარობდნენ. ეს ტერმინი ძეგლი ქართული „იწროდან“ მოდის.

უწერასთან რიონის ხეობა ონავ ფართოვდება. ეს სოფელი მის  
მარჯვენა ნაპირზეა განლაგებული. მდინარის მოპირდაპირე მხარეს  
კი სოფლები უმიერეთი და ჭარონეთი მდებარეობს. უწერის სამხ.  
დასავლეთით მთის კალთებზე სოფლები: ნიგოვზები, ფარავნეში და  
ძეგლევა შეფენილი.

უწერას ქვემოთ რიონს მარცხნიდან გომრულა უერთდება, მის  
ნაპირებზე ჭინჭვისი და გომია განლაგებული, ხოლო ქემოთ, რიო-  
ნის ორივე ნაპირზე — სოფ. ნაკიეთი. ქვემოთ რიონს მარჯვნიდან  
საკაურა და მარცხნიდან ღარულა უერთდება. საკაურზე სამრავლებელი  
დალი — ღაგვანთა, საკაო და ხიდეშელებია განლაგებული, ხოლო  
ღარულაზე — სოფ. ღარი. ღარის ქვემოთ ქალაქი ონი მდებარეობს.]

ქ. ონს სამი-ოთხი კმ სიგანის ვაკე უკავია, რომელიც რიონსა  
და მის მარცხენა შენაკადს ქვეჭორის შორის არის გაშლილი. რიონის  
დასავლეთით მაღალი ზეგანია, რომელზედაც სოფლები შეუბანი,  
ღაჩთა, ჭალა და ხერუთია განლაგებული. ამ ზეგანის სამხრეთ ფერ-  
დობზე სოფ. ნიგვზნარაა შეფენილი.

მდ. ჭეჭორა სათავეს კავკასიონის მთავარი ქედის მყინვარები-  
დან იღებს. სათავიდან დაახლ. 25 კმ მანძილზე იგი ფართო ხეობაში  
მოედინება. სოფ. ჩახავილის შემდეგ ჭეჭორა გარდიგარდმო ჰკვეთს  
დაღვერულას ქედს და ამ მონაკვეთში, დაახლ. 6 კმ მანძილზე იგი  
ძალზე ვიწრო ხეობაში შედის. სოფ. ირიდან ჭეჭორას ხეობა კვლავ  
ფართოვდება.

დაღვერულას ქედი ჭეჭორას აუზს ორ ნაწილად ყოფს. ზემო  
წელში მცირე ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნა კუდართა განლა-  
გებული, ხოლო ირიდან უკვე საკუთრივ რაჭა იწყება. კუდართის  
სოფლებში დღეს ისები ცხოვრობენ, ამიტომ ეს მხარე სამხრეთ  
ისეთის აკტონომიურ ოლქში შედის და ჭავის რაიონს მიეკუთვ-  
ნება.

რაჭაში ჭეჭორას ერთი მარჯვენა შენაკადი აქვს — ქვედრულა,  
რომელიც სახელი სოფ. ქვედიდან მიიღო. ქვედრულას ზემო წელში  
ულამაზესი ტბა მდებარეობს, რომლის ასეი ას წელსაც კი არ შე-  
ადგენს. 1896 წლის ზაფხულში მიწისძვრის შედეგად კლდებოძალის  
მთას მიწის დიდი მასა მოწყდა. ქვედრულას ხეობაში ჩაეშვა და  
მდინარე ღროებით დაგუბდა. ასე შეიქმნა ულამაზესი ქვედის გამ-  
დინარე ტბა, რომლის სიმაღლე ზღვის დონიდან 1568 მეტრია, ტბის  
ფართობი 10 ჰექტარია, სიგრძე — 77 მეტრს იღწევს, ხოლო მაქსი-  
მალური სიგანე 215 მეტრს უდრის. სანაპირო ხაზის საერთო სიგრ-  
ძე 1855 მეტრია.

ჭეჭორას ქვედა წელზე სოფლები ორივე ნაპირზეა შეფენილი.  
ჩრდილოეთით — წედისი, ქვედი, წმენდაური და წოლა, სამხრე-

თით — ბაჯიხევი, ჩორდი, ფსორი, ღუნდა, სორგითი, პიპილეთი, კო-  
მანდელი, ცხორი და უშექვა.

ონის ქვემოთ ლეჩხუმის ქედის ციცაბო კალთები უშუალოდ ჩა-  
რიონის მარჯვენა ნაპირს ადგება. ამიტომ მდინარის ჩრდილოეთი, მან-  
დახლ 10 კმ მანძილზე ნიგვზების გარდა არცერთი სოფელი არ  
გვხვდება. მხოლოდ, რიონის მარჯვენა შენაკადის სონტარულას შე-  
სართავში სოფ. სორია გაშენებული. უფრო ზევით კი, ამავე მდინა-  
რის ხეობაში — სოფელი გადამში. ბაჯიხევის სამხრეთ-დასავლეთით  
რაჭის ქედს ფოცხრევის ქედი ეყოფა, რომელიც სოფ. მთისკალთამ-  
დე (ძველი მრავალძალი) აღწევს. ამ ქედის სამხრეთით შემერის  
ვრცელი ტაფობია გამლილი, რომელზეც შემერი, ხარისთვალი და  
უშოლთაა განლაგებული. იქ იშევება რიონის მარცხენა შენაკადი ხე-  
ორი, რომელის ერთ სათავეს ხარისთვალის ტბა წარმოადგენს, რომე-  
ლიც მიწისქვეშა წყლებით იკვებება. ამ ტბის ახლოს, ფოცხრევის  
ქედის სამხრეთ კალთაზე ამოჩქეფს „ყლდის წყარო“, რომელიც ხე-  
ორის მეორე ტოტის სათავეა. ეს მდინარე ჩრდილოეთით მიედინება,  
ჰკეთს ფოცხრევის ქედს და დაახლოებით 1 კმ მანძილზე. „ქვაგა-  
ხეთქილას“ ულამაზეს ხეობას (კანიონს) ქმნის. ხეორი რიონს ზუ-  
დალთან უერთდება. ამ სოფლის გარდა შემერის ტაფობსა და რი-  
ონს შორის განლაგებულია სოფლები: ზვარეთი, ხეითი, ბოყვა,  
ქორთა, შრომისუბანი (ძვ. ჯოისუბანი), სხიერი, ანკარა, ხირხონისი  
და კვაშხეითი.

ხეორის ქვემოთ, რიონს მარცხნიდან მურეხანა მიერთვის. მის  
ხეობაში ფარახეთი, სევა, კიბრევი და შარდომეთია გამლილი.

სორიდან რიონი ვიწრო და ღრმა ხეობაში შედის. მის ორივე  
ნაპირას მაღალი კლდეებია იღმართული. მუხლის შემდეგ ხეობა  
ოდნავ იშლება. იქ ჩრდილოეთიდან რიონს ლუხუნი მიერთვის. შე-  
სართავში, რიონის პირას, სიფელი წესია გაშენებული, ხოლო ლუ-  
ხუნის ხეობაში — ლიხეთი, აბარი და ურავი.

წესიდან რიონი კვლავ ვიწროებში შედის, რომელსაც ხიდირის  
კიწროებს ეძახიან. იქ მდინარის კალაპოტის სიგანე 20—25 მეტრს  
არ აღემატება. ხიდიკრის მარჯვენა ნაპირზე კვაცხუთი მდებარეობს,  
ხოლო მარცხენა ნაპირზე — ხიმში, რომელიც ამბროლაურამდე  
გრძელდება.

ამბროლაური, რიონისა და კრიხულას შეერთების ადგილას, რღვანგ დაბრილ ვაკეზე მდებარეობს. მის სამხრეთით, მაღალ გორაკზე, სოფელი იწა განლაგებული. კრიხულას დასავლეთიდან ხოტეულა მოერთვის. ამ ორი მდინარისა და მათი შენაკადების ხეობებში რაჭის ათხე მეტი სოფელია: გორა, კრიხი, სხვავა, ფუტიეთი, ხოტევი, ახალსოფელი, კვირიექტინძა, ველვი, ბეთლევი, შხირანი, თლური, წარისი, უყეში, აგარა, პელიალელე, კაჩეთი, ნიკორწმინდა.

მდინარე ხოტეურამ თავისი სახელი სოფ. ხოტევიდან მიღლო. ამ მდინარის ერთი შენაკადი კელიალელეს ტბიდან გამოდის, რომელიც ამავე სახელწოდების სოფელშია. ტბის სიგრძე სულ 195 მეტრს შეადგენს, სიგანე — 120 მეტრს, ტბაზე მოტივტივე კუნძულებია, რომელთა სიგრძე 3-დან 20 მეტრია, სიგანე 1—4 მეტრი. ამ კუნძულებს ჰქმნის ლელი, ჩალამ-კალამი და მუყნარი. სულ პატარა ქარის დროსაც კი ისინი სხვადასხვა მიმართულებით იწყებენ მოძრაობას.

ნიკორწმინდის დასავლეთით შაორის ტაფობი მდებარეობს, რომლის სიგრძე 4 კმ-ს აღემატება, სიგანე კი 3 კმ-მდე აღწევს. აქ ძეგლად მრავალი კარსტული წარმოშობის ტბა იყო, მათ შორის ყვილაზე ცნობილი ხარისხთვალაც.

შაორის ტაფობზე მრავალი ნაკადული მიედინება, რომელთა უმეტესობა მდ. შაორად ერთიანდებოდა. ეს მდინარე ნელა, მიხვეულ-მოხვეული კალაპოტით მიედინებოდა და ნიკორწმინდის სამხრეთ-აღმოსავლეთით კარსტულ მღვიმეში იყარებოდა.

მდ. შაორის დონე ხშირად იცვლებოდა. სულ პატარა წვიმის დროს იყი დაბალ. 2,5 მ მაღლა იწევდა, ხოლო დიდი წვიმებისას წყალი ნაპირებიდან გადმოდიოდა და ახლომახლო ველებს ფარავდა. ასეთ დროს მდინარეზე გადასასვლელად მოსახლეობა ტივებს იყენებდა. ზოგჯერ შაორის მღვიმე მდინარის მიერ მოტაცებული ხეებით იხერვებოდა და წყალი წალეკით ემუქრებოდა ახლომახლო სოფლებსაც. ამ დროს სოფლებიდან ქუდზე კაცი გამოდიოდა, რათა მღვიმის შესავალი გაეწმინდათ და მდინარისათვის გზა გაეხსნათ.

20 წლის წინათ შაორის ტაფობს შენებლები ეწვივნენ. მათ წყალს თითქმის ყველა მიწისქვეშა გასასვლელი ამოუკეტეს და ტაფობზე დაგუბეს. ასე განწდა შაორის ულამაზესი წყალსაცავი, რომელიც წიწვიან ტყეებში სოლიკითაა შეკრილი. წყალსაცავს 13 კმ<sup>2</sup> ფართობი უკავია და შაორპეს აწვდის წყალს.

ამბროლაურის ქვემოთ რაიონის ხეობა საგრძნობლად ფართოვდება. მდინარის გასწვრივ ჩნდება 1—2 კმ სიგანის ჭალა, ხოლო მთის კალთები ნაკლები დაქანებისაა. სოფლების ერთი ნაწილი უკავშირდისაგული, კლდისუბანი, სადმელი, ბოსტანა, ღვიარი, კუნძულობრივი ხეანჭყარა და ტოლა, რაიონის ჩრდილოეთით, ლეჩხუმის ქედზე მდებარეობენ, ხოლო დანარჩენ სოფლებს — რაჭის ქედის ჩრდილო კალთები უკავიათ.

მდ. შაორი, რომელიც ნიკორწმინდასთან მღვიმეში იყარგება, ორი კმ-ის შემდეგ კვლავ თვალსაჩინო ხდება და შარეულას სახელწოდებით ულმაზეს ქარაფოვან ხეობაში აგრძელებს გზას. ღლეს მდინარეში წყალი ბევრად ნაკლებია, ვიდრე შაორის წყალსაცავის შექმნამდე. იგი ჯერ აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიედინება, შემდეგ ჩრდილოეთისაკენ უხვევს და ქვემო და ზემო ღვარდის შორის რაიონს შეერთვის.

შარეულას ხეობა რაჭის ქედის ჩრდილო კალთებს ორ არათანა-ბარ ნაწილად ყოფება. მას სამხრეთიდან ქედი მიუყვება, რომელსაც შესართავიმდე ჩაძლევს. ამ ქედის ყველაზე მაღალ, აღმოსავლეთის მონაცემს ლემანაურის მთა ჰქვია. სოფლები: ზედა და ქვედა ღვარდია, გოგოლეთი, თხმორი უშუალოდ შარეულას, ნაპირზეა განლაგებული. თხმორი ერთადერთი სოფელია, რომელიც ამ მდინარის მარცხენა ნაპირზეა, ხოლო ხონჭიორი, ნამანევი და ზედა შავრა ამავე ხეობაშია მარჯვენა მხარეს, მდინარიდან მოშორებით.

ამბროლაურის შემდეგ, რაიონის სამხრეთით მდებარე სოფელთა უმეტესობა, შარეულას ქედისა და რაიონს შორის არის მოქცეული. ყველაზე მაღლა მოტყიერი, ზნაკვა, ქედისუბანი, შრომისა (ძეელი ჯვარისა), უფრო ქვემოთ — პატარა ონი, ტბეთი, გორისუბანი, ბარეული, აბანოეთი, ხოლო რაიონის ახლოს — საკეცია, ბუგული, ქვედა და შავრა და ბაჭი.

ხშირად მკვლევარები ერთმანეთისაგნ გამოყოფენ ზემო და ქვემო რაჭას. ზოგი მათ გამყოფად ხიდიერს თვლის, ზოგი კი იმ ვიწროებს, რომელიც სორსა და წესს შორისაა. რაჭის თანამედროვე ადმინისტრაციულ დანაწილებას საფუძლად უკანასკნელი პრინციპი უდევს. ზემო რაჭა ონის რაიონს მოიცავს, ქვემო რაჭას კი ამბროლაურის რაიონი ეკუთვნის. ზოგჯერ ცალკე გამოყოფენ სოფლებს: კონას, ლებს, ჭიორის და გლოლას, რომლებიც ჭიდროთას ვიწროებით

რაჭის დანარჩენი ნაწილიდან არიან გამიჯნული. ამ მხარეს მთის რაჭის უწოდებენ.

(რაჭი მაღალი მთებითაა გარშემორტყმული. ჩრდილო-აღმოსავალი ლეთით იგი უშეალოდ კავკასიონის მთავარ ქედს ადგება, რომელიც ერთი მონაკედით ფასის მთიდან ზრაძგას მთამდე მის საზღვრებში შემოდის. აქ, ჩრდილო-დასავლეთით რაჭის ყაბარდო-ბალყარეთის რესპუბლიკა ემეზობლება, ხოლო ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით — ჩრდილო ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკა. რიონის ხეობით იგი ამ რესპუბლიკის ერთ მხარეს — დიგორს ადგება, ხოლო გლოლის ანუ კანკაბისწყალით — ოსეთის მეორე კუთხეს — დვალეთს. აღმოსავლეთით რაჭის სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ემეზობლება. საზღვარი დაღვერილის მთის მასივზე გადის, რომელიც ჩოგორუ აღვნიშნეთ, ჯევორის ხეობას ორად ყოფს. სამხრეთით რაჭის იმერეთი ესაზღვრება, დასავლეთით — ლეჩებუმი. ამზომ რაჭის საზღვარი ჯერ რაჭის ქედის თხემს მიუყვება, შემდეგ კი მის ჩრდილო-დასავლეთ გაგრძელებას, თავშავის მთას. რიონის მარჯვენა ნაპირზე ლეჩებუმიდან მას ასკიწყალი გამოყოფს, ქვემო სვანეთიდან — ლეჩებუმის ქედი.

რაჭის სოფლები ზღვიდან სულ სხვადასხვა დონეზე არიან განლაგებული. ბუნებრივია, ზემო რაჭის სოფელთა საშუალო სიმაღლე ქვემო რაჭის დასახლებულ პუნქტებზე უფრო მეტია. რაჭის ყველაზე მაღალი სოფელია მთისკალთა (1840 მ), შემდეგ მოდის შემერის ტაფობზე განლაგებული სოფლები — უშოლთა (1740 მ), ხარისთვალა და შემერი (1720 მ).

მთის რაჭის სოფლებიდან ყველაზე მაღალია გონა (1680 მ), შემდეგ ღები (1480 მ), კორა (1360 მ), გლოლა (1280 მ). კურორტი შოვი ზღვის დონიდან 1520 მ მდებარეობს.

✓ უწერა ზღვის დონიდან 1000 მ მდებარეობს.] დაახლოებით ამავე სიმაღლეზე სოფ. ნაკიეთიც. ხოლო მათ ზემოთ, დასავლეთის კალთებზე განლაგებული ძეგლევის სიმაღლე 1160 მეტრია, სოფ. ფარავნეშის — 1140 მ, ნიგავზების — 1040 მ.

ქ. ონი ზღვის დონიდან 860 მეტრზე მდებარეობს. მის გარშემო მდებარე სოფლების სიმაღლე გაცილებით მეტია: კომანდელი (880 მ), წოლა (940 მ), წმენდაური (960 მ), ლაჩთა (1000 მ), ხურუთი

(1010 მ), ღარი (1040 მ), ანკარა (1220 მ), ხირხონისი (1280 მ), შეუბანი (1350 მ).

კეჭორის ხეობაში განლაგებული რატული სოფლებიდან ყველაზე უცილია ხსანარი (1410 მ), შემდეგ მოდის: ბაჯიხევი ღარეფის სარი (1320 მ), ცხმორი (1280 მ), ჩორდი (1260 მ), წედისი (1240 მ), ქაშევა (1220), ონცევი (1120), ირი (1110), სომიწო, სორგითი (1060), პიდილეთი (960).

შაორის ტაფობის ჩრდილოეთით, ხეორის ხეობაში ყველაზე მაღალია ქორთა (1360), შემდეგ ზეარეთი (1100), ბოყვა (1060) და ზუდალი (790).

მურეხანის ხეობაში ჭიბრევი 1040 მეტრზეა, სევა — 960 მ, ფარიახეთი — 920 მ და შარდომეთი — 840 მ.

შარდომეთის დონეზეა სორი სონტარულის ხეობაში, ხოლო გადამში ზღვის დონიდან დაახლოებით 1000 მ-ზეა.

მურეხანის დასავლეთით, რიონის ბარეულა შეერთვის. ამ ხეობაში ზემო ბარი ზღვის დონიდან 1200 მეტრზეა, სამთისი — 1000 მ, ქვემო ბარი — 980 მ, მუხლი — 720 მ-ზე.

✓ ქვემო რაჭის ცენტრი, ამბროლაური, ზღვის დონიდან 600 მეტრზე, ხოლო ამ რაიონის ყველაზე მაღალი სოფელი ფუტიეთი 1250 მეტრზე მდებარეობს. შემდეგ მოდის: ვალევი და შეივანი — 1240 მ, ზედა თლული — 1220 მ, ბეთლევი — 1200 მ, ნიკორწმინდა ზღვის დონიდან 1100 მეტრზე მდებარეობს. მის მახლობლად ხოტეურის ხეობაში კაჩაეთი 1180 მეტრზეა, წყადისი და სხარტალი — 1160 მ, უყეში — 1120 მ, ქვედა თლული — 1080 მ, კორტი — 1040 მ, ხობევი — 1000 მ. შარეულას ხეობის ყველაზე მაღალი სოფელია ნამანევი — 1160 მ, შემდეგ მოდის: ხონკიორი — 1100 მ, ზედა შავრა — 1050 მ, თხმორი — 840 მ, გოგოლეთი — 740 მ.

სოფელი მოტყიერი ზღვის დონიდან 1100 მეტრზეა, ქედისუბანი — 900 მ, პატარა ონი — 840 მ, ზნაკვა, გორისუბანი, ღადიში — 800 მ, ღარეული, აბანოეთი, საკეცია — 600 მ, ბუგეული — 560 მ; ღუხუნისწყლის ხეობაში: ურავი — 1150 მ, აბარი — 880 მ, ლიხეთი — 820 მ, წესი — 720 მ.

ამბროლაურის ქვემოთ, რიონის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფლებიდან ყველაზე მაღალია კლდისუბანი — 800 მ, შემდეგ მო-

დღან: ლვიანა — 760 მ, ბოსტანა და ტოლა — 700 მ, ჩორჭი  
680, ძირაგეული — 440 მ.

რაჭა საქართველოს ულამაზესი კუთხეა. კავკასიონის მუდმივი თოვლით დაფარულ მწვერვალებს ტყიანი მაღალი მთებია. ცულის რომელთა შორის მდინარეები მიიღებენ ლეჩების ქედიდან ერთდროულად რაჭა და ქვემო სვანეთი ჩანს, რაჭის ქედიდან კი რაჭისა და იმერეთის სოფლები. მნახველზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს რაჭის გამოქვაბულები და ბუნებრივი მღვიმეები.

რაჭის გამოქვაბულთა უმეტესობა დღისიათის ნაკლებად არის შესწოვლილი. ამიტომ ძნელი სათქმელია, თუ როდის და ან რა მიზნით გამოკვეთეს ეს გამოქვაბული რიცეულის ხეობაში, კლდისუბნის ჩრდილოეთით, ან კიდევ ორი გამოქვაბული სოფელ ცათან, შარეულას მარჯვენა ნაპირზე. აქედან ერთი მათგანი „საყდრის კლდეშია“, მეორე — სათაფლიას კლდეში. ორივე გარედან ამოშენებულია და ძირიდან თითქოს სათოფურებიც გაირჩევა.

შექმერის ტაფობის ჩრდილოეთით, „ქვაგახეთქილას“ ხეობის მარჯვენა მხარეს მაღალი კლდეებია აღმართული. ერთს „თამარის კლდეს“ უწოდებენ. ამ კლდეში ოთხი გამოქვაბულია. ერთი შედარებით დაბლაა, სამი კი ზემოთ, ერთმანეთის გასწვრივ. ამ სამი გამოქვაბულის ზემოთ, კლდეა 12 მეტრით წინ გამოწეული, რომელიც თითქოს სახურავით დაჰყურებს მათ. ქვემო გამოქვაბულამდე კლდის ბილის მივყავართ. გამოქვაბული პატარაა, სიმაღლე დაახლ. 2 მ, სიგანე — 3 მ, სიღრმე — 1,5 მ. ზემო გამოქვაბულები კი ძალზე ძნელი მისაღვიმია. ამ გამოქვაბულებიდან ერთი გარედან ამოშენებულია და ძირიდან თითქოს კარებიც შეიმჩნევა, რომელსაც „თამარის საყდარს“ უწოდებენ.

თამარის კლდის „სამი გამოქვაბული მოსახლეობის დიდ უზრუნველყობას იპყრობს. ძველად დარწმუნებული იყვნენ, რომ „თამარის საყდარში“ დიდებული თამარ მეფის კუბო იყო დასვენებული. ერთი გაღმოცემის მიხედვით, ამ გამოქვაბულში რამდენიმე ასეული წლის წინ ზემოდან ვიღაც მესხი ჩამოუშვიათ. როცა იგი საყდარში შესულა დაბრმავებულა და ვერაფური დაუნახეს, მხოლოდ გამოქვაბულიდან გამოსვლის შემდეგ დაბრუნებია თვალის ჩინი. ამ გაღმოცემის მეორე ვარიანტით, ეს „მთამსვლელი“ წინა საუკუნის შუა წლებში ასულა გამოქვაბულში. აქ მას უნიხავს, რომ „მიცვალებული

წევს ოქროს ტახტზედა, აქეთ-იქით ოქროს სავარძლები უდვია და თავთან თამარ დედოფლის სურათი და ხმალი ჰყიდია და დიღონინ მარილის ქვები უშევიათ". მის შესახებ თითქოს რუსეთში მთავრობისთვის უცნობებიათ. იქიდან მოუწერიათ „მარილის ქვები კი ამ არის, მარმარილის ქვები არისო“ და იქ შესვლა სპეციალური ნებართვის გარეშე აუკრძალავთ.]

თამარ მეფის სახელის დაფარების მა გამოქვაბულებთან დიდ ინტერესს იწვევდა ხალხში. და ა. 1890 წელს ბოყველმა პეტრე ხეთისოს ძე ომანიძემ ქვემო გამოქვაბულის თავზე სავანგებო კიბის აგება დაიწყო, რათა „თამარის საყდრისათვის“ მიეღწია. ერთი წლის მუშაობის შემდეგ კიბემ გამოქვაბულის ძირამდე მიაღწია. აქ ომანიძეს კლდეში ჩამოკიდებული, დაახლოებით 3 მ სიგრძის კიბე დახვედრია, რომელიც მას მოუხსნია და ძირს ჩამოუტანია. მნახევები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ „ეს ძველი კიბე ისეთია, გეონება სულ ახლახან გაყეოებული არისო“. ომანიძეს კიბისთვის სულ რამდენიმე საფეხურის დაღგმა სჭირდებოდა, რომ თამარის საყდარში შესულიყო. დამზადა კიდეც ეს. საფეხურები, მაგრამ მათ დაღგმამდე ადგილობრივ ხელისუფლებას მიმართა და „თამარის საყდარში“ შესვლის ნებართვა ითხოვა. ხელისუფლებამ ასეთი ნებართვა არ გასცა. უფრო მეტიც, კიბის გამოყენება საერთოდ აკრძალა.

პეტრე ომანიძის მიერ კიბის აღმართვა ცხოველ ინტერესს იწვევდა მთელ საქართველოში. მის შესახებ 1891 წლის ოქტომბრის „ივერიაში“ და 1893 წ. იანვრის „კვალში“ წერილებიც კი დაიბეჭდა. ამ წერილთა ავტორები სავანგებოდ გაემგზავრნენ რაჭაში, რათა ცნობები ადგილზე შეეკრიბათ.

რადგანაც ომანიძე გამოქვაბულში არ შესულა, „თამარის საყდრის“ მიმართ ინტერესი არც შემდეგში ჩამქრალა, თუმცა გამოქვაბულებამდე ასვლა დიდხანს არავის უცდია.

1957 წ. ზაფხულში „თამარის კლდეს“ მთამსულელებმა შეუტიეს. 26 აგვისტოს მათ ზემოდან 200-მეტრიანი თოვი დაუშვეს, შემდეგ კიდევ 15 მეტრის დამატება დაჭირდათ და გამოქვაბულებისაკენ ცნობილი მთამსულელი ა. ნემსიწვერიძე დაეშვა. „გამოჩნდა კირის ხსნარით და ქვით ამოშენებული გამოქვაბულის წინა კედელი, — წერდა იგი 1957 წლის 31 ოქტომბრის გაზეთ „ლელოს“ ფურცლებზე, — კარგად ვხედავ მთავარ გამოქვაბულს, მის მარცხ-

ნივ გუმბათისებურ გამოქვაბულს და მისკენ მიმავალ კლდეში გა-  
მოქვეთილ ბილიქს. თოქზე სწორ მდგომარეობაში ყოფნამ საშუალე-  
ბა მომცა გარეკევით დამენახა მთავარი გამოქვაბულის მარჯნიდან 30  
მ დაშორებით, ვერტიკალურად გახსნილი კარსტული გვირაბი სა-  
ხელოვნურად ამოშენებული კადლით. თოქიდან გამოქვაბულში გა-  
დასვლისთანავე ამ გამოქვაბულისაენ გაემართო. აქაც მთავარი გა-  
მოქვაბულიდან კლდეს გამოქვეთილი ბილიქი მიჰყვება, მაგრამ ბი-  
ლიქი ხუთი მეტრის შემდეგ ჩამონგრევის გამო წაშლილა... ამ გამო-  
ქვაბულში შესვლა არ მოხერხდა. დანარჩენი გამოქვაბულების აღ-  
წერა მოვახდინე და უკვე შუადღე გადასული იყო, გამოქვაბულიდან  
რომ დაგვშვია.

ა. ნემსიშვერიძემ გამოქვაბულებში ვერც თამარის კუპო იხილა  
და ვერც სხვა რაიმე ნივთი. „თამარის კლდის“ გამოქვაბულებს ამის  
შემდეგ მთამსვლელები კიდევ ერთხელ ეწვივნენ. ვერც მათ იარევს.  
რაიმე ნივთი. როგორც ფიქრობენ ეს გამოქვაბულები კლდეში თა-  
მარის ხანაზე ხუთი საყინული, ადრეა გამოკვეთილი. მას ქრისტია-  
ნი ბერები თავიათ სადგომად იყენებდნენ.

რაჭის ქედის დიდი ნაწილი ერთიან კირქვულ მასივს უკავია.  
ამის გამო რაჭის ქედზე მრავალი კარსტული ძაბრი, დეპრესია და  
თხეუმეტამდე მღვიმე გვხვდება. ერთ-ერთი, ზედა, სხვავს სამხრე-  
თით სოფლის ცენტრიდან 3—4 კმ დაშორებით მდებარეობს. მას  
ხშირად სხვავს საყინულეს უწოდებენ. მისკენ მიმავალი ბილიქი  
დღეს ბალახითაა დაფარული და მეგზურის გარეშე მასთან მისკვლა  
აღარ შეიძლება. სხვავს საყინულეს შესახებ ცნობა ვაჟუშტი ბაგ-  
რატიონთან გვხვდება: „არს ორმო დიდი, ვრცელი და ლრმა, რო-  
მელსა შინა დის წყარო და ვერ განპყინავს ზამთარს, არამედ ზაფხუ-  
ლის ჰყინავს სრულიად, რომელი ამოულეველი არს“. სინამდვილეში  
სხვავს საყინულე ორი ნაწილისაგან შედგება: საკუთრივ ორმოსა  
და მის დასავლეთით მდებარე მღვიმისაგან. ორმოს სიმაღლე 10—41  
მეტრია, სიგრძე — 50 მ, ხოლო სიგანე — 20—27 მ. ორმოში კლდის  
დიდი ლოდებია, რომლებიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ დამ-  
რეც ჩისასელელს ქმნიან. ორმოს დასავლეთით კედლის ძირში არის  
ხერელი, საიდანაც თოვის დახმარებით თვით მღვიმეში შეიძლება  
ჩასვლა. სხვავს მღვიმის ჯამური სიღრმე 80 მეტრია, მასში ორმოდან  
მუდმივად უონავს წყალი, რომელიც მღვიმის მუდმივი უარყოფითი

ტემპერატურის გამო თანდათანობით იყინება. ამიტომ მდვიმეში ვხვდებით ყინულს, სტალაქტიტებს, უზარმაზარ სვეტს, ყინულის ფარდებს, მიწისქეება მყინვარს.

ჭერ კიდევ ცოდნდე წლის წინათ, სხვაგას მღვიმიდან ყინული ამოქენდათ და სხვადასხვა დანიშნულებისათვის იყენებდნენ. ამიტომ მღვიმეში ჩასასვლელად კიბებს გამოკრიდნენ ხოლმე, ფეხ-საცმელზე კი წნელისაგან გაფეთებულ რგოლებს იყეთებდნენ, ფეხი რომ არ დაცურებოდათ. ყინულს ნაჯახით ჭრიდნენ, ზემოდან ბზესა და ნახერს აყრიდნენ. როგორც ირკვევა, სხვაგას მღვიმის ყინულს სამეურნეო დანიშნულებისათვის უძველესი დროიდან იყენებდნენ. შეა საუკუნეებში ეს „საყინულე“ ფეოდალური საკუთრება იყო და ყინულის ამოტანა ზოგი ყმა გლეხის ფეოდალურ ვალდებულებას შეადგენდა.

ჭუთაისის სახელმწიფო ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცულ ძეველ დოკუმენტებს შორის მივაკვლიერ ერთ საბუთს, რომელიც პირ-დაპირ ცნობას ვაწვდის ზემოთ თქმულის შესახებ. საბუთს არც თავი აქვს და არც ბოლო, თარიღი არ ჩანს, მაგრამ ხელისა და შინაარ-სის მიხედვით XVIII საუკუნის პირველ ნახევარში უნდა იყოს შედ-გენილი. იგი მეფისადმი დაწერილი საჩივარია, რომელშიც უცნობი პირი მისთვის უკანონოდ წართმეული ქონების დაბრუნებას თხოუ-ლობს. „დაივარგა სოფელი უაშქვა, — ვკითხულობთ აქ, — ონჭევი, წოლა, ზედა სომიწო, ქვედა სომიწო, ზედა ბარი, ქვედა ბარი, სამთი-სი, ჩონისი, მუხლი, ხიმში, საწინამდლვრო, ზედა ხიმში, ფუტრეთი, პბოზე სოფელი, სხვაგა მისი საყინულებით, საყინულეს კაცითი“. —

ნიკორწმინდის სამხრეთ-დასავლეთით, ორი კილომეტრის და-შორებით, არის დიდი მღვიმე, რომელსაც ნიკორწმინდის საყინულეს უწოდებენ. ჩრდილოეთიდან შესასვლელს ფართო დარბაზში შევყა-ვართ, რომელსაც დამრეცი ძირი აქვს. სე, რომ მღვიმეში ჩასვლი-სას დარბაზი თანდათან მიღლდება და ბოლოს 30—38 მეტრ სიმაღ-ლემდე აღწევს. დარბაზი დამთვალიერებელზე საოცარ ეფექტს ახ-დებს. გეჩვენება, რომ რაც უფრო შორს, სიღრმეში მიღიხარ, თან-დათანობით პატარავდები და ბოლოს ცეროდენად იქცევი. ამ დარ-ბაზის სიგრძე 60—70 მეტრია, სიგანე 50—55 მ. მის სამხრეთის კი-დელზე სამი დერეფანია, რომელთაგან ერთში ღრმა ჰაა.

რაჭის მღვიმეებიდან სილამაზით გამოიჩევა ცახის მღვიმე,

რომელიც ამ სოფლის სამხრეთ-დასავლეთით მდ. შარეულას მარჯვენა ფერდზე, ხეობიდან 100—120 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, მღვიმეში გზა ცახის სასაფლაოდან მიდის. ცახის მღვიმე შედგება კუნძული განყოფილებებისაგან და ვიწრო გასასვლელი — აქარების საგან“. პირველი სამი განყოფილების სიგრძე ცალ-ცალკე 80—120 მ-ია, მესამე განყოფილების შემდეგ ხვრელი დღეს ძალზე დავიწროებულია და გზის გაგრძელება შეუძლებელია. გადმოცემით მღვიმეში კიდევ ოთხი განყოფილებაა, რომლის საერთო სიგრძე 800 მ უადგენს. ასე რომ მთლიანად ცახის მღვიმე 1 კმ-ზე გრძელია. თითოეული განყოფილება ცალკეული დარბაზებისგან შედგება, რომებშიც მრავალი სტალაგმიტი და სტალაქტიტია.

„ოთხ კვირას ვიმოგზაურე ჩაჭიში და შემდეგ გა-  
ველი აქტუან“.

გაფლდეთერელტის მოგზაურობა საქართველოში.

ჩვენი ქვეყნის კუთხების წარსულის დასადგნად ისტორიუმ-  
სები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ქველ საისტორიო დოკუმენტებს,  
რომლებშიც დიდალი მასალა მოიპოვება ამა თუ იმ მხარის შესახებ.


ამ მხრივ დიდ ყურადღებას იძერობს ე.წ. „ნიკორწმიდის დაწერილი“ ანუ „იადგარი“, რომელიც XI ს.-ის მეორე ნახევარშია შედგენილი. „დაწერილი“ წარმოადგენს ნიკორწმინდის მონასტრის წინამძღვარის ანგარიშს და ძეირფას ცნობებს გვაწვდის ამ ხანის რაჭის შესახებ.

საქართველოში უძველესი დროიდან არსებობდა ქვეყნის ცალკეული მხარეების ღწევრისა და მათი რეგიზე გამოხატვის ტრადიციები. სამწუხაროდ მათი მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი შემორჩა. ამიტომ დაუფასებელია ვახუშტი ბაგრატიონის მემკვიდრეობა.

„ვახუშტი ბაგრატიონის კალამს ეკუთვნის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, სადაც მოცემულია ჩვენი ქვეყნის ისტორია და აღწერილობა. შემორჩენილია ვახუშტის მიერ ქართულ ენაზე შედგენილი საქართველოს რეკათ არი ატლასი, რომელთაგან ერთი 1735 წელს არის დასრულებული, მეორე კი — 1743 წელს.

ვახუშტის რუკათა პირველი ატლასი თავდაპირველად 8 რუკი-  
საგან შედგებოდა. ერთი რუკა, რომელზედაც მხოლოდ დასავლეთ  
საქართველო იყო გამოხატული, დოლისათვის დაკარგებოდა. რაჭა-  
ლა

## 2. ତାମିଳ ପ୍ରେରଣାଙ୍କ



საერთოდ მთელი დასავლეთ საქართველო ამ ატლასის ერთ რუკაზე  
წარმოდგენილი, სადაც კავკასიის დიდი ნაწილია გამოხატული. იქ-  
თი მასშტაბის გამო, რუკაზე რაჭის სულ 15 ციხე თუ სოფელია და-  
ტანილი.

ვახუშტის რუკათა მეორე ატლასი 19 რუკისაგან შედგება. იქ-  
დან ხუთ რუკაზე რაჭა ნაწილობრივ არის გამოსახული, სამზე კი  
მთლიანად. სამივე ძირითადად ერთმანეთს იმეორებს, მაგრამ მცი-  
რეოდენი განსხვავება მათ შორის მოინცაა.]

ვახუშტი ბაგრატიონი რაჭას 1724 წლის ზაფხულში ეწვას, რო-  
დესაც ის მამასთან, ქართლის მეფე ვახტანგ VI-თან ერთად რუსეთს  
მიემგზავრებოდა. ირკვევა, რომ ამ მოგზაურობას არავითარი როლი  
არ უთამაშნია დასახლებული კუთხის აღწერილობის შედგენაში და  
რუკების გამოხატვაში. ასეთ შემთხვევაში სახელოვანი უფლისწული  
რუსეთში გატანილ სამეფო არქივის მონაცემებს იყენებდა. მასთა-  
ნავე იგი მასთან ემიგრაციაში მყოფი საქართველოს ამა თუ იმ კუ-  
თხის წარმომადგენელის მოწოდებულ ცნობებს ურთავდა. ამიტომაა,  
რომ ქართლის სამეფოს მოსაზღვრე კუთხეები უფრო სრულადაა  
ვახუშტისთან წარმოდგენილი, ვიდრე ქართლიდან უფრო შორს მდე-  
ბარე საქართველოს მხარეები.

დასავლეთ საქართველოს აღწერილობაში ვახუშტის რაჭისათვის  
ორი თავი იქვე დათმობილი. ამ ორივე თავს ერთად მის თხზულებაში  
უფრო ვრცელი ადგილი უკავია, ვიდრე ოდიშის აღწერილობას, რო-  
მელსაც ბევრად მეტი ტერიტორია ეკავა. „აღწერა სამეფოსა საქარ-  
თველოსას“ უკანასკნელ გამოცემაში რაჭის აღწერილობამ წიგნის  
8 გვერდი შეადგინა. მაშინ როდესაც ცნობებმა გურიის შესახებ  
3,5 გვერდი დაიკავა, აფხაზეთზე — 3 გვ., ლეჩებუმზე და სვანეთზე  
ორ-ორ გვერდზე ნაკლები.]

ნებისმიერი ქვეყნის დაწვრილებითი გეოგრაფიული აღწერის  
შედგენა და რუკების გამოხატვა ძალზე ძნელი და შრომატევადი  
საქმეა. ეს ამოცანა ერთი ადამიანის შესაძლებლობებს ბევრად აღ-  
მატება. ისე რომ სახელოვანი ქართველი მეცნიერის მიერ ჩატარე-  
ბული სამუშაო გრანდიოზულად გამოიყურება, ხოლო მის მიერ და-  
შეებული ზოგიერთი უზუსტობა უმნიშვნელოდ ჩანს.

რაჭის დასავლეთით ლეჩებუმი ესაზღვრება. მათ შორის საზღვ-  
რად ვახუშტი „გეოლისთავის“ ქედს დებს, რომელიც „პყვისის აღ-

მოსავლით კავკასიის მთიდამ, ტოლის დასავლეთად ჩამოვალს“...

„კუვისი“ იგივე ჰყვიშია. „გუელისთავი“ ანუ გველისთავი იგი-  
ვი ლაბეჭინას სერია, რომელიც ჰყვიშის ჩრდილო-დასავლეთი  
მდებარეობს. ჰყვიშისა და ტოლის ასკისწყალი ვახუშტისეული „ტო-  
ლის კევი“ გამოყოფს, რომელიც რაჭისა და ლეჩემის საზღვარი  
იყო გვიანფერდალურ ხანაში.

რაჭის ოლქერასაც ვახუშტი ბაგრატიონი დასავლეთიდან იწყებს:  
„არს რომნებედ არპანი; არპანს ზეით გუელისთავი. გუელისთავს  
ზეით რიონს მოერთვის ტოლის-კევი... ამ კევზედ, დასავლის კი-  
დეზედ, არს... ციხე ტოლა შენი, ფრიად მაგარი... ამ ტოლის-კევის  
ზეით რიონს მოერთვის ბარეულის კევი რიონს სამჯრიდან, სდის  
წმინდის გორგის მთას. ბარეულს, რიონის კიდეზედ, არს ციხე  
კეთილ-შენი“.

ბარეულის ციხის ნანგრევები დღესაცაა სოფ. ბარეულში. ცი-  
ხეს დასავლეთიდან ესაზღვრება ბერშოულის დელე — ვახუშტისე-  
ული „ბარეულის კევი“. ეს პატარა მდინარე „წმინდის გორგის“  
მთიდან კი არ გამოდის, არამედ შარეულის ქედიდან იღებს სათავეს.  
შარეულის ხეობის არსებობა ვახუშტისათვის სრულიად უცნობია.  
ასევე არაა ზუსტი ჩევნი ისტორიების, როდესაც არპანა რაჭაში შე-  
ჰყავს. არპანა იგივე ალპანა სინამდგილეში რაჭის დასავლეთით, 15—  
20 კმ-ის დაშორებით მდებარეობს.

ბარეულის ხევსა და კრისტულის შორის, ვახუშტი ბაგრატიონი  
რიონის რამდენიმე შენაკადს ჩამოთვლის: „ზნაკის კევი (ზნაკურა),  
„სადმელის-კევი“ (რიცეულა), „ლვიანას კევი“ (ლვიარა დელე). ეს  
უპანასკნელი უშეალოდ რიონს უერთდება და არა რიცეულას ანუ  
სადმელის ხევს, როგორც ეს ვახუშტის აქვს ნაჩენები.

„სადმელის კევის შესართავს ზეით რიონს მოერთვის ბუგაუ-  
ლის კევი სამჯრიდამ. გამოსდის ნაქერალიასა და ველევის მთის ქუე-  
ითს, ლემანაურის მთას. ბარეულს არს ციხე კარგი“... — წერს ვა-  
ხუშტი.

იქ ერთი უნებლიერ შეცდომაა გაპარული. ბარეულის ციხის ნაც-  
ვლად, რომელიც ტექსტში ერთხელ-უკვე მოხსენებულია, ბუგაუ-  
ლის ციხე უნდა ეწეროს. ვახუშტის რუკებზე ამ იდგილის ეს უკანას-  
კნელია დატანილი. ამ ციხის ნანგრევებმა დღვევანდლამდე მოაღწიეს.  
მის დასავლეთით მოედინება მდინარე ქერეულა — ვახუშტისეული

ბუგაულის ხევი. ისე კი ბუგაულის ნაცვლად უფრო სწორია ბუგაული. სახელოვან მეცნიერთან კიდევ ერთი უზუსტობა შეიმჩნევა: ბუგეულის ხევი ანუ პერულა, ზნაკის ხევის დასავლეთით მთერთვის რიონს და არა აღმოსავლეთით, როგორც ეს ტექსტშია ნაჩენები. ბუგაულის ხევის სათავეც, „გამოძის... ლემანაურის მთას“, სინამდვილეში ზნაკურას სათავეს წარმოადგენს.

ვახუშტისეული „ქრისტულს მდინარე“ იგივე ქრისტულაა. მაგრამ იგი „საღორისა, ნაჯიხურევისა და საწილიეს მთას“ კი არ ვამოდის, არამედ მისი მთავარი შტო სოფ. კრისის ახლოს მიწიდან ამოდის. „კრისტულს მდინარეს“ ვახუშტის მიხედვით „მოერთვის ხოტევის წყალი“, რომელსაც „ხოტევის ზეით... ერთვის აგარის კევი“... ხოტევის წყალი იგივე ხოტეურაა: ეს სახელი ამ მდინარეს სოფ. ხოტევიდან ეწოდება, სადაც მისი რამდენიმე შენაკადი იყრის თავს. ერთი ასეთი შენაკადი ნიკორწმინდის დასავლეთით სოფ. აგარას ჩამოვლის და ხოტეურას უერთდება. მას დღეს უბრალოდ დღლეს უწოდებენ. ეს უნდა იყოს ვახუშტისეული „აგარის კევი“.

ხოტევის ხეობაში „მაღალ გორას კლდესა ზედა“ ვახუშტი ასახელებს „ციხეს კვიტაშვილისა“. ეს უნდა იყოს დღევანდელი კორტი ანუ ძეელი კვიტიეწმინდა.

ვახუშტი კრისტულს კიდევ ერთ შენაკადს ასახელებს: „კრის ზეით“ მისი ცნობით კრისტულს უერთდება „სხოვის კევი, დის სამჯრიდან ჩიდილოთ. ამ კევზედ ასე ორმო დიდი... ეს ორმო დიდი, როგორც მკითხველმა უკვე იცის, სხვავის საყინულეა. მასთან ახლოს მართლაც ჩამოდის დელე, რომელიც ფუტიერიდან მოედინება და კრისტულს შეერთვის. სხვავაში მას უბრალოდ ჭალას უწოდებენ. ეს ვახუშტისეული „სხოვის კევი“ უნდა იყოს. რაც შეეხება თვით სახელწოდებას „სხოვა“, სახელოვან მეცნიერს ამ პუნქტის ძველი სახელი აქვს მოცემული. სოფელს ჭერ სხოვა ეწოდებოდა, შემდეგ სხვავა დაერქვა.

სხოვის კედის შემდეგ ვახუშტი კვარას ციხესა და ხიდიკარის გიშროების აღწერას იძლევა. შემდეგ იგი აგრძელებს „ჭიდის კარს ზეით რიონის კიდეზე გამოსდის კლდიდამ თბილი წყალი, არამედ უქმარი“. მართლაც, ხიდიკართან რიონის მარცხენა ნაპირზე არის ადგილი „ჭვეშვაკის აბანო“, სადაც მიწიდან ამოდის გოგირდოვანი წყლები, რომელსაც სამკურნალოდ იყენებენ. აქვე ახლოს მდინა-

რის მარჯვენა მხარეს, ხიდიქარის აღმოსავლეთით, არის აღვილი „ნა-  
აბანოვე“, სადაც ძველად ჭიდან გოგირდის წყალი ამოდიოდა. დაახ-  
ლოებით ათ წლის წინათ, რიონმა დინება იცვალა და ამ ჭიათურა-  
უარა. ზაფხულობით, როდესაც რიონის დონე დაბლა იწევა; ქაშა-  
მდინარეში დღესაც მოჩანს და მასში ძველებურად გოგირდის წყა-  
ლი ამოდის.

სოფ. წესში, ვახუშტის მიხედვით, „არს ნინიას ციხე, კლდესა  
ზედა შინა“, რომლის „ზეით მოერთვის რიონს სამკრიდან ბარულა...  
ამ კეცს ერთვის ჩინისის, კეცი დასავლეთიდამ!“.

ნინიას ციხედ გ. ბოჭორიძე მიიჩნევდა სოფლის მთავარ  
უბანში თავის დროზე კოტე მაისაშვილის ეზოში მდგარ ციხეს, რო-  
მელიც თითქოს 1915 წელს დაუნგრევიათ.

აღვილობრივმა სიძეველეთა მოყვარულმა აკაკი კერესელიძემ  
სოფ. წესში, რიონის პირას კიდევ ერთი ციხის ნანგრევები მაჩვენა.  
ეს ციხე კარგად გათლილი ქვით ყოფილა იგებული. მას იგი ვახუშ-  
ტისეულ ნინიას ციხის ნაშთად მიაჩნია. რაც შეეხება „ბარულას  
კეცს“, ეს მდინარე ბარულაა, „ჩინისის კეცი“ კი იგივე ჩინისურა,  
რომელიც სოფ. ჩინისს გამოუვლის და სოფ. მუხლიან უშუალოდ  
რიონს უერთდება.

რაჭის აღწერილობაში ვახუშტი ასახელებს მდ. ლუხუნს, სონ-  
ტარულას — „სორისკეცი“, ხეორას — „კევი-ხეორი“, ტექსტში  
აღნიშნულია ხეორის შენაკადი „რიონის შესართავს ზეით — ბოყ-  
ვის კეცი აღმოსავლეთიდამ“. ეს უკანასკნელი პატარა მდინარე ჭიო  
უნდა იყოს, რომელიც სოფ. ქორთადან მოდის და სოფელ ბოყვაში  
მარჯვნიდან უერთდება ხეორს.

ანის ზემოთ აღმოსავლეთით ვახუშტი „ჯეორის მდინარეს“  
ასახელებს ანუ მდ. ჯეორას, ჩიდილოეთით „ღარულას კეცს“ ანუ  
ღარულას, რომლის შესართავთან ახლოს „ერთვის საქორას კევი  
რიონს ჩიდილოდამ“. ამ კეცის შესართავთან, რიონის კიდეზედ, არს  
ციხე. მაგარი ფრიად“. საქორის ხევი მდ. საკაურა უნდა იყოს, ხო-  
ლო მის შესართავთან მოხსნებული ციხის ნანგრევები დღესაც  
არის შემორჩენილი სოფ. ლაგვანთასთან. ეს მდინარე და ციხე სოფ.  
ძეგლევის სამხრეთით მდებარეობდენ, მაშინ როდესაც ვახუშტის ნაჩ-  
ვენები აქვს ამ სოფლის ჩიდილოეთით. ჩვენი მეცნიერის ამ უნებ-  
ლივ შეცდომების მიზეზს შემდეგი გარემოება წარმოადგენს. მას

ერთმანეთში აერია მდ. საკაურა და საქორიას კლდე, რომელიც ძირი დაგვის ჩრდილოეთით, სოფლების: ნაკიეთისა და უწერის საზღვარზე დგას. ამის გამო თავის რუკებზე ვახუშტის საქორიას კევი ყნუსფრა ურას ხეობა, ზუსტად არა აქვს მოცემული, ლაგვანთას ნაცელად მიასახა სოფ. საქორია აქვს დატანილი, ხოლო ლაგვანთა ამ მდინარის შუა წელზეა ონიშნული. სინამდვილეში ლაგვანთა ამ მდინარის შესართავში მდებარეობს, ხოლო საკაურას შუა წელზე სოფ. საკაურა დგას. ამავე ხეობაში დატანილია სოფ. ნაბათი.

ვახუშტისეული „გლოლის კევი“ მდ. ჭანების წყალია, ხოლო მისი შენაფადები „სხუა კევი ორი“ უნდა იყოს ბუბას წყალი და ბოყვას წყალი.

„აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ ქართველი მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი. ამის გამო რაჭის აღწერილობიდან ზემოთ მხოლოდ ის აღიღლები მოვიტანე, რომელიც ან ზუსტი ვერაა ან კიდევ სპეციალისტის დამატებით განმარტებას მოითხოვს.

ვახუშტი ბაგრატიონის რუკათა ატლასები დღემდე არაა გამოცემული. მათი მონაცემები რაჭიზე ანბანზე დავალაგე და წიგნში შევიტანე. წინასწარ მინდა მკითხველს განვუმარტო ამ რუკათა ზოგიერთი პირობითი ნიშნის მნიშვნელობა. დაბა აქ სოფელს შეესაბამება, აზნაურის სახლი — აზნაურის ციხე-დარბაზს, მცირე მთავრის სახლი — თავადის ციხე-დარბაზს, დიდი მთავრის სახლი — რაჭის ერისთავის ციხე-დარბაზს და მეფის სახლი — სამეფო რეზიდენციას. ამ რუკებზე ციხეცაა დატანილი ყოველგვარი დამატებითი განმარტების გარეშე. ამ პირობითი ნიშნით ისეთი ციხე-სიმაგრე იგულისხმება, სადაც მოსახლეობა თავს აფარებდა მტრის თავდასხმის შემთხვევაში. მკითხველმა ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ზოგჯერ რუკაზე მხოლოდ ციხე ან კელესია აღნიშნული, მაშინ როდესაც იქ სოფელიც არსებობდა.

ვახუშტის რუკებზე რაჭის დატანილია: აგარა — დაბა, ამბროლაური — მეფის სახლი; არპანა — დაბა; ბაკურაძე — დაბა (დღევანდელი სოფ. კორტის მიდამოებში); ბარეული — ციხე; ბარი — დაბა; ბაგი — დაბა; ბაჯისხევი — აზნაურის სახლი; ბოსტანა — დაბა; ბოყვა — დაბა; ბუგაული — ციხე; გამყრელიძე — დაბა, აზნაურის სახლი (იგულისხმება. სოფელი კომანდელი, სადაც დღემდე

შემორჩია აზნაურ გამყრელიძეთა ციხე-დარბაზის ნანგრევები); გლო-  
ლა — ციხე, დაბა; გრიმქელი — დაბა სოფ. შეუბანთან; ველვაი  
დაბა; ველოფტორი — აზნაურის სახლი; ზნავა — ციხე; ზუდელი; კარი  
აზნაურის სახლი; თლუხი — დაბა; იწა — დაბა; კვარა — ციხე; ჩვარის  
ტელი — დაბა; კვატაშვილის ციხე — ან კიდევ კვიტაშვილი —  
ციხე; კრიხი — დაბა, აზნაურის სახლი; ლაგვათა — დაბა; ზვარე —  
დაბა; მოტყიერი — დაბა; მრავალძალი — ეკლესია; მუხლი — და-  
ბა; მშხივანა — დაბა; ნინიას კოშეი — აზნაურის სახლი (ქვარას  
ციხის აღმოსავლეთით); ნაბათი — დაბა; „ნათლისმცემლის მონას-  
ტერი“ — ან კიდევ „ნათლისმცემლის უდაბნო“ — მონასტერი  
(დღეს ველტყევის მონასტრის და სხვავის უდაბნოს სახელითაა ცნო-  
ბილი); ნიკორწმინდა — ეპისკოპოსის ეკლესია; ონი — მცირე ქა-  
ლაქი; აქვე „ციხე“. ერთ რუკაზე მის „ბევერის ციხე“ ეწოდება.  
ონი — აზნაურის სახლი; (არ უნდა აურიოთ ქ. ონში, ეს არის დღე-  
ვანდელი პატარა ონი, ქვემთ რაგა); პიბილეთი — დაბა; როფაქეთი —  
დაბა; (სოფელი ღარულის ხეობაში რომელიც დღეს აღარ არსე-  
ბობს); სადმელი — ციხე; საკეცე — აზნაურის სახლი; საქორია —  
ციხე; სევა — მთავრის სახლი; სომიწო — მთავრის სახლი; სორი —  
აზნაურის სახლი, აქვე „მონასტერი“; სხარტალი — დაბა; სხოვა —  
დაბა, მცირე მთავრის სახლი; ტოლა — ციხე; ურიში — დაბა (სო-  
ფელი ღარულის ხეობაში, რომელიც დღეს აღარ არსებობს); უყე-  
ში — დაბა; უწერა — დაბა, ეკლესია; ფარახეთი — დაბა; ფუტიე-  
თი — აზნაურის სახლი; ქვაშხიერი — დაბა; ღარი — აზნაურის სახ-  
ლი; ღები — ციხე, დაბა; ღვარდია — დაბა, ღვიარა — მცირე მთავ-  
რის სახლი; ღუდა — დაბა; შარდომეთი — აზნაურის სახლი; შაო-  
რი — დაბა; შაუბანი — დაბა (დღევანდელი შეუბანი); შემერი —  
დიდი დაბა; ჩონისი — აზნაურის სახლი, ცახი — დაბა; ძეგლევი —  
დაბა; ძირაგული — დაბა; წედისი — დაბა, ციხე; წესი — დაბა. ამ  
სოფელში დატანილია იგრეთვე „ბარაკონი“ — ეკლესია; მინდა ცი-  
ხე — ციხე; „ნინიას ციხე“ — ციხე; „ველიეთი“ — ეკლესია; წუ-  
ქეთი — დაბა, ბარეულის ახლოს; წორბისი — დაბა, სომიწოს ახ-  
ლოს; ჭალა — დაბა; ჭალის უბანი — დაბა; დღეს არ არსებული  
სოფელი ღარულის ხეობაში; ჭიბრევი — დაბა, ჭიდროთა — მთავრის  
სახლი; (ერთ რუკაზე მის ნაცვლად არის წარწერა — იწროთა); ჭი-  
ორა — დაბა; ხიმში — აზნაურის სახლი; ხირხათა (ხირხონისი) —

დაბა; ხონჭიორი — დაბა; ხოტევი — ციხე, ხსუარა ალბათ სხიერი —  
დაბა; ჯოისუბანი — აზნაურის სახლი;

რუკებზე დატანილია ყველა ის მდინარე, რომელიც აღწერი-  
ლობაშია მოხსენიებული, აქვეა ლემანაური მთა ზნავეს ჩრდილოეთი  
თით და უდაბური — მთა მრავალძალსა და ფარახეთს შორის. ჩაჭის  
ქედზე ისევე როგორც ტექსტში, რუკაზე მოცემულია ცალკეული  
მთები — წმინდის გოორგის, გატრილა, ველევი, სალორე, გარჯილა,  
ნაჯიხურევი, საწალიერ და კიცები.

ვახუშტი ბაგრატიონი კუდაროს რაჭის შემადგენლობაში აღ-  
წერს. ტექსტში წონას გარდა, ამ მხარის არც ერთი სოფელი არ არის  
დასახელებული. რუკებზე დამატებით დატანილია: კუდარო, ზემო  
კუდარო, ჩიავალი და გულვანთა.

1737 წელს იმერეთის მეფის ალექსანდრე V-ის ბრძანებით ტი-  
მოთე გაბაშვილმა გამოხაზა დასავლეთ საქართველოს რუკა, რომე-  
ლიც მომდევნო, 1738 წელს რუსეთის იმპერატორის კარზე წარად-  
გინეს. მიუხედავად იმისა, რომ ეს რუკა იმერეთშია შედგენილი,  
მასზე რაჭა სულ ათოოდე ციხით, სოფლითა თუ ეკლესითაა წარ-  
მოდგენილი: „ბარაკონის მონასტერი“, „გლოლა“, აქვე აღნიშვნაა —  
„ვერცხლის ლითონი იტრის“, „კვარსა ციხე“, „წმიდის ნიკოლოზის  
ეკლესია სამიტროპოლიტო“ (ნიკორწმინდის საყდარი თ. ბ.),  
„ონი — ყასაბა“ (ყასაბა თურქულად მცირე ქალაქს ნიშნავს), აქვე  
მეორე წარწერაა — „ვერცხლის ლითონია, გოგიზდიც კარგი გამო-  
ვა“, „სხოვა“, „ლებია“, აქვე შენიშვნაა — „აქაც ვერცხლის ლითო-  
ნია“; „წესის სასახლე“, „ციხე წესის“ და დასასრულს „ხოტევის  
ციხე“.

ლი 1651 წლის 2 ივნისს კავკასიონის მთავარ ქედიდან რიონის სა-  
თავისაკენ დაეშვა რუსეთის ელჩობა, რომელსაც ტოლოჩინოვი და  
იევლევი ხელმძღვანელობდნენ. ელჩებმა რაჭის დიდი ნაწილი გაი-  
რეს, ნიკორწმინდაში ეწვივნენ თავის სამეფოდან გამოქვებულ  
ქართლ-კახეთის მეფეს თემურაზ I-ს და შემდეგ ქუთაისისკენ გა-  
იგრძელეს გზა. თავიანთი დიპლომატიური მისიის დასრულების შემ-  
დეგ ელჩებმა უკან გზაზე კვლავ რაჭა გამოვლეს და მოსკოვისკენ  
მიმავალ შორეულ გზას დაადგნენ.

ფეოდალურ ხანაში ელჩები ჩვეულებრივ მზერავნიც იყვნენ.  
მათ ერთ-ერთ მთავარ ამოცანას სრული ცნობების შეკრება შეად-

გვნდა იმ ქვეყნის შესახებ, სადაც ისინი დიპლომატიური მისით იმ-  
ყოფებოდნენ. გამონაქლის არც ეს ელჩები წარმოადგენდნენ] სა-  
კუთარ მთავრობისადმი წარდგენილ ანგარიშებში იევლევმა და  
ტოლოჩიანოვმა ძალზე მნიშვნელოვანი ცნობები დატოვეს იმერეთის  
სამეფოს ყველა კუთხის, განსაკუთრებით რაჭის შესახებ. ისინი პირ-  
ველი უცხოელები არიან, რომლებმაც ამ მხარის აღწერა დაგვიტო-  
ვეს. რუსთა ელჩების ანგარიშებში მოცემულია სოფლების: თევრე-  
შოს, კვარაციხის, ამბროლაურის, კრიხის ეკლესიების და ნიკორ-  
წმინდის მონასტრის აღწერილობა.

Γიმერეთის სამეფოს უმნიშვნელოვანეს ადგილებს შორის, სადაც  
„განთქმული მონასტრებია და მეცე-დედოფალი პირადად დაბრძან-  
დებიან“, ტოლოჩიანოვისა და იევლევის ცნობებში 10-ზე მეტი სო-  
ფელი, ეკლესია-მონასტერი ოუ ციხე-სიმაგრეა ჩამოთვლილი: ამბ-  
როლაური, ზნავა, თევრეშო, კვარაციხე, მინდაციხე, სადმელი, სა-  
კო, საკეცა, სორი, სხოვა, ღარი, ღები, შორი, შეუბანი, ძეგლევი,  
წესი, ჭიორა და ხოტევი. ც

ტოლოჩიანოვისა და იევლევის ელჩობიდან 120 წლის შემდეგ,  
რაჭას, 1772 წელს ეწვია რუსეთის მეორე წარმოადგენელი, გერმა-  
ნელი მეცნიერი გიულდენშტედტი, რომელსაც რუსეთის მეცნიერე-  
ბათა აკადემიისაგან ჩრდილოეთ კავკასიისა და საქართველოს გეოგ-  
რაფიული შესწავლა პქონდა დავალებული.

გიულდენშტედტი ფრიად განსწავლული მკვლევარი იყო, თანაც  
მისი კვლევის შედეგებით რუსეთის სამეცნიერო აკადემიაზე უფრო,  
რუსეთის მმართველი წრები იყვნენ დაინტერესებულნი. ისინი ამ  
დროს კავკასიში მოქმედების შორს მიმავალ გვემებს აღგნდნენ.  
ამიტომ გერმანელი მეცნიერის ანგარიშებში ყველაზე უფრო სრული  
ცნობებია საქართველოს შესახებ, ვიდრე ეს რომელიმე უცხოელს-  
ჩვენი ქვეყნის შესახებ დაუტოვებია. განსაკუთრებით ეს შეიძლება  
ითქვას რაჭაზე. ეს მხარე პირველი იყო დასავლეთ საქართველოში,  
რომელსაც იგი ეწვია. მან წონას უდელტეხილი გადალახა და კუდა-  
როს ხეობაში დაეშვა, შემდეგ კი რაჭის სოფელ წედისში მივიდა.  
ძეედნ გიულდენშტედტი წადისისაკენ გაემართა, სადაც სხარტალ-  
ში, მეფის რეზიდენციის სოლომონ I-ს ეწვია. ექ იგი იმერეთის მე-  
ფეს საგანგებოდ ეთათბირა რაჭის იმ ადგილების შესახებ, რომლე-  
ბიც ჯერ მას არ ენახა. „გვემა იყო, — წერს გერმანელი მეცნიე-

რი, — სხარტალიდან მომევლო რაჭის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი, და შემდეგ ხიმში ჩაესულიყავი იქიდან რიონის ჩრდილო-დასავლეთისაკენ მემოვზაურა ლეჩხუმის საზღვრამდე". მეფემ გზულდება შტედტს სამი თავადი გააყოლა და გვგმაც წარმატებით შესრულდა. გერმანელმა მეცნიერმა რაჭაში ოთხი კვირა იმოვზაურა. სხარტალიდან იგი რაჭის ქედის მაღალმთანი სოფლების გავლით სოფ. ბაზი-ხევამდე ავიდა, შემდეგ კი ონამდე დაეშვა. აქედან მან ლებამდე იმოვზაურა, შემდეგ დაუყვა რიონის ხეობას და სოფ. ტოლამდე მივიდა, საიდანაც ის სხარტალში დაბრუნდა და ნიკორწმინდის გავლით ოქრიბისაენ გაემართა.

გიულდენშტედტის ანგარიშებში რაჭველთა ყოფა-ცხოვრება დიდი სისრულითა მოცემული. იგი იძლევა რაჭის სოფლების თითქმის სრულ სიას, რამდენიმე ეკლესია-მონასტრის, ციხის თუ ხიდის აღწერილობას. აქე უძვირფასეს მასალა რაჭის სოფლის მეურნეობის დარგების შესახებ, აღწერილია რაჭული ურემი და გუთანი, გლეხის კარმიდამო და სხვა.

როგორც ჩანს, რომელიმე მხარის ზუსტად აღწერა ერთი ადამიანის მიერ შეუძლებელია. ამიტომ შეცდომები მის შრომაშიც მოიპოვება. მაგ. მას აღნიშნული აქვს — „სორი, ლიხეთი და ურავი, სამიერ მდინარე სონტარულაზე“, მაშინ როდესაც სონტარულას ხეობაში მხოლოდ სორია განლაგებული, ლიხეთი და ურავი კი მდ. ლუხუნის ხეობაში მდებარეობს. აქვე შეცდომით, სხვაგა, ჩინისი, ფუტიეთი ბარულას ხეობაშია მოცემული. რასაკირველია, ეს უზესტობანი გიულდენშტედტის ცნობების მნიშვნელობას სრულებითაც არ ამცირებს. მხოლოდ მინდა აღნიშნო, რომ ძალზე სატრიხილოა თუნდაც კარგად ინფორმირებული უცხოელი მოვზაურის ცნობათა უკრიტიკოდ გაზიარება.

XVIII საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში რაჭის შესახებ ცნობები მოეპოვება რუსეთის არმიის ოფიცერს იაზიოვს და გერმანელ მეცნიერს რეინეგვს. ისინი საქართველოს ამ კუთხეში არ ყოფილან და რაჭის შესახებ ცნობებს სხვებისაგან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით იძლევიან.

დ 802 წელს ჩრდილოეთ კავკასიიდან ლებში გადმოვიდა რუსეთის მთავრობის საგანგებო წარმომადგენელი ალექსანდრე სოკოლოვი, რომელსაც სოლომონ II-სთან მოლაპარაკება ევალებოდა.] სოკო

ლოვმა მთელი რაჭა მოიარა, შემდეგ ზემო იმერეთის გაელით ქართლისაკენ გაემგზავრა. ეს მოგზაურობა მან დაწერილებით აღწერა.

წ1808 წლის ზაფხულში რაჭას ესტუმრა ცნობილი გერმანელი რედაქტორი თარიენტალისტი და ლინგვისტი პაინჩის კლაპროთი, რომელიც რედაქტორი სეთის მეცნიერებათა აკადემიის დავალებით კავკასიას სწავლობდა] იგი დიგორიდან ლებში გადმოვიდა, ონამდე იმოგზაურა და უკან იმავე გზით დაბრუნდა. კლაპროთმა თავისი მოგზაურობის დღიურები თბი თბი წიგნად გამოსცა, რომლის მეორე წიგნში რაჭაში მოგზაურობაა აღწერილი.

წ1833 წლის შემოდგომაზე რაჭას ესტუმრა შვეიცარიელი მეცნაური დიუბუა დე მონპერე, რომელმაც 1831—1834 წწ. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი, ყირიმი და ამიერკავკასია მოიარა. თავისი მოგზაურობის შედეგები მან 6 ტომიანი ნაშრომის სახით გამოსცა. პირველი წიგნის ერთი თავი რაჭას აქვს დათმობილი. სამწუხაროდ დიუბუას ცნობები ჩვენი ქვეყნის შესახებ არ არის ქართულად თარგმნილი.

შვეიცარიელი მეცნიერი რაჭაში პირველად ხორცის ეწვია, შემდეგ ნიკორწმინდაში ავიდა, აქედან ლებამდე და გლოლამდე გააგრძელა გზა, გლოლადან რიონს დაუყვა და ტოლამდე მივიდა. დიუბუა დე მონპერეს გეოლოგია და რაჭის სიძველენი აინტერესებდა, ამიტომ გეოლოგიური მონაცემების გვერდით, მის ჩანაწერებში დიდი ადგილი აქვს დათმობილი არქიტექტურული კულტურის ძეგლებს. აქვე მოცემულია გლოლას, ლებისა და ონის აღწერილობა. დიუბუა დე მონპერე კარგი მხატვარი იყო. ნაშრომს მან დიდი ალბორმი დაურთო, სადაც ჩვენ ვხვდებით ლების, გლოლისა და ონის ხედებს. აქვეა მოცემული უწერის მოურავის, ვინმე გოგია გამყრელიძის კარმიდამოს, მინდას და ხორცევის ციხეების და ნიკორწმინდის „საყინულის შესასვლელის“ ნახატები.

დიუბუა დე მონპერეს ჩანაწერები კარგი მაგალითია იმისა, თუ რა სიფრთხეილე გვმართებს უცხო მოგზაურთა ცნობების გამოყენების დროს. ხორცევის ციხის აღწერისას შვეიცარიელი მოგზაური დასძენს, რომ „ეს ერთ-ერთი ძირითადი ციხე რაჭისა დაყავებულ იქნა 1772 წელს და დანგრეულ იქნა გენერალ ტოტლებენის ბრძანებით, ისევე როგორც შორაპანი, გარციე და ბალდადი“ [ლების აღწერისას, ეხება რა აქედან დიგორში მიმავალ გზას, დიუბუა დე მონპერე შე-

ნიშნავს, რომ „ეს გზა გამოიყენა ტოტლებენმა, როდესაც თავისი  
კორპუსით რუსეთიდან სოლომონ I-ის დასახმარებლად მოდიოდა“.

სინამდვილეში, ტოტლებენი 1769 წელს საქართველოში დაწინაურებულის გზით შემოვიდა და იმერეთში ლიხის ქედით გადავიდა – მისი კორპუსის იმერეთში ყოფნის დროს სოლომონ პირველმა უცხვა-  
თის, შორაპნის, ბაღდადის და ქუთაისის ციხეები გამოსტაცა მტერს,  
ვარციხე ქართველთა ხელში იყო და მას განთავისუფლება არ სჭირ-  
დებოდა. ტოტლებენი თავისი კორპუსით რაჭაში საერთოდ არ ყო-  
ფილა, მიტომ ხოტვების ციხე მისი ბრძანებით არავის დაუნგრევია,  
მით უფრო 1772 წელს, რუსეთის კორპუსმა საერთოდ დატოვა სა-  
ქართველოს ტერიტორია ისევ დარიალის გზით.

სამწუხაროდ, ამ ფაქტებს ხშირად არ ითვალისწინებენ და ხო-  
რევის ციხის დანგრევის შესახებ ტოტლებენის მიერ შევიცარიელი  
მეცნიერის ნათქვამს უყოყმანოდ იმეორებენ.

დიუბუა დე მონპერე პირველი იყო რაჭაში უცხოელ მოვზაურ-  
თა შორის, რომელმაც ამ მხარის სიძევეთი შესწავლა-ფიქსაციას  
დიდი ყურადღება დაუთმო. ამგვარი სამუშაო კი საქართველოში სას-  
წრაფოდ იყო ჩასატარებელი, რადგან ფეოდალური ხანის არქიტე-  
ტურული ძეგლები ინგრეოდა და მათ შეკეთება-ალდგენაზე არავინ  
ფიქრობდა.

წმუა საუკუნეებში მოსახლეობა მტრის შემოსევის დროს ციხეს  
აფარებდა თავს. ხშირად უბრალო გლეხის სახლიც სიმაგრეს წირ-  
მოადგენდა. ფეოდალები კი, როგორც წესი ციხე-დარბაზებში  
ცხოვრობდნენ. იმერეთის სამეფოს რუსეთთან შეერთების შემდეგ  
კითარება შეიცვალა. ახალმა ხელისუფლებამ ციხესიმაგრეთა ერთა  
ნაწილი დაანგრია, რათა წინააღმდეგობის ცენტრები მოესპონ] ათიოდე  
წლის შემდეგ რაჭაში სრული სიშვეიდე დამყარდა. ასეთ პირობებში  
ის თავდაცვითი ნაგებობებიც კი, რომელიც ახალ ხელისუფლებას არ  
დაუნგრევია, მოსახლეობისათვის გამოუსადეგარი გახდა და მათ  
მოვლა-პატრიონაზე არავინ ფიქრობდა, თანდათან ციხე-სიმაგრეთა  
უმრავლესობა მოუვლელობის გამო დაინგრა, ან დაანგრიეს კიდეც.  
რათა მისი ქვები სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოეყენებინათ.

გასული საუკუნის დასაწყისში რაჭაში სულ სხვადასხვა დროის  
მრავალი ეკლესია-მონასტერი იდგა, რომელშიც უძვირფასესი საეკ-  
ლესიო ინვენტარი და ხელნაშერი წიგნები ინახებოდა. ზოგი ეკლე-

სია მორწმუნეთა ყოველდღიურ მოთხოვნილების აქმაყოფილებდა, ზოგი — ფეოდალის კარის ეკლესია ძირი, ზოგიც — ხატის სახელშე იყო აგებული და წირვა-ლოცვა წელიწადში სულ რამდენჯერმეტა იმართებოდა. ყველა ეკლესის თავის პატრონი ჰყავდა. ეკლესის მასახური საკუთარი ყმა-მამული და შემოსავალი ინახავდა. იხალმა ხელისუფლებამ მალე საეკლესიო რეფორმა ჩაატარა, ეკლესის მსახური ხაზინიდან ჯამაგირი დაუნიშნა, საეკლესიო ყმა-მამული კასახელმწიფო საკუთრებად გამოაცხადა. რეფორმის შედეგად მოქმედი ეკლესიებისა და მღვდელმსახურთა რაოდენობა ძალზე შემცირდა. ასეთ ვითარებაში ძველი ეკლესიების უმრავლესობა უპატრონოდ დარჩა. უპატრონო ეკლესის კი, როგორც ცნობილია „ეშმაკები ეპატრონებიან“. ეკლესიები თანდათანობით ინგრეოდა, ხოლო საეკლესიო წიგნები თუ საეკლესიო ნივთები თანდათანობით ნიავდებოდა. არც მოქმედი ეკლესიების მდგომარეობა აღმოჩნდა ბევრად უკეთესი. ბევრ შემთხვევაში შეკვეთის დროს მთლიანად გადააკეთეს და ძველი სახე დაუკარგეს, ზოგი ძველი კარგად შენახული პატარა ზომის ეკლესია მთლიანად დაანგრიეს და მის ადგილზე უფრო დიდი და უფრო „ლამაზი“ საკულტო ნაგებობა ააგეს.

სიძველეთა დაცვის საქმეში მდგომარეობა არც ჩვენი საუკუნის დასაწყისში გამოსწორებულა. ძველი ეკლესიების უმეტესი ნაწილი კვლავინდებურად მოუკვლელობით ინგრეოდა. მასობრივი ხასიათი მიიღო ეკლესის სიძველეთა დატაცებაში.]

ძველი კულტურის ძეგლებს რაჭაში, ისევე, როგორც საქართველოს ბევრ კუთხეში, დიდი ზიანი მიაყენა ანტირელიგიურმა კამპანიამ, რომელსაც ადგილი პქონდა 1923—1925 წლებში. მალე ეს კამპანია კონტროლიდან გამოვიდა, ძველი ეკლესიების დიდი ნაწილი დაანგრიეს, ბევრი ძველი საეკლესიო ნივთი ან დაამტვრიეს ან კიდევ ხელმრუდე პირებმა მიითვისეს, რომლებიც შემდეგ შავ ბაზარზე გაყიდეს. მხოლოდ სახელმწიფო ორგანოების ჩარევისა და ქართველ მეცნიერთა თვეგამოდებული მოღვაწეობის შედეგად მოხერხდა კულტურის ძეგლთა ნგრევის შეჩერება და ეკლესია-მონასტრებში დაცულ სიძველეთა გადაიჩენა.

ასეთ პირობებში დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთ ნაშრომებს, რომლებშიც გადმოცემულია რაჭის და იქ დაცულ სიძველეთა აღწერილობა. ეს ნაშრომები ჯერ კიდევ მაშინ არის შედგენილი, როცა

ყველაფერი ადგილზე იყო. მათ გარეშე დღეს ჩვენ წარმოდგენა არ  
გვეწნებოდა რავის ბევრ ისტორიულ ძეგლზე, ხოლო თავის დროზე  
მათში დაცული სიძეველეთა ერთი ნაწილის გამოვლენა მხოლოდ მურავი  
ზეუმებძა და არქივებში ხანგრძლივი კვლევის შედეგად იქნებოდა ისე  
ჟესაძლებელი.

თვისობრივად ახალი ეტაპი საქართველოს ისტორიკოგრაფიაში  
გამოჩენილი ისტორიკოსის მარი ბრისეს სახელთანაა დაკავშირე-  
ბული. ფრანგმა მეცნიერმა თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი საქარ-  
თველოს ისტორიის შესწავლას მოახმარა. ფრანგმა მეცნიერმა  
1847—1848 წწ. მოიარა საქართველოს დიდი ნაწილი და ქართულ  
ეკლესია-მონასტერთა და იქ დაცულ სიძეველეთა აღწერილობა და-  
გვიორვა. წიგნში, ორმელიც მარი ბრისემ ამ მოგზაურობის შესა-  
ლებზე გამოსცა ერთი თავი უკავია რაჭას, სადაც მოცემულია ამ  
მხარის კულტურის ძეგლთა პირველი მეცნიერული აღწერილობა.

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, ქართველი საზოგადო  
მოღვაწეები დიდ ყურადღებას აქცევდნენ ქართულ კულტურის ძეგ-  
ლებს და მათ შესახებ პრესაში სისტემატურად შვეუნდებოდა წერი-  
ლები. საქართველოს და კერძოდ რაჭის სიძეველენი რუს მკვლევარ-  
თა ყურადღებასაც იძყრობდნენ. მაგ. 1894 წელს საქართველოს სხვა  
კუთხეებთან ერთად ეს მხარე დაიარა პ. უვაროვამ, რომელმაც თა-  
ვისი მოგზაურობის ჩანაწერები გამოაქვეყნა კიდეც.

საქართველოს სიძეველეთა შესწავლა-გადარჩენა, ბუნებრივია,  
ძირითადად ქართველ მეცნიერთა საქმე იყო. ამ მხრივაც დიდი სამ-  
სახური გაუწია თავის ერს ექვთიმე თყაოშვილმა. 1919—1920 წწ.  
მან იმოგზაურა რაჭაშიც, შეისწავლა მისი უმნიშვნელოვანესი ეკლ-  
სია-მონასტერები და იქ დაცული სიძეველენი.

სამწუხაორიდ ამ მოგზაურობის ჩანაწერები მხოლოდ ათეული  
წლის შემდეგ გმოქვეყნდა.

საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდან საქართველოს  
სიძეველეთა შესწავლა კიდევ უფრო გაცხოველდა. ამ მიზნით 1923  
წელს რაჭაში იმოგზაურა გამოჩენილმა ქართველმა ენათმეცნიერმა  
არნოლდ ჩიქობავამ. მან აღრიცხა კულტურის ძეგლები, შეაგროვა  
და თბილისში ჩამოიტანა იქ დაცულ ხელნაწერთა დიდი უმრავლე-  
სობა.

ამავე მიზნით რაჭაში იმოგზაურა 1927 წელს სერგი მაკალათიაში,  
ხოლო 1928 წელს — სარგის კავაბაძემ.

გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი საუკუნის 20-ე  
ან წლებში საქართველოს და განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს  
ლოს სიძველეთა გადარჩენის საქმეში არავის გაუკეთებია იმდენი,  
რაც, გ. ბოჭორიძემ შეძლო. 1923 წლის მაისიდან 1926 წლის ზაფხუ-  
ლამდე ქართულ სიძველეთა ეს უპრეტენდიო კირისუფალი დაუღ-  
ლელად დადიოდა კახეთსა თუ ქართლში, იმერეთსა თუ ლეჩეუმში  
და ქართული კულტურის სიძველებს ავლენდა. [განსაკუთრებით  
დაინტერესდა გ. ბოჭორიძე რაჭით, რომელსაც იგი, 1926 წლის შემ-  
დეგ კიდევ რამდენჯერმე ეწვია. გ. ბოჭორიძემ რაჭაში, ისევე, რო-  
გორც იმერეთსა და ლეჩეუმში ბევრი ისეთი ეკლესია აღწერა, რო-  
მელიც მის წინამორბედებს საერთოდ არ უნახავთ, შემდეგ კი „აღი-  
გვნენ პირისავან მიწისა“] ამიტომ მათ შესახებ ცნობებს მხოლოდ  
ბოჭორიძის ჩანაწერებში ვნედებით. უფრო მეტიც, დასავლეთ სა-  
ქართველოში ბევრი ქართული ჭედურობის უბრწყინვალესი ნიმუში,  
რომლის წამოლება და მუზეუმისათვის ჩაბარება მან ვერ მოახერხა,  
დღეისათვის დაყირგულად უნდა ჩაითვალოს. ქუთაისის სახელმწი-  
ფო ეთნოგრაფიული მუზეუმის შუა საუკუნეების ქართული ოქრო-  
შეცდლობის კოლექცია ძირითადად მის მიერ შეგროვილი ნივთები-  
საგან არის შედგენილი.

[რაჭის სიძველეთა ღრმულიობა გ. ბოჭორიძემ ცალკე წიგნად  
მთამზადა — „რაჭის ისტორიული ძეგლები“, რომლის სამი ნაკვეთი  
დაიბეჭდა კიდევ „საქართველოს მუზეუმის მოამბის“ 5, 7, 8 ნომ-  
რებში. ურთი ნაწილი, რომელიც ონისა და მისი მახლობელი სოფ-  
ლების სიძველეებია ღრმული, დღემდე არ გამოქვეყნებულა, იგი  
მხოლოდ გ. ბოჭორიძის პირად ფონდს შემორჩია, რომელიც საქარ-  
თველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში ინახება.] აქვეა დაცული  
უნიკალური მასალა ლეჩეუმისა და იმერეთის სიძველეთა შესახებ.  
იმედია, გ. ბოჭორიძის მემკვიდრეობას პატრონი გამოუჩნდება და  
მთლიანად გამოიცემა ეს ნაშრომი და აგრეთვე ლეჩეუმისა და იმე-  
რეთში გაეცემული ჩანაწერები.

ქართველ მეცნიერთა თავდადებულმა შრომამ თავისი ნაყოფი  
გამოიღო. ქართულ ხელნაწერთა და ჭედური ხელოვნების ნიმუშთა  
უმეტესობა განაღვეურებას გადაურჩია. რაჭის არქიტექტურულ ძეგ-

ლებს ნაკლებად გაუმართლდათ. ჩვენი საუკუნის ოციან წლებამდე  
მოღწეული ძველი ეკლესიათა დიდი ნაწილი დღეს. უკვე აღარაა.  
ისინი, თვითმარქვია „ენთუზიასტებმა“ დაანგრიეს. ნაწილი მოუკ-  
ლელობით გაოხრდა, ნაწილი კი დანგრევის პირასაა მისული. საბეჭ-  
ნიეროდ უკანასკნელ ხანებში მდგომარეობა ნაწილობრივ - გამოს-  
წორდა.

ცეკრი რამ გაქვთდა რაჭის მატერიალური კულტურის ძეგლების  
შესწავლის საქმეში. საქართველოს ხელოვნების ისტორიკოსთა პატ-  
რიარქმა გ. ჩუბინაშვილმა ქართულ ოქრომჭედლობას ვრცელი მო-  
ნოგრაფია მიუძღვნა, სადაც ჯეროვნად ისახა თავის დროშე რაჭაში  
დაცული ჰედური ხელოვნების ნიმუშები] გ. ჩუბინაშვილისა და მი-  
სი მოწაფეების რ. შმერლინგის, ვ. გერიძის, ნ. ჩუბინაშვილის,  
ვ. ცინკაძის, ნ. ალადაშვილის, მ. დვალის, თ. ვირსალაძის და სხვა-  
თა ნაშრომებში რაჭის ცეკრი ეკლესია თუ. ციხეა სათანადო შეს-  
წავლილი. IX—XIII სს.-ის რაჭის ლაპიდარული წარწერები 1980 წ.  
ხელახლა გამოსცა ვ. სილოვავამ, ამ ხანის დასავლეთ საქართველოს  
სხვა ლაპიდარულ წარწერებთან ერთად.

დიდი მუშაობა გასწიეს ქართველმა ეთნოგრაფებმა. ს. მაკალა-  
თიამ მთის რაჭა შეისწავლა, ნ. რეხვიაშვილმა — რაჭის ხალხური  
მეტალურგია, ალ. რობაქიძემ — მონადირეობა, ლ. ფრუნძემ — მე-  
ცენახეობა, ნ. ბრეგაძემ — მემინდვრეობა...

თავისი სიტყვა თქვეს. აგრეთვე ქართველმა ისტორიკოსებმა და  
არქეოლოგებმაც.

„დიგორელებსა და სტირფივორელებთან იმერეთი ახლოა, ორ დღეში ასწრებენ საბალნიანი ცხენით იმერეთში გადასცეს, ალექსანდრე მეფის პირველ სოლიდი ლამდე მისვლას. მხოლოდ იმერეთი ამ გზით მოგზაურობა არ შეიძლება, მიმტომ რომ აქ შეპის მიერ დასმული სინთა ერისთავი ახლოს ცხოვრობს, რომელიც ალექსანდრე მეფესთან აშლილია. ხელმწიფი თუ ამ ერისთავს ალექსანდრე მეფესთან შეარიგებს, მაშნ გზა ახლოც იქნება და კარგიც. აქ საურმო გზა შეიძლება გაყიდეს“.

ალექსა ველევეის 1650—1652 წ. იმერეთში ელჩობის საანგარიშო იღწერილობა.

**¶** ღეისათვის რაჭაში მოგზაურობა არავთარ სიძნელეს არ წარმოადგენს და მანქანი თითქმის ყველა სოფლამდე აღწევს. ამბროლაურისა და ონის რაიონებს მთელ სიგრძეზე კრის ე. წ. „ოსეთის სამხედრო გზა“, რომელიც ქუთაისს მამისონის უღელტეხილისა და აღაგირის გავლით ორჯონიქიძეთან აკავშირებს. ამ გზის მშენებლობა 1864 წლის პირველ მაისს დაწყო და 1890 წლისათვის უკვე დასრულებული იყო. ქუთაისიდან გზა მდინარე რიონის მარჯვენა ნაპირს მიუყვება. სოფ. მექენაში მეტავრი ლეჩხუმშია, ხოლო ასკისწყლის გადალახვის შემდეგ — რაჭაში. გზა სამხრეთით ტოვებს ამბროლაურს, გაივლის წესს, სორს, ონს, უწერებს და კიდროთას ვიწროების ზემოთ ჭანჭახის ხეობაში შედის. ადრე „სავლოლოში“ ერთი სამანქანო ხიდი იყო. რამდენიმე წლის წინათ, აქვე, რამდენიმე ქმ დაშორებით მეორე ხიდიც ააგეს, უწერასთან უფრო ახლოს. გლოლაში მიმავალი მანქანები ამ ხიდს გადადიან. გლოლას შემდეგ ცნობილი კურორტი შოვი იწყება. აქედან მამისონის უღელტეხილამდე 20 კმ-დეა.

ქუთაისიდან რაჭამდე მეორე სამანქანო გზაც მიდის, ოკრიბაზე გავლით. გზა მდ. წყალწითელას ხეობას მიუყვება, ჩაუვლის გელა-3. თამაზ ბერაძე

ოის მონასტერს, გაიღლის კურსებს; ორპირს, საწირეს და ტუბაზულ-ში ადის. აქედან ნაქერალის ულელტეხილის გადალახვის, შემდეგ მგზავრი უკვე რაჭაშია. გზა გვირდზე ჩაუკლის შაორის წყალსაცავს, გაიღლის ნიკორწმინდას, ხორევს და მბროლაურში ჩადის, ხოლო მდ. რიონის ხიდის შემდეგ კი, თხეთის სამხედრო გზას უერთდება.

თბილისიდან რაჭაში გზა ცხინვალის გავლით მიემართება. ცხინვალის შემდეგ იგი მდ. ფაწნის ხეობას მიუყვება, გადალახავს ერწოს ულელტეხილს და ჯევრის ზემოწელში — კუდაროში ეშვება. შემდეგ რაჭის პირველ სოფელს ირს გაიღლის და ონში თხეთის სამხედრო გზას უერთდება. თბილისიდან რაჭაში მგზავრი ლიხის გადალახვითაც შეიძლება მოხვდეს. მისათვის იგი ქუთაისის გზას უნდა დაადგეს და ზესტაფონის გავლის შემდეგ სოფ. ძევრისაკენ უნდა გადაუხვიოს. აქედან გზა ტყიბულის ტაფობზე ადის, გვერდით ჩაუკლის ტყიბულის წყალსაცავს და ტყიბულის შესასვლელთან, ქუთაისიდან რაჭისაკენ მიმავალ გზას შეუერთდება.

რაჭის შიდა სამანქანო ვზები ამ ძირითად მაგისტრალებთანაა დაკავშირებული. სოფ. ჭრებალოსთან რიონზე ხიდია გადებული, რომელიც სოფლებს: ღვარდიას, ვოვოლეთს, ცახს მთავარი გზით ამბროლაურთან აკავშირებს. ამავე ხიდით მგზავრი პატარა ონის, ზედა შევრის, ნამანევის გავლით ნიკორწმინდაში მოხვდება. ამბროლაურის ქვემოთ რიონზე კიდევ ერთი ხიდია, რომელიც რაიონის ცენტრს რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფლებთან აკავშირებს. წესში მთავარ გზას, მდ. ლუხუნის ხეობაში, ეყოფა გზა, რომელიც ლიხეთისა და პატარის გავლით ურავში ადის. აქევ რიონზე ხიდია, რომლის გავლით მგზავრი სოფ. მთისკლთაში მოხვდება. წესის ზემოთ, რიონზე კიდევ ორი ხიდია, რომლითაც რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარე ზემო რაჭის სოფლები მთავარ გზას უკავშირდება. დასასრულ, მთავარი გზიდან, საგლოლოსთან, რიონის აკოლებით, მგზავრს შეუძლია ვიორისა და ღებისკენ გადაუხვიოს.

რაჭის მთავარი გზა ძევლადაც რიონს მიუყვებოდა. ონიდან მგზავრი მდინარის მარცხენა ნაპირს აკვებოდა და ლარულაზე ხიდს მიადგებოდა. ხიდიდან ერთხანს გზა ღარულას მარჯვენა ნაპირს გასდევდა და შემდეგ რიონისაკენ უხვევდა. აქ, საკაურას შესართავთან რიონზე ხიდი იყო გადებული. ამ ხიდით მგზავრს შეეძლო ლაგვანთაში გადასულიყო, საიდანაც იგი ან საკაურას ხეობაში წავიდოდა

ან კიდევ, ფარავნებისა და ნიგოუზების გაფლით უწერაში ავიდოდა.  
ამ სოფლისაგენ მოდიოდა მთავარი გზაც. იგი ერთხანს კვლავძნდებული  
ბურად რიონის მარცხენა ნაპირს მიუყვებოდა, და სოფელ ჭალაში გადასახად  
(დღეს ნაკითის ერთი უბანია) ხიდით მდინარის მეორე ნაპირზე გადადოდა. უწერას ზემოთ, ვიწროებში, კიდროთას ციხე იდგა. ეს  
ციხე ქვის კონცხზე მდგარ მაღალ კოშქს წარმოადგენდა, რომლის  
ქვეშაც გზა გადიოდა. ჩრდილოეთიდან კარი იყო შემტული და მე-  
ციხოვნეთ ნებირთვის გარეშე მთის ჩაჭიდან ჩაჭის სხვა სოფლებ-  
ში კერ წახედოდი. უწერიდან საგლოლომდე ხუთი ხიდი იყო გადე-  
ბული, რომელიც სამი ძელისაგან შედგებოდა. საგლოლოსთან, ზემო  
გზით მგზავრი რიონის მარჯვენა ნაპირს აღვებოდა, ხოლო ქვედა  
გზით — მარცხენა ნაპირს. აյ მდინარეზე კიდევ ერთი ხიდი იყო  
გადებული. იგი ვახუშტი ბაგრატიონს და გიულდენშტედტს ქვე  
მოხსენიებული. ამ ხიდიდან მხოლოდ ტრპონიმი „ნახიდური“ შე-  
მოჩანა. ასე უძახიან დიდ ლოდს, რიონის მარცხენა ნაპირზე, საგ-  
ლოლოში, იქ სადაც მინერალური წყალი მომოდის.

საგლოლოს ხიდთან გლოლასა და ლებისაკენ მიმავალი გზები  
იყრებოდა. ლებისაკენ მიმავალი მგზავრი რიონის მარჯვენა ნაპირს  
დაადგებოდა. აივლიდა ციცაბო აღმართის და შემდეგ რიონის მარ-  
ჯვენა ნაპირით ლებს მიადგებოდა. ცოტა ქვემოთ, ჭიორაში გადასას-  
ვლელად მგზავრს რიონზე კიდევ ერთი ხიდი უნდა გაევლო. გლო-  
ლისაკენ მიმავალი მგზავრი რიონის მარცხენა ნაპირს მიჰყვებოდა,  
გაივლიდა ველს და რამდენიმე კილომეტრის შემდეგ სოფელს მიად-  
გიბოდა. გლოლადან ჭიორასა და ლებში შეიძლებოდა გადასვლა.  
მგზავრი რიონისა და გლოლის წყალის წყალგამყოფ ქედს გადალა-  
ხავდა და ჭიორაში მივიდოდა, შემდეგ რიონის მარცხენა ნაპირზე  
ლებამდე გააგრძელებდა გზის.

ონიდან ქვემო ჩაჭაში მომავალი გზა სოფ. კომანდელთან ჯე-  
ჯორაზე გადიოდა. იქ სადაც ამჟამად ხიდია გადებული. აქედან კი  
ჭეკორას და რიონის მარცხენა ნაპირს მიუყვებოდა. მგზავრი გაივ-  
ლიდა ველთეთოს, ზუდალს და შარდომეტში ჩავიდოდა.

შარდომეტის შემდეგ რიონი სეინდორის ვიწროებში შედის. აქ  
მდინარეზე ხიდი იყო გადებული. დღემდე მოაღწია მისმა ბურჯებმა  
და ძველი გზის ერთმა მონაცემთა. აქ საყიარაულო კოშქის ნანგრე-  
ვებიცა შემორჩენილი. ამ ხიდის შემდეგ გზა სოფ. სორში ჩადიოდა

და მდ. რიონის მარჯვენა ნაპირს გაუყვებოდა. იგი სამხრეთიდან ჩაუვლიდა მთას, რომელზედაც მინდა ციხე დგას და მდ. ლუხუნს მიადგებოდა. „ჩეენ გარკვეულ მანძილზე ავყვეით მას, გადავუშოთ ხიდზე და ქვლავ გადავუხვიერ რიონის მარჯვენა ნაპირისაკენ. შეძლევ მივედით სოფ. წესში, რომელიც არა შორს ლუხუნის შესართავიდან“ — წერდა გიულდენშტედტი. გერმანელ მეცნიერთან მოხსენიებული ეს ხიდი, დღევანდელი სამარჯანო ხიდის ჩრდილოეთით, 250 მეტრის დაშორებით იყო გადებული. დღეს ამ ადგილს ორი ხიდის ბურჯია შემორჩენილი, ერთი ხიდის ბურჯი ფეოდალური ხანის უნდა იყოს, შეორესი კი ოსეთის სამხედრო გზის გაყვანისას აგებული ხიდის დროინდელია. როგორც ჩანს, ძველ შენებლებს საგანგებოდ შეურჩევიათ ეს ადგილი, რადგან ლუხუნი აქ ვიწროებში მოედინება. წესიდან გზა, ისე როგორც დღეს, ხიდიყარის ვიწროებისაკენ მიემართება. საგანგებოდ გხმარობ ამ სახელს და არა ხიდისარს, რადგან ეს ტოპონიმი ორი სიტყვის ხიდისა და კარის შეერთების შედეგადაა მიღებული. ძველად აქ ხიდიც იყო და კარებიც რომელიც აქ გამავალ გზას კონტროლს უწევდა. ხიდი რიონზე, მის ყველაზე ვიწრო ადგილს იყო გადებული. ჭვიტკირის ბურჯებზე ორი ძელი იყო გადებული, რომელზედაც ფიცრები იყო დაგებული. დღეს აქ სხვა ხიდია, რომლის ბურჯები უშუალოდ ძველ ბურჯებზეა ამოყვანილი. ხიდის მისადგომები საგანგებოდ იყო გამაგრებული. მდინარის ორივე მხარეს კლდეებთან მაღალი კოშკები იყო ამოყვანილი, რომელსაც მეციხოვნენი იცავდნენ. ეს კოშკები ნაწილობრივ დანგრეულია.

ხიდიყარიდან ერთი გზა რიონის მარჯვენა ნაპირს მიუყვებოდა. იგი გაივლიდა სოფლებს კვაცხუთს, ძირაგეულს და ასკის წყლამდე აღწევდა. ასეთ შემთხვევაში მგზავრს რიონის ჩრდილოეთით მდებარე სოფლების უმეტესობა გვერდზე ჩემისახლიდა და მათკენ საგანგებოდ უნდა გადაეხვია გზიდან.

ხიდიყარიდან ამ სოფლებისაკენ კიდევ ერთი გზა მიდიოდა, რომელსაც ვახუშტი საგანგებოდ აღნიშნავს — „კიდისკარიდამ წავალს მცირე მთა კლდიან-ქარაფიანი ჩრდილოთ, ვიდრე ქავკასამდე. ამაზედ არს კელესია თხემსა ზედა შენი, წმიდის გიორგისა, სასწაულიანი. უწოდებენ მთითურთ ველიეთსა. ამ კელესიაზედ გარდავალს გზა საღმელს თვინიერ მისსა არა სადა წესიდამ“. ველიეთს წმინდა გი-

ორგის ეკლესია უშუალოდ ხიდიკარის მარჯვენა კოშკების თავზე  
დგას, მაღალ მთაზე. იქედან მართლაც მიღის გზა სადმელისაკენ.  
ერთი ბილიკი ადის ველიეთის მთაზე, გაუვლის წმინდა გორგელი უკან  
ეკლესის, გადაჭრის ზემო კვაცხუთს და ივა „ნაციხურებთან“ დასახულის  
არის უსახო ნანგრევები, სადაც შესაწირი დღესაც მიაქვთ. იქედან  
რიცეულას ხეობა მოჩანს. ნაციხურიდან მგზავრს შეეძლო სოფ.  
სადმელში ჩასულიყო, ან კიდევ კლდისუბანში; სადაც სადმელის  
ციხე დგას. იქედან მგზავრი სოფლების: ლვიარას, ჩორჯოს, ხვანეკა-  
რას გავლით ზემო ტოლაში ანუ მეორე ტოლაში მოხედებოდა. ეს  
გზა მეტად მოხერხებული იყო, რადგანაც ლეჩხუმის ქედის კალ-  
თებს მიუყვებოდა და ველიეთის მთის შემდეგ აღმართი თითქმის  
არ ხედებოდა.

რიონს სათავიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულება აქვს.  
მდ. ჭანჭაბის მიერთების შემდეგ საგლოლოდან იგი სამხრეთ-დასავ-  
ლეთით უხევევს. ამიტომ ეს ხეობა ზემო რაჭაში ნახევარწრის ფორ-  
მისაა. ხეობის ასეთი ფორმის გამო მთის რაჭის სოფლებიდან რამ-  
დენიმე ბილიკი იწყება, რომელიც უშუალოდ ხეობაში მიმავალ გზას  
ბევრად ამოკლებს. ღებიდან და ჭიორიდან ერთი ბილიკი ძელ ნა-  
სოფლარ შოდაში აღის. იქედან შოდის მთის გადალახვით ვიწრო სა-  
ცალფეხო ბილიკი უწერაში მიღის და მთავარ გზას უერთდება. ამავე  
სოფლიდან მეორე ბილიკი ძეგლებში ჩადიოდა, საიდანაც საკაურას  
ხეობაში ეშვებოდა და ლაგვანთასთან გამოდიოდა. შოდადან ბილიკი  
საკაურას სათავისცენ მიღის, მაგრამ ამ ხეობისაკენ უფრო მოსახერ-  
ხებლად სხვა მიმართულება ითვლებოდა. მგზავრი ღებიდან რიონის  
ხეობას აუყვებოდა და ბრილის ახლოს „თაიშვილებიდან“ დასავლე-  
თით ფოცხეულაში გადაუხევედა. ივიღოდა საჯავრო ქედზე, შემდეგ  
კი საკაურას მთაზე, სადაც მდ. საკაურა იწყება. საკაურას მთიდან  
მგზავრი ან საკაურას ხეობაში დაეშვებოდა, ან კიდევ მთა-მთა გა-  
აგრძელებდა გზას და ლუხუნის სათავემდე მივიღოდა. შემდეგ კი ამ  
მდინარის ყველაზე მაღალ სოფელში ურავში დაეშვებოდა. დაკვირ-  
ვებულმა მკითხველმა ალბათ უკვე შეამჩნია, რომ ლუხუნი რაჭაში  
ორ სხვადასხვა მდინარეს ეწოდება, რომელთაგან ერთი — გორი-  
ბოლოსთან, მეორე კი — მინდას ციხესთან შეერთვის რიონს. ორი-  
ვე მდინარე ერთი და ივივე მთიდან — ლუხუნის წვეროდან გამო-  
დის და სწორედ ამით არის გამოწვეული მათი სახელთა იდენტურო-

ბა. ლებიდან ქვემო რაჭაში მიმავალი ყველაზე მოკლე გზა, ამ ორი, ერთმოსახელე მდინარეების ხეობაში გადიოდა. მგზავრი ჯერ ვორა-ბოლომდე მცირდოდა, შემდეგ ლუზუნის ხეობას აუყვებოდა და ლუ-ხუნის წევრობე დიოდა. გადავიდოდა, ამ მთის სამხრეთ კალაპზე, სადაც ამავე სახელის მეორე მდინარე იწყებოდა და სოფელ ურავში დაეშვებოდა. აქედან აბარის და ლახეთის გავლით მიწდას ციხესიან გამოდიოდა. ლიხეთიდან მას შეეძლო დასავლეთით გადიდებია, მთა-მთა ევლო და სამელსა და კლდისუბანში გადასულიყო. ხოლო ურავიდან მგზავრები ზოგჯერ მდ. სონტრულას სათავეში აღიოდ-ნენ, აქედან კი სორში ეშვებოდნენ.

ონიდან ქვემო რაჭის სოფლებში, რომლებიც მდ. რიონის მარ-ცხენა ნაპირზე მდებარეობდნენ, სორისა და წესის გაუვლელად შე-იძლებოდა გამგზავრება. ზუდალამდე მგზავრი მთავარ გზას მიჭყვე-ბოდა. შემდეგ კი ვიწრო ბილიკით ქვაშხიერთისკენ ან სევასკენ გადა-უხვევდა. აქედან ფარახეთში ავიდოდა, შემდეგ ჰიბრევით — ბარში. ამ სოფლიდან ფუტრიეთით შეეძლო სხვავეში წასულიყო, ხოლო მუხ-ლითა და ხიმშით ამბროლაურში.

ამბროლაურიდან ერთი გზა, საკეცის გავლით, მდ. რიონის მარცხენა ნაპირზე მდებარე სოფლებისაკენ მიემართებოდა. საკეცი-იდან მგზავრს შეეძლო ზნავით მოტყიერში ან ქედისუბანში წისუ-ლიყო. მასვე შეეძლო რიონს გამყოლოდა და ბრგეულსა და ბარე-ულში მისულიყო. ბუგეულისაკენ გზა ჯვარისას გავლით ქედისუბ-ნისკენაც ეშვებოდა. ბარეულის შემდეგ მგზავრი, გორისუბნით — პატარა ონით და ტბეთით ცახში ავიდოდა, აქედან კი გოგოლეთისა და ლვარდიაში გადაიდოდა. ლვარდიაში მგზავრი პატარა ონიდან ქვედა შვარისა და ლადიშის გავლითაც მოხვდებოდა. გოგოლეთიდან გზა თხმორში მიდიოდა.

ამბროლაურიდან ერთი გზა სხვავეში ადიოდა, მთავარი გზა კი მდ. კრიხულას გადალხავდა და ახალ სოფელში ავიდოდა, აქედან კი ხოტევში. ამავე სოფელში კვირიკეწმინდის გავლით მგზავრი სხვა-ვადანაც გადმოვიდოდა. ხოტევში მრავალი გზა იყრიდა თავს, მათ შორის მთავარი აგარას გაივლიდა და ნიკორწმინდაში ავიდოდა. ამის გარდა, ამ სოფლიდან ხოტეულის შენაკადების აყოლებით მგზავრი ველევში, ბეთლევში, შხივანაში, წკადისში, სხარტალში, ზემო და ქვემო თლულში და უყეშში ავიდოდა. ზემოთ ჩამოთვლილი სოფ-

ლებისკენ გზები კვირიკეწმინდიდანაც გადიოდა, ხოლო ხოტევიდან ურთი გზა სოფ. კაჩაეთში ადიოდა.

ნიკოლეწმინდან მგზავრს შეეძლო კაჩაეთში მისულიყო, ან კუ-  
დევ ხონჭიორის, ნამანევის გავლით ზედა შავრაში, შემდეგ მარტინი  
თბმორში ჩასულიყო. ზემოთ ჩამოთვლილი სოფლებიდან, რომლე-  
ბიც მდ. შარეულასა და რიონის წყალგამყოფი ქედის სახხრეთ მხა-  
რეზე მდებარეობენ, ბევრი ბილიკი თუ გზა ამ ქედის ჩრდილოეთ  
მხარეს — რიონის მარჯვენა ნაპირზე მდებარე სოფლებისკენ მიე-  
მართობოდა. კაჩაეთიდან მგზავრი ლემანაურის მთით მოტყიერები,  
შემდეგ კი ზნაკვაში ჩავიდოდა. ნამანევიდან გზა ქედისუბანში მიდი-  
ოდა, ზედა შავრადან პატარა ონში და ა. შ. ნიკოლეწმინდიდან ერთი  
გზა მდ. შარეულას სათავისკენ მიდის, სადაც ჰელიშის მონასტრის  
ნაგრევები დგას.

ონიდან წოლასა და ონევევის გავლით წედისში ადიოდნენ, ხოლო  
ჯეჯორის აკოლებით — ირში. პიპილეთში ჯეჯორაზე ხიდი იყო გადე-  
ბული, რომელიც ამ სოფლიდან თნისაკენ მიმავალ გზაზე იდგა. პიპი-  
ლეთიდანვე მგზავრი სორგითის, ლუნდას და ფსორის გავლით ჩორდ-  
ში ადიოდა.

ძველად რაჭის სოფლებს მრავალი გზა-ბილიკი აკავშირებდა,  
რომელთა ჩამოთვლაც უბრალოდ შეუძლებელია.

რაჭა მაღალი მთებითაა გარშემორტყმული, რაც ართულებს ამ  
კუთხის მეზობელ მხარეებთან ურთიერთობას. ეს მთები ბილიკები-  
თაა დასერილი, რომელიც მას საქართველოს სხვა კუთხეებთან და  
ჩრდილოეთ კავკასიონთან აკავშირებდა.

ქართლს რაჭა ძირითადად კუდაროს მეშვეობით უკავშირდებო-  
და. მთავარი გზა წედისიდან ჯეჯორის მარჯვენა ნაპირზე ეშვებოდა  
და სოფ. ჩასავალში მიდიოდა. ეს სახელი ამ გზისთან დაკავშირებით  
შეიქმნა. როგორც ქართლიდან, ისე რაჭიდან მომავალი მგზავრი ამ  
სოფელში მაღლიდან ეშვებოდა. ჩასავალში ჯეჯორაზე ხიდი იყო,  
რომლის გადავლის შემდეგ მგზავრი აღმართს შეუყვებოდა და სოფ.  
წონაში ადიოდა. შემდეგ იგი ერწოს ტბას გვერდზე გაუვლიდა, გა-  
დაივლიდა ამავე სახელწოდების ულელტეხილს და ფაწას ხეობაში  
ჩაეშვებოდა. წონიდან ყვირილის ხეობით გზა იმერეთშიც მიდიო-  
და, მაგრამ ამ გზას რაჭველები იშვიათად იყენებდნენ.

რაჭის ქედზე მრავალი გზა გადიოდა, რომელიც რაჭას იმერე-

თის კუთხეებთან — ზემო მხართან, არგვეთთან და ოკრიბასთან აკაც-  
შირებდა.

კველაზე აღმოსავლეთი გზა ირთან იწყებოდა. დაახლოებით  
5 კმ გავლის შემდეგ მგზავრი რაჭის ქედზე იდიოდა, შემდეგ სოფ.  
თელელეთში ეშვებოდა, საიდანაც პერევისას ჭალას გავლით საჩხე-  
რეში ჩადიოდა.

ზემო რაჭიდან ყვირილას ხეობაში ლესორას გავლითაც დადი-  
ოდნენ. ლესორა ირის პირდაპირაა, ჯეგორას მარცხენა ნაპირზე, მა-  
ღალ მთაზე. დღეს აქ ბარიტის საბაღოებია. მის ახლოს ძველი, გა-  
ლავნიანი ეკლესიის ნაგრძევებია შემორჩენილი. ლესორაში ჩოდრი-  
დან და ბაჯიხევიდან ამოდიოდნენ, შემდეგ პერევისაში გადადიოდ-  
ნენ. ბაჯიხევიდან და ჩოდრიდან ბილიკებით ზოგჯერ პეპელეთის  
მთაზე ადიოდნენ. აქ გზები იყრებოდა — შუშას ხეობით მგზავრი  
სოფ. ჭალაში დაეშვებოდა ან კიდევ სოფ. ორუელში მიედოდა, ჩი-  
ხურის ხეობით — ჩიხაში, სხვიტორში ან კიდევ დუნთაში. ამავე  
ხეობით რაჭაში მიმავალ მგზავრს მელეშურას ტყეში შეეძლო ჩრდი-  
ლო-დასავლეთით გადაეხებია და შემერმში ასულიყო, მაგრამ ამ სოფ-  
ლისაკენ უფრო მოხერხებული გზები იყო ზემო იმერეთიდან.

შემერის ტაფობს სამხრეთიდან, რაჭის ქედის ერთი, მასივი,  
ხიხას მთა ესაზღვრება, რომლის კალთებიდან მდ. ჭრუჭულა გამო-  
დის. მდინარის მთავარ ტოტს ჩრდილო-აღმოსავლეთით ცხრათავის  
ლელე უერთდება, რომელიც ცხრათავის მთიდან გამოდის. მეორე  
მხრიდან ჭრუჭულას ფასენარა და წყალფენილა უერთდება. ძეელად  
ჭრუჭულასა და მისი შენაკადების ხეობებზე იყო ყველაზე მოხერხე-  
ბული გზა ზემო იმერეთიდან რაჭაში გადასასვლელად, რაც ვახუშტი  
ბაგრატიონს საგანგებოდ აქვს აღნიშნული.

მთავარი გზა საჩხერეში იწყებოდა, შემდეგ მგზავრი ჭრუჭულას  
ხეობაში შედიოდა. გზა ჯერ მდინარის მარჯვენა ნაპირს მიუყვებო-  
და, სოფ. ქვემო ხევთან მის მარცხენა ნაპირზე გადადიოდა და საჩ-  
ხერიდან 11 კმ-ის გავლის შემდეგ ჭრუჭის მონასტრის ძირამდე იღ-  
წევდა. შემდეგ ერთხანს გზა კვლავ ჭრუჭულას მიუყვებოდა, სანამ  
ცხრათავის ლელესჭენ გადაუხვევდა. მალე მგზავრი ცხრათავის წყა-  
როსთან იყო, საიდანაც ეს ლელე გამოდის. აქედან ულელტეხილი  
სულ ახლოსა; მას აღვილობრივი მოსახლეობა ჯვარის ულელტე-  
ხილს ეძახის. ულელტეხილის 3 კმ-ზე შემერია, ხოლო ჭრუჭის მო-

ნასტრიდან ულელტეხილამდე 9 კმ-ია. შემერიდან ქვაგახეოქილას  
კანიონით ბოყვაში ჩაღიოდნენ, შემდეგ ქვაშეითის გავლით ველ-  
თეთრში, სიციაც რაჭის მთავარი გზით ოწში ადიოდნენ. საჩხერით უკა-  
დან ონამდე 40 კმ იყო.

ხიხას მთით ზემო იმერეთში სოფ. მრავალძალის (მთისკალთა),  
აგრეთვე ველტეხის მონასტრის გავლითაც დადიოდნენ.

ხოტეურას და მისი შენაკადების ხეობები იმერეთისაგან რაჭის  
ქედის, საწალეუეს მასრეითა გამოყოფილი, რომელზედაც დღეს მრა-  
ვალი მოხერხებული გზაა, მათ შორის სამანქანოც. ამ მთით ჭადი-  
ოდნენ ძველად იმერეთიდან ქვემო რაჭაში.

ზემო იმერეთიდან, ჩვეულებრივ, კაცხის მონასტრის გავლით  
დადიოდნენ. გზა მდ. კაცხურას მარტენა ნაპირს მიუყვებოდა; ვაივ-  
ლიდა სოფ. რვანს და შემდეგ რაჭის ქედს აუყვებოდა. მგზავრი ვა-  
დალახავდა საწალიკე მთას და რაჭის სოფლებისაკენ დაწვებოდა.  
ერთი გზა ზემო თლულამდე მიდიოდა, მეორე — ბეთლევში. კაცხის  
მონასტრიდან ულელტეხილამდე 11 კმ-ია, ზემო თლულამდე კი —  
23 კმ.

ქვემო იმერეთიდან რაჭაში საწალიკეს მთით გადადიოდნენ.  
ქუთაისიდან მგზავრი გაიღლიდა ნაგარევს, ჭალისთავს, ნაენახევს,  
სიმონეთს და ძევრში მიგიდოდა. აქედან კი ჩხარში შეეძლო გადა-  
სვლა. ამავე დროს თუ მთავარი გზიდან ჩრდილოეთისაკენ გადაუხ-  
ვედა, ჯერ მუხურში ავიდოდა, შემდევ ნიკორწმინდაში. ჩვეულებ-  
რივ მთავარ გზას ირჩევდნენ, გაივლინენ სკანდას, თავასას, ბილას,  
რცხილას და ხრეითში ადიოდნენ, შემდევ კი საწალიკეს მთის  
კალთებს აუყვებოდნენ. ულელტეხილიდან მგზავრი ან სამხრეთ-და-  
სავლეთით ნიკორწმინდისაკენ გადაუხვევდა ან კიდევ ზემო თლულს  
გაივლიდა და ხოტევში ჩავიდოდა.

უმოკლესი გზა ქუთაისიდან ქვემო რაჭისაკენ, ტყიბულის გავ-  
ლით, ნაქერალის ულელტეხილზე გადადიოდა. ამ ულელტეხილზე  
კლდეების გამო არა თუ ურმის, არამედ ცხენის გადაუვანიც ჭირდა.  
ამიტომ ამ გზას ნაკლებად იყენებდნენ. სკევე მოუხერხებელი იყო  
ქვემო რაჭიდან ოქრიძაში მიმავალი სხვა გზები, რომლებიც წმინდა  
გიორგის მთის ულელტეხილზე გადადიოდა.

დასავლეთით რაჭა ლეჩხუმის იმ ნაწილს ესაზღვრება, რომელიც  
ჩიონის ხეობაშია. მას „კლდე დაღმართის“ ლეჩხუმს უწოდებდნენ.

აქ თხმორიდან მოღილდა გზა თავშეგის ქედზე ნარლვევის მთით და დვარიდიდან ქვაყუნტის გადასასვლელით.

ასკის წყალი რაჭასა და ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზე მდებარე „მთის იქითა“ ლეჩხუმის შორის ურთიერთობისათვის არავითარ სიძნელეს არ ქმნის. ხშირად რაჭელები ლაბეჭინას, მონასტერთან გვილისთავის მთას გადალაზავდნენ და სოფ. თაბორში ეშვებოდნენ, საიდანაც ლეჩხუმის მრავალ სოფლისაკენ მიღიოდა გზები.

ქვემო რაჭიდან სვანეთში გადასულა არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენდა. ტოლადან, ხვანგვარადან, ჩორჯოლან, ლვიარადან, ურავილან და ლიხეთიდან ბევრი გზა-ბილიკი მიემართება, რომლებიც ლეჩხუმის ქედზე, კუთხაროს მთასთან; კუთხაროს უღელტეხილზე იყრის თავს. ერთი მათგანი გაიღლის საღმელს, კლდისუბანს და შემდეგ რამდენიმე ერთმანეთის პარალელურ ბილიკად იყოფა. ყველა ბილიკი კუთხაროს უღელტეხილზე იდის. ამ უღელტეხილის შემდეგ მგზავრი ცხენისწყალის მარცხენა შენაგადის გობიშურას სათვეში ჩადის, სადაც რამდენიმე პატარა ტბაა. აქედან კი ქვემო სვანეთის, ლაშხეთის თემში ეშვება. წესიდან, ურავის გავლით, ქვემო სვანეთის პირველ სოფლებამდე 45 კმ-ია, საღმელიდან კი — 40 კმ, თანაც საღმელიდან მგზავრს უფრო ნაელებალმართიანი აღვილები ხედება.

რიონისა და გლოლის წყალის სათვეებზე გადადის გზები, რომლებიც რაჭას ჩრდილოეთ კავკასიისთან აკავშირებდა.

გლოლის წყალის ხეობას ჩრდილო-აღმოსავლეთით დვალეთის ურთი ნაწილი ესაზღვრება, რომელსაც ვახუშტი „უღელტეს კევს“ უწოდებს. ამ ხეობას ოსები მამისონს ეძახიან, ხოლ მდინარეს კი ბუბნოდონს. კლაპროთის ცნობით ქართველები ამ ხეობას მაფსუანს უწოდებდნენ.

„უღელტეს კევსისაკენ“ მთავარი გზა მამისონის უღელტეხილით მიღის. უღელტეხილისაკენ ჩვეულებრევ გლოლადან დაღიოდნენ. მამისონის უღელტეხილზე ამოდის ბილიკები გომრულასა და ლარის ხეობებიდანაც. თუმცა ამ ხეობათა სოფლებიდან დვალეთში უმეტესწილად ლარის ხეობით დაღიოდნენ. ამ შემთხვევაში, მგზავრს კვაჟის, უღელტეს ანუ აკავშინდი ბორზონდის, უედოს და ზეკარის უღელტეხილებიდან ერთ-ერთი უნდა ამოერჩია.

მთის რაჭის სოფლებიდან, ოსეთის მეორე მხარეში, დიგორშიც

დადიოდნენ. ულელტეხილი ორია. ერთი მათგანი გურძივცეკის სახელითაა ცნობილი, რაც ქართველთა მთად უნდა ითარგმნოს: ოსურად „გურძიაგ“ ქართველს ნიშნავს, „ფცეგ“ მთას. ქართველები ულელტეხილს ნოწმოს გადასასვლელს ეძახდნენ.

ულელტეხილისაკენ მთავარი გზა გლოლიდან იწყებოდა. მგზავრი ჯერ ბოყოს წყალის ხეობას აუყვებოდა, შემდეგ კი ნოწარულას ხეობაში გადადიოდა და ნოწარის ველზე დაეშვებოდა. ამ ველზე ამოდის გზა კიორჩადან. შემდეგ მგზავრი მდ. ნოწარულას ხეობას აუყვებოდა და სათავესთან მყინვარს მიადგებოდა. აქედან უკვე ულელტეხილი იწყება. ულელტეხილის ჩრდილოეთით დიდი მყინვარია, რომლის ძირში გამოქვებულია. აქ მგზავრები ჩვეულებრივ თავს აფარებდნენ. ამის შემდეგ გადაიყლიდნენ ქარაგომის მყინვარს და მდ. ურუხის მარცხენა შენაკადის, კარაგომ დონის სათავისაკენ ეშვებოდნენ.

ლებიდან დიგორში მეორე გზაც მიღის. მგზავრი აუყვებოდა ჩევშურას ხეობას და მდინარის სათავეში კირტიშოს მყინვარს მიადგებოდა. დაახლოებით 4 კმ გზა უშუალოდ მყინვარზე გადის, შემდეგ ულელტეხილი იწყება. გადასასვლელი ორ მალალ კლდეს შორისაა მოქცეული. შემდეგ გზა ურუხის ერთი შენაკადის სათავეში ჩაეშვებოდა. მგზავრი ხეობას დაუყვებოდა და დიგორის სოფელ სტირდივორში მივიდოდა. ეს ულელტეხილი რუკებზე „გრძივცეკის“ სახელითაა აღნიშნული. ესაა დამანიჩვებული „ღობიერცებული“, რაც ოსურად ლების მთას ნიშნავს. ქართველები ამ ულელტეხილს კირტიშოს ან კიდევ ჭანჭახის ულელტეხილს ეძახიან. ჭანჭახი პატარა ვაკეა კირტიშოს მყინვარის ძირში.

რაჭის ჩრდილო-დასავლეთით, მდ. ჩერექისა და ჩეგემის, ხეობებში ბალყარლები ცხოვრობენ. ისინი თავის „თაულუს“, ან კიდევ „მალყარლის“ უწოდებენ. ვახუშტი მთ ქვეყანას ბასიანის სახელით იხსნების და საგანგმოდ აღნიშნავს — „ამის წყლის სათავიდამ გარდავალს გზა რაჭის და ლუხუნზე“.

ზემო რაჭიდან ბალყარლებში ლებით დადიოდნენ. გზა რიონის ხეობას მიღებება. გორიბოლოსთან ამ გზას მეორე გზა-ბილიკი უერთდება, რომელიც ქვემთ რაჭიდან, ლუხუნის ხეობიდან მოდის. შემდეგ მგზავრი რიონის სათავემდე აღიოდა და კავკასიონის მთავარი ქედის კალთებს აუყვებოდა. ულელტეხილი ფასის მწვერვალის აღ-

მოსავლეთითაა და ძალზე ვიწროა. რამდენიმე მეტრში თავდაღმართო  
იწყება. გზა ჩერექის სათავეში ჩადის და შემდეგ ბალყარლების  
სოფლებიც გამოჩნდება. ეს უღელტეხილი სპეციალურ ლიტერატურული  
რაში „გეზევცეკის“ სახელითაა ცნობილი. ქართველები მას საჭირო მიერ  
გადასასვლელს“ უწოდებენ.

ფასის გადასასვლელისაკენ გზა ჩრდილოეთიდან დიდ მანძილზე  
ნაპრალოვან ყინულიან ველზე გადის. ამიტომ ამ გზით პირტყვას  
გადაყვანა შეუძლებელია. ამავე დროს ტოლოჩანოვის დღიურში აღ-  
ნიშნულია, რომ იმერეთის მეფემ ბალყარეთით რუსეთის ხელმწიფეს  
საუკეთესო ქართული ბედაურები გაუგზავნა. საფიქრებელია, რომ  
ეს ცხენები ჩრდილოეთ კავკასიაში მეორე, მაჩხაფარის ანუ შელას  
გადასასვლელით გადაიყვანეს, რომელიც „შეგრიცეკის“ სახელითა-  
ცა ცნობილი. ამ უღელტეხილისაკენ რიონის ხეობიდან ვაციწვერის  
გადასასვლელით დადიოდნენ, რომელიც რიონის სათავესთანაა, ლე-  
ჩიუმის ქედზე.

მაჩხაფარის უღელტეხილი ცხენისწყალის სათავესთან მდება-  
რებას. ძევლად მასზე საპალნიანი ცხენებით ტვირთი გადაძეონდათ,  
ცხვარი და მსხვილფეხა საქონელი გადაძეოდათ. ჯერ კიდევ ჩვენი  
საუკუნის 20-იან წლებში ბალყარლები ლებელებისაგან იჯარით  
იღებდნენ საძოვრებს.

ცხენისწყალს სამი სათავე აქვს. ერთი მათვანი ყორულდის მთი-  
დან გამოდის და ყორულდის წყალის სახელით სამხრეთ-აღმოსავლე-  
თით მოედინება. დაახლოებით 15 კმ-ის შემდეგ მას ჩრდილოეთიდან  
ცხენისწყალის მეორე სათავე ზესუბრა უერთდება, ხოლო კიდევ  
5 კმ-ის ქვემოთ მესამე — ხიდური. დღეს მესამე მდინარის ხეობას  
ლაფური ეწოდება, რადგან სვანები მწყემსებმა დაახლოებით 60 წლის  
წინად საქონლის ფერმები აშენეს. ლაფური სვანურად საძროხეს  
ნიშნავს.

ძევლად ცხენისწყალის ამ სათავეებზე გადიოდა ვზა, რომელიც  
რაჭას ზემო სვანეთთან აკავშირებდა, უპირველეს ყოვლისა, ყვე-  
ლაზე მიღალმთიან სოფელთან უშვულთან.

უშვულიდან რაჭისაკენ მიმივალი მგზავრი ენგურის მარცხენა  
შენაკადს ქვიშარს აუყვებოდა და ნაკრ-ზაგარის უღელტეხილზე  
ადიოდა, რომელიც ენგურისა და ცხენისწყალის ხეობათა წყალგამ-  
ყოფ ქედზეა. უღელტეხილზე საოცრად ლამაზი სანაშაობა იშლება.

ერთის მხრიდან მოჩანს მაღალი მუდმივთოვლიანი მწვერვალები ენ-  
გურის სათავეში, მეორე მხრიდან — ყორულდის მთა, საიდანაც  
ყორულდი მოედინება. ულელტეხილიდან მგზავრი ყორულდის ხეორ-  
ბაში დაეშვებოდა და სოფელ ცანამდე მივიღოდა. შემდეგ გზა უნ-  
ვედა ჩრდილოეთისაკენ, აუყვებოდა ყორულდისა და ზესხურას  
წყალგამყოფ ქედს და ზესხურას სათავეში დიღოდა, სადაც დღეს  
სოფელი ზესხურა მდებარეობს. აქედან მგზავრი ზესხურასა და ხი-  
დურის წყალგამყოფ ქედს, ნერეს ულელტეხილით გადაივლიდა და  
ხიდურის ხეობაში დაეშვებოდა, დღევანდელ ლაფურში.

ლაფურიდან რაჭაში სამი გზა-ბილიკი მიდის. ერთი გზა ხიდუ-  
რის აუყვება სათავემდე და მაჩხაფარის ულელტეხილიდან რაჭაში  
მიმავალ ბილიკს შეუერთდება. მეორე გზა ხიდურის შენაკადს დე-  
დოფლის ღელეს აუყვება, სახულე მთით გადაივლის ლეჩხუმის ქედს  
და შემდეგ გორიბოლოსაკენ ეშვება. აქე მოემართება მესამე გზა-  
ბილიკიც, რომელიც დედოფლის ლელედინ აღმოსავლეთით გადაუხ-  
ვევს და რომისა და ცხენისწყალის გამყოფ ქედს სასვანო მთაზე  
გადაივლის. საერთოდ გზა უშგულიდან ლებამდე ძალზე, ლამაზია.  
განსაკუთრებით მომხიბლავია ლეჩხუმის ქედზე გადასვლა, საიდა-  
ნაც ერთდროულად მოჩანს ფასის მთა და ედენის მყინვარი — რიო-  
ნის სათავეები და მაჩხაფარის ანუ წურუნგალის მყინვარი, საიდანაც  
ხიდური იწყება. შორს ჩრდილო-დასავლეთით მოჩანს ყორულდისა  
და ზესხოს მყინვართა სილუეტები.

ზემოთ აღწერილი გზით, გვიანშუასაუკუნეებში ძირითადად ლე-  
ბელები და უშგულელები დაიღიოდნენ. უფრო აღრე კი ეს გზა ერთ-  
ერთი მეტად მნიშვნელოვანი მაგისტრალის მთანაკვეთს წირმოადგენ-  
და, რომელიც დასავლეთ საქართველოს მთიანეთს აღმოსავლეთ სა-  
ქართველოს მთასთან და მისი მომიჯნავე ჩრდილო კავკასიის ხალ-  
ხებთან აკავშირებდა. გზა, სადღაც, დღევანდელი სოხუმის მიდამო-  
ებში იწყებოდა. აუყვებოდა კოდორის ხეობას და ჭერილდის ულელ-  
ტეხილით ენგურის ხეობაში გადადიოდა. უშგულიდან ლებამდე  
მგზავრი ზემოთ აღწერილი გზით სარგებლობდა. ლებამდან მგზავრს  
შეეძლო ონითა და ჭეჭორის ხეობით ჭართლში წასულიყო ან ჭიორა-  
გლოლა-მამისონის ულელტეხილით დვალეთში გადასულიყო. დვალე-  
თიდან როკის ულელტეხილით ლიახვის ხეობაში და შიდა ქართლში  
დადიოდნენ, თრუსოს ულელტეხილით — თრუსოში, თერგის სათა-

ვეში. აქედან გზა არაგვის ხეობაში მიღის, საიდანაც მშზავრს შეეძლო ქართლის ვაკისაკენ წასულიყო, ან კიდევ კახეთში გადასულიყო უკავშირი აღმოსავლეთ საქართველოდან დვალეთით აფხაზეთისაც მომზადებულ გზას „გზა გარესა“ და „გზა დვალეთისასა“ ეწოდებოდა.

თუ დვალეთით ქართლსა და კახეთში შეიძლებოდა გადასვლა, ბალყარეთი რაჭის ყარაჩახელებთან და უფრო დასავლეთით ხერქეზებთან აკაგშირებდა. რაჭიდან დიგორის გავლით ყაბარდოში დადიოდნენ, რომელიც გვიან შუასაუკუნეებში მცირე და დაც ყაბარდოდ იყოფოდა. ყაბარდოდან შორეულ რუსეთშიც დადიოდნენ.

XVII—XVIII საუკუნეებში რუსებს ყვებანის ქვემო წელში ეკავთ სიმაგრე თერგი. აქედან დას. საქართველოში წვეულებრივ მცირე ყაბარდოს გავლით დადიოდნენ. მგზავრები დარიალის ხეობით ხევში მოვიდოდნენ, შემდეგ ორაგვის საერისთავოში, საიდანაც დასავლეთ საქართველოში გადაუხვევდნენ. თუ ამ გზით მიმოსვლა შეუძლებელი იყო, მაშინ თერგის სიმაგრიდან დიდ ყაბარდოში მიდიოდნენ, სადაც მათ წინაშე არჩევანი დგებოდა. მათ შეეძლოთ ურუხის ხეობით და ნოწირას ან კირტიშოს ულელტეხილით რაჭაში გადასულიყვნენ, ან კიდევ ურუხის ხეობიდან — წერქების ხეობაში, ხოლო დასავლეთ საქართველოში — ფასის მთის ულელტეხილით. პირველი გზა უფრო მოხერხებულად ითვლებოდა.

გვიან შემოდგომიდან, დაახლოებით მაისის თვემდე რაჭიდან მიმავალი გზების უმეტესობა გაუვალი ხდებოდა. წელიწადის ნების-მიერ დროს მხოლოდ იმერეთში შეიძლებოდა გამგზავრება. ზოგჯერ, დიდი თოვლიანობის დროს ეს გზებიც იყეტებოდა და ორი-სამი თვეით რაჭა მთლიანად წყდებოდა გარე სამყაროს.



— უმთავრესი და კაცობრიობის წარმატებისათვის  
აუცილებლად საპირო მარნის სახელები ან ქართველი  
ტომებისაგან არის შეთვისებული, ან არა და მათი სა-  
ტომო სახელშოდებისაგან არის წარმომდგარი. მით  
ცხალად მტკიცდება, რომ ქართველ ტომებს მაღნეუ-  
ლის შემუშავებაში კაცობრიობის წინაშე სპარსო  
დფაწა მიუძღვით.

— ფ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგ-  
ნი I.

**1958** წელს ოქეოლოგთა დაწვერვითი ექსპედიცია ჯეჯორასა და  
მისი შენაგადების ხეობებში მუშაობდა. ოქეოლოგთა ყურადღება  
ქვედრულას ხეობაში მიიპყრო კარსტულმა მღვიმემ, რომელიც მათ  
საგულლაგულოდ დათვალიერეს. მღვიმე სოფ. ქვედის ჩრდილო-  
აღმოსავლეთით მდებარეობს, ბოჭონას მთის კირქვიან მისივში,  
ზღვის დონიდან 1550 მეტრის სიმაღლეზე მღვიმის ზედამიზე  
V ოქეოლოგებმა აღრიცხულა და ბრინჯაოს ხანის ნივთებთან  
ერთად ქვის ხანის ადამიანთა ნივთებიც შენიშნეს. მომდევნო წლებ-  
ში მღვიმის ერთი მონაცვეთი გაითხარი. დადგინდა, რომ ადამიანს  
აქ ჯერ კიდევ ათი ათასი წლის წინათ უცხოვრია, ე. წ. მეზოლითის  
დროს, რომელიც გარდამავალი ეპოქაა ძელი და ახალი ქვის ხანას  
შორის. ესაა ადამიანის ცხოვრების უძველესი ნაშთი, რომელსაც  
მიაგნეს ოქეოლოგებმა რაჭაში.

ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში, კავკასიის მთიანეთში ისტორი-  
კოსთა ყურადღება მიიპყრო ცხოველთა გამოსახულებებით შემცულ-  
მა ბრინჯაოს ბალთებმა. დიდხანს ამ ბალთების წარმოშობის შესახებ  
ერთიანი აზრი არ არსებობდა. მათ დამზადებას კავკასიაში მცხოვ-  
რებ სულ სხვადასხვა ხალხებს უკავშირებდნენ. ცნობილმა ქარ-  
თველმა მეცნიერმა ექვთიმე თაყაიშვილმა პირველმა გამოთქვა ვა-  
რაული, რომ ეს ბალთები რიონისა და ყვირილის ხეობებში უნდა  
ყოფილიყო დამზადებული, ამ დროს, ოქეოლოგებს ჯერ კიდევ არ

პქონდათ შესწავლილი ბრინჯაოს ხანის საქართველოს უბრძყინვა-  
ლესი მეტალურგია, მიღომ ქართველი მეცნიერის ეს ვარაუდი არა-  
ვინ გაიზიარა.

1928 წელს ღების მახლობლად, ხენის დროს გლეხებზე შემოხუ-  
კევით იპოვნეს ბრინჯაოს ბალთა. ბალთა ღების სკოლის ერთ მოს-  
წავლეს გერმანე გობეჭიშვილს გადასცეს, რომელიც თავისი ქვეყ-  
ნის ისტორიით იყო დაინტერესებული. მან ეს ნივთი საქართველოს  
მუზეუმს გაუგზავნა, ხოლო რვა წლის შემდეგ, 1936 წელს უკავ-  
უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, იგი სათავეში უდგება არქე-  
ოლოგთა იმ ჯგუფს, რომელსაც ბალთის აღმოჩენის აღვილზე არქე-  
ოლოგიური დაზვერების მოწყობა დაევალა. შედეგებმა ყოველ-  
გვარ მოლოდინს გადაქვაბდა. გადაწყვდა ღების მიღამოების დაწვრი-  
ლებითი არქეოლოგიური შესწავლა. 1938 წელს მოეწყო პირველი  
გათხრები, რომელსაც გერმანე გობეჭიშვილი ხელმძღვანელობდა.  
ამის შემდეგ იგი სათავეში ედგა ყველა იმ არქეოლოგიურ ექსპედი-  
ციის, რომელიც კი რაჭაში მის სიცოცხლეში მოწყობილა. ამჟამად  
ამ საქმეს არქეოლოგთა ახალგაზრდა თაობა უდგას სათავეში.

სპილენძი პირველი ლითონია, რომელიც აღამიანმა თავისი  
სამეურნეო მიზნებისათვის გამოიყენა. ეს ლითონი ადგილად დე-  
ბულობს სასურველ ფორმას და ზოდების სახითაც გვხვდება. მაგრამ  
მარტო სპილენძისაგან დამზადებულ ნივთებს სიმტკიცე იყლიათ,  
რომლის თვითდან ასაცილებლად აღამიანმა ისწავლა სპილენძისათვის  
გარკვეული ნივთიერებების დანატება და ბრინჯაოს მიღება. ასე და-  
იწყო კაცობრიობის ისტორიაში ბრინჯაოს ეპოქა, რომელიც ძვ. წ.  
აღ. მესამე ათასწლეულიდან პირველ ათასწლეულმდე გრძელდა  
ბოლა.

ბრინჯაოს მეტალურგიის საფუძველს სპილენძი წარმოადგენს.  
ღების მახლობლად, ჩვეშურას ზემო წელში ამ ლითონის საბადოე-  
ბია, რომელსაც, როგორც გმოირკვა, ჩვენი წინაპრები ძვ. წ. აღ.  
მესამე ათასწლეულის შუა ხანიდან ამჟავებდნენ.

ძველი ქართველი „მაღაროელები“ უპირველეს ყოვლისა, სპი-  
ლენძის შემცველ ქანს მოძებნიდნენ და შემდეგ იწყებდნენ მისი მი-  
წიდან ამოღებას. ღლემდე არქეოლოგებმა ჩვეშურას ხეობაში რამ-  
დენიმე ასეულ სპილენძის გამონამუშევარს მიაკვლიეს, რომელთა-  
ვან ზოგიერთის სიგრძე 2 მ არ აღემატება, ზოგი კი 100 მ გრძელ-

დება. ეს „მაღარო“ ხან მარტივ პორიზონტალურ ხერელს წარმოადგენდა, ხან ორი სართულისაგან შედგებოდა, რომლებიც შვეოლორუა ჰქებით უკავშირდებოდნენ ერთმანეთს. შიგნით, სადაც სპილენძის შემცველი ქანი ძალზე სქელი იყო, არქეოლოგებმა დიდალ, ზოგჯერ 100 მმ მოცულობის „კამერებს“ მიაკვლიერ, რომლებიც მაღანის მრავალი წლის გამოტანის შედეგადაა წარმოშობილი. სპილენძის გამოსალებად ჩვენი წინაპარი ლითონის სატეხებს იყენებდა, ან კიდევ ძალზე შძმე ქვის უროებს, ზოგჯერ ცეცხლსაც იშეველიებდა. საგანგებოდ დამზადებული ნახშირით მაღანს ჯერ გაახურებდნენ, შემდეგ კი წყალს დასხამდნენ. ამ გზით დანაპრალებულ სპილენძის ქანს უროებს ურტყამდნენ და შლიდნენ. მაღანის ამოსალებად გაყვანილი ხერელი რომ არ ჩაქცეულიყო, ჩვენი წინაპრები ხის ბიჯგებს და ძელებს იყენებდნენ, ხოლო სიბნელეს კვარით ანათებდნენ.

მაღაროში აღოლებული მაღანი სპეციალური გობეგბითა და ტყავის პარკებით გარეთ გამოსქმნდათ. აქ, უპირველეს ყოვლისა, მაღანს ფუჭ ქანებს აშორებდნენ, ანუ მექანიკურად ამდიდრებდნენ. ამის შემდეგ სპილენძის მაღანს უკვე საგანგებო ლუმელებში ამჟამებდნენ და ზოდების სახით სუფთა სპილენძს იღებდნენ. როგორც ირკვევა, მიღებული ნაწილი გაპქონდათ ისეთ შორეულ ქვეყანაში, როგორიც შუამდინარეთი ანუ მესოპოტამია იყო. რითონის სათავეში მოიპოვებული სპილენძის უდიდესი ნაწილი ადგილზე გამოიყენებოდა.

ლების მიღამოებში ჩვეურისა და ზოფხითურის ხეობებში, ან-თიმონიც მოიპოვება, რომელსაც ძელი ბრინჯაოს მისალებად სპილენძს უმატებდნენ. არქეოლოგებმა ამ ხეობებში ანთიმონის მრავალი ძელი მაღარო იპოვნეს. ზოგი მათგანი უბრალო მღვიმეს წარმოადგენს, ზოგს კი საგმოად რთული გვეგმა აქვა.

სპილენძისა და ანთიმონის შერევით სრულფასოვანი ბრინჯაო ერ მიღება. აუცილებელია დარიშხანის ან კალას დამატება. კალას საბადოები კავკასიაში ჯერ კიდევ მცვლეული ირაა, ხოლო დარიშხანი დიდი რაოდენობით მოიპოვება რაჭაში, სოფ. ურავთან ლუხუნის სათავეში. ამიტომ ყველაზე მოხერხებულ ადგილის, ბრილში, შუა ბრინჯაოს ხანაში გაჩნდა დასახლება, რომლის მოსახლეობის ძირითად საქმიანობას ბრინჯაოს მეტალურგია წარმოადგენდა.

ბრინჯაოს წარმოების დიდი კერა ლუხუნის ხეობაშიც არის შეკველეული.

ასე რომ, ჩვენმა წინაპრებმა რაჭის ტერიტორიაზე ბრინჯაოს მეტალურგიის „კომპლექსი“ შექმნეს. ეს „კომპლექსი“ უფრო ათვის ხუთას წელშე მეტ აანს მოქმედდებდა და თავის ნაწარმით ბევრს ახლო თუ შორეულ ქვეყანას ამარავებდა.

დღეს ბრილის დასახლების უმნიშვნელო ნაწილია გათხრილი. როგორც გაირკვა, აქ ქვის შენობებიც იდგა და ხისაც. მართალია, ეს სამოსახლოები არქეოლოგებმა თითქმის ვერ შეისწავლეს, მაგრამ, დღეისათვის ბევრი რამ არის ცნობილი ბრილელთა ყოფა-ცხოვრების შესახებ. ეს იმიტომ რომ, გათხარა სამაროვანი, სადაც ძველი ქართველი მეტალურგები და მათი ოჯახის წევრები იმარხებოდნენ.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში, ქრისტიანობამდე გავრცელებული იყო რწმენა, რომლის თანახმად, ადამიანი სიკვდილის შემდეგ „იმ ქვეყნად იგრძელებდა ცხოვრებას“. მიცალებულს შეძლებისდაგვარად თან ატანდნენ ყველა იმ ნივთს, რომელიც მას „იმ ქვეყნად გამოადგებოდა“. ამის გამო, ქრისტიანობის წინა ხანის სამაროვნები — დიდალ მასალას გვაწვდის იმდრო-ინდელი ცხოვრების შესახებ.

ბრილის სამაროვანშე მიცალებულს ქ. წ. ალ. მესამე ათა-წლეულის შუა ხანიდან ასაფლავებდნენ. პირველი მიცალებული აქ მაშინ დაუმარხიათ, როცა ბრინჯაოს წარმოება დაიწყო. თავდაპირელად ბრინჯაოს წარმოებას დიდი მასშტაბი არ ჰქონდა. ბრილის მოსახლეობა ღარიბი იყო და მიცალებულსაც ცოტა ნივთებს ატანდნენ. ამ ხანის სამარხებში არქეოლოგებმა იპოვნეს კაუის ხელშუბისა და სატევრის პირები, პასტისა და სარდიონის მძიებები.

მომდევნო ხანებში ბრინჯაოს მეტალურგიის ეს ცენტრი თან-დათან გაფართოვდა. ბრილში დამზადებული ბრინჯაოს ნივთები დი-დი რაოდენობით გაძენდათ სხვადასხვა მხარეში. ბრილის მოსახ-ლეობა ეკონომიურად მოლონიერდა, რაც მათ სამაროვანსაც დაეტყო. მეორე ათასწლეულის შუა წლებში, სამარხებში მრავალი ბრინ-ჯაოს ნივთი ჩნდება, რაც ბრილელთა დიდ ქონებრივ შეძლებაზე მიგვითითებს. არქეოლოგებმა იპოვნეს სხვადასხვა სამეურნეო და სამხედრო დანიშნულების იარაღები, ბრინჯაოს ვერძის თავები, ფან-ტასტიური ცხოველების გამოსახულებები, სამაჭურები...

დარიშხანი მომწამლავი ნივთიერებაა. ამიტომ როცა ბრილის ბრინჯაოზე მეორე ათასწლეულის შეა წლებიდან დიდი მოთხოვნია რუსები ლება გაჩნდა, და მოსახლეობის შემოსავალი გაიზარდა, ბრილის შემოზიდვა ტალურებმა ხელი აიღეს მის გამოყენებაზე და კალის შემოზიდვა დაიწყეს. მართალია, კალა ძალზე ძვირი ჯდებოდა, მაგრამ ადამიანის ჯანმრთელობას ზიანს არ აყენებდა.

გვიანბრინჯაოს ხანაში ბრინჯაოს წარმოება კიდევ უფრო გაფართოვდა და მისი დამზადების ტექნოლოგია უფრო მაღალ სატეხნიკზე ავიდა. სამარხებში უკვე გვხვდება კოლხური ცულები და სატექნიკი, ბრინჯაოს თოხები და ნამგლები, სულ უფრო და უფრო მრავალფეროვანი ხდება აქ დამზადებული ბრინჯაოს სამკაულები.

მთის რაჭაში სურსათ-სანოვაგის დიდი ნაწილი შემოჰქონდათ, ძირითადად რაჭის სხვა სოფლებიდან. რაჭა ბრინჯაოს ხანაში მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დასახლებული. მართლაც, მრავალ ადგილის — ტოლაში, საკეცაში, თხმორში, სხვავაში და სხვ. არქეოლოგებმა მიაკვლიერ ბრინჯაოს განძებს, რომლებიც იმ დროიდანაა შემონახული. ირკვევა, რომ იმ დროს იქ, სადაც სპილენძის მაღანი მოიპოვებოდა, ბრინჯაოს წარმოების დამოუკიდებელი კერები არსებობდა.

დაახლოებით ქ. წ. აღ. XII ს-ში იმწავლეს ჩვენმა წინაპრებმა რეინის მოლება და ქ. წ. აღ. VII ს-ში. რეინის მეტალურგიამ წამყვანი ადგილი დაიკავა საქართველოში. ამ ხანიდან საბრძოლო თუ სამეურნეო იარაღები თოთქმის მხოლოდ ამ ლითონისაგან მზადდებოდა. მიუხედავად ამისა, ბრილში ბრინჯაოს წარმოება არ შეწყვეტილა. ჩვენმა წინაპრებმა კარგად აუღო ალონ ახლადშექმნილ ვითარებას და ბრინჯაოსაგან ძირითადად სამკაულებისა და რელიგიური რიტუალებისათვის საჭირო ნივთების დამზადებას მიჰყო ხელი.

განსაკუთრებით მდიდრულ სამარხებს არქეოლოგები იმ კულტურულ ფენებში შეხვდნენ, რომლებშიც ქ. წ. აღ. VI ს-ისა და მომდევნო საუკუნეების მიცვალებულნი არიან დაკრძალულნი. ჩანს, ბრინჯაოს მეტალურგიას დიდი მასშტაბი მიუღია. ბრილელთა ერთ ნაწილს დიდი ქონება დაუგროვებია და თავისი მიცვალებულთათვის ძვირფასი ნივთები უხვად ჩატანებია. მდიდრულ სამარხებს შორის გამოიჩინა ქალის სამარხი, სადაც არქეოლოგებმა იპოვეს თიხის საუცხოო კურპელი, ბრინჯაოს, ვერცხლისა და ოქროს უამრავი

სამკაული, მათ შორის 104 ცალი მარტო ოქტოს ღილია მეორე ჭა-  
მარხში, რომელშიც ერთდროულად სამი მეომარია დაკრძალულია ჩრუ-  
ქეოლოგებმა ნახეს 12 რეინის სატევარი, 15 საომარი ცული, ბრინ-  
ჯოს ზარები, ევვანი, ლაგამი საყბეური...

VI—IV საუკუნეების ფენაში ბრილის სამაროვანშე დიდი რაო-  
დენობით გვხდება ქარების, ფერადი მინისა და პასტის ნაირნაირი  
მძივები, ზოგჯერ ერთდროულად რამდენიმე ასეული. ზოგი მძივი  
უჩვეულოდ დიდი ზომისაა, ზოგი კი თავის სილამაზით გვაოცებს.  
რაჯე ნაპონი ჭურჭლები ნელსაცხებლებისათვის. ერთ მათგანში  
ნელსაცხებლიც კი იყო შემორჩენილი, რომლითაც ქართველი მზეთ-  
უნახავები თრიათას ხუთასი წლის წინათ ილამაზებდნენ თავს. სამ-  
წუხაროდ, მას სურნელება უკვე დაკრძალული ჰქონდა, აღმოჩენილ  
ნივთებს შორის ბევრია ბრინჯოს ქანდაკება. არქეოლოგთა განსა-  
კუთრებული ყურადღება მიიპყრო თრია ქანდაკებამ. ერთხე —  
მწოლიარე ჯიხვია გამოხატული, მეორეზე — მხედარი, რომელიც  
ფაფარ და კუდდაწნულ ცხენზე ზის.

ანტიკურ ხანში ისტორიული რაჭის ტერიტორია მცირდებოდ იყო  
დასახლებული. ადრეანტიკური ხანის ძეირფასი სამარხი აღმოჩნდა  
ლიხეთასა და შრომისუბანში. II—III საუკუნეებში მდიდრული სა-  
მარხი გაითხარი ქვაშეითშია, აქ დაკრძალულია ორი წარჩინებული.  
რომელთათვის თან ჩატანებიათ „ორყურიანი ჩაფი, ბრინჯოს  
მხატვრულად ნაკეთი ბალთები, — წერს გ. გობეჭიშვილი, — რო-  
მელზედაც გამოსახულია ალეირიან-სამკერდულიანი უბელო ცხენი,  
ხარი, ძალი და ორბი... ქამარხში აღმოჩნდა ოქტოს საკიდებით შემ-  
კული ყელსაბამი, ძეირფასი თვლებით მოოჭვილი ორი წყვილი  
ოქტოს საყურე, ოქტოსა და ვერცხლის ბეჭდები, ვერცხლის აბზინ-  
დები... განსაკუთრებით გამოიჩინა სამფეროვანი ძეირფასი ქვის  
თვალი, რომელზედაც დიდი ოსტატობითაა მოკვეთილი გვირგვინო-  
სანი აღამიანის თავი. გასაოცარი ხელოვნების ნიმუშია ვერცხლის  
დიდი ტალღოვანი სახეებით შემკობილი ლაზნაკი... ქვაშეითურ  
ოქტოსა და ვერცხლის ნივთები ქართველი ოქტომცედლების ვირ-  
ტუოზობას მოწმობს. ისინი არაფრით არ ჩამოუგარდება მცხეთის  
წარჩინებულთა სამარხებში მოპოვებულ ძეგლებს”,

ანტიკური ხანის სამარხებში აღმოჩენილ ფუფუნების საგნების  
ერთი ჯგუფი უცხო ქვეყნებიდან არის შემოტანილი. ამ დროს ჩვენა

წინაპრებს მციდრო ურთიერთობა ჰქონდათ ხმელთაშუა ზღვის და  
შავი ზღვის აუზის ქვეყნებთან. ბრილში აღმოჩნდა შორეული ეგვიპ-  
ტიდან შემოტანილი ნივთებიც. ანტიკურ ხანაში რაჭაშე გადოდა  
გზები, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის შავი ზღვის სანაპიროებთან  
აკავშირებდა. ამან ხელი შეუწყო ადგილობრივი მოსახლეობის და-  
წინაურებას. III—IV საუკუნეებში ჩრდილოეთ კავკასიის ელებში  
ტომთა მრისხანე გაერთიანებები შეიქმნა, რომელიც კავკასიონის  
გადმოლახვის და შავი ზღვისაკენ გაკრას ცდილობდა. IV ს-ის 70-იან  
წლებში პუნქტი თავის დაესხნენ იმიერკავკასიაში მოსახლე ალა-  
ნებს — ოსებს. პუნქტის ლაშქარმა კავკასიონის ქედიც გადმოლახა  
და დას. საქართველოს მთიანეთში შემოიჭრა. საფიქრელია, რომ ამ  
დროს დაინგრა ბრილიც და ბრინჯაოს წარმოების ცენტრმა თავის  
არსებობა შეწყვიტა. IV ს-ის შემდეგ ბრილის სამაროვანზე მიცვა-  
ლებული აღარ დაუსაფლავებიათ.

ხალხის ხსოვნიდან თანდათან წარმალა მოგონება ბრინჯაოს  
წარმოების დიდ ცენტრზე, რომელიც ორიათას ხუთას წელზე მეტ  
ხანს მოქმედებდა. ერთი კა, რომ შემდგომ თაობებს თავისებური  
რიდი და პატივისცემა დარჩიათ აქ დამზადებული ნივთების მიმართ.  
შემთხვევით ნაპოვნ ბრინჯაოს რაიმე საგანს არც გატეხდნენ და არც  
გადააგდებდნენ. მას ეკლესიას წირავდნენ, სადაც ეს ნივთები საუ-  
კუნეთა მანძილზე ინახებოდა. საჭირო გახდა არქეოლოგთა მაღლიანი  
ხელი, რათა ჩვენ თვალწინ საქართველოს ისტორიის სრულიად უც-  
ნობი და მეტად საამაყო ფურცლები გადაეშალათ.



„ბეგბა პირი ბროლს მიგიგავს  
საყიდარი — დანის ტარსა...“

ნაწყვეტი ძველი ხალხური ლექსილან.

**ბ**რინჯაოს წარმოების ერთ-ერთი უძველესი ქართული კერის მოშლის შემდეგ რიონის ხეობის ზემო წელი მოსახლეობას არ მიუ-ტოვებია. იგი შემდეგშიც მვიდროდ იყო დასახლებული. XV საუკუ-ნის მეორე ნახევრამდე რიონისა და ცხენისწყლის სათავეებში მდე-ბარე სოფლები ერთ ცალკე კუთხეს წარმოადგენდა, რომელსაც მთიულეთი ეწოდებოდა. ეს კუთხე სვანეთის საერისთავოს შემად-გენლობაში შედიოდა.

1838 წელს პარიზის ერთ სამეცნიერო ჟურნალში გამოჩენილმა ქართველოლოგებმა მარი ბროსემ გამოაქვეყნა ერთი ქართული დო-კუმენტის ფრანგული თარგმანი. 1866 წ. ჟურნალ „ცისკარში“ ამავე დოკუმენტის ქართული ორიგინალიც დაიბეჭდა. ასე შევიდა სამეც-ნიერო მიმოქცევაში „წიგნი სასისხლო ზაქმისა ბარს ზემო სვანეთი-სა და თავად გაფარიქეთა შორის“, რომელშიც მთიულეთის აღწე-რილობაა მოცემული. ამის შემდეგ ეს დოკუმენტი რამდენჯერმე დაბეჭდა, უკანასკნელად პ. ინკორრუქას წიგნში „სვანეთის საის-ტორიო ძეგლები“, ნავეთი II, თბ., 1941.

ვაფარიქეთა სასისხლო სიგელი დათარიღებულია: „დაიწერა წი-გნი ესე ქრონიკონს რე და ერთი... ვკითხულობთ ამ დოკუმენტის ბოლოს. ქორონიკონი „რე და ერთი“ შეესაბამება 1433 წელს ზოგი ისტორიკოსი ამ თარიღს ეჭვით უკურებს. საქმე ისაა, რომ ჩვენი სიგელის დედანი გასულ საუკუნეში დაიკარგა. ამიტომ მისი რო-გორც ქართული ტექსტი, ისე ფრანგული თარგმანი ასლის მიხედ-ვითაა გამოცემული, რომელიც ასევე დაკარგულია დღეისთვის. ამის გამო ქორონიკონი „რე და ერთი“ ზოგ მკვლევარს გადამწერის შეცდომად მიაჩნია. მათი აზრით, დედანში ქორონიკონი „რე და

ერთის „ნაცვლად „რე და ერთი“ უნდა ყოფილიყო, რაც 1503 წელს  
შეესაბამება. ჩემის აზრით, ეს დოკუმენტი 1433 წელს უნდა იყოს  
შედგენილი.

„წიგნი სასისხლო საქმისა ბარს ზემო სვანეთსა და თავიდან ჭალა  
ფარიძეთა შორის“ შინაარსის მიხედვით ორ ნაწილად იყოფა. თავ-  
დაპირველად ვრცლადა გადმოცემული ერთი შინა ომის ისტორია, რომლის დასასრულს სრულიად საქართველოს მეფე ალექსანდრემ  
დასავლეთ საქართველოს მთიულეთი სვანეთს ჩამოაჭრა და რაჭის  
საერისთავოს გადასცა. სიგელის მეორე ნაწილში კი ოფიციალურად მოცემული.

„გლოლას ზედათ, ცენას იქით, ოსეთს აქთ მოქცეული“ სრუ-  
ლად მთიულეთის თემი“ ანუ „ვიღროთას ზედათი, და გლოლას ზე-  
დათი, სუანეთს იქით, ოსეთს აქთ, სრულად მთიულეთი“ ცალკეუ-  
ლი სოფლებიდან შედგებოდა, რომელთაგანაც სიგელში პირველად  
„ხიდურა“ დასახლებული: „ამას გარეთ მოგვცით ოსეთის პირად  
მთიულეთს ხიდურას 20 გლეხი, ერთი კარგი ციხე, ორი მონასტერი:  
ერთი დიდი გუმბათიანი მთავარანგელოზით მონასტერი რამდენიმე  
ოქროს ხატითა, ოცდაოცრამეტითა სხუა დიდი ხატითა, თორმეტით  
ოქროისა და ვერცხლის კანდლითა, მისით სამონასტრო წიგნებითა...  
მეორე წმიდის გიორგის სახანის დიდი სიონი მონასტერი, ოცდა-  
ოცრმეტით ჭუარ-ხატითა და რაც სამონასტრო წიგნი არის მით  
სრულიად გათავებული, და სხატონო დეკანზი; წინამძღვანის ოცი  
კუამლი კაცი და დეკანზს რეა კუამლი კაცი. ამას გარეთ იქიდა ხი-  
დურას ერთი აზნაურ-შვილი სოსაგიძე მისითა ციხითა, თორმეტი  
კუამლი კაცითა“.

სოფ. ხიდურა დღეს აღარავი მდებარეობდა ცხენისწყალის  
აღმოსავლეთ სათავის, ხიდურას ზემო წელში, ლაფურში ჭიდურას  
ხეობა, სათავიდან დაახლოებით 10 კმ მანძილზე, სამი კმ-ზე მეტი  
სიგანის ვაკეს ქმნის. სოფელს ეს ვაკე და მისი მომიჯნავე მთის კალ-  
თები ეკავა. აქ დღეს, ხიდურას მარჯვენა ნაპირზე ვრცელ ველს  
„ხიდრის მინდვრებს“ უწოდებენ. მდინარის მეორე მხარეს კი „დე-  
დოფლის მინდოორია“, დედოფლის მინდორს აღმოსავლეთით ჩამოუ-  
დის პატარა მდინარე — „დედოფლის მინდვრის ღელე“, რომლის  
სათავეში ძევლი კალოს ნაშთია, რასაც ღების ნაკალოვარს ეძახიან.  
ჩვენ სიგელში მოხსენიებული „დიდი გუმბათიანი მთავარანგელოზი“

მონასტერიდან“ დღეს მხოლოდ საძირკველია დარჩენილი. ჩვენი საუკუნის 30-იან წლებამდე შენობა შედარებით კარგად იყო შენა-  
ნული. მისი აღწერილობა მოცემული აქვს პ. ნიუარაძეს: „არყაზარი  
გარს არტყაა სპონტის ქვისაგან ნაშენს დღეს დანგრეულ ეკლესია  
სიას, მთავარ ანგელოზის სახელობაზე აგებულს. სამი კედელი ქვედა  
ტანში ერთნახევარი საუნის სიმაღლეზე მთელი დარჩენილა, მეო-  
თხე კი ცოტად ჩამონგრეულია. ნანგრევები ალბათ გუმბათისა, შიგ-  
ნით ჩაცვენილა და კედელს შუა ადგილი ქვებით გამოტენილა“. დაახლოებით 50 წლის წინათ ეს ეკლესია დაარღვიეს და მისი ქვები  
ცურმის შენობების საშენებლად გამოიყენეს. ასე რომ ამ შენობებ-  
ში ზოგან ეკლესიის კარგად გათლილი ქვებია ჩატანებული, ზოგან  
სვეტის თავები, ზოგან კი ჩუქურთმებიანი ქვები. მწყემსებმა წირ-  
წერიანი ქვებიც კი მისხსნებს. მე დავაკვირდა ასეთ ქვებს, მაგრამ  
წარწერა ვერ აღმოვაჩინე, თუმცა ზოგ ქვაზე თითქოს წარწერის  
ეფალიც შეიმჩნევა. მთავარ ანგელოზის მონასტრის საძირკველის  
დაახლ. 1 კმ-ის დაშორებით, გორაქშე, ხშირ ხეებს შორის, რაღაც  
შენობის ნანგრევები შეიმჩნევა. ხეები აქ საგანგებოდ ჩანს დაცული,  
ისე როგორც ძველი ეკლესიების ადგილას იციან. ამიტომ შესაძ-  
ლებელია, რომ აქ მდგარიყო ხიდურის „საჯანის დიდი სიონი მონას-  
ტერი“.

ჩვენს სიგელში მოხსენიებული „ერთი კარგი ციხე“, როგორც  
ჩანს იდგა მთავარანგელოზის მონასტრის სამხრეთ-დასავლეთით,  
რამდენიმე კმ-ის დაშორებით ადგილ „ქალდაშია“. აქ დღესაცა ცი-  
ხის ნანგრევები. ხიდურის მეორე ციხე კი არსად ჩანს. შეიძლება,  
ეს მეორე ციხე ამ ხეობაში კი არ იდგა, არამედ მეზობელ ზესხუ-  
რის ზემო წელშე.

მთიულეთის ერთ მიჯნად „ცენაა“ დასახელებული, რომელიც  
-ამ ხეობის დასავლეთით მდებარეობს. ასე, რომ ზესხურის ხეობა ამ  
კუთხეში შედიოდა, თუმცა, ჩვენს სიგელში რაიმე სოფელი ამ ხე-  
ობიდან არაა დასახელებული, მაშინ როდესაც სოფ. ზესხოში ამ  
დროინდელი 10-ზე მეტი სახლის ნანგრევებია შემონახული. პ. ნი-  
უარაძემ აქ ნახა „ქვის სახლი და ლამაზი კოშკი, რომელსაც სახუ-  
რავის გარდა არაფერი არ აკლდა“. გადმოცემით, ქველად, ამ ქვის  
სახლსა და კოშკში აზნაური ცხოვრობდა. საფიქრებელია, რომ ზეს-  
ხოს სათავე სოფ. ხიდურის ერთ ნაწილად ითვლებოდა. მაშინ აზნა-

ური სოსაგიძეს ციხე სოფ. ზესხოში შემორჩენილი ციხე-დაბაზი უნდა იყოს. ჩვენი სიგველის მიხედვით, ხიდურაში 60 კომლი ცხოვ-რობდა. მათი ერთი ნაწილი 12 კომლი, სოსაგიძის გლეხები დღევაშ-დელ სოფელ ზესხოს მიდამოებში ცხოვრობდნენ.

ოსეთი, რომელიც ჩვენი დოკუმენტის მიხედვით ხირდურდასა და საერთოდ მთიულეთის ერთ მიჯნად ითვლება, სინამდვილეში ბალ-ყარეთია. XIII—XIV საუკუნეებდე ამ მხარეში ბალყართა მოსე-ლამდე ოსები ცხოვრობდნენ, ამიტომ ამის შემდეგაც ქართველები ამ მხარეს ერთხანს ოსეთს უწოდებდნენ.

რიონის სათავეში კველაზე უფრო მაღლა ბრილი მდებარეობდა. „მთიულეთს ციხე და სოფელი ბრილი, ოცდაოთხი კუამლი კაცი, ერთი ეკლესია თხუთმეტით პატიოსნით ხატითა და მისით წიგნებითა სრულობით შემკობილი“.

დღეს ბრილი ნასოფლარია. სიგველში მოხსენიებული ციხე უკვე აღარ ჩანს, მაგრამ მის ნანგრევებს კ. გობეჯიშვილი რამდენჯერმე აღნიშნავს თავისი გათხრების ანგარიშებში. ეკლესიდან მხოლოდ ერთი კედელია შემორჩენილი. იგი დგას ბრილის ტერასის დასავლეთ მხარეს და რიონს გადაპყრებს. ეს ეკლესია, რომელიც წმინდა ვი-ორგის სახელმძღვანელო აშენებული, უკვე გასულ საუკუნეში ძალზე დანგრეული იყო. „თევრეშოლან 3—4 კმ დაშორებით, რიონის მარცხენა ნაბირზე, მთის ტერასაზე ჩვენ ვნახეთ დარღვეული წმინდა გიორგის ეკლესია. მისი სულ მცირე ნაწილია გაწმენდილი და ხატია დადგმული“, — წერს უვაროვა.

ბრილის მეზობლად უფრო მოზრდილი სოფელი თევრეში იყო განლაგებული: „თევრეშოს თექუსმეტი კუამლი კაცი და ციხე სხუა, და არიშიძე ლომი მისი ციხითა, ორმოცი კუამლი კაცითა“, — ვკითხულობთ ჩვენს სიგველში.

თევრეშოს ჭალებს კრცელი ტერიტორია უკავია, ამიტომ ასეთი მრავალიცხოვანი მოსახლეობა ამ სოფელში არ უნდა გაგვიკირდეს. ორი ციხიდან ერთის ნანგრევები დღესაც დგას სამხრეთ-დასავლეთით მაღალ გორაზე. გასულ საუკუნეში აქ ძველი ეკლესის ნანგრევებიც იყო: „თევრეშოში კლდის ქიმის თავზე დგას თეთრი ქვით აგებული ეკლესის ერთი კედელი, — აღნიშნავს უვაროვა. ამ ეკლესის სასისხლო სიგველი არ ახსენებს, რადგან ამ სიგველში მხოლოდ ისეთი ეკლესიებია მოხსენიებული, რომელთაც თავისი ყმა-მამული გააჩნდათ.“

თევრეშოს შემდეგ რიონის გაყოლებით XV საუკუნეში მოიცავეთის ორი სოფელი ზედქალაქი და ღები იყო განლაგებული: „ზედქალაქსა კარგი საბატიო გუმბათიანი საყდარი ჭუარცმისა საფრის-რუსების კომოზო მისით მოთვალმარგალიტურით ომფორითა შემკრძილი, რაც ეფისკოპოზისა და იმისთანას საყდარს ეკადრების, იმისთანას წიგნებით სრულად გათავებული, ასის კუამლით კაცითა.“

და ღებს ორი აზნაურიშვილი გიგაშვილები მისი ციხითა და სამოცდათორმეტით კუამლი კაცითა“.

ღები დღეს რაცის ერთ-ერთი უდიდესი სოფელია, რომელიც რიონის ორივე ნაპირზე განლაგებული. გადმოცემით, პირველიც აქ ღეჩეუმიდან გამოქცეული ვიღაც მღებავი დასახლდა, რომელსაც თავისი კუთხე შერისმიებამ დაართვებინა. ახალ ადგილზე მას მეელი საქმიანობა გაუგრძელებია და თითქოს სოფელსაც ამის გამო ღები დარქმევია. რასაკირველია, სახელწოდება ღებს ღებვასთან არაეითარი კავშირი არა აქვს და იგი სვანური წარმოშობის უნდა იყოს და საერთოდ, ამ ღეგნდას არავითარი რეალური საფუძველი არ მოეპოვება. დღეს ღები ორი მთავარი უბნიდან შედგება. რიონის ნაპირზენა ნაპირზე პატარა ღები ანუ გორმანი მდებარეობს; მარცხენა ნაპირზე კი — ზედქალაქი. ხიდს რიონზე, რომელიც სოფლის ამ ორ უბანს აკავშირებს დღესაც ძველი ტრადიციით — ქალაქის ხიდს“ ეძახიან. XV საუკუნეში კი, როგორც ცხედავთ, ღების ეს ორი უბანი ცალკე სოფლებს წარმოადგენდა. მარცხენა ნაპირზე ზედქალაქი იყო განლაგებული, ხოლო მარჯვენაზე — საქუთრივ ღები.

ზედქალაქის „კარგი საბატიო გუმბათიანი საყდარი“ დღეს აღარაა. მისი აღწერილობა დიუბუა დე მონპერემ შემოგვინახა: „ეკლესია ღების ძველი და ძალზე სადაა. მას აქვს თიხეუთხა გუმბათი. ეკლესის შესასვლელი საცხეა ხარის ჩქებით, ისევე როგორც სხვაგან დავკასიაში, სადაც ყოველი რელიგიური დღესასწაული ხარის შეწირებით ხდება. აკლდამები ზედაპირზე, ეკლესის გარშემო არის განლაგებული, რომელიც სოფლის ყველაზე მაღალ ადგილზეა“. შეეიცარება მოგზაურს ღების ეკლესიამ თავისი შეობლიური, ნოი შატელის საყდარი მოაგონა. ეს კია, რომ XV საუკუნის შემდეგ ამ ეკლესის მთავარი ხატი შეუცვლია და მას შემდეგ მაცხოვრის ხატის სახელს უკავშირებენ.

ჭაფარიძეთა სიცელში მოხსენიებული ვიგაშვილების ციხე-კოშ-  
კი უნდა იყოს, რომელიც დღეს გორმანში ანუ პატარა ლეპში დგას,  
იგი ოთხეუთხაა, სამსართულიანი. მის გვერდით ძველად ეკლესიანული  
მდგარა, რომელიც ღვთისმშობლის ანუ „დედაღვთისას“ სახელმბარისა  
ზე იყო აგებული. ✓

ძველად, როგორც ჩანს, ზედქალაქსა და საცუთრივ ღებს ერთად  
ზოგჯერ ჭალაქსაც უწოდებდნენ, ხოლო ზედქალაქს საპირისპიროდ  
დღევანდელ პატარა ღებს დაბლაქალაქი ერქვა. ამას მოწმობს შემ-  
დეგი ადგილი ხალხური ლექსიდან:

„ოვერეშო კარგი სოფელი,  
ზას გადუაროთ თავია,  
ზაქოვეარსა კი მივართვათ  
რქა-თეთრია ქორა ხარია,  
ღედა ღვთისასას მივართვათ

რქა-დგაბული ცხვარია  
ჰითრა-კარგი სოფელი,  
დაბლა ქალაქის კარია,  
ზემთოა კარსა გმოღვენ  
ზედი სვანისა ჭარია.“

ჩვეშურას ხეობაში მთიულეთის პატარა სოფელი ჩუეშო „ციხე  
და შვიდი გლეხი“ იყო. ჩვეშო დღეს გონას ერთ ნაწილს წარმოად-  
გენს ჩვეშურას მარცხენა ნაპირზე. მდინარის მარჯვენა ნაპირზე სა-  
კუთრივ გონაში მთავრიანგველოზის ეკლესია დგას. იგი გასული სა-  
უკუნის დასასრულს გადაკეთეს და გარეგნულად XIX საუკუნეში  
აშენებული ეკლესიის შთა ~~მეტი~~ დილებას ტოვებს. სინამდვილეში კი,  
როგორც მდ შენობის დაწვრილებითმა არქიტექტურულმა ანალიზშა  
აჩვენა, ეკლესია IX ან X საუკუნეში უნდა იყოს აგებული.

ღების მეზობლად რიონის მარცხენა ნაპირზე ჭირია არის გან-  
ლაგებული. ლეგენდის მიხედვით ეს სოფელი ღებზე ვრინ დასახ-  
ლებულა, ადრე კი ეს ტერიტორია ღებს ეკუთვნოდა. თვითონ ჭიო-  
რელებს ამაზე ადრე ფასის მთის გადაღმა, ჩრდილოეთ კავკასიაში  
უცხოვრიათ. აქ ისინი თათრებს ძალზე შეუწუხებიათ და აუქულე-  
ბიათ საცხოვრებელი დაეტოვათ და ღებელებისათვის თავშესაფარი  
ეთხოვთ. მათი თხოვნა შეუწყნარებიათ და ახალმოსულებისათვის  
„სარჩევი“, ადგილის არჩევის ნება მიუციათ. მოსულებს რიონისპი-  
რა ჭალისათვის დაუდვიათ ხელი, სადაც ბევრი „მწიორი“ (მელა,  
კვერნა, თრითინა და სხვ.) ბუდობდა. სწორედ „მწიორიდან“ მოდის  
სოფლის სახელიც „ჭიორა“.

სახელი ჭიორა არ მოდის სიტყვა „მწიორიდან“ და არც ეს სო-  
ფელი დაუარსებიათ ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოსულთ. „ჭიორა“

მთიულეთის ერთ-ერთი ძველი სოფელია, თუმცა ის XV საუკუნეში  
ბევრად პატარა ყოფილა, ვიდრე ლები. „ჭიორას ციხე და სოფელი,  
თექუშმეტი კუამლი გლეხი“, — ვკითხულობთ ჩვენს სიგალში. ვით  
ორას ციხემ დღემდე ვერ მოაღწია და არც ჩაიმე გადმოცემაშვერუბი  
მონახული მის შესახებ.

ლებს სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრებოდა სოფ. შოდა. „შო-  
დას წმიდას გიორგის ეკლესია და სოფელი, ოცდახუთი კუამლი კა-  
ცი და ციხე“ — ვკითხულობთ ჯაფარიძეთა სასისხლო სიგელში.  
დღეს შოდა ნასოფლარია. იგი მდებარეობს ლების სამხრეთ-დასავ-  
ლეთით 4—5 კმ დაშორებით, შოდა-კედელას მთის ძირში. სოფელს  
ეყავა რიონის მარჯვენა შენაკადების მუხამეშურას და შოდურას-სა-  
თავეები, საღაც რელიეფი შედარებით სწორია და სახნავ-სათესის  
მნიშვნელოვანი ფართობიც მოიპოვება. ნასოფლარზე დგას შირიმის  
ქვისაგან აგებული IX—X საუკუნის ეკლესია, რომელსაც დღეს მო-  
ნასტერს უწოდებენ. ეკლესის გარშემო დიდი ეზოა, რომელიც გა-  
ლავნით არის შემოზღუდული. ქვე მინდორია, რასაც საყრდის ყა-  
ნეს ეძახიან. შოდას ეკლესია, როგორც ირკვევა, თავის დროზე ქარ-  
თული კულტურის მნიშვნელოვან ცენტრს წარმოადგენდა. ჩვენი  
საუკუნის დასაწყისში ლების ეკლესიაში დაცული ხატების უმრავ-  
ლესობა აქედან გადმოტანილად ითვლებოდა. გადმოცემით, ამ ხა-  
ტებს ოვთი აქაური ბერები ჰედავდნენ. ლების ხატებიდან ორი მა-  
ნიც უკვეელიდ შოდას წმინდა გიორგის ეკლესიის საკუთრებას წარ-  
მოადგენდა, რასაც მათი წარწერები გვიმოწმებენ. ერთი ვერცხლის  
ხატია წმინდა გიორგის, წარწერით „წმინდა გიორგი შოდის“, მე-  
ორე ხატიც ვერცხლისაა, მხოლოდ ოქროთი დაფერილი. მას შემ-  
დეგი წარწერა ახლავს — „წმიდა გიორგი შეიწყალე შოდელი კვი-  
რიენ. ბერი წინაშე ქრისტესა“.

წიგნი „სასისხლო საქმისა ბალს ზემო სვანეთისა და თავად ჯა-  
ფარიძეთა შორის“ მთიულეთის კიდევ ერთ სოფელს ასახელებს,  
რომელიც რიონის ხეობაში კი არა, არამედ გლოლას ანუ კანჭიათის  
ხეობაში მდებარეობდა. ეს არის სოფ. ბუბა. „ბუბას კარგი ეკლესია,  
ციხე და სოფელი, — ეკლესია კარგი ჭუარხატითა, ოცდახუთი გლე-  
ხი“, — ვკითხულობთ აქ.

სოფ. ბუბა დღეს აღარია, მაგრამ ამ სახელწოდების ნასოფლა-  
რი გლოლას მიდამოებშია, კურორტ შოვის თავზე, ბუბას მთის კალ-

თებზე. აქ დღესაც გაირჩევა საცხოვრებელი სახლების, ნაკალოვა-  
რისა და კოშკის ნაშთი. ეს უკანასკნელი, სიგელის „ბუბას ფიხური“  
უნდა იყოს. ნასოფლარზე ძევლი ეკლესის უსახო ნანგრევები იყო, რომელსაც „ბუბას ჯვარს“ უწოდებდნენ. 1964 წელს ბუბას ნასოფ-  
ლარს ქართული ხელოვნების ისტორიუმის მაღაქია დვალი ეწვია.  
მისი ხელმძღვანელობით „ბუბას ჯვარზე“ იმოსული ხეები გაიკავა,  
საუკუნეთა მანძილზე დაგროვილი მიწა გადაიყარა და ეკლესის  
თავდაპირებული სახე გამოვლინდა. ბუბას ჯვარი ნახევარგუმბათიანი  
ეკლესია აღმოჩნდა, რომელიც IX თუ X საუკუნეში აუშენებიათ  
შირიმისა და კლდის ქვით. „ეკლესიაში საკურთხევლის წინ, — წერს  
მალაქია დვალი, — მდგარა შირიმის ქვის კანკელი, მაღალი ოსტატო-  
ბით შესრულებული, მრგვალი სკეტებით, დამუშავებული ბაზებით  
და სვეტის თავებით“.

ბუბას ჯვარის გათხრა-გაწმენდის დროს შეტაც საინტერესო არ-  
ქეოლოგიური მასალა გამოვლინდა. „XIII—XIV საუკუნეთა აღმო-  
სავლური არაბული წარწერიანი მონეტები, ვენეციური ფერადი მი-  
ნის ჭურჭლის ნამტვრევები, სხვადასხვა დროის კერამიკული ნაწარ-  
ში, როგორც აღვილობრივი, ისე შემთანილი; ვერცხლის ხატის  
მედალიონები ასომთავრული წარწერებით და განსაკუთრებით  
მდიდრულად არის წარმოდგენილი საბრძოლო იარაღი: სხვადასხვა  
სახის ისრისა და შუბის წევრები, ფრთიანი და კოპებიანი საბრძოლო  
კვერთხები. იქვე ერთ კუთხეში თავმოყრილია ირმის, ჯიხვისა და  
სხვა გარეული ცხოველის უამრავი რქა“.

მთიულეთში სხვა სოფლებიც ყოფილა, რომელთა სახელებიც  
სიგელში აღნიშნული არ არის, უბრალოდ წერია „სხვა ღების შესა-  
ვალი სოფლები“. ერთ-ერთი ისეთი სოფელი შეიძლება იყოს ტყეთა-  
ვი, რომელიც დღეს ნასოფლარია გლოოლისა და ბუბას მიდამოებში.  
ლეგენდის მიხედვით, რომელიც გ. ბოჭორიძეს აქვს ჩაწერილი, ამ  
სოფელში მხოლოდ 30 წელს გადაცილებული უცოლო ვაჟკაცები,  
ე. წ. „ლევანტები“ ცხოვრობდნენ. ტყეთავზე პატარა ლექსიცა შე-  
მონახულია: „ჩვენთა ძმათა ტყისთაველთა ჩალა მოდის, — ქერი —  
არა“.

შთიულეთში, ისე როგორც სხვაგან საქართველოში, სანადირო  
აღვილები ცალკე იყო გამოყოფილი: „სამი საშავარდნე სხუა, ყოვ-  
ლის დღის სანადიროები საჯიხე, ზოფახითო, კირტიშო, ედენ, გა-

ლიონა, რომის სათავე, სხუა სანადიროები არჩეისა” — საგანგე-  
ბოთა აღნიშნული სიგელში.

ზოფებითოს ანუ ზოფებითოსა და კირტიშოს „ყოვლის დღის დღის  
სანადიროები“ ზოფებითურისა და ჩვეშურის სათავეებში შედებარე-  
ობდა, ამავე სახელწოდების მყინვარებთან. ედენ იგივე ედენია, სა-  
ნადირო ამავე სახელწოდების მყინვარის ახლოს. გილიონა დამახინ-  
ჯებული გლოვინაა, პატარა მყინვარი რომის სათავეში, ფასის მთის  
აღმოსავლეთით. ოსანიშნავია, რომ ამ მყინვარის მიღამოები დღე-  
საც კარგ სანადირო ადგილად ითვლება.

XV საუკუნეში მთიულეთის მოსახლეობა 400 კომლს შეადგენ-  
და „აზნაურიშვილიანად და გლეხებიანად“. ეს კი ამ დროისათვის  
საყმაოდ დიდ რიცხვათ უნდა ჩაითვალოს, რადგან თითოეული ოჯახი  
საშუალოდ 10 სულისაგან შედგებოდა. გლეხების ნაწილი აზნაურებს  
ეკუთვნოდა, ნაწილი — ეკლესიას. გლეხთა ერთი მესამედი — სა-  
მეფო იყო.

რაჭისა თუ სვანეთის მთიულეთი მაღალმთიანი მხარე იყო და  
სოფლების უმრავლესობა მუქმიერი თოვლიანი მთების ძირში იყო  
განლაგებული. მოსახლეობა სახნავ-სათესად იყენებდა მიწის პატარა  
ნაკეთოსაც კი, რომელზეც მოსავლის მოყვანა შეიძლებოდა. მოწეუ-  
ლი სარჩო სამყოფი არ იყო, ამიტომ მამაკაცები „საჯამაგიროთ“  
ანუ სამუშაოდ დადიოდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში.  
შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა იმ გზების მომ-  
სახურება, რომლებიც, რომისა და ცხენისწყლის სათავეების გავ-  
ლით, დას. საქართველოს ჩრდილოეთ კავკასიასთან აკავშირებდა.

ამ მაღალმთიან მხარეში მოსახლეობის ასეთი სიმჭიდროვე შუა-  
ფეოდალური ხანის საქართველოს ხალხმრაველობის კიდევ ერთი და-  
მატებითი საბუთია. ადვილად წარმოსადგენია, თუ როგორ იქნებო-  
და დასახლებული ჩვენი ქვეყნის სხვა მხარეები, სადაც ცხოვრები-  
სათვის ბევრად ხელსაყრელი პირობები იყო.

მთიულეთის რაჭის საერისთავოში შესვლის შემდეგ, ეს მხარე,  
როგორც ცალკე კუთხე მაღლ მოიშალა. გასული საუკუნის დასას-  
რულს ქართული ხალხური სიტყვიერების შემგროვებლებმა ლებში  
ჩაიწერეს ერთი ვრცელი ლეგენდა, რომელშიც აისახა ამ მხარის ის-  
ტორია XV—XVII საუკუნეებში.

ძველად, — მოგვითხრობს ლეგენდა, — ლებში, რომის მარ-

კვენა ნაპირზე, .დეგციხეში სამი ქმა აზნაური არეშიძე ცხოვრობდა. რიონის მარცხენა ნაპირზე, გორაკზე მონასტერიც იდგა, რომელსაც სულ რამდენიმე ბერი ემსახურებოდა; სოფ. ჩვეშოში ვინმე, ხოშიუა ტა ლობეანიძე ცხოვრობდა, თევრეშოში — გავნიძე, ხოლო ჭიდური რაში — შვიდი კომლი გოგრიჭიანი მოსახლეობდა.

ერთხელ სვანეთის მთავარი დადეშქელიანი მოულონელად დაესხა თავს ღარში მცხოვრებ თავად ჯაფარიძეს, დაამარცხა ის და დიდი ნადავლითა და ტყველით გაემართა თავისი სამფლობელოსაცენ. ჯაფარიძემ შეაგროვა ლაშქარი, და მას დაედევნა. იგი ხელმეორედ დამარცხდა დადეშქელიანთან ბრძოლაში და იძულებული შეიქმნა დახმარებისათვის ბაქარ მეფისათვის მიემართა. მანაც არ დააყოვნა და თავისი ლაშქრით სვანეთისაცენ გაეშურა. გორიბოლოსთან მეფის ლაშქარს დადეშქელიანის მოციქულები შეეგებნენ, რომლებიც მთავრის სახელით მშვიდობს თხოულობდნენ. ჯაფარიძემ მიყენებული ზარალის სანაცვლოდ ერთი ჩექმა კიანგველის ტვინი მოითხოვა. რადგან ამ მოთხოვნის შესრულება შეუძლებელი იყო, დადეშქელიანმა მას ხიდურაში მცხოვრები შვიდი კომლი კოგრიჭიანი გადასცა, იგრეთვე 12 ცხენი და 12 გოგო-ბიჭი. უკან გზაზე ჯაფარიძემ ერთი კომლი გოგრიჭიანი არეშიძეს აჩუქა, ხოლო დანარჩენი 6 კომლი, რაჭის სულ სხვადასხვა სოფელში დასახლა. ერთი — ფარავნეშში, მეორე — ამბროლაურში, რომლის შთამომავლები ხიდურელის გვარს ატარებენ, მესამე — ჩირდში, მეოთხე — სადმელში, მეხუთე — ჯოისუბანში და მეექვსე — ონში. ეს უკანასკნელნი საჯანის წმინდა გიორგი ეკლესიის მღვდლები გახდნენ და ეს წმდება ამ გვარს — ნანუკაშვილებს, თაობიდან თაობამდე გადაეცემოდა. ა

გოგრიჭა გოგრიჭიანი თავდაპირველად მონასტრის ეზოში დასხლდა. შემდეგ მან სამოსახლო გაუცვალა ჩევშოდან გადმოსულ ხოშიტა ლობეანიძეს, რომელიც რიონის მარჯვენა ნაპირზე სახლობდა. მალე მათ შოდადან გადმოსული ბოხაშვილი შეუერთდა.

თევროშოელი გაგნიძე თავისი ქონებით შორს იყო განთქმული. ერთხელ დიგორის მთავარმა თამაზმა, ამ სიმდიდრის ხელში ჩაგდება გადაწყვეტა. მან თევრეშოში თავისი ვაჟის თვალის წინამძღოლობით გაგზავნა ლაშქარი. გაგნიძემ წინასწარ შეიტყო მტრის განზრახვა, ციხეში ჩაიკეტა და ხანგრძლივი ბრძოლისათვის მოემზადა. დიგორელები ციხეს მოადგნენ, მაგრამ მალე იძულებული გახდნენ

ალყა მოეხსნათ, რადგან მათი წინამდობლი გაგნიძის ისრის შსვერ-პლი გახდა. მტერი სამშობლოში გაბრუნდა, ციხესთან კი ორი დღეზე რელი დაიმალა. მალე მათ გავნიძე მოქლეს, რომელიც მტრის უკუ-ქცევის შემდეგ ციხიდან გამოვიდა. ამის შემდეგ დიგორელები უკან დაბრუნდნენ, უწინამდობლოდ დარჩენილი ციხე აიღეს და ნადაცლი და 40 სული ტყვე ჩაიგდეს ხელთ. გამარჯვებულებმა მთელი ეს ნა-დავლი დიგორის მთავარს თაიმაშს მიართვეს, რომლის შვილიც თვა-ლიაც ციხის ალყის დროს დაიღუპა. თაიმაშმა ქონება ქვრივ-ობ-ლებსა და ღარიბ-ღარაკებს გადასცა, ხოლო ტყვეები შემდეგ გაზა-ფხულზე სამშობლოში გამოისტუმრა. ისინი თევრეშოში აღარ დაბ-რუნებულან და დებში დარჩნენ, რომლის მოსახლეობა თანდათანო-ბით მატულობდა.

დების ბატონები სამი ძმა არეშიძეები ლებელებს სულ უფრო და უფრო ავიჭროვებდნენ. ამიტომ მათ წინააღმდეგ შეთქმულება მოეწყო ზეიდ ლობეანიძის მეთაურობით. შეთქმულებმა მოისყი-დეს არეშიძეთა მოურავი გაგაშვილი, მათი სანდო პირი გოგრიჭა გოგრიჭანი და ერთი მარტოხელა დედაბერი. გაგაშვილს ფული მისცეს, გოგრიჭანს — ტყის ერთი ნაკვეთი, დედაბერს — სიკვდი-ლის შემდეგ ალაპის გადანდა აღუთქვეს.

ერთ დღეს შეთქმულები ჩაუსაფრდნენ ზოფებითოში სანაღიროდ მიმავალ თრ ძმას და ორივე ისრით დახოცეს. ამავე დროს არეშიძე-თა მესამე წარმომადგენელს რიონის მარჯვენა ნაპირიდან ჰიორაში გადაყვანა სთხოვა მოხუცებულმა ქალმა. არეშიძე თვით აპირებდა ჰიორაში გადასვლას, თხოვნაზე უარი არ უთქვაშ და ქალი ცხენებე შემოისვა. მდინარის შუა ნაწილში შეთქმული ქალი მოეხვევა აზნა-ურს და ცხენიდან გადაზიდა. ორივენი წყალში ჩაცვიდნენ და და-იხრჩნენ. არეშიძეთა გაწყვეტის შემდეგ ლებელებმა პირადი თავი-სუფლება მოიპოვეს.

ამ ლეგენდაში, ისე, როგორც მრუდე სარკეში, აისახა მთიულე-თის გადასვლა რაჭის საერისთავოს შემადგენლობაში, ასევე სოფ-ლების ერთი ნაწილის მოშლა და ბოლოს ამ მხარეში ბატონების ლიტვიდაცია. საქმე ისაა, რომ ბალს ზემო სვანეთისა და თავად ჯა-ფარიძეთა სასისხლო წიგნის შედგენას წინ უსწრებდა სვანეთის ერთი ნაწილის „სრულიად სვანეთის ხევის“ ამბოხება სამეფო ხელი-სუფლების წინააღმდეგ. მათი მორჩილებაში მოყვანა რაჭისა და ლე-

ჩხუმის ფეოდალებს დაევალათ, რომელთა შორის ყველაზე ძლიერი ჯაფარიძენი იყვნენ. სკონებს ამ ბრძოლაში ჯაფარიძეთა საგვარეულოს ორი წარმომადგენელი შემოაკედათ, რის შემდეგ ეს სახელმწიფო ბრძოლისათვის მნიშვნელობის საქმე „სრულიად სვანეთის ხევის“ და ჯაფარიძეთა სასისხლო საქმედ იქცა. ფორმიალურად სკონებმა მთიულეთზე ჯაფარიძეთა სისხლის სანაცვლოდ თქვეს უარი. სწორედ ეს მომენტი აისახა ჩვენს ლეგენდაში, ოღონდ მთიულეთის ნაცვლად მისი ერთი სოფელი ხიდურა ჩანს, ერთობლივი სკანეთის ხევის ანუ შემდეგდორინდელი ტერმინოლოგიით, „თავისუფალი სკანეთის“ ნაცვლად — სკანეთის მთავრები დადეშექველანები. ა

აღრე და შუა ფეოდალურ ხანაში საქართველო ძლიერი ქვეყანა იყო და მისი გავლენა კავკასიის ქედის გადაღმაც ვრცელდებოდა. ამ დროს რიონისა და ცხენისწყლის სათავეში მდებარე ქართულ სოფლებს რაიმე საფრთხე არ ემუქრებოდა და მის მოსახლეობას მშვიდობითი ცხოვრების სრული სამუალება გააჩნდა. XV საუკუნიდან ვითარება იცვლება. ერთიანი ქართული სახელმწიფოს დაშლის შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე მეზობელი ტომები მორჩილებიდან გამოვიდნენ და თავდასხმებს მიჰყევს ხელი. ეს განსაკუთრებით მტკიცებული აღმოჩნდა რიონისა და ცხენისწყლის სათავეში განლაგებული სოფლებისათვის, რომლებიც მოხერხებული გზებით იყვნენ დაკავშირებული ჩრდილოეთ კავკასიასთან. ასეთი თავდასხმების შესახებ ცნობები შემორჩა როგორც საისტორიო წყაროებში, ისე ქართულ ზეპირსიტყვიერებაში.

ტრლოჩანოვის მუხლობრივ ანგარიშში საგანგებოდაა აღნიშნული, რომ ღებთან ახლოს „რიონის გაღმა ცარტელი ციხე-კოჭი იყო, რომელიც ბალყარეთის მფლობელს ალი-ბეგს იელო“. რუსი ელჩი აქ ბრილს გულისხმობს, რომელიც მის დროს ბალყარეთის ერთ-ერთ მთავარს ჰქონდა დაკავებული, ან უფრო სწორად, დანგრეული.

ერთი გადმოცემა რაჭაშე დიგორელთა თავდასხმის შესახებ ჩვენ ზემოთ უკვე მოვიყენეთ. შემორჩენილია ერთი ხალხური ლექსიც, რომელშიც დიგორელების ლებზე მარცხიანი თავდასხმის ამბავია გადმოცემული.

უდიიორსა დასხდენ დადი ეტიირნი  
 ჩერეული ბადელუანი,  
 მათ გამორჩევა შეექმნათ:  
 ღები გვიავს საქონლუანი.  
 გზიანი და გზანი არჩიეს  
 საფალად კირტიშოანი.  
 კირტიშოს რომ ჩამოვიდნემ,  
 გზანი დაუხედათ წყლიანი, —  
 წყლიანი, ტალახუანი.  
 უემოთით კაცი მოვიდა,  
 რომელს გაგნა პევიანო,  
 ფირუხლავ შინისკენ გაურჩიდა,  
 ვით შეარდენი ფრთიანი,

ციხის სადგურას გავიდა,  
 მაღლა დაიწყო ხმიანი:  
 ვაეფო, ფრთისილად იყენით,  
 საქმეა დალატუანი.   
 ქვემოთით ვარნი მოვიდნენ შეკაშულ ჭაფარუანი;  
 თან ახლდათ გამყრელუანი.  
 გამყრელიძესა აქებენ,  
 რომელს იასე პევიანო,  
 ფრანგული ხრმალი გასტეხა,  
 სისხლი უუას აცხიანო.  
 გაუბედურდენ ოსები,  
 ლორის ნათხარში პყრიანო. V

ერთხელ ღებს ბასიანელი ოსები (სინამდვილეში ბალყარლები) დასხმიან, მოვვითხრობს მეორე ლეგნდა. მათ გზაზე ორი ღებელი მონადირე შეუპყრიათ და შეუტყვიათ, რომ სოფელში ამ დროს მხოლოდ ქალები, ბავშვები და მოხცები იყენენ დარჩენილი, ზამაკაცები კი მთაში იყენენ სათიბში გასული. ბასიანელებს გული მოსცემიათ და ღების ის ნაწილი დაურბევიათ, რომელიც რომნის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობს. შემდეგ მარცხენა ნაპირზეც გადასულიან და მოსახლეობის ძარცვა გაუგრძელებიათ. აქ მათთვის ღებელ მამაკაცებს მოუსწრიათ და მოძალადეთაგან ცოცხალი არავინ გაუშეიათ.

მთიულეთის ორი სოფლის ტყეთაგისა და ბუბას შესახებ მრავალი გადმოცემა შემორჩენილი, რომელიც ამ სოფლების მოშლას მტრის თავდასხმებს მიაწერს. გ. ბოკორიძეს ჩაწერილი აქვს ხალხური ღექსი, სადაც ერთი ასეთი თავდასხმაა დაცინვით გადმოცემული.

„ბუბა პირი ბროლს მიგიგავს  
 საყივარი დანის ტარსა,  
 ბუბა ტურფად გამოტრილო  
 და ქაჭაგან ხერაზნო.  
 ხეთნი ხუთი ხურაზნი  
 მოგვივიდეს სტუმარი.  
 ხეთი პური ქვე შეპამეს  
 წავვივიდეს სტუმარი.

სახლი გაუტეხიათ,  
 ნეტავ რა წაუდიათ,  
 ერთი გულა მანებია  
 შეგა უქვალო ლვარძლია.  
 ერთი კოვზი კოვები,  
 სამკერ გარდატეხილი.  
 ერთი ნეტასი მანათი  
 სამკერ უკნწმოტეხილი,

დედობრეს სამსახური.  
დიდი კალ წაულით,  
ჰატარა კი ჩერინა,

ხუთნი ბუბას ვერას უზმენ  
მცროთა ჩამოსავალია".



„ხურაზი" გ. ბოჭორიძისათვის გლოლში განუმარტიათ, რო-  
გორც დარაჯი.

თანდათანობით მუდმივი თავდასხმების გამო ქველი მთიულე-  
თის სოფლებში ცხოვრება შეუტლებელი გახდა. მოსახლეობა რამ-  
დენიმე სოფელში ერთიანდებოდა, ან კიდევ საქართველოს სხვა-  
ძუთხებში გადადიოდა საცხოვრებლად.

ტოლოჩინოვისა და იევლევის დროს ზედქალაქი და ლები უკვე  
ერთ სოფლად იყო გაერთიანებული. ამის გარდა, ჭაფარიძეთა სასი-  
სხლო სიგელში მოხსენიებული სოფლებიდან მხოლოდ ორი — ჭიო-  
რა და თევრეში იყო შემორჩენილი. შემდეგ თევრეშოც მოიშალა და  
მხოლოდ ლები და ჭიორა დარჩა. სხვა სოფლებიდან მოსახლეობის  
ერთი ნიწილი ქვემო სვანეთში გადავიდა ან კიდევ რაჭაში. ბ. ნიუა-  
რაძის ცნობით, ლაშხეთელი გავნიდები ხიდურიდან გაღმოსულიად  
თოვლუბოდნენ. ამავე სოფლიდან, როგორც ზემოთ ლეგენდამ გვაჩი-  
ენა, რაჭის ხეთ სოფელში მაინც გადასახლდნენ მცხოვრებლები.  
ამბოლაურში ისინი ხიდურელის გვარს ატარებდნენ, ონში — სა-  
ჯანის ეკლესის მღვდლები — ნანუქამვილს. შოდადიან გადავიდნენ  
ლებში: ბოხაშვილები, ჩევშოდან — ლობუანიძები და ა. შ.

მტრისაგან თავის დასაცავად შემორჩენილი სოფლები თანდათან  
ციხესიმაგრეებს დაემგვანა. ლები ალბათ ადრევე იყო გამაგრებუ-  
ლი. ამაზე მისი ერთი უბნის სახელი ზედქალაქი მიგვითოთებს. საქმე  
ისაა, რომ სიტყვა ქალაქი ქართულში სირიულიდან არის შემოსუ-  
ლი, სადაც ის გამაგრებულ, შემოზღუდულ ადგილს ნიშნავდა. თავ-  
დაპირველად ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა მას ჩერენს ენაშიც. ზედ-  
ქალაქიც იმ დროიდან მოდის, როდესაც ამ სიტყვას ქართულში  
ზღუდის, შემოზღუდული ადგილის მნიშვნელობა ჰქონდა. იღსანიშ-  
ნავია, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ზოგიერთ მხარეში და ზოგან სა-  
ქართველოშიც ტერმინ „ქალაქს“ ეს ძეელი მნიშვნელობა XIX საუ-  
კუნძულების შემორჩა. ასე რომ ზედქალაქი ზედციხეს ნიშნავს.

1651—1652 წ. ლები და თევრეშო უკვე ძალშე გამაგრებული  
იყო. „როდესაც მოვედით, დაგვაყენეს და ყარაული დაგვიყენეს —  
წერს იევლევი, — და საზრდოც მოგვიტანეს. ხოლო ციხექალაქი

თევრეშო მდ. რიონის გაღმა დგას ბორცვზე. ციხექალაქის შიდამო-  
ებში დასახლებებია, ხოლო რიონის მეორე მხარესაც დასახლება.  
აქ სოფლებში 15-მდე ქვის შენობა და საყდარი იღვა და შრავალი  
სათოფურიანი კოშეია. მაგარი ადგილია, რომელსაც შესასვლელი  
და გასასვლელი ერთი აქვს და რაც მთავარია, მაღალზეა".

გამაგრებული სოფლის ძირითად ელემენტს წარმოადგენდა ქვის  
„დურიანი სახლი", რომელიც ამავე დროს სიმაგრეც იყო. ასეთი  
სახლის აღწერილობა მოკოვება ს. მაკალათიას. ეს არის ოთხსარ-  
თულიანი ქვის სახლი, რომლის პირველ სართულზე ბოსელი იყო  
გამართული. მეორე სართული საცხოვრებლად გამოიყენებოდა და  
აქ შეუკერა იყო მოწყობილი. მესამე სართულს სამარქაფო დანიშ-  
ნულება ჰქონდა, „სადაც ოჯახის ნამრავლს ათავსებდნენ. მეორხე  
სართულს ოთხივე მხრიდან დატანებული ჰქონდა ოთხ-ოთხ თაღია-  
ნი და ჭუჭრუტიანი დურო", რომელიც თავდაპირველად საისრის  
დანიშნულებას ასრულებდა, შემდეგ კი მოგვიანებით, სათოფურე-  
ბად გადაეცეთდა. ეს სართული სახლში კოშეის როლს თამაშობდა,  
ზოგჯერ დურიან სახლს გვერდზე ხუთ-ექვს სართულიან კოშეს  
უშენებდნენ.

გარევეული ხანიდან ღებისა და ჭიორას მოსახლეობა მე-  
ბატონეთაგან თითქმის მთლიანად განთავისუფლდა. ტოლოჩინოვისა  
და იველევის დროს აქ ჯერ კიდევ ჩანს გიორგი „არისუფი" ანუ  
არეშიძე და ვიღაც „იური კაბშოვი"; როგორც მებატონები. რესი  
ელჩების ანგარიშებში ქართული საკუთარი სახელები საერთოდ და-  
მახინჯებულია. შეიძლება „კაბშოვი" იგივე გაგაშვილია, რომელიც  
ჯაფარიძეთა სიგელის მიხედვით საკუთრივ ღებში ცხოვრობს.

1660 წელს გარდაიცვალა იმერეთის მეფე ალექსანდრე III და  
ამ სამეფოში მრავალწლიანი შინა ომი ატყდა. ამით ისარგებლეს  
ღების, ჭიორას და მეზობელი გლოლას მოსახლეებმა და თავი ბა-  
ტონყმბის უღლიდან გაინთავისუფლეს. ასე შეიქმნა „უბატონი"  
ანუ მთის რაჭა, რომელიც სამ სოფელს: ღებს, ჭიორასა და გლოლას  
ერთიანებდა.

გლოლა საქართველოს ერთ-ერთი უძველესი სოფელი ჩანს. აქ  
არის მაღალი გორაკი, რომელსაც „ზედქალაქი" ეძახიან. გორაკზე  
ორი ეკლესია და სიმაგრეთა ნანგრევებია. ყველა ლეგენდა, რომე-  
ლიც გლოლას წარმოშობას შეეხება, ამ ეკლესიებს უკავშირდება.

ერთი გადმოცემით სიმაგრე და მის გვერდით მდგარი წმინდა  
გიორგის ეკლესია დავით აღმაშენებელს აუშენებია, ხოლო მეორე,  
პატარა ეკლესია ე. წ. „ბერის საყდარი“ — თამარ მეფეს. თავდა-  
პირველად დავით აღმაშენებელს მთაში სხვა ეკლესია აუგია გლო-  
ლადინ 7 კმ-ის დაშორებით. შენებლობის დროს დავით/მეფის ჯო-  
რი ხშირად გაიპარებოდა. ერთ მოსამსახურეს თვალი გაუდევნებია  
და შეუმჩნევია, რომ ეს ჯორი დღევანდელ გლოლას ჩამოდიოდა და  
იქ მეავე წყალს „ვეძას“ სკამდა. ეს ამბავი მეფისათვის უცნობებიათ.  
მას „ვეძა“ გაუსინჯავს, მოწონებია და გორაკზე ციხე-ეკოშის აგება  
უბრძანებია, ხოლო გორაკის ძირში — საკუთრივ სოფლის. თავდა-  
პირველად ოც ციხეს გააჩნდა მეციხოვნე და ოც სოფელს — მო-  
სახლე.

—დავით თქუა  
გორი მეცითა,  
ჭალაქა საშენებლად.

დავბრუნდე და დავშალო  
ბრალია დასანგრეველად.

ეს ლექსი სახელოვან მეფეს მაშინ წარმოუთქვამს, როდესაც  
გლოლაში დასახლების მსურველებს ეძებდა. მეფესთან ვინმე გიორ-  
გი ბერი ყოფილა, რომელსაც იქ დარჩენის სურვილი გამოუთქვამს.  
მეფესაც დაუტოვებია იგი და ცოლის შერთვის ნება მიუცია. გიორ-  
გი ბერს ორი ვაჟი და ერთი ქალი შეძენია. მათგან მოდის თითქოს  
დღევანდელი გლოლას მოსახლეობაც.

მეორე ლეგენდა გლოლას აგებას თამარ მეფის სახელს მიაწერს.  
რაჭაში მოგზაურობის დროს იგი ერთხელ გლოლას მიდამოებში შე-  
ჩერებულა. მალე მეფის ამაღლას ჯორები დაეპავია, რომლებიც დი-  
დი ძებნის შემდეგ ვეძაზე უპოვნიათ. აქედან მეავე წყალი მეფისა-  
თვის თასით მიურთმევიათ. თამარს წყალი ძალზე მოწონებია და  
წყარო საკუთარი თვალით დაუტვალიერება. ისე მოსწონებია გარე-  
მო, რომ მისი ბრძანებით გორაკზე ეკლესიაც კი აუგიათ. საჭირო იყო  
ეკლესიაში ვინმეს დატოვება და თამარ მეფეს უკითხავს „ვინ დარ-  
ჩებაო“. ერთ ბერს დარჩენის სურვილი გამოუთქვამს, მაგრამ წინას-  
წარ ცოლის შერთვის ნება მოუთხოვა. თამარს ნებართვა მიუცია.  
ბერთან ერთად მისი მოსამსახურე ბიჭი და ბერის ბიძა დარჩენილა.  
ბერის შთამომავლობა ლეგენდის მიხედვით ბერიშვილებად იწოდა,  
ბიჭის შთამომავლობამ ბიჭიშვილების გვარი მიიღო, ხოლო ბიძი-

სამ — ბიძიშვილი. აღსანიშნავია, რომ დღესაც გლოლას მოსახლეობის უმრავლესობა ამ სამ გვარს ატარებს. ზერს თვეის სიცოცხლეში ეს ბატარა ექლესია აუგია, რომელსაც ბერის საყდარს უწოდებენ ბერ.

გლოლა ღებივით გამაგრებული სოფელი იყო. ასე რომ, მთის რაჭის სოფლები ერთიანი ციხესიმაგრის შთაბეჭდილებას ტოვებდა. „არს გლოლა დაბა მსგავსი ციხისა, კოშკოვან-გოდლოვან-ზღუდიანი. შიგ ეკლესია, აღვსილი ოქრო-ვერცხლის ხატითა და, ჯურითა და წიგნებითა, ძველადვე ხისნულნი... არს ჭიორა, დაბა მოზღუდვილი და კოშკოვანი-გოდლოვანი, ამას ზეით ჩრდილოთ კერძოთ დაბა არს ღები, ეგრეთვე ნაშენი“ — ვკითხულობთ ვახუშტისთან.

1770 წლის ერთი ცნობის მიხედვით ღებში 70 კოშკი მდგარა, ხოლო გლოლაში — 20.

XVI—XVIII საუკუნეების ძნელებელობამ რაჭის უკიდურესი ჩრდილოეთის მოსახლეობა საგრძნობლად შეამცირა. თუ XV საუკუნეში მთიულეთში გლოლას გამოკლებით 400 კომლი ცხოვრობდა, 1810 წლისათვის ღებში, ჭიორაში და გლოლაში სულ 190 კომლი იყო, ღებში — 120, ჭიორაში — 50, გლოლაში — 20. ყველა ოჯახი ბირჩდად თავისუფალი იყო, ხოლო ჭიორიდან 10 კომლი აზნაურთა ყმად ითვლებოდა. სამიერე სოფელს მოურავები განავებდნენ, თითო კომლს ხელისუფლებისათვის თითო ცხვარი უნდა გადაეხადა.

მთის რაჭის სოფლები მოგზაურებშე დიდ შთაბეჭდილებას ახდენდნენ. ჭიორა „ფანტასტიკური სანახევია, წერს ღიუბუა, — აქ ერთი-ორი კოშკი კი არ დგას, არამედ ეს არის დიდი სოფელი, ხადაც დგას უფრო მაღალი კოშკები, ვიდრე ქვემოთ და მაღალი სახლები სათოფურებით. ძველ დროს თითოეული, მოსახლე საცხოვრებლად სიმაგრეს იგებდა. ხშირად ეს იყო მაღალი სახლი, ორსართულიანი, პატარა სარკმელებით და სათოფურებით, ან კიდევ აგებდა ოთხეუთხა კოშქს. არსად არც ეერმანიაში და არც შვეიცარიაში თქვენ ვერ შეხვდებით ძველ გამაგრებულ აღვილებს, სადაც უფრო მეტი სათოფურები და კოშკები იყოს და რაც მთავარია, უფრო მომზიბლავს“.

არანაურები შთაბეჭდილება მოახდინა შვეიცარიელ მოგზაურზე ღებმაც. „ღები, — წერს იგი, — უკანასკნელი სოფელი რიონზე მე უფრო ლამაზი მომეჩენა ვიდრე ჭიორა. ის უკეთესად არის განლა-

შემული და უკავია კორაკები, რომელსაც გარს უდღის რიონი. მისი  
თეთრი კოშები უფრო მრავალიცხოვანია და მაღალი სახლები გურული  
მოირჩევა ტყეებისა და მყინვარების ფონზე, რომლებიც შეს გარს დაუკარ  
არტყა... ჩვენ დავკექით რამდენიმე ქვის სკამზე, რომელიც მიმაგ-  
რებული იყო სოფლის ძელებურ სახლს თავისი კოშებით. კოშების  
სიმაღლე 7 ფუტია. მას აქვს სათოფურულები და კარგად არის გარე-  
დან შელესილი. სათოფურულებთან ახლოს წითელი და ყვითელი სა-  
ღებავებით შესრულებული უბრალო ნახატებია".

დიუბუს დროს, სოფ. გლოლის სახე უკვე მნიშვნელოვნად შე-  
ცვლილი ქმნიდა. ეს სოფელი გლოლის ანუ ჭანვახის წყალის ორივე  
ნაპირზე იყო გადაშლილი. მარცხენა მხარეზე დიდ მინდორზე და  
მარჯვენა მხარეს — ზედქალაქის გორაქზე და მას მიდამოებში. მუდმივი წყალდიდობის გამო სოფლის მარცხენა ნაპირი ანუ ძელი  
გლოლი, როგორც დიუბუს უწოდებს. უკვე მიტოვებული იყო.  
„გლოლის აღილმდებარეობა უფრო ლამაზია, ვიდრე ლების. —  
წერს იგი, — მაგრამ ლები უფრო დიდია და უფრო კარგად აშენე-  
ბული... (გლოლაში) ველზე დგას ხუთი ან ექვსი ოთხეუთა კოშეი,  
უფრო დაბალი ვიდრე ლებში... გლოლის მეორე ნაწილი მდებარე-  
ობს მაღალ კლდეზე, რომელიც ძელ ციხე-დარბაზს წაგავს... ამ  
ციხე-დარბაზიდან გზა მიდის ოსეთისაკენ და დიგორისაკენ. ახალი  
გლოლი ხისაგან არის აგებული და მდებარეობს ციხე-დარბაზის  
ძირში, რომელიც აღმართ ამ სოფლის მოსახლეობის თავშესაფარი  
იყო. აქვეა მინერალური წყლები, რომელიც არაფრით არ გამოიჩ-  
ჩევა ნაჩანის უნდილი წყლებისაგან. ამ წყლებზე ზაფხულობით  
მოდიან დამსვენებლები, მაგრამ გზის სიძნელე აფერწებს ივაღმყო-  
ფების მოსვლას".

გლოლის ზედქალაქის წმინდა გიორგის ეკლესიიდან სამი კი-  
დელიდა შემორჩენილი. „ბერის საყდარი" ჯერ კიდევ დგას, მაგრამ  
ამ პატარა ეკლესის ფრესკები თითქმის მთლიანადაა ჩამორჩები-  
ლი. გლოლის ნათლისმცემელის საყდარს ძელი სახე დაკარგული  
აქვს. გასულ საუკუნეში აღარსად ჩანდა ის მრავალი წიგნი და ჯირ-  
ხატი, რომელსაც ვახუშტი ახსენებს. ეკლესიაში სამიოდე ძელი ხა-  
ტიდა იყო შემორჩენილი. ერთი ხატის წარწერაში „წმიდაო გიორგი  
გლონისა" იკითხებოდა. „შეიძლება „გლონი", გლოლის ძელი სახე-  
ლი იყოს. მარი ბროსებ ნათლისმცემელის ეკლესიაში ნახა ძელი

ქართული ხელნაწერის რამდენიმე ფურცელი. შემდგომში ეს ფურცელებიც უკვალოდ დაიკარგა.

უამთა სიავეს ვერც ჭიორასა და ლების ფეოდალური ხანის ქებულები გადაურჩა. ჭიორაში ოღარც ძველი ეპლესია და აღარც „დურა“ როიანი“ სახლი. ლებში ერთი ქველებური ქვის სახლი შემორჩა.

ლების მაცხოვრის ეკლესია გასულ საუკუნეში დაინგრა. მის ნაცვლად ახალი ეკლესია ააგეს, რომელშიც თოთხმეტი ოქროს თუ ვერცხლის ხატი იყო დაცული. დღეს ეკლესია ოღარაა. ხატები მუზეუმს ჩაბარდა. გადაკეთების დროს დაინგრა „დედა ლეონისას“ ეკლესია. ეს სახელი შემდგომში მეზობლად მდგარ კოშეს ეწოდა, რადგან მორწმუნებს ამ კოშეის კარებთან მიპქონდათ შესაწირავი.



„ვიწათდან ლიბთ-ძმერითგან იყო წესი დადგმად გურგვისა თავსა სამეუფოსა, აწეს... მთავარებისკო- ბოსი ქუთათელი ანტონი საღირის ძე, შილებად გურგვისა, და ცალისკერძისა კაბაბერი, ერისთავი რა- ჭისა და თაკუერისა და სრულ შეეს... ვარდინის-ძეთა, საღირის-ძეთა და ამანელის-ძეთა შილება და დიდება ქრმლისა... თაყუანისცეს, დალოცეს და ადიდეს... თა- მარ შუდ-მნათობიერი.

თამარის შეფეხ კურთხევის ცერემონიალიდან, ქართლის ცხოვრება“, წიგნი II.

**ქ**ეთე საუკუნის ბოლომდე რაჭა, როგორც ცალკე ტერიტო- რიულ-ადმინისტრაციული ერთეული არარსებობდა. შემდეგდროინ- დელი საერისთავოს ტერიტორია ორ ქართულ პროვინციაში თაყუერ- ში და სვანეთში იყო განაწილებული. „მთიულეთი“ სვანეთს ეკუთვ- ნოდა. X ს-ის დასასრულმდე სვანეთში გლოლა და უწერაც შედიო- და. უწერას სამხრეთით რიონს მარჯვენა მხრიდან მუშანი შეერთ- ვის. ეს სახელი სახეშეცვლილი „მუშანენავალია“ — სვანეთის მდი- ნარეა, რომელიც რაჭის საერისთავოს შექმნამდე სასაზღვრო ხაზს წარმოადგენდა თაყუერსა და სვანეთს შორის.

ანტიკურ და ადრეფეოდალურ ხანაში თაყუერი ვრცელი პრო- ვინცია იყო, რომელშიც სულ ცოტა სამი ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყანა იყო გაერთიანებული. ერთი ასეთი ქვეყანა იყო რაჭა, რომე- ლიც დღევანდელი, ზემო და ქვემო რაჭის დიდ ნაწილს მოიცავდა.

ადრეფეოდალური, ხანის დასაწყისში სვანეთი და თაყუერი, ეგრისის ანუ ლაზიების საერისთავოები იყო, რომელთაც მეფის მიერ დანიშნული ერისთავები განაგებდნენ. მხოლოდ V საუკუნის 60— 70-იან წლებში ეს ორი პროვინცია მცირე ხნით ქართლის სამეფოს საზღვრებში მოექცა. XI საუკუნის ქართველ ისტორიკოსს ჯუან- შერს მოხსენებული ჰყავს ვახტანგ გორგასალის ერისთავებს შორის

„სამწალირ, შიდა ეგრისა და სვანეთისა“ და „ბაკურ ერისთავი მარ-  
გვასა და თაკუერისა“.

V—VIII საუკუნეები უმძიმესი ხანაა ჩეენი ქვეყნის ისტორიაში  
ჯერ მას აღმოსავლეთიდან ირანი უტევდა, ხოლო დასავლეთიდან —  
ბიზანტიის იმპერია. შემდეგ ამ ორ მტაცებელს შორის დიდი ომი  
ატყდა, რომლის მთავარ ასპარეზად დასავლეთ საქართველო გადა-  
იქცა. ირანელები ცდილობდნენ ხელში ჩაეგდოთ ის გზა, რომელიც  
აღმოსავლეთ საქართველოს, რომნისა და ენგურის სათავეებით, შე-  
ვა ზღვის სანაპიროებთან აევშირებდა. ამ საქმეში ერთხანს მათ  
წარმატებისათვისაც მიუღწევდათ. სპარსელებმა სვანეთი და, საფიქ-  
რელია, თაკუერიც დაიპყრეს. ეგრისის ხელისუფლებამ და ბიზანტიამ  
მათ ამ მხარიდან მხოლოდ 575 წლის შემდეგ ამოაკეთინა ფეხი.

ბიზანტია-ირანის ხანგრძლივი ომის დასრულების შემდეგ სა-  
ქართველომ ერთხანს მოისცენა. სულ რამდენიმე თოლეული წლის შემ-  
დეგ კი მას ახალი მტერი მოევლინა არაბების სახით. არაბებმა ჯერ  
ძართლი დაიპყრეს, ხოლო VII ს-ის დასასრულს დასავლეთ საქარ-  
თველოშიც გადავიდნენ. მაგრამ აյ მათ ფეხი მტკიცედ ვერ მოიკი-  
დეს, აჯანყება აჯანყებას მოსდევდა, რომელსაც მტრის დამსჯელი  
ლაშქრობები ახშობდა. საფიქრებელია, რომ არაბები ხშირად რიო-  
ნისა და ენგურის სათავეებში გამავალ გზის იყენებდნენ, ყოველ  
შემთხვევაში ამ გზით უნდა ელაშქრათ მათ 738 წ. კოდორის ხეობა-  
ში, სადაც ძლიერი ციხე იიღეს და ადგილობრივი მთავარი ევსტათი  
ტყვედ იგდეს. აღსანიშნავია, რომ არაბთა შემოსევის კვალი ტოპო-  
ნიმეებამაც შემოინახა. ძეგლების მიდამოებში არის მთა, რომელსაც  
„ნაარაბევი ქვდი“ ეწოდება.

✓ VIII ს-ის დასასრულს შეიქმნა ეგრის-აფხაზეთის სამეფო, რო-  
მელმაც მთელი დასავლეთ საქართველო გააერთიანა. ვახუშტის ცნო-  
ვით პირველმა მეფემ ლეონ II-მ თავისი საბრძანებელი რეა საერის-  
თავოდ დაყო. მათ შორის იყო „რაჭა-ლეჩხუმისა“ და „სუანეთის“  
საერისთავოები., სახელოვანი ქართველი მეცნიერის ეს ცნობა არ-  
სად სხვაგან დადასტურებული არ არის და სიეპვოდ გამოიყერება.

რაჭის ტერიტორია ანტიკურ ხანაში მჭიდროდ იყო დასახლებუ-  
ლი. VI — VIII სს-ში ძნელდედობის უამს მოსახლეობა ძალზე შემ-  
ცირდა. IX ს-ის დასაწყისიდან შშეიღობიანი ხანა დადგა და მოსახ-  
ლეობამაც სწრაფად იწყო მატება. დღემდე მოღწეული ნასოფლარე-

ბი თუ მატერიალური კულტურის ძეგლები მოწმობენ, რომ X ს-ში  
დღეგანდელი რაცა, ლეხებუმი თუ სკანდი ძალზე მცირდოდ იყო და-  
სახლებული. მიტომ ბაგრატ III-მ ამ მხარეში ერთი ახალი საერის-  
თავო ჩამოაყალიბა. მის ძირითად ნაწილს ისტორიულ-ეკოგრაფიუ-  
ლი ქვეყანა რაცა შეადგენდა. ამიტომ ახალ საერისთავოს რაჭებს სა-  
ერისთავო ეწოდა. ბაგრატ III-მ მის ერისთავიდ ლიპარიტისძეთა  
ინუ ბაღვაშთა ფეოდალური სახლის წარმომადგენელი დაიშნა.

VIII—IX სს-ში ბაღვაშები დას. საქართველოს უძლიერეს ფე-  
ოდალურ გვარეულობას წარმომადგენდნენ. IX ს-ის 80-იან წლებში  
ლიპარიტ ბაღვაში იმდ. საქართველოში გადავიდა, კლდეკარის ციხე  
აგო და თრიალეთის საერისთავო ჩამოაყალიბა. დაახლოებით ერთი  
საუკუნის შემდეგ მისი შთამომავლი რატი წინ- აღუდგა ბაგრატ  
III-ს. მაშინ 989 წელს საქართველოს მეფემ კლდეკარის ციხეს მო-  
ულოდნელად ალყა შემოარტყა და თრიალეთის ერისთავებს თავდაც-  
ვის ყოველგვარი იმედი გადაუწურა. „იხილა ჩა ეს რატი — წერს  
XI საუკუნის ერთი ქართველი ისტორიონი — ვამოვიდა ვარე და  
გამოიტანა შეილი მისი ლიპარიტ თანა... მისცა ციხე თვის ბაგრატს  
და თუთ დაჯდა მამულსა თჯსსა არგუეთს“.

X ს-ში არგუეთი ლიხის ქედიდან რითნამდე იყო გადატემული.  
ბაღვაშთა საკუთარი მამული ამ მხარის შხოლოდ მცირე ნაწილს მო-  
იცავდა. მასში შედიოდა სოფ. კაცხი და მისი მომიჯნივე სოფლები,  
დაახლოებით რაჭის მთას, მდ. ყვირილასა და მდ. ზუსას შორის. ასე  
რომ, ბაღვაშებს მცირდო ურთიერთობა ჰქონდათ რაჭისთან. ეს გა-  
რემოება გაითვალისწინა ბაგრატ III-მ როცა ახალი საერისთავოს  
გამგებლის კანდიდატურას არჩევდა.

ლიპარიტ რატის-ძეს სამი ვაჟი ჰყავდა: ლიპარიტი, ივანე და  
რატი. ივანე ლიპარიტის ძის შესახებ ისტორია არავითარ ცნობებს  
არ გვაწვდის. ლიპარიტ ლიპარიტის ძე კლდეკარის ერისთავი, ის-  
ტორიში კარგად ცნობილი კლდეკარის ერისთავი ლიპარიტ ბაღვა-  
შია, რომელმაც XI ს-ის შუა წლებში სიცოცხლე გაუმწარა საქარ-  
თველოს მეფე ბაგრატ IV-ს. მესამე ძმას კი, რატი ლიპარიტის ძეს, ]  
X საუკუნის დასასრულს ბაგრატ III-მ რაჭის ერისთავობა ]  
უბოძა.

კაცხის მონასტერში ჩვენი საუკუნის 20-იან წლებამდე ინახე-  
ბოდა ერთი გვარი, რომლის წარწერაში „რატი რაჭისა ერისთავი

ძითურთ” ღმერთს შეწყალებასა და დახმარებას თხოვს. ეს ჭვარი და  
მისი წარწერა აყად. გ. ჩუბინაშვილმა X საუკუნის დასასრულით  
და XI საუკუნის დასაწყისით დაათარილა. ეს ორის რაცეც ქავერის  
თავისი და თვით რაჭის უძველესი წერილობითი მოხსენიება. თვით  
რატი კი რაჭის პირველი ერისთავი რატი ლიპარიტის ძეა.

რატი ლიპარიტის ძე ძალზე მადლიერი დარჩა საერისთავოს  
წყალობით და საქართველოს მეფეს ერთგულად ემსახურებოდა. იგი  
1021 წელს დაიღუპა შირიმნის ბრძოლაში — სამხრეთ საქართვე-  
ლოში, სადაც მეფე ვიორგი I ბიზანტიის იმპერატორ ბასილისაგან  
ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას იცავდა. „მოკლეს ერისთავი და  
დიდებული რატი ძე ლიპარიტისი და ხურსი“ — წერს მის შესახებ  
ქართველი მემატიანე.

რატი ლიპარიტის ძის სიკვდილის შემდეგ ვიორგი I-მა რაჭის  
ერისთავობა მის ვაჟს კახაბერს უბოძა. დაახლოებით 10 წლის შემ-  
დეგ ეს უკანასკნელი ბერად აღიავედა, კირილეს სახელით და სა-  
ქართველოს მეფემ საერისთავო მის ძეს რატი კახაბერის ძეს გადას-  
ცა. ქედან მოგიდებული კახაბერისძე მამის სახელიდან გვარსახელად  
იქცა, რომელსაც ბაღვაშთა სახლის ის შტო ატარებდა, რომელიც  
რაჭეში იყო დამკვიდრებული. ასე რომ რაჭის ერისთავთა პირველ  
დინასტიას ჩვეულებრივ კახაბერისძებს უწოდებენ.

რაჭის საერისთავოს ჩამოყალიბების შემდეგ თაკუერის საერის-  
თავოს მნიშვნელობა ძალზე შეიზღუდა. შუაფეოდალურ ხანაში იგი  
მხოლოდ საკუთრივ თაკუერს (ცხენისწყლის ხეობის შუა წელს, და-  
ახლოებით დღევანდელი ცაგრის რაიონის) მოიცავდა. XI საუკუნეში  
თაკუერი სვანეთის ერისთავს ემორჩილებოდა, შემდეგ კი რაჭის  
ერისთავებს გადაეცა.

რაჭის საერისთავოს შემადგენლობაში გადავიდა მთიულეთის  
ორი სოფელი — უწერა და გლოლა. ასე რომ შუაფეოდალურ ხა-  
ნაში რაჭა კავკასიონის მთავარ ქედს ჭანჭახის ანუ გლოლის წყალის  
სათავეში ესაზღვრებოდა. რიონის ხეობა ჭიდროთას ზევით ქველავინ-  
დებურად სვანეთს ეკუთვნოდა. ამის გარდა, სვანეთსა და რაჭის  
საერისთავოს ერთმანეთისაგან ლეჩებმის ქედი გამოჰყოფდა. სამ-  
ხრეთით რაჭა რაჭის ქედამდე აღწევდა, აღმოსავლეთით — მდ. ჯ-  
ჯორის ხეობაში — დაღვერილის ქედამდე ვრცელდებოდა. ჯეჯორის

ზემო წელში მცირე ქვეყანა — კუდაროა განლაგებული. დღემდე  
მოღწეული ისტორიული წყაროები საშუალებას არ იძლევა დავალ-  
გინოთ, თუ ვის ემორჩილებოდა ეს პატარა მხარე შუაფეოდალურ უ-  
ხანაში — რაჭის ერისთავეს თუ ქართლისას. ასევე უცნობია სახლვა-  
რი ამ ხანაში რაჭისა და თაყუებს შორის. ამასთან დაკავშირებით მე-  
ტად საინტერესოა ერთ-ერთი სახარების მინაშერი, რომელიც თავის  
დროზე ლაბეჭინას საყდარში ინახებოდა, საყდარში, რომლის ნან-  
გრევები დღესაც დგას ლაბეჭინას ანუ გველისთავის ქედზე.

ამ მინაშერიდან ირკვევა, რომ XIII თუ XIV საუკუნეში ეს  
საყდარი მიწისძერისაგან დანგრეულა. იგი ვინე გაბრიელ ლაბეჭი-  
ნელს აღუდგენია და ყმა-მამულიც შეუწირავს „ზემო აგარასა და  
კვირიეწმინდას... ქვემო აგარას, ზოგიშს, ზოშხას, ...საირმეს, არპა-  
ნასა“. აქ ჩიმოთვლილი სოფლები ყველა ლაბეჭინას ან გველითავის  
სერის აღმოსავლეთით მდებარეობს და ნაწილობრივ დღევანდელი  
რაჭის ტერიტორიაა. ამიტომ ყველა ეს სოფელი შუაფეოდალური  
ხანის რაჭის საერისთავოს სოფლებად უნდა ვიგულისხმოთ. შესა-  
ბამისად ამ ხანაში სახლერად რაჭისა და თაყუებს შორის „გუელის-  
თავის ქედი“ უნდა მივიჩნიოთ. უშუალოდ რითნის ხეობაში რაჭის  
საზღვრები იმ ვიწროებამდე აღწევდა, რომელიც სოფ. არპანას  
(დღევანდელი ალპანას) ქვემოთ იწყება.

შუაფეოდალურ ხანაში, ყველა და მათ შორის რაჭის ერისთა-  
ვიც, საქართველოს მეფის მოხელეს წარმოადგენდა. იგი თავის სა-  
ერისთავოში კრებდა სახელმწიფო გადასახადს და საჭიროების შემ-  
თხევებაში რაჭიდან გამოყვანილ ლაშქარს უძლოდა წინ.

რაჭისა და მისი მეზობლის, სვანეთის ერისთავებს იმერქავება-  
სის დას. ნაწილში საქართველოს სამეფოს გავლენის განმტკიცება-  
ვაფართოვება ევალებოდათ. მმ დროს აქ მოსახლე ტომები ქართველ  
მეფეთა ვასალებად ითვლებოდნენ. ამის გარდა, როცა ჩვენი ქვეყ-  
ნის ინტერესები მხოლოდ დას. საქართველოს ან როგორც მას ამ  
დროს უწოდებდნენ ლიხთ იქითის|| ლიხთიმერეთის|| იმერითის  
ლაშქრის შეკრებას მოითხოვდა, რაჭის ერისთავი ვალდებული იყო  
ამ ლაშქრობაში მონაშილეობა მიეღო. თუ ბრძოლაში მთელი სა-  
ქართველოს ლაშქარი იღებდა მონაშილეობას, მაშინ რაჭიდან გა-

მოყვანილი მეომრები იმ ფლანგზე იძრძოდნენ, სადაც დასავლეთ-  
საქართველოს რაზები იყო განლაგებული.

XIII ს-ის პირველი მეოთხედის ერთი ქართველი ისტორიკოსის  
ცნობით, როდესაც დიდებულმა თამარმა 1195 წ. შამქორის ცნო-  
ბილი ბრძოლის წინ ერთიანი საქართველოს ლაშქრი დაათვალიერა,  
მას შემდეგი სურათი წარმოუდგა: „მიეგებნის წინა ოცნები და ყიფ-  
ჩიანი ახალნი და შემდგომად ამისა ჰერნი და კახნი: შემდგომად  
ქართველნი; და შემდგომად მცხენი და თორელნი; შავშ-კლარჯ-ტაო-  
ელნი; შემდგომად აფხაზნი — და სუან-მეგრელ-გურიელნი და თანა  
რაჭა-თავეურ-მარგველითურთ“... როგორც ცნობილია, შამქორის  
ბრძოლაში საქართველოს ლაშქარმა ბრწყინვალედ გაიმარჯვა და  
კიდევ ერთხელ დადგებით შეამცირა ქართველთა სახელი.

კახაბერისძეთა მთავარ ციხესიმაგრეს სოფ. წესთან მდგარი  
მინდას ციხე წარმოადგენდა. ქვე რაჭის პირველმა ერისთავმა, რატი  
ლიპარიტის ძემ, თავისი კარის ეკლესია, ბარაკონის ღვთისმშობლის  
ეკლესია ააგო, სადაც საეკლესიო სამხახური, 750 წელზე მეტ ხანს,  
1753 წლამდე სრულდებოდა. შემდეგ კი, როდესაც ბარაკონში ახა-  
ლი ტაძარი აიგო, ძველ ეკლესიაში წირვა-ლოცვა შეწყდა. ასე რომ  
გასულ საუკუნეში მას სახურავი აღარ ჰქონდა. ეს ეკლესია ერთ-  
ნავიან შენობას წარმოადგენდა და იგი ტუფის ქვით იყო ნაშენი.  
მას შიგნით ალებასტრის საცხოო რჩნამენტებით შემკული კანკე-  
ლი ამშვენებდა. ბარაკონის ძველი ეკლესია დღეს მთლიანად დან-  
გრეულია. შემორჩენილია მხოლოდ საძირკველი ახალი ეკლესის  
შენობის ახლოს, დაახლ. 500 მ დაშორებით. საძირკველი ეკალ-ბარ-  
დებითა დაფარული, ძველი კანკელი კი უკვალოდ დაიკარგა.

ქვემო რაჭაში, სოფ. პატარა ონში (ძეელად ამ სოფელს უბრა-  
ლოდ ონი ეწოდებოდა) დგას ორი ძველი ეკლესია, ერთი „რაკეთის  
წმინდა ნიკოლოზის“ და მეორე — წმინდა გიორგის სახელმბაზე  
აგებული. რაკეთის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია XI ს-ის პირველ  
მესამედშია აშენებული. ეს არის ერთნავიანი დარბაზული ტიპის  
შენობა ტუფითა და თლილი ქვით აგებული. ეკლესის აღმოსავლე-  
თი ფასადი შემკული იყო ჯვრითა და ასომთავრული წარწერით,  
რომელიც ქარაგმების გახსნით ასე იკითხება: „წმიდაო ნიკოლოზ  
საკურველომშედო და მფლობელო ყოველთა საუკუნეთაო, მფარ-

ველ ექმინ ყოველთა დღეთა ცხორებისა მათისათა კახასა და ოდე-  
ლაიდას, რომელთა აღაშენეს წმიდა ეკლესია ესე“.

ეს ეკლესია საუცხოო ჩუქურთმიანი კანკელით იყო შემტკბილი,  
ლი, რომლის წარწერაში ასევე კახა მოხსენიებული.

რაეთის წმინდა ნიკოლოზის ეკლესია ჯერ ძილევ ჩვენი საუც-  
ხის 20-იან წლებში იყო ძალზე დაზიანებული. 1930 წელს გ. ბოჭო-  
რიძემ ამ ეკლესის რვა წარწერიანი ქვა ჩამოხსნა და ქუთაისის  
მუზეუმს ჩააბარა. 1969 წელს დაიწყო რაეთის წმინდა ნიკოლოზის  
ეკლესის აღდგენა-გამაგრება, მაღაქია დვალის ხელმძღვანელობით.  
ეკლესის თავდაპირველი სახე აღდგინეს. გ. ბოჭორიძის მიერ ჩა-  
მოხსნილი ქვები მოიტანეს და ძველ იდგილზე ჩასვეს. სამწუხაროდ,  
ამ ქვებიდან ორი დაკარგული იღმოჩნდა.

პატარა ონის წმინდა გიორგის ეკლესიაც XI ს-ის პირველ მე-  
სამედიში უნდა იყოს აგებული. დასავლეთის შესასვლელის თავზე  
ასომთავრული წარწერაა: „ქრისტე ღმერთო, მფლობელო ყოველთა  
საუცხოოთო, მეოხებითა წმიდისა ღმრთისმშობლისათა, წმიდისა  
ნიკოლაოზისათა წმიდისა გიორგისათა, აღწოცენ ყოველნი ბრძონი  
მათნი ერისთავსა კახასა, და ადელაიდა დედოფალი და შვილნი მათ-  
ნი ყოველნი დაცვენ ყოველთაგან საკუნძულოთა, რომელთა აღაშენეს  
კარისბჭეი ესე“.

ორივე წარწერებში მოხსენიებული კახა იგივე კახაბერ რატის  
ძე, რაჭის მეორე ერისთავია. ჩანს კახაბერისძეებს ქვემო რაჭაში თა-  
ვის რეზიდენციად პატარა ონი აურჩევიათ.

ორი საუკუნე რაჭის ერისთავები ერთგულად ემსახურებოდნენ  
საქართველოს მეფეს და დიდ წარმატებას აღწევდნენ სამეფო კარზე.  
ისინი მეფეთა კარზე ერთ-ერთ საპატიო როლს ასრულებდნენ. ეს  
კარგად ჩანს თამარის მეფედ კურთხევის ცერემონიალიდან.

1191 წელს თამარ მეფის წინააღმდეგ აჯანყებამ იფეთქა. ამბობ-  
ში რაჭის ერისთავიც იღებდა მონაწილეობას. მისი როლი შედარე-  
ბით უმნიშვნელო იყო. ამიტომ აჯანყების ჩაქრობის შემდეგ იგი არ  
დაუსჭიათ და საერისთავოც დაუტოვეს. რაჭის ერისთავს საერისთა-  
ვო არც მას შემდეგ ჩამოართვეს, როდესაც მისმა ხუთმა გაუმბა  
უორნი მმანი ანტონ კუინდიდელისანი დაკოცეს“, თამარმა მმები  
ჯერ „ციხესა შესუა“, შემდეგ კი „ექსორია ყვნა მაკედონიას საბერ-  
ძნებითისასა. მუნ მოსწყდეს ყიფჩაყთა მიერ კარგი კაბუკი ბრძოლასა

შინა, ვითარცა გუესმა” — წერს თამარის ისტორიკოსი. ეს უკანას-  
კნელი ცნობა სწორი არ უნდა იყოს.

.1230 წელს რაჭის ერისთავი საქართველოს წარჩინებულთა შო-  
რისაა. იგი მონაწილეობას იღებდა დავით რუსუდანისძის (შემდეგში  
დავით ნარინი), თავის დედის თანამოსაყდრედ ანუ თანამეფედ კურ-  
თხევაში.

1235 წ. საქართველოს მონღოლები შემოესიერ. რუსუდან მეფე  
დას. საქართველოში გადავიდა და მხოლოდ 1242 წელს დაბრუნდა  
თბილისში და მონღოლებს დაემორჩილა. იმ წარჩინებულთა შორის,  
რომლებიც მეფეს ახლდნენ, რაჭის ერისთავიც იყო. 1245 წელს რუ-  
სუდანი გარდაიცვალა. მონღოლებმა ქვეყანა 8 ნაწილად, დუმნად  
დაყვეს და დუმნისთავს ათი ათასი მხედარი უნდა გამოეყვანა. დას.  
საქართველოში ორი ასეთი მოხელე დაინიშნა: ცოტნე დადიანი და  
რაჭის ერისთავი. ქართველებმა მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყება  
გადაწყვიტეს და მოსათათბირებლად დიდებულებმა კოტბასთავს  
მოიყარეს თავი. შეთქმულთა შორის რაჭის ერისთავიც იყო. სამწუ-  
ხაროდ აჯანყება ვერ მოხერხდა.

1247—1248 წწ. მონღოლებმა საქართველოში ერთდროულად  
ორი მეფე დასვეს: ლაშა გიორგის შვილი დავით (დავით ულუ) და  
რუსუდანის ძე ასევე დავითი (დავით ნარინი). 1259 წელს დავით  
ნარინი აჯანყდა და დასავლეთ საქართველოში გადავიდა. იმ დიდე-  
ბულთა შორის, რომლებიც მის ქუთაისში შესკლას აღტაცებით შე-  
ეგვენენ, რაჭის ერისთავიც იყო. მალე მონღოლებს დავით ულუც  
იუჯანყდა და 1261 წელს მანაც დას. საქართველოს მიაშურა. თავ-  
დაპირველად მეფეებს შორის მეგობრობა სუფევდა, შემდეგ დიდე-  
ბულებმა ისინი ერთმანეთს დაუპირისპირეს. შფოთის ერთ-ერთ  
ინიციატორად რაჭის ერისთავი კახაბერ კახაბერის ძე ჩანს. ეს სრუ-  
ლიადაც არა გასაკეთო. რადგან დავით ულუ მძისი სიძე იყო. მას  
„კახაბერისძეთა რაჭის ერისთავთა ასული, სახელით გუანცა, ქმნილ-  
ექთილი“ ჰყავდა ცოლად. გვანცას ვაეთ იყო იყო დიმიტრი მეფე, რომე-  
ლიც დიმიტრი თავდადებულის სახელითა ცნობილი.

დავით ულუმ ბრძოლა წააგო და იძულებული შეიქმნა 1261 წ.  
მონღოლებს შერიგებოდა. ამის შემდეგ თითქმის 70 წელი ერთიანი  
ქართული სახელმწიფო ორ — აღმოსავლეთ და დასავლეთ ნაწილად

იყო გაყოფილი. რაჭის საერისთავო დასავლეთ ქართულ სახელმწიფოში შედიოდა, რომელიც მონღოლთა ბატონობის არ ცნობდა.

კახაბერ კახაბერისძემ დავით ნარინის წინააღმდეგ ბრძოლა არ უკაუთავს. მონღოლებმა იგი ხელში ვერ ჩაიგდეს და უკან გამობრუნდნენ. რაჭის ერისთავი იძულებული გახდა მათ გაყოლოდა იღმ. საქართველოში. დავით ნარინმა რაჭის ერისთავს ცოდვები შეუნდო და საერისთავოც დაუბრუნა. კახაბერ კახაბერისძეს კვლავ ლალატისაკენ ეჭირა თვალი. როდესაც ეს გამომჟღავნდა, დავით ნარინმა რაჭის ერისთავს საერისთავო ჩამოართვა და სასტიკად დასაჯა. მისი „ორზი შვილნი მისცა ექსორიობად, კონსტანტინოპოლს წარგზავნა“. ეს მოხდა 1278 წელს.

1329 წ. ოცდა საქართველოს ერთიანობა და რაჭაც ერთიანი ქართული სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი გახდა.

ირკვევა, რომ დავით ნარინის გაძევებულ კახაბერ კახაბერისძის ვაჟებს სამშობლოში დაბრუნება მოუხერხებიათ. ამაზე მეტყველებს ერთი დოკუმენტი. ესაა წყალობის სიგვლი, რომლითაც ერისთავმა, მირიან ვარელისძემ გიორგი და აღსართან შერმაზანიშვილებს ათი კომლი გლეხი უბოძა. შერმაზანიშვილებს ერისთავი ერთგულად დაუცავთ, როდესაც მას შაორში გიორგი კახაბერიძე დასხმია თავს. შემდეგ კახაბერიძეს ნიკორწმინდის საყდრისათვის შეუფარებია თავი, საიდანაც ვარელიძეს გამოუყვანა და ტყვედ ჩაუგდია. გიორგი კახაბერისძე რაჭის ერისთავთა შთამომავალი უნდა იყოს.

მირიან ვარელისძე რაჭის ერისთავია. საქმე ისაა, რომ XIV საუკუნის დასასრულს და XV ს-ის დასაწყისში მეფეებ ამ მხარეში ერისთავობა აღადგინადა ვარელისძეთა საგვარეულოს გადასცა.

XIII—XV საუკუნეებში რაჭაში მოიხსენიებიან გარაყანიძეები, ლასხიშვილები და ჭაფარიძეები. XV ს-ის მეორე ნახევრიდან ამ კუთხეში იაშვილების, კვიტაშვილების, გამყრელიძეების, ბაქრაძეების და ყიფიანების ფეოდალური სახლებიც ჩანს.

ბეთლევში დგას დანგრევის პირის მისული ეკლესია, რომელიც ძველად შიგნიდან ბრწყინვალე ფრესკებით იყო შემკული. დღეს მათი ფრაგმენტებილა შემორჩენილი. გ. ბოჭორიძის დროს ფრესკები ბევრად უკეთესად გამოიყურებოდა. სამხრეთის კედელზე გამოხატული იყო ამ ეკლესიის აღმშენებელი—ქრისტი.

ფრესკის წარწერის დაზიანებისა გ. ბოჭორიძემ მაინც შეძლო ~~გა-  
ერჩია; „იასშვილი“ და „რომლისგან აღმართებული ეკლესია სახელთა ზე-  
და ბეთლემისა, ღვთისმშობლისა. ქორონიკონისა რპა“.~~ ე. ი. რპა ანუ  
1493 წ. აუგია ბეთლემის ეკლესია უცნობ აშვილს.

ბეთლემის ეკლესის ჩრდილო კედელზე გამოხატული იყენებ  
კვიტაშვილთა წარმომადგენლები: „ქართლისა მთავარეპისკომოზი  
უა ია წელიწადსა იერუსალიმის ჯვარის მამა კვტასშვილი იოანე“;  
„ძმისწული მათი ზაქარია“; „თაყა კვტასშვილი და უთრუთ, შვილ-  
ნი მისი შეიწყალნეს ქრისტემან ლერთმან, ამინ“.

იოანე და თაყა კვიტაშვილები მოხსენიებული არიან საქართვე-  
ლოს მეფის გიორგი VIII-ის, 1463 წლის სიგელში, რომლითაც მე-  
ფემ „ერთგულად და თავდადებით ნამსახურთა... ორალელის ძეთა  
კუიტასშვილთა მღდელ-მონაზონსა იოვანეს და თქვენთა ძმათა თა-  
ყას, გიორგის, ასახს, სულას და საგინძას... სრული სისხლი ოთხასი  
ათასი ძველი ცხუმური“ გაუჩინა.

სასისხლო სიგელები ქართული სამართლის მეტად თავისებურ  
დოკუმენტებს წარმოადგენდნენ. ეს იყო საბუთი, რომლითაც განი-  
საზღვრებოდა ამა თუ იმ ფეოდალის საგვარეულოს სისხლი. ე. ი. ის  
თანხა, რომელსაც დამნაშავე იხდიდა ამ საგვარეულოს რომელიმე  
წევრის მოკვლისათვის ან კიდევ მათი სხეულის თუ ქონების დაზია-  
ნებისათვის. ერთი ასეთი სიგელი გამყრელიძეების გვარზეც შემორ-  
ჩა. ეს სასისხლო სიგელი 1458 წ. გიორგი VIII-ს გაუცია. მეფეს  
„დიდად ერთგულნი და თავდადებით ნამსახურნი გამყრელილისე  
შალვა და შვილი მათი ინდუა და მამისა“ შეუწყალება და „სისხ-  
ლად ორას ოცი ათასი ძველი ცხუმური“ დამტკიცებია.

საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში  
დაცულია ერთი საბუთი, რომელშიც ვკითხულობთ: „ჩვენ მეცეთ-  
მეფებმან თეიმურაზ და მეულემან ჩემმან დედოფალთ დედოფალმა  
ჩერქეზის ბატონის ასულმა თუთამ და ძემან ჩემმან ალექსანდრემან  
გიბოძეთ ესე წყალობის წიგნი თქვენ ჩერქეზიდან მოწოდებულსა,  
ერთგულსა ბაქარი ბაქრაძესა და ძესა შენსა ვახტანგსა და დავითს.  
ამა წერილით დაგიმტკიცეთ სოფელი ჯვარისუბანი და ზეით სულო-  
ბით შემერი, ბაჯი, სევსა და ცხმორს ჩვენი სახასო კაცი რაც იყო,  
სოფელი ჩორდი, თავის ციხითურთ, მთა სარჩოდ... დაიწერა ქორო-  
ნიკონისა რპ, აპრილსა 9-სა.“

ქორონიკონი რპ 1492 წელია. საბუთში მოხსენიებული ჯვარის-  
უბანი შემდეგდროინდელი ჭრისუბანია (დღევანდელი შრომისუბანი).

ისტორიაში არ არის ცნობილი თეიმურაზ მეფე, რომელმაც  
ბაქრაძეებს ეს სიგელი უბოძა. 1501 წ. ამ სახლისათვის სახისხლო  
სიგელის მწყალობელი ალექსანდრე მეფე კი, იმერთა მეფეა, ალექ-  
სანდრე II. მას ვახტანგ და დავით ბაქრაძისათვის „სრული სისხლი  
ცხრა ასი ათასი კირმანეული“ დაუდგენია. თავისანთი ერთგული მსა-  
ხურების სისხლის ძვირად შეფასება მეფეებს არაფერი უჯდებოდათ,  
ამიტომ ისინი, ბუნებრივია სიძუნწეს არ იჩენდნენ.

1489 წ. ერთანი ქართული სახელმწიფო საბოლოოდ დაიშალა  
ცალკეულ სამეფო-სამთავროებად. რაჭის საერისთავო ახლად შექმ-  
ნილ იმერეთის სამეფოში შევიდა. იმერეთის სამეფოში რეფორმები  
ბაგრატ III-მ, იმერთა მეფემ ჩატარა. 1534 წ. მეფემ რაჭისთვისაც  
მოიცალა: „ბაგრატ მეფემან დასუა ერთისთავად რაჭას ჩხეიძე შოში-  
ტა და მისცა რომელნიმე სახსოვ დაბანი და ციხე — მინდა“ —  
წერს ვახუშტი.

სახელოვან ქართველ ისტორიკოსს ეს აქტი დავით ნარინის მიერ  
რაჭის საერისთავოს ოდგენიად მიაჩნია: „აქამომდე იყო რაჭი სამე-  
ფოთ და კუალად ჰყო საერისთავო“. ეს აქარად შეცდომაა, რადგან  
რაჭის საერისთავო, როგორც მეითხევლმა უკვი იცის, სამეფო ხე-  
ლისუფლებამ XIV—XV სს-ების მიწნაზე აღადგინა. რაჭის საერის-  
თავოს საზღვრები მნიშვნელოვნად იყო შეცვლილი 1534 წელს, X—  
XIII საუკუნეებთან შედარებით. ამ დროისათვის მის შემადგენლო-  
ბაში შედიოდა თითქმის მთელი მთიულეთი. რიონის სათავეები უკ-  
ვი რაჭას ეკუთვნოდა. სამავიროდ სამხრეთ-დასავლეთით ამ საე-  
რისთავოს ტერიტორია ნაწილობრივ შემცირებული იყო. გვიანჯე-  
ოდალურ ხანაში თაკუერი აღარ არსებობდა. მისი ადგილი ლეჩხუმ-  
შა დაიკავა, რომელიც მოიცავდა ცხენისწყლისა და ლაჯანურის ხეო-  
ბებს („კლდეაღმართი“), რიონის ხეობის ერთ ნაწილს („კლდედაღ-  
მართი“) და რიონის ხეობისვე სოფლებს, რომელიც გველისთავის  
ქედისა და ასკის წყალს შორის იყო მოქცეული. ამ მხარეს „მთის  
გაღმართი“ — ლეჩხუმი ეწოდებოდა.

გვიანფეოდალურ ხანაში რაჭის საერისთავო ჩრდილო-აღმოსავ-  
ლეთით გლოლისწყალსა და რიონის ხეობებში უშუალოდ კავკასი-  
ონის მთავარ ქედს ადგებოდა. სვანეთის საზღვარი ლეჩხუმის ქედ-

ზე გადიოდა. შემდეგ ის მიჰყევებოდა ასკისწყალსა და თავშავის ქედს, რომლებიც რაჭას ლეჩებუმიდან გამოყოფდა. მოგვიანებით სოფ. ზემო ღვარდია ლეჩებუმის შემადგენლობაში შევიდა. ასე რომ, უშუალოდ რიონის პირას, მარცხნა ნაპირზე ლეჩებუმსა და რაჭას მდ. შარეულა ყოფდა. სამხრეთით კი რაჭის ქედი მიჯნავდა იმერეთის მხარეებიდან: ოქრიძა, არგვეთი და ზემო მხარი ანუ ზემო იმერეთი. ჯეჯორას ხეობაში რაჭა დალვერილას ქედამდე იღწევდა, რომელიც მას კუდაროდან გამოჰყოფდა. ასე ჩამოყალიბდა საბოლოოდ XVI ს-ში ქართული, ისტორიული პროვინცია, რომელსაც დღესაც რაჭას უწიდებენ, ხოლო მის მოსახლეობას — რაჭელებს.

✓ თავის დროზე სორის ჯვარცმის ეკლესიაში ინახებოდა ძველი სახარება, რომლის ერთ, XVI-ის შინაწერში მოხსენიებულია „ერთი ზროხა კუდაროს ბეგრისაგან“. ესაა ამ პატარა ისტორიულ-გეოგრაფიული ქვეყნის პირველი მოხსენიება წერილობით წყაროებში. მასში გვინდუოდალურ ხანაში ოცმდე სოფელი შედიოდა: აბანო, არაშენდა, გულიანთა, დიდი ბოეა, ზამთარეთი, კობიანთა, ნადარბაზევი, ნაკრებავი, საჯვარი (კვაისა), ქეემო ბოეა, შუა ჭალა, შეუბანი, წონა, ჯვისთავი, ჯვნარა. ზოგჯერ ისხენიება სოფ. კუდაროც, რომლის ნამდვილი სახელწოდება არის ჩასავალი. თავდაპირველად კუდარო ქართველებით იყო დასახლებული. მოგვიანებით, XVI თუ XVII საუკუნეში, აქ ოსები სახლობენ. ეს პროცესი, როგორც ჩანს, შევიდობიანად მოხდა. ეხება რა ლიახვის სათავეებში ოსების გადმოსახლებას, ვაზუშტი აღნიშნავს: „პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთავან გარდმოსახლებულან ოვსნი და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინაითგან მტერთავან ბარსა შიგან კაცნი შემცირებულან“. დაახლოებით ასე მოხდა კუდაროში ოსების ჩამოსახლება. გვიანდუოდალურ ხანაში ეს მხარე ჩვეულებრივ რაჭის ერისთავს ემორჩილებოდა და მათზე ბატონობის უფლებას ჯაფარიძეთა ფეოდალური სახლი ჩემულობდა. 1768 წ. გულდენშტედტის ცნობით, ჯაფარიძეთა ფეოდალური სახლის ერთ წარმომალგენელს კუდარო დაუკლა თავის რაზმით და ყველა კოშკი სანახევროდ დაუნგრევინებია. კუდარო რაჭის შემადგენლობაში დარჩა 1810 წლამდე, როდესაც დასაცლეთ საქართველო რუსეთს შეუერთდა.

ბალს ზემო სვანეთისა და ჯაფარიძეთა წიგნში ჯაფარიძები

„რაჭის თავადად“ არიან მოხსენიებული. სინამდვილეში, XVI ს-მდე  
საქართველოს ამ კუთხეში სათავადოები არ არსებობდა. ყველა ზე-  
მოთ ჩამოთვლილი წარჩინებული, მეფის აზნაური იყო. ამ საუკუნი-  
დან იწყება სათავადოების ჩამოყალიბება რაჭაში. ამის შედეგად  
ზოგი სამეფო აზნაურის სახლი თავადთა თუ რაჭის ერისთავთა აზნა-  
ურებად გადაიქცა, ზოგი ძირდებული ფეოდალური საგვარეულო კი  
ძირდებული შეიქმნა რაჭა მიეტვებინა და საქართველოს სხვა  
კუთხეებში გადასახლებულიყო. პირველ რიგში ეს გარეყანიძეების||  
გარაყანიძეების საგვარეულოს შეეხება.

ონის საგანის წმინდა გიორგის და ლების მაცხოვრის ეკლესიებ-  
ში ჩვენი საუკუნის ოციან წლებამდე დაცული იყო XIII ს-ის  
სამი იშვიათი ხელობის ხატი, რომელთა წარწერებში მები მიქელ,  
ფურთუხ და იოვანე გარეყანიძეები არიან მოხსენიებული. აქედან  
ერთი ძმა — ფურთუხი — იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპშიც  
გვხდება, როგორც სიძე „ბერენ მანდატურთუხუცესია ვარდანის  
ძისა“. ფურთუხს სიმამრის სულის საოხად მონასტრისათვის „ორი-  
ათასი თეთრის წითელი“ გაუჩენია, რაც იმ დროისათვის საკმაოდ  
დიდი თანხა იყო. საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში სოფ.  
ხონჭიორში ორი ახალი ეკლესია იღვა, რომელთაგანაც ერთში,  
ღეთისმშობლის ეკლესიაში, ბუაძეების უბანში ძველი, უკვე დან-  
გრეული ეკლესიიდან გადმოტანილი საეკლესიო ნივთები ინახებოდა.  
მათ შორის იყო XIII ს-ის ხატი, რომლის წარწერებში გარეყანიძე.  
გიორგი და გარეყანიძე მიქელია მოხსენიებული. ეს უკანასკნელი  
ღებისა და ონის ხატების წარწერებში აღნიშნული ფურთუხ გარე-  
ყანიძეს ძმა მიქელი უნდა იყოს. ამავე ხონჭიორის ეკლესიაში ინახე-  
ბოდა უფრო მოვეიინო ხანის ერთი ხატი, რომლის წარწერაში ხელი  
გარეყანიძეა მოხსენიებული. აქევე იყო სახარების ძველი ხელნაწერი,  
რომლის XIV თუ XV საუკუნის მინაწერში ვინმე გოგნია გარეყანიძე  
ჰელიშის ეკლესის სწირავს „გოდელაური, ონსა მამული გლეხი-  
თურთ“. მინაწერის ონი დღევანდელი პატარა ონია, ხოლო გოდე-  
ლაური, გ. ბოჭორიძის მიხედვით, ჰედელაურია — საყანე ადგილი  
ამავე სოფელში.

როგორც ირკვევა, გარეყანიძეები რაჭაში კახაბერ კახაბერისძის  
გადაყენების შემდეგ დამყვიდრდნენ. მათ კახაბერიძეების ყმა-მამუ-  
ლის ერთი ნაწილი მიუღიათ. ძირითადად ეს იყო ქვემო რაჭის ის

სოფლებით, რომლებიც შარეულას ხეობაში მდებარეობდა. XVI ს-ში  
გარეყანიძეების ვარეულობა უკვე რამდენიმე სახლად იყო დაყო-  
ფილი. ამ საუკუნის შუა წლებში ერთი სახლის მეთაური უშვილორ  
გადავარდნილა. — „გარეყანიძე უშვილო იყო და მე მიანდერა  
მისი მამული“ — ვკითხულობთ ბაგრატ იმერთა მეფის, 1544 წლის  
სიგელში — და მე შემოვსწირე და მისთვის არავინ რას მემართლე-  
ბის და ესე გარეყანიძე შორს განაყოფი არს და არც ამასთან საქმე  
აქვს“. 1591 წ. გარეყანიძეების საგვარეულომ დიდი „დამცრობა“  
გადაიტანა. ამ წელს იმერთის მეფე ლეონმა ნიკორწმინდას უბოა  
„რაჭას ესტატე გარეყანიძის შვილები მისითა გამულითა; ესენი  
მკვიდრად და სამმულოდ...“ ეს იქტი ძველი ფეოდალური საგვარე-  
ულოს საეკლესიო აზნაურობამდე ჩამომცრობას უდრიდა. გარეყანი-  
ძეებმა ეს უკვე ვეღარ იტანეს, რაჭისა და იმერთის მეფის ქვე-  
შევრდომობა მიატოვეს და ქართლში გადავიდნენ.

✓ გვინთვეოდალური ხანის საქართველოს წარჩინებულ გართა  
ჩამოთვლის დროს ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნავს: „ხოლო რაჭას  
წულუკიძე, იაშვილი, ჯაფარიძე, ინასარიძე, ლასნიშვილი“. სინამ-  
დვილეში აქ ჩამოთვლილი ბოლო ორი გვარი რაჭაში უკვე აღარ  
ცხოვრობდა.»

ინასარიძეების რეზიდენციას, რაჭისა და ლეჩხუმის საზღვარზე,  
ზედა ღვარდისთან ახლო მდებარე, ღლეს ნასოფლარი კვაცხუთი  
წარმოადგენდა (არ უნდა იგვერიოს ამბროლაურთან ახლოს მდება-  
რე კვაცხუთთან). აქ ღლესაც შეიმჩნევა ძველ ნაგებობათა კვალი.  
XVII ს-ში ისინი იძულებული შეიქმნენ ლეჩხუმში გადასულიყვნენ,  
საიდანაც მრავალი ლეგენდა შემოჩა გორგო ინასარიძის შესახებ.  
მან მოახერხა რიონის ხეობის ანუ კლდედალმართი ლეჩხუმის დასა-  
კუთრება, რომელსაც მისი სიყვდილის შემდეგ დიღხანს საინასარი-  
ძოს უწოდებდნენ.

ბუგეულში ღლესაც კარგად არის შემონახული და მოვლილი  
ლეთისმშობლის ეკლესია, რომელიც 1838 წ. შეუკეთებიათ. ამას  
მოწმობს წარწერა ჩრდილოეთის კედელზე, სადაც ვკითხულობთ:  
„...ჩყე წელში ამა ჩრდილოეთის მხრით ცალი მხარე ჩამოიქცა.  
ვსოთხვე შენს შემავალ მრევლს ნება ეკლესიის გაქოთებისა და თვი-  
თონაც ინგებს. ამა საქმის დამწყობად დამნიშნეს. ვიგულმოდგინეთ  
და გავაკეთეთ ეკლესია შენი და მცირედი შრომა მოვიდე. ვითხოვ

რათა მეოხ გვიყავი ჩვენ დედაო მაღლისაო მხილეელნო ეკლესიანი,  
ვითხოვ რათა შენდობას გვიბრძინებდეთ მონასა ღვთისასა და წნევაზე  
პრაპოშჩექს აღმასხან წულუკიძეს როსტომის ძეს. შესრულდა შეზოგადება  
ნება ამ ეკლესისა თვესა ივლისსა ჩყლც წელსა. ოსტატი ამ აშენები-  
სა ფრიად მშრომელი წმინდის გენათის ყმა ლაზარე“...

ჩყკე 1825 წელია, ჩყლც — 1838 წელი. აქვე ჩრდილოეთის  
კიდელზე მეორე პატარა წარწერაცაა, რომლის მიხედვითაც ირკვე-  
ვა, რომ 1838 წელს ეკლესის აღდგენაში მონაწილეობა მიუღია აზ-  
ნაურ ვასილ სანიკიძეს.

ბუგუულის ღვთისმშობლის ეკლესია აგებულია XVI საუკუნეში,  
ივი ამავე ხანის ულამაზესი ფრესკებითა შემქობილი, სადაც წმინ-  
დანების გვერდით ამ მხარის წარჩინებულებიც არის გამოხატული.  
ჩრდილოეთის კედელზე ლასხიშვილთა ორი ოჯახის ფრესკებია.  
ერთი — ლასხიშვილი ლაშხა, რომელსაც ხელში ეკლესის მოდელი  
უკირავს და „მეუღლე მისი მარებ“ და მეორე — „ლასხიშვილი ომან,  
„მეუღლე მათბ ზოდიო“ და „ძე მათი დედის დედაი“. სამხრეთის  
კიდელზე 6 საერთ პირია გამოხატული, რომლებიც ასევე ლასხი-  
შვილების სახლის წარმომადგენლები არიან. ზაზა, მისი მეუღლე  
კიდლუცა; ლაშხა, მისი მეუღლე იალიშაბარ და მათი ასული ლაჟ-  
ვარდაძა და გულაბათ. ლასხიშვილთა ეს ფრესკები მოწმობს, რომ  
ბუგუულის ღვთისმშობლის ეკლესია მათი კარის ეკლესის წარმო-  
ადგენდა.

სოფ. მიქარწმინდაში (ეს სოფ. დღეს აბანოეთთან არის მიერ-  
თებული) ჩვენი საუკუნის 20-იან წლებამდე ერთი ძეველი, აღბათ  
X საუკუნის ეკლესია იდგა. იგი მიქელ მთავარანგელოზის სახელო-  
ბაზე იყო აგებული. სოფლის სახელიც აქედან მოდის, — მიქაელ  
წმინდა — მიქარწმინდა. „მიქარწმინდა ყოფილა ერთი საუკეთესო  
ბაზილიკური ეკლესის მთელს რაჭაში. მაგრამ იგი ახალ დროში გა-  
დაუკეთებიათ და ამის შემდეგ დაუკარგავს პირვანდელი სახე“ —  
წერს ექვთიმეთ თაყაიშვილი. მან ეკლესიაში ნახა რამდენიმე ხატი და  
ჯვარი. ერთი ხატის წარწერაში ფეშანგი ლასხიშვილი და მისი მე-  
უღლე ულუმბია იხსნიებოდა, მეორე ხატის წარწერაში — ანუსია,  
ვარდან ლასხიშვილის დედა. საინტერესო იყო აქვე დაცული ვერ-  
ცხლის ჯვარის წარწერა — „წმინდაო მიქელ გაბრიელ მთავარანგე-  
ლოზნო, მეოხ და მფარველ ექმენ მეფეთ მეფესა გიორგის, ძეთა

მათ ლეონს... უშველე ფეშანგი ლასხიშვილსა, მეუღლესა მისა  
ულუნბისა".

აქ მოხსენებული გიორგი მეფე, გიორგი მეორეა, იმერთა მე-  
ფე (1565—1583 წ.). ფეშანგი ლასხიშვილსაც მისი მეფობის ხანაში  
უცხოვრია. ამ დროს მიქარწმინდას ეკლესია — ფეშანგის — ლასხი-  
შვილთა ერთი ოჯახის კარის ეკლესია ყოფილა.

ლასხიშვილების იყო თავდაპირველად ბუგულის ციხეც. ამ  
ციხიდან დღეისათვის სანახევროდ დანგრეული კოშეი და გალვნის  
ერთი მონაკედითი შემორჩენილი.

XVII საუკუნის მეორე ნახევარში ლასხიშვილები ლეჩეშვი  
გადავიდნენ და ინასარიძეების მსგავსად ძალით დამკიდრდნენ ამ  
მხარეში.

გარაყანიძეები, ლასხიშვილები და ინასარიძეები ქვემო რაჭაში  
ცხოვრობდნენ რიონის მარცხენა ნაპირზე, ერთმანეთის მეზობლად.  
მათი რაჭის მიტოვების ძირითადი მიზეზი, ახალი ფეოდალური სახ-  
ლის — წულუკიძეთა დაწინაურება იყო, რომელმაც სამიერე საგვა-  
რეულოს ყმა-მამულის ხელში ჩაგდება მოახერხა.

1451 წ. სრულიად საქართველოს მეფემ გიორგი VIII-მ „წუ-  
ლუკის ძე ვირშელი და მისნი შეილნი ვალადემირ, სალუზაყან, ბევ-  
როს, ბევან და სიამშ“ შეიწყალა და სოფელი იწა უბოძა. XVI ს-ის  
შუა წლებში წულუკიძეები რაჭაში უკვე რამდენიმე სოფელს  
ფლობდნენ. ამ საუკუნის მიწურულში წულუკიძეებმა ყმა-მამული  
ვაკე იმერეთშიც მიიღეს და დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთ უძ-  
ლიერეს ფეოდალურ საგვარეულოდ გადაიქცნენ. განსაკუთრებით  
დიდ წარმატებას ამ საგვარეულომ XVII ს-ის მეორე ნახევარში მი-  
აღწია, როდესაც ამ ფეოდალურ სახლს სათავეში ჩაუდგა მეტად  
კოლორიტული ფიგურა მერაბ წულუკიძე.

1925 წლამდე ზემო თლულში იდგა „ტეხისის“ წმინდა გიორგის  
ეკლესია, რომელიც შიგნიდან მთლიანად მოხატული იყო. ჩრდილო-  
ეთის კედელზე გამოხატული იყო მერაბ წულუკიძე და მისი მეუღ-  
ლე ანიკა, რომელთაც ხელში ამ ეკლესის მოდელი ეკირათ. აქვე  
იყო მათი ვაჟის გიორგის ფრესკაც. ჩანს ეს ეკლესია მერაბ წულუკი-  
ძეს აუგია.

1924 წელს ხოტევში საძირკველამდე დანგრიეს მერაბ წულუ-  
კიძის მეორ აგებული მეორე ეკლესია. იგი დღევანდელი საშუალო

სკოლის გვერდზე იდგა და ამ ეკლესიის ჩუქურთმიანი ქვები დღეს  
სკოლის შენობაშია ჩატანებული. წულუკიძების ეკლესია 1676 წ.  
იყო აგებული, რასაც მოწმობდა წარწერა, რომელიც თავის დროზე  
ამ ეკლესიის დასავლეთის კარის თავზე მდგარ ქვაზე იყო შესრუ-  
ლებული: „მაცხოვარო ხოტევისაო, აღვაშენე მე წულუკიძებან მე-  
რაბ და თანამეცხედრებან ჩვენმან ჩიჯვადის ქალმან ინამ, ეკლესია  
ესე და შევემევე ხატითა და ჭვარითა და წიგნითა სადიდებლად  
თქვენდა, საონედ და სახსრად სულისა ძეთა ჩვენთა, გიორგისა და  
ქაიხოსროს წარსამართებლად. ავაშენე და დავახატვინე ქორონიკონ-  
სა 364-სა“.

აქვე ჩრდილოეთის კედელზე გამოხატული იყო „წულუკიძე მე-  
რაბ“, „თანამეცხედრე მისი ჩიჯვადის ქალი ინა“, „მისი ძე გიორგი,  
თანამეცხედრე მისი ჩიქვანის ქალი ნესტან-დარეჯან“ და სხვ. სა-  
ერთო თუ სასულიერო პირნი.

ხოტევის ეკლესიაში ვერცხლის ერთი საინტერესო ჭურჭელი  
ინახებოდა, რომელსაც მეტად საინტერესო წარწერა ჰქონდა: „ქ. წმიდათ გიორგი მხნეო და მხედარო აგარისაო, შემომიწირავს მე  
წულუკიძეს მერაბს ჩემთვინს ჯერ სადღეგრძელოთა, მერმე სულის  
საონათ ორი ფეხსუმი, ერთი კაბარა, ერთი ვერცხლის კობზი, ორი  
ვერცხლის ნიტრა, ერთი სამდუღრავი და ერთი საზედაშე. მე დამი-  
კირავს წულუკიძეს მერაბს ჭინჭროლსა და იწროთა შუა, გალმა  
ჭრებალო და ზოგიში, მას გარდაღმა ოკრიბა და ტყილბური, და მა  
ნიკორწმინდელათ დამისვამს, და მეორე ძა კიდევ ხობს ხოფელათ  
დამისვამს ნასუჯუნევს ხორგას, სასახლე მისი შემავლის კაციანად  
და ხონი კიდე სულათა. ამის გარეთ სხვა რაც მიქნა, ამზეც რომ  
დამეწერა, ხანგრძლათ მოვადოდა და ნიკორწმიდის ეს სასაფლაო  
ამიშენებია და ჩემს ამბავს ვინც წაიკითხავს იმაზე დამიწერია და  
იქ შეიტყობს. სხვა სიმს წელიწადს ვიყავი ღლიშის, გურიას და იმე-  
რეთს. სამი ბატონი ხელმწიფე გარდმეკიდა, ღვთით ვერა მაწყინა  
რა. თან სვანზე რაგვარად გავიმარჯვე ვინ იცის, ან სხვა მტერზე რა  
ვქენი. აწ უყურე მუხთალს სოფელს თუ მისი ბეგარა არ მოშალოს,  
ვინც შენდობა ბრძანოს, თქვენცა შეგინდოს ღმერთმა“.

ამ წარწერაში „ოკრიბა და ტყილბური“, აგრეთვე „გალმა ჭრე-  
ბალოს და ზოგიშის“ დასავუთორება წულუკიძეთა მიერ უფრო ტრა-  
ბახი უნდა იყოს, ვიდრე რეალური სინამდვილე. სხვა მხრივ კი წარ-

წერა ზუსტი უნდა იყოს. მერაბ წულუკიძემ მთახერხი ქვემო რაჭის  
სამხრეთი ნაწილის დაქავება და აქედან ძირძეველი ფეოდალური სახურავი  
ლების გაძევება. ამის შემდეგ წულუკიძეების სათავადოს ცერცელი ტერიტორია  
ტერიტორია ეკავა. აღმოსავლეთით მას მდ. ხოტეურა საზღვრავდა,  
მდ. კრისულასთან შეერთების ადგილობრივი — მდ. კრისულა, ჩრდი-  
ლოეთით საწულუკიძეოს რიონი მიჯნავდა, დასავლეთით — მთაშა-  
ვის ქედი, ხოლო სამხრეთით — ჩაჟის ქედი.

მერაბ წულუკიძეს, როგორც ირკვევა, ქართული პოეზია დიდად  
ყვარებია. ამას მოწმობს ლექსი, რომელიც ხოტევის ეკლესიის სამ-  
ხრეთი კარის თავზე იყო წარწერილი:

„ე მაცხოვარო, გვედრივარ მე მერაბ შენის დიდებით,  
ჩევნო გვართა ქონდათ ეს რაჭა მრავალი კიდის კიდებით;  
მევა შევმატე მრავალი. არც მტერთა გარდავიდებით,  
და აშ ნახეთ რა ვერ ყრმაწვილმან სოფლისა ანაზიდებით.  
ძირველ ოფიშისა დავიყარ მამული მეტად ბევრია,  
მერმე აქ ჩემი სამკიდრო ყოვლგან მოვშალე მტერია;  
იწროოთას აქათ ხონამდის და ხონიც შიგან ერა,  
და აშ ნახეთ ესე სოფელი, თუ როგორ ბინდის ფერია.  
მე დადიანმა გამზარდა ლეგან მლოცვ დოკლამიანმან,  
სრულ მას მონებდა ქვეყანა, დაბყრო მრავალყმანმან,  
და ნახეთ, რა უყო სოფელმან ამ მუხანათმან ზიანმან.  
შეილურად მზრდიდა, მანწილა ზეობა, ყოვლი წესები,  
ნახეთ სოფლისა სიცრუე, სიზმარ ყოფილა ესები;  
არ შიაჩნდა წყელისა უარეს უკეთესები,  
და არავის გაუთავდების, წავალთ გლაბ დანაკუნესებია.“

წულუკიძეთა ერთ-ერთ ციხესიმაგრეს ხოტევის ციხე წარმოად-  
გენდა. ლეგენდით, სოფლის სახელი ამ ციხიდან მოდის, ერთხელ  
მტერი რაჭის შემოსევია და სოფ. ხოტევის მიდამოებში დაბანაკე-  
ბულა. „ეს სოფელი მაშინ თავადების ხელში იყო. ერთმა მათვანმა  
შეყარა ჭარი მტრების წინააღმდეგ და დაიბანაკა ამ ციხის გალავან-  
ში. ერთ დღეს თავადი ჭართან მივიდა და პეითხა: „ხომ ტევიხართ ამ  
ციხეშიო?“ მას შემდეგ ამ სოფელსაც ხოტევი დაერქვა. ლეგენდა  
სინამდვილეს არ შეესაბამება. სოფელი ხოტევი ისტორიულ წყარო-  
ებში XI ს-დან გვხდება.

ხოტევის ციხე დგას ხოტეურას მარცხენა ნაპირზე. ციხის გა-  
ლავანი თითქმის მთელ სიგრძეზე, დაახლოებით 15 მეტრის სიმაღ-

შემონახული. ციხეში შესასვლელი სამხრეთი-დან იყო. აქ კარიბჭის ნაშთი დღესაც შეიმჩნევა. გაღმოცემით, ხორცია ტევის ციხის ეზოში დიდი აუზი იყო, რომელშიც წყალი მიღებით ისევა შემოდიოდა. წყალსადენის კერამიკული მიღები ბოლო დრომდე იყო შემორჩენილი. ციხის ეზოშივე ყოფილა ჩამარხული რამდენიმე ქვერი. „ხორცია არის ერთი-ერთი ძირითადი ციხე რაჭისა, — წერდა ციუბუა დე მონპერე, — ახლა აღარაფერი დარჩა კადლების გარდა, რომელიც დგას ერთ დიდ კლდეზე და დაფარულია გაველურებული ვაზით. იმათ, ვინც ეს ციხე ააგეს, წარწერის ნაცვლად კარიბჭის თავზე ამოკვეთეს ხელის მტევნი ინიციალებით „ბ“ და „გ“. დაახლოებით 15 წლის შემდეგ მარი ბროსებ რაჭაში მოგზაურობის დროს ხორცია ციხის კარიბჭის თავზე ვერც ხელის მტევნის გამოსახულება ნახა და ვერც ინიციალები.

წულუკიძეთა შეორე რეზიდენციას ზნაკვას ციხე წარმოადგენდა. იგი სოფელ ზნაკვას ცენტრიდან ორი კილომეტრითაა დაშორებული. მდ. ზნაკურას დასავლეთით, მისი ორი შენაკადის — ურის დელფისა და ცივ წყალის ანუ წისქვილის ღელეს შესართავში მდებარეობს. ზნაკვას ციხე შორიდან მოჩანს, მაგრამ განსაკუთრებით ლამაზია იგი სამხრეთ-დასავლეთ მხრიდან, სამანქანო გზიდან, რომელიც სოფ. ზნაკვას ქედისუბანთან აკაშშირებს. თვითონ ციხიდან ძალზე ლამაზი ხედი იშლება. აქედან კარგად მოჩანს ჩიონის ხეობის ერთი ნაწილი ამბროლაურის ქვემოთ. ზნაკვის ციხეს საში კოშკი ვაჩნია. ორი მათგანი, აღმოსავლეთით და სამხრეთ-დასავლეთის მხარეს ოთხეუთაა, ხოლო მესამე, დასავლეთით — მრგვალი. დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ კოშკებს ზემოთ, თითოეულ მხარეს, სამ-სამი სალოდე — „დურო“ გააჩნია. აღმოსავლეთ კოშკის ბოლო სართული დღეს უკვე დანგრეულია. დასავლეთის კოშკი სამ-სართულიანი ყოფილა. ყოველ სართულზე ბუხარი იყო მოწყობილი. მათი კვალი დღესაც ჩანს. ციხის გალავანი ხუთი-ექვსი მეტრის სიმაღლეზეა შემორჩენილი. ეზოში მიწით ამოქსილი სამი ქვევრი ჩანს. ზნაკვას ციხის აღმოსავლეთით, დაახლოებით 50 ნაბიჯზე კადევ ერთი კოშკის ნანგრევებია შემორჩენილი. ეს ციხე მაღალ, კლდოვან გორაკზე დგას, რომელიც სამი მხრით შვეულ კლდეებად ეშვება. დელფებისაკენ. შედარებით ადვილი მისადგომი სამხრეთიდანაა და პილიკიც მხოლოდ ამ მხრიდან მიემართება მისკენ.

ზნაკვის ციხის აღმოსავლეთით, მდ. ზნაკვურას მარჯვენა ნა-  
პირზე არის ადგილი „ნააგარევი“, სადაც გასული საუკუნის დას-  
ტყისში წლებისთვის ერთი სასახლე იდგა თავისი ეკლესით. ამის  
გამო, ზნაკვის ციხეს ზოგჯერ ნააგარევის ციხესაც უწოდებენ.

ჭაფარიძეთა საგვარეულოს შეითხველი XV საუკუნის ბალზედა  
სვანეთისა და ჭაფარიძეთა სასისხლო საქმის გარჩევის წიგნში შე-  
ხდა. XVII ს-ის მეორე ნახევრამდე ეს გვარეულობა რაჭის ყველაზე  
ძლიერ ფეოდალურ სახლს წარმოადგნდა. ტოლოჩიანოვისა და ივ-  
ლევის ანგარიშებში მრავალჯერაა მოხსენიებული ლომეაცი ჭაფა-  
რიძე, იმერეთის მეფის მოლარეთუხუცესი. იგი დიდ როლს თამა-  
შობდა რუს ელჩებთან მოლაპარაკების საქმეში. რუსეთიდან მომა-  
ვალი ელჩები 1651 წ. „ლომეაც ჭაფარიძის სამფლობელოში“ „სო-  
ფელ მაცხოვარში“ მივიღნენ და იქ ორი ლამზ გაათიეს.

ლომეაც ჭაფარიძის ძმა არქიეპისკოპოსი სიმონი იმ დროს ნი-  
კორწმინდის ეპისკოპოსი იყო. რუსი ელჩების სოფელი მაცხოვარი;  
როგორც გ. ბოჭორიძემ დაადგინა არის სოფ. ბარი. აქ, ქვემო ბარ-  
ში, „საბეკეს“ გორაზე, დღესაც დგას ერთნავიანი მაცხოვრის ეკ-  
ლესია, ტუფისა და თლილი ქვისაგან სვებული.. თავის დროზე ეკ-  
ლესია შიგნიდან მთლიანად მოხატული იყო. სამხრეთი და ჩრდილო-  
ეთი მხრიდან მას მიღებული ჰქონდა საგვარეულო ეკლდამები —  
ეკვდერები, სადაც ჭაფარიძენი იმარხებოდნენ. ძველად ეს ეკვდერე-  
ბიც შიგნიდან მოხატული იყო. ჭერ კიდევ ჩვენი საუკუნის დასა-  
ტყისში მაცხოვრის ეკლესიაში ხის მოზრდილი კიდობანი იდგა, რო-  
მელიც ხელნაწერებით იყო სავსე. გ. ბოჭორიძეს ეკლესიაში სულ  
რამდენიმე ხელნაწერი დახვდა, მათ შორის იყო სამხრეთ საქართვე-  
ლოდან გადმოტანილი ოთხთავი, რომელიც 1013 წელს იყო გადა-  
წერილი გურგენ ერისთავის დედის, ლატვრას სახსრებით. ამავე  
ეკლესიაში გ. ბოჭორიძემ ნახა რამდენიმე ძველი ხატიც, მათ შო-  
რის, ვერცხლით შეკედილი ტილოზე ნახატი. მას შემდეგი ასომთავ-  
რული წარწერა ამკობდა: „უფალო იქსო, ქრისტე ღმერთო ჩვენო,  
შეეწიე, შეიწყალე და აცხოვნე სული ბატონის ანას ჩხეიძის ქალი-  
სა, რომელმან შეამქო ხატი ესე ყოვლად წმიდის“.

XVII ს-ის 60-იან წლებიდან ჭაფარიძეთა ფეოდალური საგვა-  
რეულო თანდათან დასუსტდა. იმას ისიც უწყობდა ხელს, რომ იგი-  
ცალკეულ სახლებად დაიყო. რომელთაგან ზოგიერთი აზნაურობამ-  
92

დე დაქვეითდა. მაგ., აზნაურები გახდნენ სოფ. ლარში მცხოვრები ჯაფარიძეები. დღემდე მოაღწია ამ სოფელში ჩიყის ქვით ნაგებმა მთავარანგელობის სახელმბის დარბაზული ტიბის ეკლესია, რომელიც შელიც ჯაფარიძეთა ამ შტოს, კარის ეკლესიას წარმოადგენდა. აქევე იმავე იდგა მათი ციხე-დარბაზიც.

ლაგვანთაში მცხოვრები ჯაფარიძენი თავადები იყვნენ. მათი კარის ეკლესიაც ამავე სოფელში იდგა მდ. საეჭურას მარცხნა ნაპირზე. ისიც ჩიყის ქვიდან იყო აგებული და მისმა ნანგრევებმა დღემდე მოაღწია. ლ

საქართველოს ცენტრალურ საისტორიო ორქივში დაცულია ერთი ხელნაწერი „აშვილი და საიაშვილო რაჭაში“, რომელიც სადმელის მღვდელ თედორე პეტრეს ქე შარაბიძის კალამს ეკუთხნის. თედორე შარაბიძე 1902 წელს გარდაიცვალა, 70 წლისა. მისთვის მრავალი გადმოცემა იყო ცნობილი, რომლებიც დღეისათვის დაკარგულია. თავის წიგნში მას მოჰყავს ლეგენდა იაშვილების რაჭაში დამკვიდრების შესახებ. ეს ლეგენდა ორსად არ არის გამოქვეყნებული. ამიტომ რაც შეიძლება სრულად მოგვყავს იგი:

„იაშვილები ყოფილან ჩერქეზიდან მოსულნი. სამი ქმა სახელად წოდებულნი — ხამიჯა, გობეჯი და ია. რადგანაც ესენი რაღაც დანაშაულნი ყოფილან, მონავალან სოლომონის მეფის მამასთან თავის შესაფარად. მომავალთ გზაზე სოფ. სადმელს, მათგან იას, მოუკლავს სადმელის კალაზე მელა და მისულან ქუთაისს მეფესთან. ესენი ყოფილან ძრიელ მარჯვე, სწრაფი და ლონიერი ვაჟკაცები. ამიტომ მეფეს შეუვარებია ისინი და შეპირებია წყალობის. ერთ დროს მეფეს უბრძანებია ამათვის: თუ გსურთ ჩემს სამეფოში ცხოვრება და ჩემთან ერთგულების გამოჩენა, მითხარით სად გინდათ რომ მოგცეთ ადგილი დასასახლებლადო. ხამიჯას მოუხსენებია: თუ თქვენი წყალობა იქნება, მე ისოვევ ჩემს ქვეყანაში გეახლებით, რადგანაც მე არავითარი დანაშაული ვარ, მხოლოდ მე გარდმოვყევი ამ ჩემს ძმებსათ და დაბრუნებულა ჩერქეზშივე მეფის თანხმობით. გობეჯას მოუხსენებია: მე—მიბოძეთ თავისუფალი მთა ადგილი და მისთვის მიუცია ლები და ჭიორა, რომელიც არის მთა ადგილი და მოსავალიც ნაკლებად მოდის, მხოლოდ მოდის ქერი და ჭადი და ესეც ცოტა. და ეს ლები და ჭიორა არის ყველა გარდამხდელნი გლეხები, გვარად კობეჭიშვილები. რადგანაც გობეჯას მეფესთან ცოტა უკმაყოფილე-

ბა მოსელია, ესენი ისევ გლეხებად დარჩენილან. იას მოუხსენებიც  
მეფისათვის: მე ის ადგილი მიბოძე, სადაც მელა მოვყალიო. და კი  
დეც მიუცია. შემდგომ ამ სოფლისათვის დაურქმევიათ საღმელი. და კი  
სოფელი საღმელი არის ყოველისფრით ნოკიერი... ეს ია დაუსახლეთენ  
ბია მეფეს ამ საღმელში ჭალის პირად, გორაკ იდგილზე, სადაც სხვა-  
თა შენობათა შორის ჰქონია ციხეც. ამიტომ დღესაც უწოდებენ ნა-  
ციხას, რადგან დღესაც ჩანს ციხის ნანგრევი... იას შეურთავს წე-  
რეთელი, ყოლია 5 ვაჟი... ერთგული სამსახურისა და მათი გამოჩე-  
ნილი ვაჟებისათვის მეფეს მათვის უბოძებია ღრამოტა თავა-  
დობისა და გვარად მამის სახელი გარდაუქცია. იასშვილი — იაშვი-  
ლი. უბოძებია მამათვის ყმებად სოფლები: საღმელი, ძირაგული,  
ღვიარა და ბოსტანა, ყველა წოდების მოსახლე, თავისი მთით, ბა-  
რით, მიწა-წყლითურთ. შემდგომ ამისა, იაშვილებმა კიდევ უმეტესი  
ერთგულება გასწიეს მეფესთან. ამისათვის მეფეს კიდევ უბოძებია  
ამათვის რაჭაშივე სოფ. კრიხი, იქაც ყველა წოდებისანი უბოძ-  
ბია. აგრეთვე ოკრიბაში სოფ. საწირე და მის მახლობლად 100 კომ-  
ლი, ესენიც მათი საცხოვრებლიანიდ.

იაშვილები შეიქმნენ მდიდარნი, როგორცა მამულით, ეგრეთე  
ყმა და მოსამსახურით... მაგრამ სამოსახლო ადგილზე არ ყოფილან  
ისინი კმაყოფილნი, რადგანაც იმ დროებაში ეხლანდელი მათი სა-  
სახლე არავითარსამე სიმაგრეს არ შეადგენდა.


იაშვილი სწუხდა სამოსახლოს უვარევისობას და მეფეს ვერა-  
გაუბედა რა. მაგრამ თვითონ მეფემ შეატყო მწუხარება და უბრძანა,  
შენს მამულში შენა ხარ მფლობელი და ბრძანებელიც, თუმცა  
საღმე მოგეწონოთ, ნება გაქვთ დაესახლოთ. ეს მეფის სიტყვა  
თუმცა ეამათ იაშვილებს, მაგრამ მაგრამ სამოსახლო ეერსად ამო-  
არჩიეს და გარდა ერთის კლდოვინ ადგილისა, საღმელშივე, რომელ-  
საც უწოდებენ დღესაც კლდოს უბანს, რომელიც იმ იაშვილებს მოს-  
წონდათ, იქ ესახლნენ ცხრი ძმა კაცი ვერად ქასრაძები, რომლე-  
ბიც იაშვილზე ნაკლებად არ სცხოვრობდნენ. ამ ქასრაძებს ჰქონ-  
დათ დიდ, მაღალ, პიტალო კლდეზე აშენებული დიდი და მშენიე-  
რი ციხე და ერთი კოშკი მაგარის ქვითირით აშენებული. ციხეში  
იყო ერთი პატარა ეკლესია დატნეული, ღვთისმობლის სახელზედ.

ამ ციხის წინ არის დღესაც მარანი ამოკოდილი ფრიალო კლდე-  
ში და ჩაკირული საღვინე ჭურები. ამ ციხეს ღმოსავლეთის და

სამხრეთის მხრით ჩამოუდის მდ. რიცეულა კალმახით სავსე, ხოლო  
ჩრდილოეთით აკრავს დიდი და აუარებელი მთა ყოველნაირი სისა-  
გან ამოსული, გარდა ძელქვისა და ბზისა. ეს ადგილი მოეწონათ ია-  
შვილებს და დასტურ, იმ დროებაში კარგი მაგარი და მოსაწონი ჩამ-  
იყო სამოსახლოდ, მაგრამ ქასრაძეებს ვერ გაუბედეს რომ იქედან  
გადმოსულყვენენ და ნებით დაეთმოთ იაშვილისათვის, თუმცა, ია-  
შვილებს, როგორცა მებატონეთ უნდოდათ მიზეზი ეპოვნოს ქასრაძე-  
ებისათვის, რომ ქასრაძეები გადაეყვინათ იქიდან, მაგრამ ვერაფე-  
რი მიზეზი ვერ უპოვნეს. ერთ დროს ქასრაძეებს პური ედგათ კა-  
ლოში და ლეწავდნენ ოთხის უღლის ხარით, შვიდ ძმაში ერთის მე-  
ტი სახლში ორ ყოთილან. ეს რომ გაიგეს იაშვილებმა, გაუგზავნეს  
ფარეზი და შეუთვალეს: ქასრაძეებმა დღეს ხარები უნდა გვათხო-  
ვოთო კალოშია, მაგრამ ქასრაძეთ ძალიან უარი შემოუთვლიათ.  
დღეს ჩვენც კალო გვაქვს და ორ შეგვიძლია გათხოვოთო, ეს უარი  
იაშვილებს ეამათ. ერთი მცირედი მიზეზი რას ერჩიათ იაშვილთა.  
ორი ძმა იაშვილები მხლებლებითურთ მივიღნენ კალოზე ქას-  
რაძესთან და უბრძანეს: მიზეზი ორ არის, რომ დღეს ხარები არ გა-  
მოგვიგზავნე, როგორ გაბედეთ უარიო. კილო ჩადგმული გვაქუს და  
ხარებს არ ეცალათ. ქასრაძეთ ეს თავისი გასამართლებელი სიტყვე-  
ბი მოახსენეს იაშვილებს, მაგრამ იაშვილებმა წყრომით უბრძანეს.  
ოქენ ყოველთვის წინააღმდეგი ხართ ჩვენი და ჩვენ მებატონეთ არ  
გვაგდებთ და ეს არ ვარგაო. ეხლა ქასრაძემაც ხმამალლა დაუწყო  
ლაპარაკი. შასზე გულმოსრული ერთი ძმა იაშვილი გადმოხტა ცხე-  
ნიდან, გმოიღო თოფი ბუდიდან, ესროლა ქასრაშვილს, რომელიც  
კევრზე იდგა, ჰკრა გულში და წაიქცა. გამოუშვეს ხარები უღლი-  
დან და გარეექს თავის სახლში მათის კალოს გასაღეწავად. იაშვილმა  
სთქვა: კალოს გავლეწავ, ხარებსაც დავკლავთ და შევჭამთო. შემ-  
დგომ ამ საქმის მოქმედებისა, იაშვილები თავდარიგად იყვნენ, რომ  
ქასრაძეები არ მინტომოდნენ სამაგიეროს გადასახადად და ყავდათ  
ცოტა ხანს ღამით ყარაულები. რამტონიმე დღის შემდეგ მივიღნენ  
სახლში შვიდი ძმა ქასრაძენი. გაიგეს ეს ყოველი გარემოება და გა-  
მოუგზავნეს იაშვილებს საჯერი კაცი. და შემოუთვალეს: ძმა მოგვი-  
კალით უბრალოდ და ხარების წართმევას რაღას გვემართლებითო.  
თუ ჭობდეს ხარები დაგვიძრუნეთ და ძმის სისხლი გარდავისადე-  
თო. თუმცა ბატონები ხართ, მაგრამ ჩვენ უფრო ძირის გლუხები

ეართო და მეტის ერთგულნიო. იაშვილებმა ვარდ შეუთვალეს, მაგრე ებში ყველაფერში დაგიჩერებთ, თუმც სამოსახლოს დაგვითმობთ და თქვენ ჩვენ სამოსახლოზე გადმოხვალთ. ეს რომ ქასრაძეთა გაიგეს, ძალიან იუკაღრისეს, და საძნელოც იყო იმათი სამოსახლოს მოშორეული ბა, მაგრამ რა გაეწყობოდა, ძალა აღმართს ხნავსო, ჩამოვარდნენ იმათ შორის შუაყაცები და გაარიგეს. იაშვილები გადავიდნენ ქასრაძების სამოსახლოზე და ქასრაძები გადმოვიდნენ იაშვილების სამოსახლოზე, მაგრამ გარდა ციხეებისა, რაც რომ ქასრაშვილებს შენობები ჰქონდათ, იაშვილებმა თავის ხარჯით გადმოუტანეს და დაუდგეს. ერთს ციხეში ციხე დაუტევა იაშვილმა და დანარჩომები ყოველივე ერთიორად გადაუხადა იაშვილებმა ქასრაძეთა. ადგილი-მამული რომ ჰქონდათ ქასრაძეთა ერთიორად მომეტებული მისცეს იაშვილებმა. მაგრამ ქასრაძეთა ძმის სიკვდილი ძლიერ ჩარჩათ გულში და გაისხა ფეხი რომ მეტი აღარ შეიძლებოდა. ხოლო იაშვილები დამშვიდებული იყვნენ, რომ ქასრაძების აღარ ეშინოდათ, რადგანაც ბევრი საჩქარი უბოძეს მათ.

რამდენიმე ხნის შემდეგ ქასრაძები მოემზადნენ, რომ იაშვილებს უნდა დასცემოდნენ თავს და ამოეცლიტათ, იმ განზრახვით, რომ - ერთი ძმეს სისხლს ამოილებდნენ, მეორეც იმიტომ, რომ ეს მათი ნაქონი სამოსახლოც მათ დარჩებოდათ. მაგრამ იაშვილებს არხიმალი მოუყიდათ და მოახსენეს ქასრაძენი ღალატს გიპირებენო. თუმცა კი აღასრულეს მათი განზრახვა ქასრაძეთა და მიუხტნენ, ერთ ღამეს, მაგრამ რაღაც მიზეზთ იაშვილებს არავინ დახვდათ სახლში და წამოვიდნენ ცარიელი. იმ მოქლეს დროში იაშვილები მიუხტნენ ქასრაძეთა სამაგიროს გადასტდელად. რამდენიმეს მათის ყმებით შემოერტყნენ ქასრაძეთა სახლს გარშემო, თუმცა ძალიან გამაგრდნენ ქასრაძენი, მაგრამ მთელ ორ-სამ სოფელს რას უზამდნენ. უნდოდათ იაშვილებს, რომ ქასრაძენი მთელი თავისი ცოლ-შვილით იმოეცლიტათ. და ამაზეც იაშვილების ერთგულ ყმათა ურჩიეს მებატონეებს, რაც სისხლი მოხდა წინეთ ისიც კმარა და ეხლა ხელმეორედ სისხლს ნუ დაიდებთ, ცოდვანი არანო. ამ სიტყვებით იაშვილები დამშვიდდნენ და მხლებლებით დაბრუნდნენ სახლში. აქ ამ შუაყაცებმა ქასრაძეთაც შეაგონეს, ბატონს და ყმას შუა ამისთანა უბედურება არ ვარგა, ქედანაც გაეცალეთ, თორემ გლახათ მოვივათ საქმეო. შეიგონეს ქასრაძეთა და დაემორჩილნენ იმას რჩევას, გამო-




၁၇၃၇ ခုနှစ် ပြည်ရဲ့ လျှပ်စီး



ଦର୍ଶିଲୀର ସାମାଜିକୀୟରେ ଅନୁଭବ ହେଉଥିଲା ଏହାର ଉପରେ ଅଭିନନ୍ଦନ ହେଲା

ପ୍ରକାଶନ ମାତ୍ର ୧୯୮୫ ମସିଥାରେ



ბრილის სამაროვანში აღმოჩენილი მძივები


ՀԱՅՈՒԹՅՈՒՆ  
ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅՈՒՆ



Լոռ. Ըստ (Հայության գրք Յոհաննես Ալեքսանդրի)



ხელიკაძის ვიწროება. (დობებუ დე მანქეჩეს ალბომიდან)



კლოდია. (დაუბრა და მომსახურეს აღზოშესაბამი)


მე გივანდა  
არ გისამარჯო



სოფ. ლეჩში შემორჩენილი ძველებური ქვის სახლი



შინდუა კუჩე. (ლორებულ დე მონსერტის აღმოჩინვა)



ბათუმის მუნიციპალიტეტი



საქართველოს


ეროვნული ციფრული არქივი



სოკ. ნიკოლოზ მამა



დიდებულის ფრესკა სოჭ. შემო კრიზის საყდრიდან



შრავალძელის ეკლესიის აღმოსაფლეთი ფასადი.

ଓଡ଼ିଆ  
ଓଡ଼ିଆ ପ୍ରକାଶନ



ହୋଲିଯାଳୀ ଗ୍ରାମ. (ଦେଖିଲୁଛା ଏହି ମିଳିଲୁଛା ଏଲ୍ଲାଗଲିଲୁଛା)




ზაზა და მისი მეუღლის კედლება ლასხიშვილების ფრესკა ბუგულის  
ლეონიძეობლის ეკლესიიდან



ონი (დაუბრა დე მისმიერე ალხომილან)

1930-1931  
100000000  
100000000



სოფ. უწყებას მოურნავის კაბმილაშვილი. (დაუბრუ დე მონპერეს ალბომიდან)

ერთნენ სახლიდან თავის ბარგი-ბარხანით, ცოლ-შვილით და წავიდ-ნენ სოფელს ტყიბულს და დაესახლნენ იქ, დღესაც ტყიბულში სახ-ლობენ, ხოლო მათი საცხოვრებელი დაიფლო იაშვილბა“.

რაქაში იაშვილების დამკვიდრების ფაქტი, რომელსაც სფლობით მონ I-ის მამის, ალექსანდრე V-ის, იმერეთში მეფობის დროს ჰქონ-და ადგილი, ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფერება.

ეს გვიარეულობა უკვე XV საუკუნეში ჩანს ამ შხარეში. გამო-რიცხული არ არის, რომ ასინი მართლა ჩერქეზთა დანი იყვნენ გად-მოსული, მაგრამ რამაც კი არავინ გველი, გომევიშვილებთან არავითარი ნათესაობა არ უნდა ჰქონოდათ. ქასრაძებს „შეიძლება მართლაც ეკუთვნოდათ თავის დროზე კლდისუბნის ანუ საღმელის ციხე, რად-გან ამ ციხის ეკლესიის ნანგრევებს დღესაც „ქასრაულს“ უწოდებენ.

თ. შარაბიძის მიერ შემთხვევაში საიაშვილოს საზღვრები ისტორიულ დოკუმენტებით მტკიცდება. რაქაში ამ სათავადოში შე-დოდა კლდისუბანი, სადმელი, ბოსტანი, ლვიარა და ზოგჯერ სოფ. კრისიც. იაშვილებს ორი სასახლე ჰქონდათ: ერთი — ლვიარაში, მე-ორე — კლდისუბანში. ეს უკანასკნელი შარაბიძის ცნობით იყო: „კლდის წვერზე ციხე აშენებული და მის სიახლოებეს ერთი მაღალი სამსართულიანი კოშკი და მეორე, პატარა, ქვევით კოშკი ქცეც სამსართულიანი... ამ კოშკს ქვედა სართულში გამოუდის შშვენიერი წყარო“.

ამ ციხის ნანგრევები დღესაც დგას სოფ. კლდისუბნის ჩრდი-ლოეთით მაღალ კორაცხე, იქ სადაც მდ. რიცეულს მისი მარჯვენა შენაკადი ქაფათ დღეს უერთდება. ციხის კორაცხე კლდოვანია და ციხეზე სცელა მხოლოდ სამხრეთ-დასივლეთის მხრიდან შეიძლება. ციხის ექლესია და იქვე მდგარი კოშკი დღეს ძალზე დაზიანებულია. შარაბაძის ცნობით, ამ ეკლესიაში გასულ საუკუნეში ლეთისმშობ-ლის ხატი ინახებოდა. იდრე, 1820 წლის აგანყების დროს ეს ხატი რაჭის ერისთავის შთამომავლებს წაუღიათ, შემდეგ საღმელიდან თითო ბათმანი პური შეუკრებიათ კომლზე, ერისთავის ოჯახისთვის სასყიდლად გადაუციათ და ხატიც უკან დაუბრუნებიათ. დღეს ეს ხატი დაკარგულია.

ციხის ორი კოშკი შედარებით კარგად არის შემონახული. სამხ-რეთ-დასივლეთი კოშკის ძირიდან დღესაც გამოდის წყლის პატარა ნაჟადი. ეს აღბათ ის კოშკია, სადაც იაშვილებმა წყარო შეიყვანეს.

ჩრდილოეთ კოშეს სათოფურებიც აქვს და მესამე სართულზე თი-  
თოეულ მხარეს ოთხ-ოთხი დურო. კოშკებიდან მოშორებით, სამხრე-  
თით, ციხის ეზოს კვალი ჩანს.

იაშვილთა საგვარეულო ეკლესია X ს-ის კლდისუბნის ღვთის-  
მშობლის ეკლესია იყო. „წირვა-ლოცვას უფრო ხშირად ისმენდნენ  
ამ ეკლესიაზე იაშვილები და იმარხებოდნენ აქ, მაგრამ მიწაში კი  
არა, შიგნით ეკლესიაში ჰქონდათ აყლდაშა და ამ აყლდაშაში შეინა-  
ხავდნენ მიცვალებულებს, მარტო საყდრის ამარათ, მიწა დაუყრე-  
ლათ“ — წერდა თ. შარაბიძე.

ნახევრად დანგრეული კლდისუბნის ღვთისმშობლის ეკლესია  
დგას რიცეულის მარცხენა ნაპირზე. გ. ბოჭორიძემ ამ ეკლესიაში  
ნახა მონქვრილი ვერცხლით შექედილი ღვთისმშობლის ხატი შემ-  
დეგი წარწერით: „ქრისტე, ყოვლადშიმიდის ხატი მოვქედე მე, ჯვახ;  
თანამეცხედრემან ჩემმა ასთანდარ, სახად და სახსრად სულისა  
ჩვენისა“. ჯვახ იაშვილი ლეგენდარული იას უფროს ვაჟად ითვლე-  
ბოდა.

მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე, იაშვილების სამფლობელოს სამ-  
ხრეთ-დასავლეთით ყიფიანების სამფლობელო იყო განლაგებული.  
ამ გვარზე შემდეგი ლეგენდაა შემორჩენილი: „უძეველს დროში ყი-  
ფიანები ყოფილან სვანეთში. ბაგრატ მეფის დროს სოფ. წემირიში  
ცხოვრობდა მორკინალი-მეომარი გიორგი გოგიაძე, რომელსაც ჰყავ-  
და ათასი მორკინალი. ბაგრატ მეფეს ხონთქარმა მეტისმეტად გაუ-  
ჭირა საქმე, ოსმალეთის ჯარი გადმოსხა შავი ზღვის პირას და უნდა  
შემოსეოდა იმერეთს. ბაგრატ მეფემ მაშინვე აფრინა შიკრიკი გიორ-  
გი გოგიაძესთან სვანეთში: აბა, ჩემო გიორგი, როგორი იმედი მაქვს  
შენი, ახლავე შეიარაღდი შენი ათასი კაცით და ცხენისწყალს გად-  
მორმა მომეშველეო. გიორგიმ მოისმინა შიკრიკის პირით მეფის  
ბრძანება და შიკრიკი უკანვე გამოისტუმრა, მოახსენე იმერეთის  
მეფეს და ჩემს ბრძანებელს, რომ დაუყოვნებლივ გაახლებითო. გი-  
ორგი გაუდგა გზას თავისი მეომრებით და დაბანკდა სოფ. მურს,  
ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე. აქედან მან ქუთაისს ბაგრატ მეფეს  
შიკრიკი გაუგზავნა და აცნობა: გვახელი მეფეო. მეფემ მოუსმინა  
შიკრიკს და ბრძანა: რას ვაქნევ, რაში მინდა შენი ბატონის მურში  
დაბინავება, მე ის აქ მჭირდებათ. შიკრიკიმა მოკრძალებით მოახსენა  
მეფეს: ის სტუმარია, მეფეო, თქვენ მასპანძელი, როგორც მასპინძე-

ლი, იქ უნდა შეეგებოთ სტუმარსო. კარგიო, ბრძანა მეფემ, წარი და  
მოახსენე შენს ბატონს მოვდივარ-თქო. შიქრიკი გაბრუნდა. მეფე  
თავისი ამალით გაემგზავრა მურს გოგიაძის სანახვად. მორიგეობმა  
მოახსენეს გიორგის მეფე მობრძანდებაო. გიორგი მაშინვე გამოვიდა  
თავის ფანჩატურიდან და შეეგება მეფეს. პო, ჩემო გიორგი გოგია-  
ძე, რა ყიფანი (ყიფი — ამაყი) რამე-ხარო — მიაძახა მეფემ და  
გადაეხედა გიორგის. მას ქეთ დაერქეა გიორგი გოგიაძეს ყიფანი. შემდეგ და შემდეგ გოგიაძე დაიკარგა და დარჩა ყიფანი: გოგიაძე-  
ყიფანის შთამომავლობა გამრავლდა და ზოგი ლეჩეუმს დასახლდა,  
ზოგი — რაჭას, ზოგიც სხვაგან».

ამ ლეგენდიდან მხოლოდ ის არის მართალი, რომ ყიფანი სვა-  
ნური წარმოშობის გვარია. მათ რაჭაში ეკუთვნოდათ სოფლები ხეან-  
ჟეარა, ჩორჯო და ტოლა. XVIII ს-ის დასახულს ლეჩეუმელი გე-  
ლოვანები ტოლას ედავებოდნენ ყოფიანებს.

ყიფიანების ციხე-დარბაზი ხეანჟეარაში ძალზე ორიგინალური  
იყო. აქ ბოსელას მთის ძირში ორი ერთმანეთისაგან რამდენიმე ასე-  
ული მეტრით დაშორებულ კლდეზე ამოუვანილი იყო „ქვედა და ზე-  
და ციხეები“ — კოშეები. აქვე მინდორზე იდგა ყიფიანთა პატარა  
ზომის ეკლესია ტუფის ქვით ნაგები. ეს ეკლესია, რომელიც დღეს  
ძალზე დანგრეულია, თავის დროზე შიგნიდან ფრესკებით იყო შემ-  
კული. XVI—XVII საუკუნეებში რაჭის ერთი ნაწილი უშუალოდ იმე-  
რეთის მეფეებს ეკუთვნოდათ. შაორი მათი საზაფხულო რეზიდენცია  
იყო. „აქა ყოფილა საზაფხულო სასახლე აწინდელთა მეფეთა, ადგი-  
ლის შუენიერობისათვს, კეთილ აგარაკოვანი — „წერს გახუშტი. როგორც გ. ბოჭორიძემ დაადგინა, ეს საზაფხულო სასახლე იდგა  
სალხინოში — ჰიჭინაძეანთ უბანში. აქ მდ. შაორისწყლის მარჯვენა  
ნაპირზე ჰელად ეკლესიაც მდგარა. 1925 თუ 1926 წელს ერთ ად-  
გილობრივ მცხოვრებს მი ეკლესის ნანგრევები გაუთხრია და ქვის  
მასალა სახლში წაულია. მის ეზოში გ. ბოჭორიძემ ნახა შესანიშნავი  
ჩუქურთმით შემკული კანკელის ქვები, რომელიც XIV—XV სს. ეკუ-  
თვნოდა.

1925 წლამდე იდგა იმბროლაურში თლილი ქვით ნაგები ეკლე-  
სია, რომლის დასავლეთის კარს ნახევარწრიული ფორმის ჩუქურ-  
თმიანი და ქვრის გამოსახულებიანი ქვა ამშვენებდა. ქვაზე ორი წარ-  
წერაც იყო. ერთი — ასომთავრული ქვრის თავზე — „ქვარი ქრის-

ტესი — ძლევა მტერთა“ და მეორე — მხედრული — „აღიზნებ  
ლმერთმან ორთავე შინა ცხორებათა მეფეთ მეფე ვიორგი და თანა-  
მეცხედრე მისი დედოფალი დედოფალი თამარ და ქნი მათხი  
ალექსანდრე, როსტომ და მამუკა“... მხედრული წარწერისი ჰქა-  
იდო სამხრეთის კარის თავზეც. ბოლოს იგი ძალზე დაზიანდა, თუმ-  
ცა წარწერაში მეფე ვიორგი გიორგი გიორგი მესამე, იმერთა მეფეა (1604—  
1637 წწ). ეკლესია მისი მეფობის დროსაა აკებული, რომელიც სა-  
მეფო რეზიდენციის ერთ-ერთი შემადგრენელი ნაწილი იყო. „ამბრო-  
ლაურის, ყოფილა სასახლე აჭინდელ მეფეთა, ადგილის შემკობილე-  
ბისათვის“ — წერს გახტეტი.

ამბროლაურის ეკლესიის სიცველეებიდან გ. ბოჭორიძეს ადგილ-  
ზე დაცვდა ხეზე ნახატი ღვთისმშობლის ხატი, კერცხლით შეკედილი.  
იგი შემცული იყო 62 სხვადასხვა ზომის ძეირფისი ოვლითა და მარ-  
გალიტით. ხატს წარწერაც ქვენდა: „ქრისტე ღმერთო ამბროლაური-  
სა ღვთისმშობელო დაიცე ორთავე შინა ცხოვრებათა მამკობი და  
შემომწირველი თქვენი მთავარებისკობოზი კაფარიძე სკიმონ“.

ეს ხატი XVII ს-ის შეა წლებს ეკუთხნის. ამბროლაურიც ამ  
ხანიდან გვხდება წერილობით. წყაროებში. იდრე მას მეტეხარა ეწო-  
დებოდა. ამბროლაური ამარლისძეთა ნამოსახლარს აღნიშნავს. აქ,  
ტოლოჩანოვისა და იევლევის დროს „მეფის მობრძანების შემთხვე-  
ვისათვის ეკლესიის ახლოს ხის შენობა იდგა. ამბროლაურში რამ-  
დენიმე კოშკიც იდგა, რომელთაგან ერთია შემორჩენილი. კოშკი  
სამსახურთულიანია და დურიობი გააჩნია. კოშკს სათოფურებიც აქვს,  
მაგრამ ეს გვიანდები უნდა იყოს. კოშკი შეაფეოდალურ ხანაშია  
აგებული. მას „მაჩაბლის კოშკს“ ეძახიან. ეს იმიტომ, რომ ამბრო-  
ლაური 1769 წლის შემდეგ სოლომონ I-მა წულუებიდების სიძეს,  
ქართლიდან გადმოსულ ზურაბ მაჩაბელს უბოძა. ამბროლაურის ეკ-  
ლესია ამ ოჯახის კარის ეკლესიად გადაიქცა და წირვა-ლოცვა მაშინ  
იმართებოდა, როცა მაჩაბლების ოჯახის წევრები ინებებდნენ.

ამბროლაურის ეკლესია მიწასთანაა გასწორებული. რამდენიმე  
ჩუქურთმიანი ქვა ამ ეკლესიდან ამბროლაურის მუზეუმში ინახება.

XVI—XVII სს-ში იძერთის მეფეებს სოფ. ნიკორწმინდის დი-  
დი ნაწილი ეკუთვნიდათ. 1651 წ. სოფელში იდგა მეფის სასახლე,  
რომელშიც სპარსელებისაგან დევნილი თეიმურაზ II ცხოვრობდა,

თავისი ოჯახით. ეს სასახლე ჩამდენიმე ერთსართულიანი ფიცრული შენობისაგან შედგებოდა.

იევლევის ანგარიშში ამბროლაურის მახლობლად ერთი სოფელი, შესაძლებელია საკეცია ღწეული თავისი საყდრით. ღწეული ამობაში კარგად ჩანს თუ ჩამდენად მდიდარი იყო რაჭის ეკლესიები: „კრიზულის მდინარის იქით, მთებში, მდ. რიონის ნაპირის, არქიეპისკოპოსის საცხოვრებელია. არქიეპისკოპოსის სადგომში მიქაელ მთავარიანგელოზის ხის ეკლესია. სიმონ არქიეპისკოპოსიმა კაცი გამოვიდავნა, ეკლესიაში სალოცავად მივიწვია. იმ დროს სწორედ წირვა მიმდინარეობდა. ჩვენ ელჩები ნიკიფორე და ალექსი ეკლესიაში მივედით, არქიეპისკოპოსი სახლის წინ შემოვევება. საყდარში, აღსავლის კარების მარჯვენა მხარეს ცერცხლით მოკედილი კვერთხია... კვერთხის ზემოდ ცერცხლის კიდობანია, მოოქრული, კვერდებზე მაცხვარი, ღვთისმშობელი, ითანა წინამორბედი, წმინდა დიმიტრი და წმინდა გიორგია იმოტვიფრული. კიდობანს, ზემოთ ქქროს ჯვარია... ამ უკანასკნელზე უფლის ჯვარცმაა გამოსახული და ძვირფასი ქვებითა და მარგალიტებით არის შემკული... იმავე საყდარში მარცხენა მხარეს ყოვლად წმინდა ღვთისმშობლის ხატია ოქროს პერანგში ჩამული და ძვირფასი ქვებით შემკული — ალისფერი და ცისფერი იაგუნდებით“.

XVII ს-ის 60-იან წლებამდე რაჭის ერისთავები იმერეთის მეფის მოხელეებს წარმოადგენდნენ, ბაგრატ III-მ, იმერთა მეფემ, თავისი სამეფო ოთხ სადროშოდ ანუ სასაზღლოდ დაყო. მესამე სასაჩდლო რაჭა, ბუნებრივია, მის ერისთავს ჩააბარა. რაჭის ლაშქარი ბარშიც გაჰყავდათ, როცა ქვეყანის თურქები შემოესეონენ, მაგრამ მათ ძირითადად იმერეთის სამეფოს ჩრდილოეთი საზღვრების დაცვა ევალებოდა. „იმერეთის სამეფოს, რაც კავკასიონის მხარე მოეწერება და რომელიც იწყება დიდი ლიახვის შემიჩნავენი ოსნი და სხეანი მთის კაცნი.. რაჭის საერისთავოს მიეწერებიან“ — წერდა XIX საუკუნის დასაწყისში ცნობილი ქართველი ისტორიკოსი და საზოგადო მოღვაწე ითანა ბაგრატიონი. გვაინტერდალურ ხანაში ცენტრალური კავკასიონის ტომებისათვის ურთიერთთავდასხმა ჩვეულებრივ ამბავს წარმოადგენდა, რომლისგანაც არც რაჭა იყო დაზღვეული. ჩვენ წიგნის წინა თავში უკვე მოვიყენეთ რამდენიმე ლეგენდა ჩრდილოეთიდან მთის რაჭაზე ასეთი თავდასხმათა შესახებ.

შემორჩენილია კიდევ ერთი ხალხური ლექსი, სადაც მთის გადაღმა  
მეზობლების ზემო რაჭაზე მარცხიანი ლაშქრობის ამბავია გადმორცუას  
ცემული.

ყაისი რაჭას წავიდა,  
ის ბასინი თავია,  
სკოლორა ლელეს გვაიდა,  
ხიზინს დაიკლო თვალია.  
შეყავრე მუშა მოდანი,  
ფაციაშეილიც არია,  
დასკრეს გოთრგველა სვანი,  
უქან გაურტეს რემალია.  
წესსა კაცი გამოგზავნეს,  
— გვაძმარე შენი ძალია!“  
ეს წეს და ეს სორელი  
შეიქმნა დიდი გარია.  
ყაისი უკინ ჩამოდგა,  
არ დაუბრიეს კვალია.  
— შემოიცადე, ყაისო,  
დრო აღრი არი შენია  
სულა გლეხი ნუ გვონია,  
ჯაფარიძენიც არია!“  
ყაისი შეხტა ჭა ჭვეშა  
ფინისხი მოხვდა ყბა ჭვეშა;  
„წინ ჩამოდგინ, პატუნა,

თუ რომ გიპტიდეს რხმალა“.  
„მე რხმალის არა კიცი რა“,  
— ჩივლო ჩიხმახს ხელია.  
ჩიმოქრა ჩინაბიძესა,  
ჩაართვა ცალი მხარია.  
მაყლანს ჩივიდა ამბავი,  
ტიროდა ქალის გარია,  
ჩამოჯდომილა ჭამბოლა,  
ჩიმოუკლია თუცია,  
„ვინ იყო რაჭას მაგვარი,  
ყაისის პომიპრა თავია“.  
„ისე მოგიქრა თავია,  
როგორც კიოჭიჭა ფხალია“.  
ყაისის ცოლი ტიროდა:  
„კიორის ჭალას გავიღა  
ჭია და შევი გვილია;  
თუ რომ გაზაფხული მოვა,  
სორს მოუკიდებ ცეცხლსო“.  
ჩეცც ანითი გვათავებთ  
ამ ყაისის ლექსსაო.

იმერეთის სამეფო ყოველთვის ცდილობდა თავისი გავლენა ვა-  
კერცელებინა კავკასიონის ქედის გადაღმა. ერთ ქრონიკაში 1601  
წლის თარიღით ჩაწერილია: „იქა დაიპყრა სრულებით დეალეთ-  
ოსეთი და აღილო ციხე და სოფლები მეფემან როსტომ იმერეთისა-  
მან“. ეს ლაშქრობა ძირითადად რაჭის ძალებით განხორციელდა.  
ამიტომ მაღრან-დვალეთზე და საკუთრივ დვალეთზე რაჭის ერისთა-  
ვები და თავადი ჭაფარიძეები XVIII საუკუნის 60-იან წლებშიც  
აცხადებდნენ პრეტეზიას. გახუშტის ცნობით, გარევეული გავლენა  
რაჭის გამგებლებს ოსეთის მეორე მხარეზეც — დივორზეც ჰქონი-  
ათ: „გარნა დივორ მცირედ ასამე პმორჩილებს რაჭის ერისთავს,  
ვინაითგან უპყრიეს მას რაჭა, და არს დღეინდელად ესრეთ“.

რაჭის ერისთავები მეფის მოხელეობასთან ერთად დიდი ფეო-  
დალებიც იყვნენ. თავდაპირველად, მათი საკუთარი მამული წესს,  
სორს და ლუხუნის ხეობის სოფლებს მოიცავდა.

1651 წელს პაპუნა რაჭის ერისთავს რუსი სტუმრები ეწვიონენ. „ალექსანდრე მეფესთან ეს ერისთავი პირველი ხარისხის თავადად და პატიოსანი კაცია... ელჩებს თავის მამულიდან ერთი ვერსის დაშორებით შემოგვეგბა და სადილზე მიგვიწვია... აქ სუფრაზე ჰყოლა-ფერი წესრიგი და ღირსეულად იყო... ჩვენ ნიკიფორე და ალექსი პა-ტივით გაგვისტუმრა და 5 ვერსის მანძილზე პირადად გაგვაცილა“ — წერს ივალევა. რაჭაც 8 წლის შემდეგ რაჭის ერისთავთა მეფის ასე-თი მორჩილებიდან კვალიც იღარ იყო დარჩენილი.

1660 წელს ალექსანდრე იმერთა მეფე გარდაიცვალა. ტახტზე მისი ვაჟი ბაგრატი ავიდა. სამიოდე თვის შემდეგ ახალ მეფეს დედი-ნაცვალმა დარჩეკანმა წართვა სამეფო ტახტი. მალე იმერეთის სამე-ფოს საქმეებში საქართველოს სხვა ხელისუფალნიც ჩაერივნენ, თურქებმაც წამოჰყვეს თავი. ასე დაიწყო შინა ომი დასავლეთ სა-ქართველოში, რომელმაც თითქმის ასი წელი გასტანა. რაჭის ერის-თავები ამ შინაომის აქტიური მონაწილეები იყვნენ. ისინი ჯერ კა-ნონიერი მეფის ბაგრატის მომხრენი იყვნენ, შემდეგ არჩილ მეფეს — ცნობილ ქართველ პოეტსა და პოლიტიკურ მოღვაწეს — უპერდნენ მხარს. იყო ქვეყანაში ურთიერთმიხტომა და ყმა-მამულის აობრება. „ტრი ქორონიკონს (1668 წ. თ. ბ.) მე გენათელმა გედეონმა ხილი ავაშენე ჰიმურას ზედა... მეორე წელს გელათს წყალწითელაზე ვა-შენებდი ხიდსა და არ დამაცალეს რაჭველებმა, თვირა გათავებას ვუპირებდი“ — ვკითხულობთ გელათის მონასტრის ერთი ხელნაწე-რის მინაწერში. ამ შინაომში რაჭაც არანაკლებ ზარალდებოდა. 1679 წ. რაჭაში თურქებმა ილაშერებს და „მოსწუნეს, მოსტუმევნეს“ ეს მხარე. 1716 წ. ისინი კვლავ შეეცადნენ რაჭაში შეკრას, მაგრამ უშედეგოდ. შინაომი კი უფრო და უფრო ინადგურებდა ქვეყანას.

ერთხანს ერისთავებს რაჭის თავადებიც უპერდნენ მხარს. შემ-დეგ ვითარება შეიცვალა. ერისთავებმა აღგილობრივი თავადების ყმა-მამულის მითვისება და მათი რაჭიდან გაძევება დაიწყეს. განსა-კუთრებით დიდ წარმატებას როსტომ ერისთავმა მიაღწია, რომელ-მაც ეს ტიტული დაახლოებით 1750 წ. მიიღო. მან გააძევა გაფარი-ები, წულუკიძეები, იაშვილები და რაჭის ფაქტური მფლობელი გახდა.] როსტომი დიდ ყურადღებას უთმობდა ერისთავთა მთავარ რეზიდენციის მოვლა-პატრიონბის. მან საგანგებოდ გაამაგრა ხილი-კარის კოშკები და მინდა ციხე. ბარაკონში მის დროს ერისთავთა

ქვეიტეკირის სასახლე იდგა. გალე როსტომი აღარ დააქმაყოფილა ბარაკონის ერისთავთა კარის ეკლესიაშ. აღმოსავლეთ საქართველოშიან მან საგანგებოდ მოიწვია კინძე ავთანდილ შულავრელი და ახალი ეკლესის, აგება დაავალა. ეს უკანასკნელი კარგი ხუროთმოძღვრი აღმოჩნდა და XI—XIII საუკუნეების სტილის ლამაზი გუმბათიანი ტაძარი აღმართა, რომელიც შორიდან შუაფეოდალური ხანის ძეგლად აღიქმება. ბარაკონის ეკლესის შენებლობა 1753 წ. დასრულდა, რაზეც მეტყველებს დასავლეთის კარის თავზე შემორჩენილი წარწერა, რომელშიც როსტომ ერისთავი და მისი ოჯახის წევრებია მოხსენიებული. წარწერები შემორჩენილია ბარაკონის სამხრეთ და ჩრდილოეთ კარის თავზე. მათშიც როსტომ ერისთავი ღმერთს დაცვასა და შეწყალებას სთხოვს. აღმოსავლეთ მხარეს, სარქმლის თავზე წარწერაში „ოსტატი შულავრელი ავთანდილი“ არის მოხსენიებული.

ბარაკონის ეკლესიაში, შიგნით არის საფლავის ქვა მხედრული წარწერით: „წელსა ჩრივ-სა ლოდსა ამას ქვეშე მდებარე არს ეკლესია, მისა აღმაშენებელი რაჭის ერისთავი სხვათა უფროს ტომი ნეტარად განსასვენებლად საუკუნოდ იყოს ხსენება მისი“. ეს არის როსტომ ერისთავის საფლავის ქვა. წარწერაში მისი გარდაცვალების თარიღი შეცდომითა მოცემულია 1767 წ. როსტომი ცოცხალი იყო და დასავლეთ საქართველოს უძლიერეს ფეოდალს წარმოადგენდა.

საოცრად გაუგებარია დღეს ჩვენთვის ფეოდალის ბუნება. როსტომ ერისთავი თავის დროისათვის განათლებული ადამიანი იყო, გააჩნდა მდიდარი წიგნთსაცავი, ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“, თავისი სახსრებით აშენა ქალთა მონასტერი იქრუსალიმში. რაჭის ერისთავს თავისებურად საქართველოც უყვითება და ქრისტიანობაც. თავისი მოქმედებით კი სამშობლოს მტრებს ეხმარებოდა. ივი ებრძოდა სოლომონ I-ს, რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის იღწვოდა. 1769 წლის სექტემბერში სოლომონ I-მა როსტომ ერისთავი შეიძყრო, დააბრძავა და საერისთავო ჩამოართვა. სისტიკად დაისაჭნენ მისი ვაჟებიც. რაჭიდან გაძევებულ ფეოდალებს ყმა-შამული დაუბრუნეს. ერისთავთა მამული მეფის საკუთრებად გამოცხადდა.

სოლომონ I-ის დროს იმერეთის მეფის ერთ-ერთ მთავარ სახა-

ფხულო რეზიდენციის რაჭაში სხარტალი წარმოადგენდა. მი სოფულ-  
ში მეფის საღომის კვალმა დღემდე მთაღწია. იგი მდინარე ესხარებული  
ტულის მარცხენა ნაპირზეა და „სასახლე“ ეწოდება.

როსტომ რაჭის ერისთავი დაახლოებით 1790 წელს გარდაი-  
ცვალა. მისმა მრავალწლიანმა მეტოქეობამ სოლომონ I-თან თანა-  
მედროვეებზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა. იმის შესახებ მრავალი  
ლეგენდა შემორჩია. მათ შორისაა გალექსილი „თავად ჯაფარი-  
შვილის წერილი თავად როსტომ ერისთავისადმი მინაწერი“.

ჯაფარ ჯაფარიშვილი ჯაფარიძეთა სათავადო სახლის წარმომად-  
გენელი ყოფილია. მას როსტომ ერისთავის ბრძანებით თვალები და-  
თხარეს. და ის ერისხელ პატივიყრილი, ბრძან როსტომი აღდგომა  
დღეს თავის ყოფილ ბარაკონის ეკლესიას ეწვია. ეს შეიტყო ჯაფა-  
რიშვილმა, ყოფილ ერისთავს აღდგომა მოულოცა და ნიშნის მიეკ-  
ბით მისწერა:

„სწორედ წესი არ ს ბრძისათვის: კაცნი ჭობით წინ უძლოდეს,

ველარ ნახავ იმ დიდებას, შენთან უხვად ყმან რბოდენ.

მე მომთხარე თვალი, პავრაპ შენც მოგეგო ესეოდენ.

მეც წამახდინე, შენც წახდი, ქრისტე აღსდგა, კიხაროდენ.

...დაგეტა ციხე ბარაკონის, კოშკები ხილის კარისა,

დაგეტა ციხე სევისა, საქროლი ქვენა ქარისა,

დაგეტა იმპირატორის კოშკები ციხის გვარისა,

ამ ხელო იპარი ჭობი და ტომარი სათხოვარისა!

სელ გაგრძელებს უველა, რაც გვადა ჭოგი ირმები,

ოდარ გვაეს მხერი ხუთასი, ბარად თავს მდგომი გმირები;

სელ გაგრძელდა ჟელიქე ბრძანება დანამირები,

სრულად გაგიქრა მოლენა და ტებილი ძილისპირები.

გაგიქრა უდაბნოები, მწირველ-მლოცველი ბერები,

გაგიქრა ყმან შებეგრე, ჩიცხვით ორ-საშერ ბერები,

დაგიოცხენს ბელელ-მარები, ათასინი ქვევრები,

გამწივრებს ჭოგი ძალისა, ნაგაზ-მეძებარ-მწვევრები.

გაგიქრა გულის წადილი, წევულებრივი ქეცლიბა,

წაგართვეს ჭოგი თც აღვის, ვერ იტევს მთა და ველობა,

გაგიქრა აზრი მაღალი, შორით გაქრებული გველობა,

გაგიქრა ქვეყნის დანახვა, ცოლ-შევის შემხედველობა...

ონისა ციხე წამართვი, და ზედ პატარა ქალქი,

წამართვი/გლეხი გლოლაშიდ, ხერი, დურგალი, დალაქი,

მაგრამ შეგრძნა უკელა რომ მომერი ძალათი,

ამ ბრძან ხარ სოფლად ითხოვე, მელავს წმოცეი კალათი.

უწერას წყლები წამართვი, ვაკით, გაობით, მოებითა,  
ცა — ქუდად, მიწა ქალამნად, იყავთ და ვერ იქნებითა!  
დიდი როსტომო, შევძიხდნენ, ვეღარ გაძეხი მებითა,  
ამდენ ხანს როგორ ცოცხალ ხართ, მიევიჩს, რომ აღან  
კოდებითა.

რად არ დასჭერდი, რომ იყავ დიდი დიდების მფლობელი?  
არა დასჭერდი, შეიქმნ სამეფოს შეა გამყოფელი,  
შამბადის სკულის ერთგული და ჩენი სკულის მგმობელი,  
ეხლა კი დარჩი ჰყელასგან საქაელ-საბასრობელი!

მე მომთხარე თვალი, მაგრამ შენც მოგვეო ესეოდენ,  
მე წამახდინე, შენც წახდი, ქრისტე ალგა, გიხაროდენ!

1784 წელს სოლომონ I გარდაიცვალა და ტახტი დავით მეფე მდინავდა. ახალი მეფის და ელენე, როსტომ ერისთავის ვაჟის გიორგის მეუღლე იყო. ამიტომ, დავით მეფემ რაჭის საერისთავო აღადგინა და ერისთავობა გიორგის ძეს ანტონს უბოძა.

რაჭის საერისთავოს აღდგენა განსაკუთრებით წულუკიძეებსა და წერეთლებს ეწყინათ, რადგან მათ სოლომონ I-ისაგან ბოძებული ერისთავთა კუთვნილი ყმა-მამული უკან უნდა დაებრუნებინათ. 1785 წლის გაზაფხულზე გიორგი და ბერი წულუკიძეები შეეცადნენ რაჭა თავის ერთგულებაზე დაეფიცებით, მაგრამ მათ მხოლოდ ჭიდრო-თას ციხის დაკავება მოახერხეს.

1785 წლის მიწურულში დავით მეფე ანტონის ნაცვლად რაჭის ერისთავები მისი მამა გიორგი როსტომის ძე დანიშნა, რასაც აჯანყება მოჰყევა. 1786 წლის დასაწყისში ბერი წულუკიძემ და პაპუნა წერეთელმა ახალციხის საფაშოში 1000 თურქი და 500 ლეპი დაიძირავეს და იმერეთის გავლით რაჭაში შემოიტრნენ. მეფეს ოდიშის მთავარი დაეხმარა. გადამწყვეტი ბრძოლა სხვაგასთან მოხდა. „რა დილა გათენდა ეწყვენენ ურთიერთს, — წერდა XIX ს-ის დასაწყისის ქართველი ისტორიელი ნიკო დადიანი, — და იქმნა ბრძოლა ძლიერი, და იოტნეს ოდიშ-ლეჩხემთა ლექნი და თათარნი, დასჭრეს პაპუნა წერეთელი და მრავალი დახოცეს... ბერი წულუკიძე და დაჭრილი პაპუნა წერეთელი შევიდნენ კვარას ციხესა შინა... და დაშოთომილი ლექნი და თათარნი დამაგრდეს სხვავს სახლსა, ბელელსა და საბძელსა შინა... ლექნები გამოსწენეს სახლსა შინა. მოპელეს, მოსწყვიტეს, ერთისა ცოცხალი არა წარსრულ არიან“... მალე ბერი წულუკიძე და პაპუნა წერეთელი მეფეს დანებდნენ.

ნიკო დადიანთან მოხსენიებული „სხვაგას სახლი“ არის „სხვა-  
ვას სასახლე“, თავისი სამეურნეო თუ საცხოვრებელი კომპლექსი.  
ეს სასახლე რაჭის ერისთავმა ლომინმა ააგო XVII ს-ის პირველ ნა-  
ხევარში. გასული საუკუნის დასასრულს „სასახლეს“ ვრცელ ვაკეს  
ეძახდნენ ზემო სხვავაში; სოფლის კანცელარიისთან ახლოს. ამ  
დროს აქ მხოლოდ სანახევროდ დანგრეული ბუხარილა იყო შემორ-  
ჩენილი.

1787 წელს გიორგი რაჭის ერისთავი გარდაიცვალა და მეფემ  
ანტონ გიორგის ძეს ერისთავობა ხელმეორედ უბოძა. 1789 წ. იმე-  
რეთის სამეფო ტახტი დაიკავა სოლომონ II-მ, რომელმაც სულ მა-  
ლე საბოლოოდ გაუქმა რაჭის საერისთავო. ორი ათეული წლის  
შემდეგ იმერეთის სამეფოს მოელო ბოლო. 1801 წელს რუსეთის იმ-  
პერიამ აღმოსავლეთ საქართველო შეიერთა, ხოლო 1810 წელს იმე-  
რეთის ჯერიც დადგა. ამ წლის პარილის დასაწყისში რაჭის ყველა  
შინიშვნელოვანი სიმაგრე რუსთა ჯარს ეკავა. „მუშკეტერების პოლ-  
კის მაიორმა გოდრიმოვიჩმა — ვკითხულობთ ერთ მოხსენებით ბა-  
რათში — ძალზე მოკლე დროის განმავლობაში მოახერხა დაემორ-  
ჩილებინა რაჭის შემდეგი სიმაგრეები: ტოლა, ხევანკიარა, ხოტევი,  
ნააგარევი, ონი, ბატარა ონი, მინდა, ხიდისკარი და ჭიდროთა“. ახალ-  
მა ხელისუფლებამ 1811 წ. ყოფილ იმერეთის სამეფოში ტერიტო-  
რიულ-აღმინისტრაციული რეფორმა ჩაატარა. შეიქმნა რაჭის ოკ-  
რუგი ანუ მხარე, რომელშიც მთელი რაჭა გერთიანდა. მას ოკრუ-  
გის უფროსი განავებდა, რომელიც აქ დაბანიკებული ჯარის ნაწილე-  
ბის უფროსადაც ითვლებოდა. რაჭის ოკრუგის ცენტრი სხვავა იყო.

პირველ ხანებში ახალი ხელისუფლება ნაკლებად ერეოდა მხა-  
რის ცხოვრებაში, მაგრამ მალე ვითარება შეიცვალა. 1819 წ. ყოფილ  
იმერეთის სამეფოში ახალი ხელისუფლება შეუდგა საეკლესიო რე-  
ფორმების გატარებას და ამ მიზნით საეკლესიო ყმა-მამულის აღ-  
წერა დაიწყო. ეს რეფორმა მოსახლეობის ყველა ფენის ინტერესებს  
ძალზე აუარესებდა. ამიტომ იფეთქა საყოველთაო აჯანყებამ. აჯან-  
ყების ერთ-ერთ მთავარ ცენტრს რაჭა წარმოადგენდა. 1820 წელს  
რაჭაში აჯანყება თვით იმერეთის მართებელმა გორჩაკოვმა ჩაახშო.  
მეამბოხე ფეოდალების ციხე-სიმაგრეები მიწასთან გაასწორეს, ხოლო  
ისინი რუსეთში გადასახლეს. უფრო მკაცრად დაისაგა აჯანყებაში  
მონაწილე გლეხობა და დაბალი სამღვდელოება. გორჩაკოვმა რაჭის  
ოკრუგის ცენტრი სხვავადან ხოტევში გადაიტანა.

ფრთხები, ფრთხები გინდა,

კიდევ ფრთხები გვინდა,

გინდა დაუცულო

სივრცეს, ნიკორწმინდა!

გ ა ლ ა კ ტ ი ო ნ ი,

უქმბათა ქება ნიკორწმინდას.

**პ** მეათე საუკუნის ბოლოს რაჭის საერისთავოს შექმნის შემდეგ, საძირკველი ჩაეყარა დიდ ტაძარს, რომელიც მა საერისთავოს ჩელი- გიურ ცენტრად უნდა გადაჭრებულიყო. ორი ათეული წლის შემდეგ შექნებლობა დასრულდა. ასლად ავებული ტაძარი ნიკოლოზ წმი- დის||ნიკოლოს წმიდის სახელობის იყო. ამიტომ საყდარისაც ნიკო- ლოზშიმინდა ეწოდა, რომელიც შემდეგ ნიკორწმინდათ შეიცვალა. ტაძარმა თავისი სახელი სოფელსაც მისცა. მას თავდაპირველად ნი- კოლოსისწმინდას ეძახდნენ, შემდეგ — ნიკორწმინდას.

ნიკორწმინდის ტაძრის დასაცულეთის შესასვლელს ნახევარწრი- ული ქვის ფილა — ტიმბანი აღდეს. ტიმბანის შუაში რელიეფური გამო- სახულებანია, ასომთავრული წარწერებით: „წმიდამ თევდორე“, „იესუ ქრისტე“ და „წმიდამ გიორგი“. ქვე ერთსტრიქონიანი წარ- წერაა: „ქრისტე ქეო ღმრთისაო, აღიდე სიმრთველით და დღეგრძე- ლობით შენ შეირ გვრგვნოსანი ბავრატ აფხაზთა და რანთა შეფე და ქართველთა კურაპალატი და გაზარდე ქე მათი გორგი ნებასა შინა შენსა, მეოხებითა წმიდისა მღლელთ მოძღვრისა ნიკოლოზისათა“. წარწერაში მოხსენიებული ბავრატ კურაპალატი არის ერთიანი სა- ქართველოს მეფე ბავრატ III. იგი 1014 წ. გარდაიცვალა. რანთა სა- მეფო, რომელიც მის ტატულატურაშია მოხსენიებული, საქართვე- ლოს 1010 წ. შემოუერთდა. ამიტომ ზემოთ მოყვანილი წარწერა 1010—1014 წლებშია ამოკვეთილი. მა წლებში დასრულდა ნიკო- რწმინდის ტაძრის შექნებლობაც.

ნიკორწმინდის ტაძარი ექვსაფსიდიანი, ცენტრალურ-გუმბათოვანი ნაგებობაა. დასავლეთიდან და სამხრეთიდან მიშენებული აქვთ კარიბჭები, სამხრეთიდანვე ტაძრის მთავარ შენობას მიღებული აქვთ ეკვდერი. ორივე ეს მინაშენი XI ს-ში, ტაძრის ძირითად წავლი ბობაზე გვიან არის აგებული. სამხრეთის კარიბჭეს კამარა ჩუქურ-თბებითა და ტროველთა გამოსახულებითა შემცული.

ნიკორწმინდის ტაძრის სარკმელები მდიდრულად არის მოჩუქურთმებული. ხოლო ფასადები და გუმბათის ყელი ულამაზესი რელიეფური ქანდაკებებით არის მორთული. შინაარსობრივი ბარელიეფები ორად იყოფა. ერთ გვეუსახლებელი სცენები ქრისტეს ცხოვრებიდან. გამოსახულებათა მეორე გვეუს ცხოველთა ბარელიეფები ქმნიან. განსაკუთრებით მორთულია გუმბათის ყელი. თავდაპირველად გამოსახულებანი მთლიანად ფარივდა მას, ამეამდ მათი დიდი ნაწილი აღარაა. გუმბათის ყელის გარდა ცხოველთა გამოსახულებანი მოიპოვება ფასადების სარკმლებთან და სამხრეთის კარიბჭეში. ყველგან ფანტასტიკური ცხოველებია გამოსახული. მათ შესაბამისი ასომთავრული წარწერები ერთვის. სამხრეთის კარიბჭის თავზე ფრთხოსან ლომების გამოსახულებებთან ვკათხულობთ: „ქათამაგვეშაპი“. აქვთ სირაქლემების ბარელიეფებთან წარწერაა: „სირაქლემი“, ხოლო ფანტასტიკური ფასკუნჯების ბარელიეფებთან — „ფასკუნჯი“.

შესაბამისი წარწერები ახლაც ბარელიეფებს საეკლესიო თემებიდან. სამხრეთის კედელში ჩასმულია წარწერა: „ქრისტე ეს მეორედ მოსვლა იქსუ ქრისტესი“, ხოლო ტაძრის ჩრდილოეთის ტიმპანზე — „წმიდანი მიქაელ, გაბრიელ“.

ნიკორწმინდის ლაბიდარულ წარწერებში საერთო პირებიცაა მოხსენიებული. დასავლეთის კარიბჭის დასაგლეო კედლის ოთხ სტრიქონიანი წარწერა XI ს-ის რაჭის ერისთავებს ეხება: „ძელი ცხოვრებისათ, წმიდაო ნიკოლოზ, მეოთ ეყავ წინაშე ლმრთისა კახაბერსა და რატის, ამინ“. აქვთ, მეორე წარწერაში რატის ერისთავის ასულია მოხსენიებული: „წმიდაო ნიკოლოზ მლდელთ მოძლუარო, მეოთ ექმენ წინაშე ლმრთისა დეოფალთ დეოფალსა ევფემიას, ასულსა სულკურთხეულისა ერისთავთ-ერისთავისა რატისსა, ამინ“. ტაძრის იატაკზე არის ჭიის ფილი, რომელიც ძღვე საყდარს გარედან ამონდა. ამ ფილაზე წარწერაა, რომელშიც კახაბერისძეთა კიდევ ერთი

წარმომადგენელი ნიანია მოხსენიებული: „წმიდათ ნიკოლოზ  
მღველთ მთავარო, მეოქ ექმენ და მფარველ წინაშე ღმრთისა ზა-  
ნიას, ერისთავთა ერისთავსა და ნოველისიმოსს“. საყდრის დასავლეთ  
კედელში, სარქმელთან, XI ს-ის წარწერა: „წმიდათ ნიკოლოზ, შე-  
იწყალე გორგი მოძღვარი ამის წმიდისა ეკლესიისა“. ეკლესის  
დასავლეთ კედელზე XVI ს-ის წარწერა დაცული: „წმიდათ ნიკო-  
ლოზ მეოქ ეყავ მეფესა გიორგის. მის წყალობით ჰელიში ავაშენე  
ნიკოლოზმიდელმა საყვარელიძემან მელქიშედეკ, ამინ“. ეკვდერის  
ერთ ქვაზე კი XVII ს-ის წარწერაა მოთავსებული: „გვარი ქრისტე-  
სო განუსვენე სასუფლებლა თეთროს ლასხიშვილის ქალსა, მის  
შვილს ქაიხოსროს წულუკიძეს“.

ნიკორწმინდის ტაძარი XI ს-ში მოუხატავთ. XVII ს-ის მეორე  
ნახევარში მხატვრობა გაანახლეს. შემორჩენილი ფრესკების უმეტეს  
სობა ამ ხანას განეკუთვნება. აქ გამოხატული საერო პირები წულუ-  
კიძეთა საგვარეულოს წარმომადგენლები არიან.

ნიკორწმინდის ტაძარი შეუდარებელია, როგორც ადამიანის  
შემოქმედებითი გენის ნიმუში. „აქ წმ. ნიკოლოზ სასწაულმოქმე-  
დის სახელობის ქვის საყდარი, — წერდა იევლევა, — საოცარი ნა-  
ხელავია. გარედან საყდარი მოჩუქუროთმებულია და ქვაზე ამოჭრი-  
ლია საუფლო დღესასწაულები, წინასწარმეტყველნი... შიგნით კედ-  
ლები მოხატულია. ადგილობრივი, ქართული ხელობის ხატები ოქ-  
როთი არის მოჭედილი, სახელდობრ შარავანდედი და სამოსელი,  
სახატებიც ვერცხლითა მოჭედილი... შარავანდედები კი ოქროსა-  
გან არის გაკეთებული და შემყულია მინანქარითა და მარგალიტე-  
ბით, ხოლო საეკლესიო კურპელი, ბარძიმ-ცემუშმი და ტრაპეზის  
ჯვარი ოქროსგან არის ნაკეთები. სახარებაც ოქროთი არის მოჭედი-  
ლი. საყდრის გარშემო ქვის ზღუდეა, რომელსაც ორი ალაყაფის გა-  
რი აქვს დატანებული. ამ საყდარში მეფის მახლობელი ნათესავებია  
დასაფლავებული, კუბიკი საყდრის კედლებშია ჩატანებული და  
ზედ ხავერდისა და ოქროს ვარაყიანი ატლასია ჩამოფარებული“.

იევლევის შემდეგ ნიკორწმინდის საყდრიდან ბექრი რამ დაი-  
კარგა. მიუხედავად ამისა, ჩვენი ს-ის 20-იან წლებში აქ ჯერ კიდევ  
ინახებოდა ქართული ჭედური ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები,  
ხელნაწერები, რომელთა უმეტესობა დღეს მუზეუმებს აქვთ ჩაბა-  
რებული. რუსი ელჩების მოხსენიებული აკლდამები XVIII საის

მეორე ნახევარში ეკლესიის მორიგი შეკეთების დროს ამოაშენდა. 1825.წლისათვის ნიკორწმინდის გალავანის საერთო სიგრძე 80 მეტ-რი იყო. მას სამი კარიბქე პქონდა დასავლეთით, ჩრდილოეთით და სამხრეთით. გალავანის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში იდგა ხის კოშკი მცველებისათვის. კოშკე ხის ბოძებზე იდგა სამრეკლო თრთ ზარით.

1544 წლამდე ნიკორწმინდის საყდართან მონასტერი არსებობდა, რომელიც დიდ ქონებას ფლობდა. „ნიკორწმინდას დაწერილში“ მოხსენებულ 30-ზე მეტ სოფელში გააჩნდა მონასტერს ყმა-მამული. „დაწერილში“ მოხსენებული სოფლებიდან ნაწილი დღესაც არსებობს: მეტეხარა (დღევანდველი ამბროლაური), ზნაკუა (ზნაკვა), ზნაკუას ჯვარისა (ჯვარისა), ნიკოლაოს წმიდა (ნიკორწმინდა), კაჩაეთი, ხოტევი, ძირაგული, ჟივში (ხიმში), შემერი, ზედა აგარა (აგარა); ნაწილი — სხვა სოფლებთანაა მიერთებული. მაგალითად სიგელში მოხსენიებული შხრო, ხევხმელი, შომიეთი და პერნეული სოფ. ნიკორწმინდის საზღვრებშია. „ზნაკვის აგარა“ (დღევანდველი ნააგარევი) ზნაკვის საზღვრებშია, „ველოშეული“ იგრე ველიშეული აღგილია ხოტევში.

რაჭის გარეთ მონასტერს ყმა-მამული გააჩნდა ცხილათში (რცხილათი), ჩიხას, ბაჭითში, ბობოთში, საწირეს, მუხურას, საჩხეორში (საჩხეური) და „ოქრიბას ჯვარისაში“.

1544 წელს იმერთა მეფემ, ბაგრატ III-მ, ნიკორწმინდაში ეპისკოპოსი დასვა, რომელსაც ეკლესიურად „...ოკრიბის მთას აქეთი, ნაკალოებს აქეთ, მუხურის მთას აქეთ, მთა დვალეთისა, ლები, გლოლა, ფისონ გამომდინარე რიონი, სრულიად რაჭა ასკის წყალს გამომა“... დაუმორჩილა.

საყდრის გალავნის გარეთ ააგვს ნიკორწმინდის ეპისკოპოსის სახლე. „ეპისკოპოსის საცხოვრებელი ხისაგანაა აშენებული — წერდა გიულდენშტედტი — მაგრამ ის ალბათ უდიდესი და ყველაზე წესიერიად აგებული შენობაა იმერეთში, მისი სიგრძე 35 ნაბიჯია და სიგანე 25 ნაბიჯი“. 1825 წლის აღწერილობის მიხედვით ნიკორწმინდელის სასახლე იდგა ოდნავ ამაღლებულ ადგილს და ექვსი საცხოვრებელი თიხისა, საკუჭნოსა და სალაროსაგან შედგებოდა. აქვე იყო ღობეშემოვლებული მარანი დიდი ჭიშკარით, ფარდული თივისათვის და ქვის საჭინიბო.

ანლად დაარსებულ საეპისკოპოსო კათედრის იმერთა მეფის  
ბაგრატ III-მ დიდალი ყმა-მამული შესწირა. საეპისკოპოსოს მე-  
ფეთა თუ ფეოდალთა წყალობა არც შემდევში მოქლებია. ასე რომ  
1819 წელს ნიკორწმიდის საეპისკოპოსოს 372 კომლი გლეხი გურ-  
ვნოდა სოფლებში: ნიკორწმიდა, უკეში, ხონჭიორი, ბუგული,  
აბანოეთა, შევტა, ლალიში, ბარეული, ცახა და ოხორი. მასგვე ეკუთ-  
ვნოდა დიდი ვენახები ბუგულსა და ქვედა შავრაში, აგრეთვე 10000  
დესეტინა მიწა რაჭის ქედზე. 1820 წელს ნიკორწმიდის საეპისკოპო-  
სო გაუქმდა.

გვარანცეოდალურ ხანაში რაჭაში სამი მონასტერი იყო: ჰელი-  
შის, სორის, და ველტყევეს.

ნიკორწმინდის დასავლეთით, 4—5 კილომეტრის დაშორებით,  
შარეულას მარცხენა ნაპირზე, ქარაფოვანი კლდეების ძირას, ჯერ  
კიდევ 60 წლის წინათ არსებობდა ჭელიშის ლეთისმშობლის მონას-  
ტერი. ეს ულამაზესი ადგილი ბერებისათვის საგანვებოდ იყო შერ-  
ჩეული. დღეს აქ დევლი სანიხევროდ დანგრეული ეკლესია დგას,  
რომელიც თავის დროზე მოხატული ყოფილა. ეკლესისთან ახლოს,  
ახალი დროის, ორსართულიანი, თლილი ქვით ნაგები სამრეკლო.

ხონჭიორის ეკლესიაში გ. ბოჭორიძემ ხახა XI ს-ის ოთხთვეუ.  
რომელიც ჰელიში მონასტერს ეკუთვნოდა. ოთხთვეს მისი გადმ-  
წერის ანდერძი ახლავს, რომლის თანახმად ეს პირი ამ ხელნაწერს,  
ძვირფას მინანქრიან ხატს... „ღვთისმშობლისა მონასტერსა ჰელიშ“  
უტოვებს.

XVI ს-ის მეორე ნახევარში ნიკორწმიდის ეპისკოპოსმა მელქი-  
ზედეკ საყვარელიძემ დარღვევის პირას მისული ჰელიშის ეკლესია  
საფუძვლიანად შეაეგოთა. 1591 წ. იმერეთის მეფემ ლევანმა ეს ეკ-  
ლესია ნიკორწმიდის ეპისკოპოსს უბობა. 1637 წ. იმერეთის მეფემ  
გიორგიმ „ჰელიშის საყდარი მისის მამულითა“ გელათს გადასცა.

XVIII ს-ის მეორე ნახევარში ჰელიში მონასტერიც აღსდგა და მას  
თანდათანობით ყმა-მამულიც გაუჩნდა. 1825 წელს მონასტერის წი-  
ნამძღვარს ეკლესისთან ახლოს ოთხი თვალი სახლი ჰქონდა. აქვე  
იდგა შვიდი ხის სენაკი ბერებისათვის. ამ წელს წინამძღვართან ერ-  
თად სულ ოთხი ბერი ცხოვრობდა მონასტერში.

1819 წლისათვის ჰელიშის მონასტერს, რაჭის სხვადასხვა სოფ-

ლებში 16 კომლი ყმა-გლეხი ექუთვნოდა, ხოლო რაჭის ქედზე 3 ათა-  
სი დესეტინა ტყე.


ჭელიშის მონასტერში ორ ათეულზე მეტი ძველი ქართვლი და  
ხელნაწერი ინახებოდა. 1902 წ. მონასტერში ამბროსი ხელიამი ლიტერატურა  
მოაჩინა „მოქცევაა ქარლისაას“ XIII—XIV სს-ის ხელნაწერი, რო-  
მელიც ამ თხზულების ქამდე უცნობ რედაქციას წარმოადგენს.  
ქამდე ქართველებისათვის ამ მეტად მნიშვნელოვანი წიგნის მხო-  
ლოდ ერთი, შატბერძული რედაქცია იყო ცნობილი. ახალი, ჭელი-  
შური რედაქციი მასზე ბეგრად უფრო ვრცელია.

სორის მონასტერის ძირითად ნაწილს, სორის ჯვარცმის ეკლე-  
სია წარმოადგენდა. მონასტერი სოფ. სორიდან დგას რამდენიმე ქმ-  
ის დაშორებით, სონტარულას მარცხენა ნაპირის. ეკლესია IX თუ  
X ს-შია ბეგრძული. მომდევნო საუკუნეებში ამ ერთნავიანი ეკლესი-  
ისათვის სამი მხრიდან მიუდგამთ მინაშენები. დაახლოებით ასი  
წლის წინათ სამხრეთი და ჩრდილოეთი მინაშენი დაარღვიეს, ხოლო  
დასავლეთის მინაშენი უშუალოდ ეკლესიას მიუერთეს. შიგნით,  
ეკლესიის აღმოსავლეთი ნაწილი მთლიანად მოხატულია. ფრესკების  
ერთი ნაწილი XV საუკუნეს ეპუთვნის. ეს მოხატულობა რაჭის ერთი-  
თავის ქველი ქარელისძის თაოსნობითა შესრულებული. ეს პირი  
გამოხატულია სორის ეკლესის ჩრდილოეთის კედელზე. აქვეა მხედ-  
რული წარწერაც: „წმიდათ გიორგი მრავალძალისათ, მეოს და მფარ-  
ელ ექმენ წინაშე ღმრთისა ქარელისძეს ქველსა“. აქვეა მეორე უფ-  
რო ვრცელი წარწერა, რომელიც თთქმის აღირ იყიოხება. XVIII  
ს-ის დასაწყისში ეკლესია ნაწილობრივ ხელისხლა მოხატეს. რაჭის  
ერთისთვის შოშიტა III-ის ბრძანებით. ეს ერთისთვი მოხსენებულია  
საკურთხევლის კედლის ერთ წარწერაში: „ქ... მაცხოვარი პირო-  
ლმთისა მე ერთისთვი შოშიტა შემიწყალე“. შოშიტა და მისი ოჯახის  
წევრები ამ ეკლესიის სამხრეთის კედელზე არიან გამოხატულნი:

სორის ჯვარცმის ეკლესიას ამკობდა ჯვარი, რომელიც გადმო-  
ცემით გადამშის მონასტერს ექუთვნოდა, რომლის ნანგრევები გა-  
სულ საუკუნეში ჯერ კიდევ შემორჩენილი იყო, ტყეში, სონტარუ-  
ლას პირას. გაღმოცემით, ეს ჯვარი გადამშის ეკლესიიდან მოგ-  
ლევილა წყალდიდობის დროს და დინებას სორის მონასტრშიდე მი-  
უცურებია. ეს თქმულება ლექსადაა შემორჩენილი:

„სონგრატულს შემოუთვლია  
მოვალ და მოვეალები  
ფეხშე არ მინდა ნალები,  
წისქველა ბეკრი წავილე  
ზედ დაჭედილი კარები.

მონასტერებს მიეცას ცლოვდი  
ზედ გადავხვივ მელავები,  
კარგი ჯარი ქვე ნივართვა,  
ბუშტები იქვს და თვალები“.



გადმოცემით, სორის ჯვარცმის ეკლესიის სამხრეთი მინაშენი რაჭის ერისთავთა აკლდამის წარმოადგენდა.

შოშიტა III-მ სორის მონასტერს შესწირა „უაშქვას კალმახელიძე პაატა, სომიშოს ნიკოლაიშვილი გოგიტი, კაციტაძე გიორგი, მუხლს ისაკიძე, შათირიშვილი, სხვაგვას არჩევაძე კაციტი, ონს ურია მოძღვარა და ჯგუტი“. პაატა კალმახელიძეს მონასტრისათვის ყოველწლიურად უნდა გადაეხადა „ოთხი კოდი პური, ოთხი დორა ლვინო, სალორე გასუქებული ტახი, ერთი მომტრო საკლავი, ერთი ცხვარი და რვა ქათამი“, ნიკოლაიშვილს — „ხუთი კოდი პური, ქერი და მყადი, ხუთი დორა ლვინო, სალორე გასუქებული ტახი, ერთი ცხვარი, ერთი ქათამი“, კაციტაძე გიორგის — „ექვსი კასრი ლვინო, სამი კოდი პური, ერთი კოდი ქერი, გასუქებული სალორე ლორი, ერთი ცხვარი, ოთხი ქათამი, ცხრა პური“, ...ონს ურია მოძღვარს და ჯგუტის ჩხხა-ნაბადის ფასი და საქმეველი და თევზის ბეგარა“.

ეს შეწირულების სიგელი დღეისათვის უძველესი დოკუმენტია, რომელშიც სორის ჯვარცმის მონასტერია მოხსენებული. ვახუშტი ბაგრატიონი უბრალოდ აღნიშნავს „არს მონასტერი უგუნბათო, დიდი, კეთილშენი, აწ ხუცის იმარად“. 1825 წელს მონასტერს მხოლოდ ორი კომლი გააჩნდა. ბერთა კრებული წინამძღვრისა და მთავარდიაკვნისგან შედგებოდა.

გადმოცემით, სორის მონასტერში მრავალი ხელნაწერი და საეკლესიო ნიეთი იყო დაცული. შემდეგ მათი ერთი ნაწილი მტერს გაუტაცია, ნაწილი კი გელათში გადაუტანიათ. რამდენად სწორია ეს გადმოცემა ცნობილი არაა. ყოველ შემთხვევაში გასული საუკუნის დასასრულს, როდესაც ამ ლეგენდას სორელები თავიანთ სტუმრებს აცნობდნენ, სორის ეკლესიაში ჯერ კიდევ ქართული ხელოვნების რამდენიმე ბრწყინვალე ნიმუში იყო დაცული. ექვთ. თაყაიშვილმა და გ. ბოჭორიძემ ამ ეკლესიაში აღწერს ვერცხლით ნაჭერი საწინამძღვრო ჯვარი, ათზე მეტი ძველი ხატი და სხვა საეკლესიო ნივთები. ექვთ. თაყაიშვილმა, დათვალიერების დროს, ეკლესიაში ნა-

გავიდან ამოილო XI ს-ის ტყავზე გადაწერილი ერთი ხელნაწერი, რომელსაც მეტად მნიშვნელოვანი მინაწერები ახლავს. ერთ მინაწერში „სორის ხევია“ მოხსენიებულია. საწინამდღვრო ჯვარს XIII ს-ის წარწერა ამშვენებს: „ქ. მოიჭედა მარკოზის დეკანოზობასა და სულასა კელოსნობასა...“

XVIII ს-ის მეორე ნახევარში რაჭის ყველაზე მდიდარ მონასტერს გელტყევის ნათლისმცემელი წარმოადგენდა. იგი იდგა რაჭის ქადაგზე, რომელსაც რამდონიმე ჰექტარი ფართობი ეჭირა და გარს ულრანი ტყა ერტყა. ეს ადგილი ვრცელი ველია ტყეში და სახელწოდება გელტყევიც აქვდან მოღის. მონასტერს კიდევ რამდონიმე სახელით მოხსენიებდნენ: „ნათლისმცემლის უდაბნო“, „რაჭის უდაბნო“, „სხვავის ნათლისმცემელი“, „სხვავის უდაბნო“, „სხვავის მონასტერი“. მონასტრისაკენ ძველად ყველაზე მოხერხებული გზა-ბილიე სოფ. სხვავადან მიდიოდა. სამანქანო გზა სოფ. ველევიდან მიღის. მანძილი დაახლ. ათი კილომეტრია.

ველტყევის მონასტრიდან დღეისათვის, მხოლოდ სანახეეროდ დანგრეულმა ეკლესიამ მოაღწია. თაღი მხოლოდ საკურთხეველთან არის შემორჩენილი. გ. ბოჭორიძის დროს ამ ეკლესის თაღი მთლიანად შემორჩენილი იყო. დასავლეთის შესასვლელის თავზე დიდი ქვა იდო მხედრული წარწერით: „ქ. მე თვითმპყრობელმან ლიხთ რაჭისამან, ერისთავმან როსტომ აღვაშენე უდაბნო ველტყევსა, ეპლესია ნათლისმცემლისა, განსაძლიერებლად და წელმრავლობისა“. ეს წარწერიანი ქვა დღეს ამბროლაურის სახეითი ხელოვნების მუზეუმში ინახება. გ. ბოჭორიძეს ამ ეკლესის აშენების თარიღიდან 1754 წელი მიაჩნია, რადგანაც ველტყევის მონასტრისადმი ყმა-მამულის შეწირულების სიგელი ამ წლითაა დათარიღებული ვინმე გრიგოლ გამყრელიძის მიერ. ეს შეწირულება გ. ბოჭორიძეს მონასტრის პირველ შეწირულებად მიაჩნია.

ველტყევის მინდონზე შემორჩენილი ეკლესის თარიღი გ. ბოჭორიძეს დაახლოებით სწორად აქვს მოცემული. ბუნებრივია ეს ეკლესია 1750 წელზე აღრე ვერ აიგებოდა, რადგან როსტომი რაჭის ერისთავობას ამ წლის შემდეგ იღებს. ირკვევა, რომ მონასტერი ველტყევში ამ ეკლესის აშენებამდე არსებობდა. მე მივაკვლიე 1740 წლის ორ საბუთს, რომელშიც ყიფიანთა და იაშვილთა საგვა-

რეულოს წარმომადგენლები თითო-თითო ყმას სწირავენ ველტყევის  
მონასტერის ჩორჯოლან და ძირავეულიდან.

ქუთაისის სახელმწიფო ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდებში:  
შემხედა ერთი მეტად საინტერესო საბუთი, რომელშიც ველტყევის  
მონასტერია მოხსენიებული. ეს დოკუმენტი მეტად მნიშვნელოვან  
ცნობებს შეიცავს XVIII ს-ის პირველი ნახევრის რაჭის შესახებ,  
თანაც დღემდე არაა გამოქვეყნებული, ამიტომ მომყავს ვრცელი  
ამონაშერი.

ამ დოკუმენტს არც თავი შემორჩია და არც ბოლო. ორკვევა,  
რომ ესაა უცნობი პირის საჩივარი თავის ბიძებზე; რომელთაც მის-  
თვის კუთვნილი ქონების დიდი ნაწილი წაურთმევიათ. როდესაც  
მომჩინეობის ბაბუა გარდაიცვალა, ეს ბიძები მოწიფული ვაჟკაცები  
ყოფილან, ხოლო მომჩინეობის მამა „წლისა და ნახევრის“. „დიდებუ-  
ლი კაცი იყო პაპაჩემი და მრავალი დარჩა თვალ-მარგალიტი, ოქრო-  
ვერცხლი, ხატი-წმინდანი“, — ვკითხულობთ საჩივარში. მთელი ეს  
ქონება ბიძებს მიუთვისებიათ: „თვეში ათ ტყვეს გაყიდდნენ საერ-  
თოს და მამაჩემს მჭადისაც არ აქმევდნენ. რომ წამოიზარდა მამაჩე-  
მი ...ვახტანგ ერისთავის შვილს მიათვეს და დათუა ბიძაჩემი გრი-  
გოლ ერისთავის კრიზი იყო და სეიმონ ბიძაჩემი ლომინ ერისთვი-  
სა... კარგი ყმა იყო ვახტანგ, გადავარდა. მამაჩემს სნება სჭირდა,  
ვერ გადაყვა. ბიძაჩემებმა ბრძანეს: სანამდის ბატონი მოუვიდოდეს  
ეს ბილწი-გვეიცალოთ. მოიყვანეს გრიგოლ ერისთავი და ლომინ  
ერისთავი. გააგდეს მამაჩემი უმოწყალოდ, შემწე არსიდ ჰყავდა.  
დათუა ბიძაჩემმა ბრძანა მოჯალაბე ერგებაო და მანამდე მოვიხმა-  
რო. გაქრა ხელი და რომელიც უკეთესი შვილი ყავდა გაუყიდა ამ  
მამაჩემის მოჯალაბეს... დააგდეს მამაჩემი ცარიელი არაფერი არგეს.  
ლეკური სეიმონ ბიძაჩემმა წაილო და თოფი დათუა ბიძაჩემმა, გაუ-  
ცვალეს ერთმანეთს. და ლეკური დათუამ ორ გლეხად გაყიდა. ახ-  
ლაც უსახლობს ფარახეთს ტოვონიძები. დათუა ბიძაჩემისა... ხე-  
იძე იყო ნახუცარი, გიორგი ერქვა. მან დათუას ბიჭი მოპარა, გაყი-  
და და წავიდა. წამოედვა. ჩემ კაცს ბერს ხუციშვილს. იმაში შენ  
ერიეო. მშველელი ვინ ყავდა. ჭერ მან გაღაახდევინა. მერე გრიგოლ  
ერისთავს დაასმინა, ხუცესი ტყვეს სყიდვაში გეერიო. დეიჭირა  
გრიგოლ ერისთავმა ეს ჩემი კაცი და ჭერეგში აფხაზს მისცა. გამოე-  
პარა ზინ მოვიდა. ეს მამაჩემს შესწამა ამ გრიგოლ ერისთავმა შენ

გამოაპარეთ. გამოუსია ბოქაული, მიუხტენ ჩემს კაცს მამუკა ტო-  
მარაძეს, მას თოფი კრეს, დაამტვრის და რვა სული ქაშაგა დამი-  
ყიდეს ამ დათუა ბიძის ჩემს დასმენილობით. ამაზე დაფიქტდა ქა-  
ცა ბერი ხუციშვილი, უბრალო კაცი აუყარეს ბატონს ჩემს, დაუ-  
ყიდეს, მე რომ გამოვიპარე გრიგოლ ერისთავი დამყიდისო. ეყიარა  
და სხვავის უდაბნოში შევიდა, და სანამდის გრიგოლ ერისთავი ცო-  
ცხალი იყო, უდაბნოში იყო და გრიგოლ ერისთავი რომ მოკვდა, გა-  
მოვიდა, იწას დაესახლა, სამი გლეხი არის”...

საჩიგარში მოხსენიებულია გრიგოლ რაჭის ერისთავი (1731—  
1743 წ.) ამ ღოკუმენტის მიხედვით ველტყევის მონასტერი მისი  
ზეობის წლებში მომქმედი სახანს, ამას მოწმობს ვახუშტი ბაგრატიო-  
ნის რუკათა მეორე ტრასიც, სადაც იგი „ნათლისმცემლის მონას-  
ტერის“ და „ნათლისმცემლის უდაბნოს“ სახელითაა დატანილი.  
ჩანს, 1751 წლის შემდეგ, მონასტერის ეკლესიის ქველი შენობა და-  
ურღვევიათ და როსტომ ერისთავის ბრძანებით ახალი ეკლესია აუ-  
გიათ. ქველი ეკლესიიდან ერთ ფრაგმენტს მივაკვლიე ახალი ეკლე-  
სიის შიგნით. ეს არის ტუფის ქვისაგან გამოთლილი ერთი მეტრის  
სიმაღლის სვეტი. ველტყევის მონასტერის ქველი ეკლესია IX—XI  
სს-ში უნდა იყოს-აგებული.

XVIII ს-ის მეორე ნახევრიდან ველტყევის სამონასტერო კომპ-  
ლექს ქვის ეკლესია-და მის გარშემო მდგარი ხის შენობები ჰქონიდა.  
1825 წ. აქ იდგა მონასტერის წინამდლეარის სახლი და ექვსი ხის სენა-  
კი, სადაც რვა ბერი ცხოვრობდა. მონასტერს 41 კომლი ყმა-გლეხი  
ეკუთვნოდა რაჭის სხვადასხვა სოფელში. მასვე ეკუთვნიდა ვენა-  
ხები იწასა და ხიმშში, აგრეთვე სახნავ-საოცესი მიწები ხიმშში, სხვა-  
ვაში, ფსორს და ჩორჯოში.

1871 წ. ველტყევის მონასტერი გაუქმდა და საეკლესიო ნივთე-  
ბი ჰქონიშის მონასტერში გადაიტანეს.

ფეოდალურ საქართველოში ზოგიერთი საეკლესიო ნაგებობა  
მეზობელი მხარეების დაახლოებას ემსახურებოდა. ხშირად მოსა-  
ზღვრე სოფლებში თუ მთებზე ეკლესია-მონასტერებს აგებდნენ,  
რომლის დღეობაზე მეზობელი კუთხეების მოსახლეობა იყრიდა  
თავს. ასეთი დანიშნულება ჰქონდა მრავალძალის წმინდა გიორგის  
და მთის წმინდა გიორგის ეკლესიებს.

მრავალძალის ეკლესია მთისკალთაში დგას. ქელად ამ სოფელ-  
საც მრავალძალს, ან კიდევ დამახინჯებით „მრავალძალს“ ეძახისწენ. მისი პირველი ოღწერილობა გიულდენშტედთან მოიპოვება: „არის  
პატარა ქვის ეკლესია... კედლებზე ხატია წმინდა გიორგი მრავალნა-  
ირი ფერებით შეღებილი... ეკლესიას აქვს ძვირფასი ქვებით მოჭე-  
დილი ხმალი... შესავლის თავზე ქვაზე, ჯვარი არის გამოკვეთილი,  
რომლის ორივე მხარეს შემდეგი წარწერაა: „წმიდაო გიორგი მეოს  
ეყავ სულსა იოვანესა“. ეს ოღწერილობა არ უდგება იმ ეკლესიას,  
რომელიც დღეს მთის კალთაში დგას. მრავალძალის წმინდა გიორ-  
გის ეკლესია XI საუკუნის დასაწყისში არის აგებული და ერთნავიან  
დარბაზული ტიპის შენობას წარმოადგენდა. მისი ომოსავლეთი და  
დასავლეთი ფასადები ულამაზესი ჩუქურთმებითა და ბარელიფე-  
ბით იყო შემკული. 1894 წ. ეკლესია მთლიანად გადააკეთეს, რის  
შემდეგაც უცვლელად დარჩა ქველი ეკლესიის მხოლოდ ომოსავ-  
ლეთი ნაწილი. მას მკლავი მიუშენეს, ჯრის ფორმა მისცეს და ზე-  
მოდან გუმბათი დაადგეს. დასავლეთ მხარეს კი სამრეკლო ააშენეს. ასეთი გადაკეთების შედეგად ეკლესიის სახე მთლიანად შეიცვალა,  
ხოლო ლაპიდარული წარწერები თუ ჩუქურთმები სულ სხვადასხვა  
ადგილს მოხვდა. გიულდენშტედტის მიერ მოხსენიებული წარწერა  
დღეს სამრეკლოს სარკმელთანაა. ამავე სამრეკლოზე დღეს მეორე  
ლაპიდარული წარწერაცა, რომელსაც დასაწყისი აკლია: „...შეი-  
წყალე გაბრიელ მირიანის ძე და შვილნი მისნი“. ომოსავლეთის ფა-  
სადის ერთ ქვაზე ამოკვეთილია „ქრისტე შეიწყალენ კვეთნი“, ხო-  
ლო დასავლეთის კედელში — „წმიდაო გიორგი შეიწყალენ კეთი-  
ლად მოღუაწენი ამის ეკლესიისანი“. ოთხივე ეს წარწერა XI საუკუ-  
ნით თარიღდება.

ვახუშტი ბაგრატიონი ამ ეკლესიასთან დაკავშირებით აღნიშ-  
ნავს: „არს მთაში მრავალძალს ეკლესია წმინდის გიორგის და ჯუ-  
რი იგი ოქროსი სასწაულომოქმედი. ამას შესწირა ა შააბას (ე. ი.  
შაა აბას I. თ. ბ.). ქრმალი ოქროთ მოოჭვილი ათსა ძენ მუნ...“ ვა-  
ხუშტისეული „ჯურა დიდი ოქროსი სასწაულმოქმედი“ უნდა იყოს  
მრავალძალის ეკლესიის საწინამძღვრო წმინდა გიორგის ჯვარი, რო-  
მელიც გ. ბოჭორიძეს ჯერ კიდევ ადგილზე დახვდა. ეს ხის ჯვარი  
ოქროთი დაფერილი ვერცხლით იყო მოჭედილი. ასე რომ, იგი ოქ-  
როს ჯვრის შთაბეჭდილებას ტოვებდა. საწინამძღვრო ჯვარი შემკუ-

ლი იყო ხატებით, რომელსაც ათამდე ძვირფასი ქვა ამკობდა. ამავე ეკლესიაში დაცული იყო ორი, ძველი სპარსული იშვიათი ხელობის ხმალი. XIX ს-ის ცნობილი ისტორიკოსის დ. ბაქრაძის ცნობით, ერთ მათგანს ოქროს ტარი ჰქონდა და ძვირფასი ქვებით იყო შემკული. ეს ხმალი ბოჭორიძეს უკვე ტარგადატეხილი დახვდა. ოქროთ შეკედილ ტარზე მან ერთი დიდი, 31 საშუალო და 14 წვრილი ძვირფასი ქვა დათვალი. რამდენად სწორია გახუმტის ცნობა, რომ ეს ხმალი ირანის შაპის მიერ იყო შეწირული, რაიმეს თქმა ჭირს.

ჩვენი საუკუნის დასაწყისში მრავალძალის ეკლესიაში ინახებოდა რამდენიმე ქვარი, ათზე მეტი ხატი, რამდენიმე ძველი ქართული ხელნაწერი და სხვა საეკლესიო ნივთები. ხატებს შორის ორი, ვერცხლით ნაკედი, X—XI სს-ბის წმინდა გიორგის ხატი იყო. ერთზე ქვეითი წმინდა გიორგი იყო გამოსახული წარწერით: „წმიდაო გიორგი მრავალძალო ფარახეთისაო, მეოს და მფარველ ექმენ ჰევსა ფარახეთს“. ძეორე ხატზე ცხენოსანი წმინდა გიორგი იყო გამოსახული წარწერით: „წმიდაო გიორგი შეიწყალე ჰევი ფარახეთისა“.

გვიანდეთ ხანაში მრავალძალის წმინდა გიორგის ეკლესიას ყმა-მამული გააჩნდა. ეკლესიას ეკუთვნოდა სოფელი მრავალძალი. შემორჩენილია სოლომონ I-ის ერთი სიგელი, რომლითაც მეფეებ ამ სოფელში მოსახლე „ერთობით“ სხირტლაძეებს და იობაშვილებს, სახელწიფო გადასახადი ამოუკვეთა და სანაცვლოდ „სულის წმიდის მოსელის დღეს“ წირვა დააყისრა. ამავე სიგელით იმერეთის მეფეებ ჩამორთმეული უმები „ოთხნი გლეხნი სოფელსა ბარს“ და ოთხნი ამბროლაურს ტაბუცაძენი“ ეკლესიას უკანე დაუბრუნა. ბარელი გლეხები, როგორც იმდევნა პეტრიაშვილები ყოფილან.

სოლომონ II-ს მრავალძალის ეკლესიისათვის წინამძღვარი დაუნიშნავს. მისი რჩენა ეკლესიის ყმებს დაევალათ. ამიტომ „უთანხმოებამ ხალხისამ... უბოროტესი შოთათი აღძრაუამსა მას და ჩვენვე გარდავაყენეთ წინამძღვარი იგი... და ეკლესია ესე მრავალძალისა... თავისი ყმით რომელიც იყო პირველ სურისთო და მერმე სამეფო, მივეცით... მიტროპოლიტს... დავით გვარით წერეთელს, რადგან ებარა გრუპის მონასტერი“ — ვკითხულობთ მეფის მიერ გაცემულ 1809 წლის სიგელში.

ქვემო რაჭაში, რაჭის ქედის უკიდურეს სამხრეთ კალთაზე, მაღალ კლდეზე დგას ეკლესია, რომელსაც ძეელად მთის წმინდა გი-

ორგის ეძახდნენ, ხოლო მთას — წმინდა გიორგის მთას. დღეს ამ მთას რაგაში ლექნარს უწოდებენ და ეკლესიაც სამეცნიერო ლიტერატურაში ლექნარის წმინდა გიორგის სახელითაა ცნობილი. რვა კარგად მოჩანს ოკრიბის სოფელ მშენიდან, საიდანაც მისევნ ერთი ბილიკი მიემართება. მეორე ბილიკი ეკლესიისაკენ ზედა შავრადან მოდის, ერთიც შაორის დასახლებიდან. ეს უკანასკნელი ყველაზე მოხერხებულია.

მთის წმინდა გიორგის ეკლესია წარმოადგენს ერთნავიან შენბას, რომელსაც ჩრდილოეთისა და დასავლეთის მხრიდან აქვს მინაშენები. სამხრეთი კედელი უშუალოდ უფსკრულის პირას გადის და ფლეთილი ქვითაა ამოყვანილი. იგი შედარებით სქელია. დანარჩენი კედლები, შიგნითა და გარეთ, ტუფის ქვითაა მოპირეობული. ეკლესია შიგნიდან მოხატული ყოფილა, რომლის კვალი დღესაც ჩანს. ეკლესიაში მაღალი ოსტატობით შესრულებული, რთული ორნამენტებით შემცული ქვის კანკელი იდგა, რომელიც დღეს მთლიანად დამსხვრეულია და მისი ფრაგმენტები იატაკზე მიმობნეული. ჩრდილოეთის ფასაზე შესასვლელის მარჯვნივ ასომთავრულისა და ნუსხასუცურის გამოყენებით ამოკეცეთილია წარწერა: „წმიდაო გიორგი შეიწყალე მონად შენი“. ორი ასომთავრული წარწერიანი ფილა ეკლესიის ეზოში დევს: 1. „წმიდაო გიორგი შეიწყალე მოვანე“, 2. „წმიდაო გიორგი შეიწყალე თორჩიევ“. სამივე ეს წარწერა X—XI საუკუნეებით თარიღდება. ეკლესიის ეზოს სამი მხრიდან მიჰყება გალავანი, რომელსაც შესასვლელი ჩრდილოეთის მხრიდან აქვს. შემოსასვლელთან საყარაულო კოშეის ნანგრევებია შემორჩენილი. ეკლესიის ეზოში ჩაღაც ნაგებობის ნაშთებიცაა. ჩანს აქ მთელი სამონასტრო კომპლექსი იყო. დაახლოებით 10 მ ქვემოთ, კლდეში, რომელზედაც ეკლესია დგას, წყლის პატარა აუზია, რომელიც მთლიანად ქვის დიდი კვადრებითაა მოპირეობებული. აქ მუდამ არის ცივი წყალი, რომლის დონეზე არც წვიმა მოქმედებს და არც გვალვა. ეს აუზი ეკლესიის მშენებლობის დროს უნდა იყოს გამოჭრილი.

მთის წმინდა გიორგის ეკლესიის ძირითადი ნაწილი IX—X სს-შია აგებული. X—XI სს-ის მიზნაზე მისთვის მიუდგამთ ჩრდილო მინაშენი, დასავლეთი მინაშენი — ცოტა მოვალეანებით. ეკლესიაში გასულ საუკუნეში მრავალი იშვიათი ხელობის ხატი და ჯვარი იყო

დაცული. მათ შორის იყო ხის ჯვარი, რომელიც ოქროთი დაფერილი ვერცხლით ნაჟედი ხატებით იყო სამ შხარეს შემკული. ამიტომ მას „ოქროს ჯვარს“ უწოდებდნენ. 1925 წელს ეს ჯვარი აღწერა გ. ბოჭორიძის მიერ ვერცხლის ხატების ერთი ნაწილი უკვე მოპარული იყო. შემორჩენილ წმინდა გიორგის ხატს ასეთი წარწერა ამკობდა: „წმიდა გიორგი მე გლახავმან არსენ მოვაჭედინე ჯუარი წმინდისა ნათლისმცემელისა, ლოცვა ჰყავთ“. მეორე ხატის წარწერა გ. ბოჭორიძემ ასე წაიყითხა: „დიდებულო ნათლისცემელო შემწე კვიც ბაგრატ კურაპალატს“, ხოლო მაცხოვრის ხატზე იკითხებოდა: „წმიდაო გიორგი დაიცვენ ერისთავნი კახაბერ და მიქელ“. აქ მოხსენიებული ბაგრატ კურაპალატი საქართველოს მეფე ბაგრატ IV-ა, ერისთავი კახაბერი — რაჭის ერისთავია, ხოლო მიქელი — ოქრიბის ერისთავი. ეს წარწერები XI ს-ის 30-იანი წლებით უნდა დათარიღდეს, როდესაც ბაგრატ IV ჯერ კადევ ატარებს კურაპალატის ტიტულს. სამწერა-როვ გ. ბოჭორიძემ ვერ მოახერხა წამოელო, ვერც ეს ჯვარი და ვერც სხვა ქართული კედურობის ბრწყინვალე ნიმუშები, რომელიც 1925 წ. ძმუსიში ინახებოდა. რამდენიმე წლის შემდეგ კველა ეს ნივთი დაიკარგა.

შემორჩენილია საქართველოს მეფის ბაგრატ VI-ის (1360—1393 წწ.) ტყავზე დაწერილი ერთი სიგელი, რომელიც მთის წმინდა გიორგის ეკლესიისადმია გაცემული. „თქუენ წმიდაო გიორგი მთისა... რაგუარაც დავით აღმაშენებლისა და ძისა მისისა დიმიტრისგან შემოწირული ყოფილიყო, — კიკითხულობით სიგელში, — ჩუენ მეფეთ მეფემან ბაგრატ... კელვყავით ახლად აღმენებად და შემკობად ტაძრისა შენსა და გარდავაჭედეთ ზეთი ტყუივითა და სპილენძითა და მოვჭედნეთ ხატნი... შემოვსწირენ მამულნი და გლეხნი სახადს აგარა... შავორი, ვითა ძეველთაგან შავორის მთავარ მოწამე იქი სვენებულიყო, დიდი სოფელი ყოფილიყო შავორი და ოხრებულიყო... ახლად კელვყავით აღმენებად... სოფელი შევექმენი და აშ ახლად შემოგწირეთ... თხმორი... ძმუსი ცხრათავითა... კაციეთს მსხდომნი ბულუშაძენი და ზაქარაძენი... წყნორს მითათაშუილები და კლიკაძენი... აგარა... ჭაშლათს ჭუნკულაძე, ჭოთბოძეიძე... ბობოთს ერა-ძენი... ფონას ნოზბეგანიძე... სურამი“...

დღემდე მოაღწია მთის წმინდა გიორგის ეკლესიისადმი შეწირულების კიდევ რამდენიმე დოკუმენტმა. უკანასკნელი სიგელი

1795 წელს არის გაცემული სოლომონ I-ის მეუღლის, დედოფალ  
მარიამის მიერ.

მთის წმინდა გიორგის დღეობებზე დასავლეთ საქართველოს  
მრავალ კუთხიდან დადიოდნენ. „რაჭის ტყის შუაგულში არის ქვი-  
საგან ნაგები ძეველი სამლოცველო, — წერდა გასული საუკუნის  
ოციან წლებში ფრანგი მოგზაური და კომერსანტი გამზა, — იგი  
აგებულია წმინდა გიორგის სახელზე... აქ დიდალი ხალხი მოდის  
სალოცავად, ხშირად იმერეთისა და სამეგრელოს ყველაზე შორეუ-  
ლი მხარეებიდანაც.

რაჭის ყოველ სოფელში ქვისაგან ან ხისაგან აგებული ერთი ან  
რამდენიმე ეკლესია იდგა. ფეოდალური ხანის ხის ეკლესიებმა ჩვენ  
საუკუნის დასაწყისამდე კერ მოალწიეს.

✓ სამი ათეული წლის წინათ უწერაში იდგა დარბაზული ტიპის  
ეკლესია, რომელიც X ს-ის დასასრულს იყო აგებული. 1952 წ. ეს  
ეკლესია მთლიანად დაარღვიეს. თავის დროზე იგი შიგნიდან მოხა-  
ტული იყო. გასულ საუკუნეში ფრესკების დიდი ნაწილი უკვე ჩა-  
მორეცხილი იყო. გ. ბოჭორიძის დროს მხოლოდ საკურთხეველში გა-  
ირჩეოდა ერთი ფრესკის ქვედა ნაწილი და მასზე გამოსახული ქარ-  
თული წიგნის ერთი ფურცელი ასომთავრული წარწერით. აქვე  
გ. ბოჭორიძიმ ნახა ლანგარი წარწერით: „მეფე ერეკლე“.

უწერა ანუ „აზნაურ გამყრელიძის სოფელი“ ტოლოჩინოვს და  
იყვლევს აქვთ მოხსენიებული. სოფელში „ქვის საყდარია, მიქაელ  
მთავარიანგელოზის სახელმისა. ასე გვითხრეს, რომ იქ დინარა დე-  
დოფლის თმებია დაცული“, — წერს ტოლოჩინოვი. იყვლევი კი  
უმატებს: „გვიამბეს, რომ ეს თმები ივალმყოფსაც კურნავს და ცოდ-  
ვებსაც მიუტევებსო“.

დინარა დედოფლის ანუ თამარ მეფის „თმა ერთი ნაწნავი“,  
რომელიც უწერას „ეკლესის კამარასა შინა მედარებს“ ვახშეტი  
ბაგრატიონისაც აქვს მოხსენიებული. მისი მიხედვით სამკურნალოდ  
მიწიდან ამოსულ გაზს „სასუნებელს“ იყენებდნენ. ასეთივე „სასუ-  
ნებელი“ ყოფილა ონშიც. გიულდებულებრივის ცნობით, როგორც  
ონში ისე უწერაში ავადმყოფები ამოთხრიდნენ პატარა ორმოებს  
და ლერწმის ლეროებით გაზს ისუნთქავდნენ. ამგვარი მკურნალობა  
გასულ საუკუნეშიც გრძელდებოდა. „უწერას ეკლესია აგებულია  
ტუფის ქვისაგან, — წერს დიუბუა დე მონპერე, — ცნობილია მთელ

რაჭაში და იმერეთშიც კი. ბევრი მლოცველი, განსაკუთრებით ქალები, მოდიან აქ რათა აღიდგინონ თავიანთი ჯანმრთელობა... გაჩინდა შესუნთქვის გზით. ეს გაზი გამოდის მიწიდან, ეკლესიის უკან. რეად მყოფები ისუნთქავენ მას, რაც იწვევს მათში დიდ ხველას“. „მეავე წყლებიდან ერთი ვერსის მანძილზე“, — წერდა 1888 წ. გაზეთი „ივერია“ — ოის ე. წ. „სასუნებელი“... „სასუნებელი“ წარმოადგენს ორმოს, საიდანაც ამოდის ერთგვარი მძიმე სუნი, რომელიც თავგრუს ასხამს ადამიანს. მოსული ხალხი, უფრო მდაბიო, ბევრი მიდის ამ „სასუნებელის“ მოსაწევად... ხალხის აზრით, ამის მოწევა უხდება თავის ტკივილსა და ქარებს“. ამგვარი მკურნალობა საქართველოში მეტად ძლიერ საშუალებად ითვლებოდა: პკურნავს ქარს, სევდას... გინდა მსუნებელი შებინდების სუნითა — წერს ვახუშტი ბაგრატიონი.

გ. ბოჭორიძის ცნობით, ძველი, ალბათ ადრეფეოდალური ხანის ეკლესია იდგა გომში, მდ. გომრულას მარჯვენა ნაპირზე. ეკლესიის ორი კედელი შედარებით ქარგად იყო შემორჩენილი. მის ნანგრევებში კი ახალი დროის ხის ეკლესია იდგა (ახალ დროის ეკლესიას პირობითად ვუწოდებთ XIX ს-ის და XX საუკუნის დასაწყისში აგებულ ნაგებობებს). დღეს ხის ეკლესია აღარაა, ძველი ეკლესიიდან კი მხოლოდ ნანგრევებიღა გაირჩევა. გ. ბოჭორიძეს მოხსენებული აქვს გომის მეორე, ახალი დროის ხის ეკლესია, რომელიც სოფლის სასაფლაოზე იყო აშენებული. აქ დაცულ ნივთებს შორის ის ასახელებს ჭედურობით შემყულ იშვიათი სილამაზის ვერცხლის სასმისს. დღეს აღარც ეკლესია დგას და არც ეს სასმისი ახსოვს ვინავეს.

ვახუშტი საგანგებოდ ჩერდება ძეგლევის ეკლესიზე: „აქა ეკლესიასა შინა არს ზეთი ჭიქითა და მდუღარებს მარადის, და რაოდენ იღებენ, არ აკლს ჭიქასა მას“. გ. ბოჭორიძეს ეს ეკლესია უკვიდანგრეული დახვდა. გადმოცემით, იგი მცირე ზომის ყოფილა. გასულ საუკუნეში ეს ეკლესია დაანგრიეს და ხის ეკლესია ააგეს. ვახუშტისთან მოხსენიებული „ზეთი ჭიქითა“ გ. ბოჭორიძის დროს არავის არ ახსოვდა. უფრო ადრე კი, 1848 წელს, მარი ბროსეს ამ „ჭიქის“ შემდეგი გადმოცემა ჩაწერინენ. ეს ზეთი სასწაულმოქმედად ითვლებოდა და ავადმყოფების სამკურნალოდ იყენებდნენ. XVIII ს-ის შეა წლებში ონის საჯანის წმინდა გოორგის ეკლესიის

მღვდელს ახლობელი გახდომია ავად და „ზეთი ჭიქითა“ შეგდევი-  
დან ონში წაულია. გზაში იგი წაქცეული, ჭიქა გატეხილა და ზეთი  
დაქცეულა.

აღრეფეოდალური ხანის, ბარელიფებით შემკული, ნახევრად  
დანგრეული ეკლესია დგას საკაოში. აქედან გ. ბოჭორიძემ წამოღლო  
ერთი ხატი, რომელიც X საუკუნით თარიღდება. ამ საუკუნეში უნ-  
და იყოს აშენებული საკაოს საყდარიც.

შეუბანის ახლოს დგას ეკლესია — „შეუბნის თავისა“, გ. ბოჭო-  
რიძესთან იგი „სინაწმინდის“ და „ზემო საყდრის“ სახელითა მოხსე-  
ნიებული. 1927 წ. ეს ეკლესია სანპეტევროდ დაანგრიეს. იგი IX—X  
სს-ში უნდა იყოს აგებული. მშენებლებს ტუფის ქვაც გამოუყენები-  
ათ, რომელიც თითქოს თამარ მეფის ლამქარს ამოუზიდა ლარულის  
ხეობიდან, ხელიდან ხელში მიწოდებით. მეორე ლეგენდის მიხედ-  
ვით, ამ ეკლესიის თაღზე ჩამოკიდებული ყოფილა თამარ მეფის ერ-  
თი ნაწნავი. ერთხელ მის მოსატაცებლად საყდარს ისები დასხმიან  
თავს. ერთს ამ თმის მოსკვრებლად ხმალი ამოულია, მაგრამ შეეხო  
თუ არა ნაწნავს, ხმალი ვადაში გადატყდა და თმას შერჩა. გ. ბოჭო-  
რიძის ცნობით, ერთი ხმალი, რომელიც ამ თავდამსხმელის საკუთ-  
რებად ითვლებოდა, 1925 წლამდე ინახებოდა შეუბნის ეკლესიაში.

სოფ. წედისში, სისაფლაოშე დგას კარგად შემონახული ეკლე-  
სია, რომელიც IX—X სს-ით თარიღდება.

აღრეფეოდალური ხანის საყდარი იდგა პიპილეთში. „პიპილე-  
თის წმინდა გიორგის ეკლესია დგას მდ. ჯეჭორის მარცხენა ნაპირზე,  
სოფლის პატარა უბანთან. იგი ერთნავიანი შენობაა, — ვკითხუ-  
ლობთ გ. ბოჭორიძესთან, — ნაგებია ტუფის თლილი ქვით, ხურავს  
ყავარი. თაღი შემორჩენილი აქვს დას. ნაწილში... ეკლესიაში არის  
მომრგვალებული ქვა, შემკული ჩუქურთმებით. იქნებ იგი ქვის კან-  
კელიც იყოს. ეკლესია შესანიშნავი შენობაა, განახლებულია XIX  
საუკუნის ბოლო ათეულში: გარშემო მას ჰქონია გალავანი, რომე-  
ლიც ალაგ-ალაგ დანგრეულია“.

სომიწოში დგას XI ს-ის ეკლესია, რომელიც რამდენჯერმე  
არის გადაკეთებული. სამხრეთის ფასადში, კარის ახლოს, ნუსხანუ-  
ლური წარწერაა — „წმიდაო... შეიწყალენ ღუღუმ“. აღმოსავლეთის  
ფასადზე ვკითხულობთ: „წმიდაო ეკლესიაო შეიწყალენ შვილნი“.

სხიერში დგას „მირიანისეული უძრავი“ წმინდა გიორგის ეკ-

ლესია. ძველად იგი შიგნიდან ყოფილა მოხატული. ეკლესია ძალზე დაიზიანებულია. აქედან ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გადაიტანეს ფილავეის კანკელის ერთი ფრაგმენტი. მასზე რელიეფური გამოსახულებანია წარწერებით. ყველა წარწერა IX—X საუკუნეებისა ებით თარიღდება. ამ დროს უნდა იყოს აგებული სხივის ეკლესიაც.

ბოყვაში დგას მთავარანგელოზის ეკლესია, რომელიც IX—X საუკუნეებით თარიღდება. ერთ დროს იგი დანგრევის პირას იყო მისული, დღეს კი მთლიანად აღდგენილია. 1978 წელს ამ სოფელში ვზის გაფართოების დროს აღმოჩნდა ძველი სასაფლაო და ქვის ეკლესის საძირკველი, სადაც ბოყვას წმინდა გიორგის ეკლესია უნდა მდგარიყო. IX—X საუკუნეებით თარიღდება უშოლთის წმინდა გიორგის, ხარისთვალის „ქოლოსის“ და შემერის „მოჭოხის“ ეკლესიები, რომელებმაც დღემდე ნანგრევების სახით მოაღწიეს.

საგარისო მდგომარეობაშია შრომისუბნის (ჯოისუბნის) „მცხეთის“ წმინდა გიორგის ეკლესია. იგი აგებულია IX—X საუკუნეებში, ხოლო მნიშვნელოვნად გადაკეთეს XI—XII საუკუნეებში. შენებლებს ტუფის ქვა გამოუყენებიათ. ეკლესია ერთნავიანია, დარბაზული ტიპის. მისი გარეთა ფასადები შემკულია რელიეფური ქანდაკებით. აღმოსავლეთი სარქმლის გარშემო ერთ ქვაზე გამოქანდაკებულია მაცხოვარი, ტახტზე მჯდომარე, მის მარცვენა და მარცხენა მხარეს — პეტრე და პავლე მოციქულები. აქვე შესაბამისი ნუსხური წარწერებია „მაცხოვარი“, „წმიდანი მოციქული პავლე, პეტრე“. აქვეა გამოხატული სცენები საეკლესიო ომებიდან. აღმოსავლეთ სარქმელთან საერთ პირები არიან გამოსახულნი.

სარქმლის მარჯვნივ მამაკაცის ფიგურაა, რომელსაც ხელში ეკლესიის მოდელი უკირავს. აქვე ასომთავრული წარწერაა „წმიდაო ეკლესია შეიწყალე გაბრიელ მამასახლისი“. ამავე სარქმელთან ქვედა მარცხენა კუთხეში ჩასმულია ქვის ფილა, რომელზედაც ცხენზე მჯდარი წმინდა გიორგის რელიეფური გამოსახულება და ორი ასომთავრული წარწერაა: 1. „წმიდაი გიორგი“, 2. „წმიდაი გიორგი შეიწყალე მონამ შენი კალატოზი“. ეკლესის ჩრდილო კედელში ქვის ფილაა ჩასმული, რომელზეც ხუთი მამაკაცია გამოსახულია. აქვე ორი ასომთავრული წარწერაა: „წმიდაო ლმრთისმშობელო“, „წმიდაო ეკლეზიაო შეიწყალე ამის მოქანდაკე კალატოზინი“.

ექლესიის სამხრეთის კედლის აღმოსავლეთ მხარეს ჩასმულია ქვის ფილა, რომელზედაც ორი რელიგიული სცენაა გამოხატული წარწერებით: „ვაბრიელ ანგელოსი“, „წმიდამ მარიამ“. ამავე კედლის მეორე ქვის ფილის წარწერაში კითხულობთ: „ქრისტე შეიწყალე ამისი მწერელი“.

ერთნავიანი დაჩბაზის ტიპის ექლესია დგას სოფ. ფარახეთში. იგი შიგნით მთლიანად მოხატულია. ფრესკები ძირითადად საეკლესიო თემებისადმია მიძლვნილი. მხოლოდ ჩრდილოეთის კედლებზეა დახატული დიდებული. აქვე ასომთავრული წარწერაა: „სუბატ არეშიძეს შეუნდოს ღმერთმან“. მსგავსი წარწერები ათეულზე მეტია. საკურთხეველში ვკითხულობთ: „ქელბაქის მომავალთა შეუნდოს ღმერთმან“, „ტოვონიძეთა დიდთა... შეუნდოს ღმერთმან, ამინ“; „ჩილუნაძეს მომავალთა მათ ყოველთა შეუნდოს ღმერთმა“; „თუღულაშვილსა შეუნდოს ღმერთმან, ამინ“; „ცინარიძესა შეუნდოს ღმერთმან, ამინ“; „გვლბაძიანს შეუნდოს ღმერთმან, ამინ“; ჩრდილოეთის კედლებზე კიდევ რამდენიმე გვარი გაირჩევა: „ცერგელაძეს შეუნდოს ღმერთმან, ამინ“; „ტერტიაშვილს შეუნდოს ღმერთმან, ამინ“; „ტაბუცაძეთა დიდთა...“; „ვაშაბერიძეს შეუნდოს ღმერთმან“; „ერაძეს შეუნდოს ღმერთმან“. ექლესია და მისი მხატვრობა ვ. ბოჭორიძის მოსაზრებით XVII საუკუნეს უნდა ეკუთვნოდეს. აქ მოხსენიებული გვარების ერთი ნაწილი — ტოვონიძე, ჩილუნაძე, გვლბაძიანი, ერაძე, დლესაც ცხოვრობენ ამ სოფელში. ნაწილი კი გადაშენებულა და მათი ხსოვნა ტოპონიმიკაშ შემოგვინახა. გ. ბოჭორიძის ცნობით არეშიძეებს მეზობელ სევაში უცხოვრიათ, სადაც ერთ ადგილს არიშაული ეწოდებოდა. საკუთრივ ფარახეთში იყო ადგილთა სახელები: სათურლაო, ცინარეული, ცერგერაული, შოთაური, ვაშაბერიძეებს თავისი გვარი თითქოს ლაშაბერიძეებად გადაუკეთებით. ჩვენი საუკუნის დასაწყისში ასეთი გვარის ოროჯასს უცხოვრია ფარახეთში. ამ ექლესიის საერთ წარწერები მეტად საინტერესოა. ირკვევა, რომ ექლესია აუშენებია და მოუხატია ხევს, ფეოდალთა და გლეხთა საგვარეულოებს ერთად (ხევების შესახებ იხილეთ ქვემოთ).

გ. ბოჭორიძის დროს სოფ. ბარში ხუთი ექლესია იდგა. სამი ქვემო ბარს: მაცხოვრის ძევლი „საბუეს გორაზე“, მაცხოვრის ახალი სოფელში, ლვთისმშობლის ძევლი ციხისლიანთ უბანში. ორი ექლესია.

ზემო ბარში იდგა: მთავარანგელოზისა ძველი ჭბოს და მთავარანგელოზის ახალი, საკუთრივ სოფელში. „საბუქეს“ გორის ეკლესია მეიოთხელი წინა თავში გაეცნო. ციხისლიინთუბნის ეკლესია დარბაზული ტიპისაა და შიგნიდან მოხატული. ფრესკებზე სხვადასხვავებული წმინდანების გვერდით რეალური პიროვნებებიც არიან გამოსახული იყენებული იყო. ჩრდილოეთის კედელზე სამი ადამიანია: ერთი — ქალი, საერო ტანსაცმელში, ორი — მამაკაცი საეკლესიო და სერო ტანსაცმლით. საეკლესიო პირის გვერდით წარწერაა — „შინდაგურიძე მოძღვარი, ციხისა დეკანოზი, ციხისელობა ციხისა აშენებისთვის გამომყოლია“. აქვე კიდევ ორი წარწერაა: 1. „იოვანეს შეუნდოს ღმერთმან, ვინცა შენდობა ბრძანოთ, თვეენც შეგინდოთ ღმერთმან“; 2. „ციხისელი იოვან, რომელმა აღაშენა ეკლესია ესე ბეთლემისა ღმრთისშობლისა. მათ შშობელთა და მეუღლესა მისსა ჩუსას შეუნდოს ღმერთმან“. იოვან და ჩუსა ამ ეკლესის ქტიტორები უნდა იყვნენ. ჩრდილოეთის კედელზე მათი შვილებია გამოხატული წარწერით: „შვილნი მათნი გიორგი, დავით, როსტევან, მამის მამა, მიქაელი, ნიკოლაოს“.

ონის მხარეთმცოდნეობის მუხეუმში ინახება ორი ქვის ფილა, ნუსხახუცური წარწერებით. ეს ფილები რომელიმაც ეკლესიიდან არის გადმოტანილი. საფიქრებელია, რომ ისინი ზემო ბარიღან, ჭბოს ეკლესიიდან უნდა იყოს წამოღებული, რომელიც თავის დროზე დარბაზული ტიპის ნაგებობა იყო. ერთი წარწერიდან მხოლოდ ფრაგმენტია შემონახული: „წმიდაო გიორგი შეიწყალე... შვილნი მისნი, რომელიმე...“ მეორე წარწერა სრულადაა შემონახული: „წმიდაო გიორგი შეიწყალე სვიმეონ დეკანოზი“. ეს წარწერები XI საუკუნით თარიღდება.

სორში დგას IX—X საუკუნის ორი ეკლესია. ერთი — საკვირის გორაზე, რომელიც დღეს აღდგენილია, მეორე — ჯვარცმის ეკლესია კარგადაა შემონახული.

ხიმშში ერთნავიანი დარბაზული ტიპის ეკლესია დგას. მის ჩრდილოეთ კედელში მხედრულნარევი ნუსხურით შესრულებული წარწერა ამოკვეთილი: „ქრისტე მეუფეო ციხია და ქუეყანისაო. და წმინდაო გიორგი გორისაო, და წმიდაო თევდორე, შეიწყალეთ კვირიე და თევდორე სულითა და კორცითა ორსავე ცხორებასა“.

წესის ბარაკონის ძველი და ახალი ეკლესიების შესახებ წიგნის წინა თავში იყო საუბარი. ამის გარდა სოფელში კიდევ ორი ეკლე-

სიის ნანგრევებია შემორჩენილი. ერთი, წმინდა გიორგის ეკლესია დგას სავარდის გორაზე ანუ ვარდისუბანში. იგი წარმოადგინდა ერთნავიან მცირე ზომის შენობას. დასავლეთ კარის თავზე, ღლობება ასომთავრული წარწერით, რომელსაც გ. ბოჭორიძე ასე კითხულობდა: „ქ. მრავალთა მოწამეთა ყევს ძლიერება, ხოლო შენ გარდამეტე მათ ყოველთა. სასოება ჩემო მთავარო მოწამეო გიორგი, ამ მე შენდა მავედრი გოცირიძე პაატა გიმკობ ეკლესიას შენსა“ წარწერაც და ეკლესიაც XVI—XVII საუკუნეებს უნდა განეკუთვნებოდეს. დღეს წარწერიანი ქვა ოლარ ჩანს, ხოლო ეკლესია ძალზე დანგრეულია.

ხიდიკარის ჩრდილოეთით, ველიეთის მთაზე, ველიეთის წმინდა გიორგის ეკლესის ნანგრევებია შემორჩენილი. იგი IX—X საუკუნეებში უნდა იყოს აგებული: გასული საუკუნის დასასრულს კი საფუძვლიანად გადააკეთეს. ეკლესიაში გ. ბოჭორიძის დროს ინახებოდა წმინდა გიორგის ხატი, რომელზედაც ორი წარწერა იყო შესრულებული. ერთი კარგად იკითხებოდა: „წმიდაო გიორგი შეიწყალე კევი წესისა“. მეორე წარწერაში გ. ბოჭორიძემ სულ რამდენიმე სიტყვა გაძრჩია, მათ შორის „კელოსანთა“.

ლიცხეთის ახლოს, დაბალ მთაზე 1929 წლამდე იდგა მეცვრეთის ეკლესია, დარბაზული ტიპის, შიგნიდან მოხატული. გ. ბოჭორიძემ ნახა აქედან სოფელში წარმოდებული წარწერიანი ქვა. მან მხოლოდ რამდენიმე სიტყვის გარჩევა შეძლო. ეკლესიის ახლოს სხვა შენბების ნანგრევებიც იყო შემორჩენილი. გ. ბოჭორიძე ფიქრობდა, რომ იქ მონასტერი იყო. ეკლესიის მიდამოებში რაღაც წარმოების ძვალიც შეიმჩნევა და ადგილის სახელიც სწორედ მასთან უნდა იყოს დაკავშირებული. მეცვრეთი შეიძლება მეცურეთისაგან მოღიოდეს. ჭური კი, დას. საქართველოში ქვევრის ნიშნავს.

ღვაარაში დგას X ს-ის ჯვარცმის ეკლესია. სოფლის ახლოს, მთაში არის, დაახლოებით ამავე ხანის „სობჩის ეკლესია არის ძლიერ პატარა სპონტიკის (ტუფის თ. ბ.) ქვით აშენებული, — წერს თ. შარაბიძე, — როგორც სიძველე ამტკიცებს, თამარ დედოფლის აღშენებული უნდა იყოს. მა ეკლესიაში იციან წელიწადში სამჯერ დღესასწაული. ერთი — ნააღდგომევს — გიორგობა 23 აპრილს, მეორე — წიფეტელობა — 20 ივლისს, მესამე — შემოდგომას, ნოემბრის — 10-ს. წიფეტლობას დაკვლე... ორ კარგ

ხარს და იქვე მოხარშავენ მზარეულები... მღვდელი წირავს იმ დღეს, გამოვა წირვა, დალოცავს ხალხს... შემომწირველებს ფულად და საქონლით, და ხალხი ერთმანეთს. შემდგომ დაჭდებიან ომათ კაცი და ქალი სტუმრებითურთ. ამ ხორცს, რომელიც იქ იხარჯება გარანტებენ კომლზე და სტუმრებსაც მიაჩომევენ... გარდა იმისა, შინიდან მოიტანენ სხვა სამასპინძლოსაც... უწინ იმ ეკლესიაზე არ შეეძლოთ, რომ ქალი მოსულიყო, ვინც არ უნდა ყოფილიყო, ეხლა კი ყველანი მიღიან..."

ხეანქარაში ორი ეკლესია იდგა. აქედან „ლეთისმშობლის მაძინების“ ეკლესია უკვე ვაჟსენ. მეორე „გოლგოთის“ ეკლესია ძალზე დანგრეულია. ასევე დანგრეული „საყიორის წმინდა გოორგის ეკლესია“, პატარი ჩორგოში.

პირველ ტოლაში დგას მაცხოვრის, მეორე ტოლაში — სამების ეკლესია. ორივე ძალზე დანგრეულია და თარიღის დადგენა ჭირს.

ზემო და ქვემო ღვარდიში, აგრეთვე ცახში, ფეოდალური ხანის რაიმე საკულტო ნაგებობა შემორჩენილი არ არის. პატარი ონში, როგორც უკვე ვნახეთ, XI საუკუნის ორი ეკლესია დგას, ღადიშში ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში წმინდა გოორგის ძველი ეკლესია იდგა, ერთნავიანი ნაგებობა თავისი მინაშენებით. იგი აგებული იყო ტუფის ქვით და შიგნიდან მოხატული.

გ. ბოჭორიძემ დაგვიტოვა გორისუბნის წმინდა ბარბალეს ეკლესიის აღწერილობა. ეკლესია ერთნავიანი ნაგებობა იყო, ტუფის ქვისაგან აგებული. გარედან და შიგნიდან მოხატული ყოფილა. ეკლესიის ახლოს, მის მიერ იქნა აღმოჩენილი აგრეთვე, ქვის ფილა სომთავრული წარწერით. წარწერა XI საუკუნეს განეკუთვნება. დღეისათვის ეკლესია მთლიანად დანგრეულია. ხოლო წარწერიანი ქვა დაკარგულა. ასევე დანგრეულია მიქარწმინდის ეკლესია და ბარეულის „დედა ლეთისა“.

ბუგულის, ეკლესია წინა თაეშია აღწერილი. სოფ. ქედისუბანში მთავარანგველოზისა და წმინდა გოორგის ეკლესიებია შემორჩენილი. პირველი აშენებულია თლილი ქვისაგან. სამხრეთის კარის თავზე ჩუქურომიანი ოთხეუთხა ქვის ფილა, რომელზედაც მხედრული წარწერაა. დღეისათვის ეს წარწერა თითქმის გადასულია და აღარ იქმნება. აღრე კი მისი დიდი ნაწილის გარჩევა შეიძლებოდა: „ქ. სამებაო... პირმშოთ, ქეო, მე მონად და მსასოფელი შენი...

შემწევ ვექენ ეკლესიასა მთავარანგელოზისა, შემწედ და მეოუდე  
სულისა ჩემისა... მხილველი ამისნი ჩემთვისცა შენდობას ბრძანებდეთ, ქრისტეს იქეთ ჩდეზ“. (ე. ი. 1797 წ.).

ეკლესიის შიგნით, ჩრდილოეთის კედელზე გამოსახულია საეკლესიო პირი თავისი მეუღლით და ორი ბავშვით. ფრესკებს ახლავს ასომთავრული წარწერები, რომელიც დღეს ძნელად იყითხება: „ნაობ კენჭაძემ მოაჰედინა ხატი მრავალძალი წმიდაი გიორგი, ვინცა შენდობა გვიძრძანოს, ღმერთმა თქვენცა შეგინდოს, ამენ“; „თანამეცხედრე მისი კაკონა“; „ძე ამისი ნასხიდა“; „ასული მისი დოდალი“.

ქედისუბნის მთავარანგელოზის ეკლესია გვიანდეოდალურ ხანში უნდა იყოს აგვისტო, მაგრამ მის წყობაში, მაგ. დას. სარემელის თავზე, ჩატანებულია, ძველი, XI ს-ის კანქელის ფრაგმენტები. ეს კი იმას მოწმობს, რომ ამ ადგილას XI ს-ში უკვე იდგა ეკლესია.

ქედისუბნის წმინდა გიორგის ეკლესია სოფლის სამხრეთ-დასავლეთით დგას, რამდენიმე კმ-ის დაშორებით, მაღალ გორაკზე, რომელიც რიონის ხეობას გადაჰყურებს. ეკლესია დარბაზული ტაძისაა. იგი თავდაპირელად აღრევეოდალურ ხანში აუგათ, შემდეგ ჩანს ხელახლა განუახლებიათ. შეკეთების დროს ეტყობა ძველი ტუფის ქვები აღარ ეყოთ და წყობაში უბრალო თლილი ქვებიც გამოიყენეს.

მდ. შარეულას მარჯვენა ნაპირის სოფლებში ძველი ეკლესიებია აღარ დგას. 1962 წ. მ. დვალმა ზედა შავრის მიღამოებში გათხარა „ქვერთის“ წმინდა გიორგის ეკლესიის ნანგრევები, რომელიც XI ს-ის პირველი ნახევრის ნაგებობა აღმოჩნდა. ამ ეკლესიიდან წამოღებული ქვებით თავის დროზე გაუფართოვებიათ სოფლის ეკლესია, რომელიც ამიმად სანახევროდ დანგრეულია.

მდ. კრისულას, ხორეულას და მათ შენაკადებზე მდებარე სოფლების ქრისტიანულ საკულტო ნაგებობების ერთი ნაწილი: ხორევის, ზემო თლულის, და ბეთლემის ეკლესიები, ჩვენ უკვე ვახსენეთ. ამის გარდა, ამბროლაურის ახლოს მდებარე სოფლებში კიდევ რამდენიმე საკულტო ნაგებობაა შემორჩენილი.

სოფ. კორტში (ძვ. კვირიკეწმინდა) დგას წმინდა კვირიკეს სახელობის სამნავიანი ეკლესია, რომელიც თლილი და ტუფის ქვითაა ნაგები. სოფლის ძველი სახელიც იქედან მოდის. ეკლესია IX—X

საუკუნეებში უნდა იყოს აგებული. ხუთი ათეული წლის წინ, შემორჩენილი იყო მხედრული წარწერა ეკლესის დას. სარკმლის თავზე, ხოლო სამხრეთის კარის თავზე ნუსხური წარწერა. ეს წარწერები და XVI—XVII საუკუნეებით თარიღდება.

დღეს გორაში დგას ერთნავიანი ეკლესია, რომელიც XVIII—XIX საუკუნეებში იგებული. ამ ეკლესის აღმოსავლეთის ფასაღში ჩატანებულია წარწერიანი ქვა, რომელიც ბევრად უფრო ძველი ეპლესიდან არის გადმოტანილი. წარწერა XI საუკუნის ნუსხაუცურით არის შესრულებული და შემდეგნაირად იკითხება: „წმიდაო გორგი შეიწყალე... და სოფელი ესე“.

ქვემო სხვავაში ახალი დროის გუმბათიანი ეკლესია დგას, ხოლო ზემო სხვავაში „ძელი ჰეშმარიტის“ ნანგრევები. ეს უკანასკნელი საბოლოოდ 1927 წელს დაინგრა. გ. ბოჭორიძის აღწერილობით, მის აღმოსავლეთ სარკმელს ამშვენებდა ქვის ფილა, რომელზეც გამოსახული იყო ხელებაპყრობილი ადამიანი, ორივე მხარეს ვეფხებით. ფილაზე ნუსხაუცური წარწერაც მოჩანდა, რომელიც აღარ იქითხებოდა.

დასავლეთის კარის თავზეც იდგა გამოსახულებიანი ქვის ფილა სამი ნუსხაუცური წარწერით, რომელთაგანაც ორი კარგად იკითხებოდა: „წმიდაო იოვანე, შეიწყალე ვახტანგ და გაბრიელ ძე მისი, ყოველი ერი მათი...“ 2. „ქრისტე შეიწყალე მირიან“. „ძელი ჰეშმარიტის“ ეკლესის შიგნით გ. ბოჭორიძემ ნიხა წარწერიანი ქვის ფილის ორი ფრაგმენტი. ორივე მათგანი ნუსხაუცურით იყო შესრულებული: 1. „წმიდაო გაბრიელ, შეიწყალენ ვარდან გომას-ძე მათსა ხელოსნობასა საძირკველი ჩაედავა“. 2. „...აისძე მათსა ხელოსნობასა ბალაპვარი ჩიადგა“. ყველა ეს წარწერა ბოჭორიძეს XIII ს-ით აქვს დათარიღებული, რაც შეიძლება სწორი არ იყოს. ერთ მათგანში მოხსენიებულია ვინმე ვახტანგის, ხოლო ვახტანგის ძე მოხსენიებულია ე. წ. სხვაგას საწინამძღვრო ჯვარის წარწერაში, რომელიც XI საუკუნის დასაწყისით თარიღდება. გ. ბოჭორიძის დროს ეს ჯვარი ქვემო სხვავას ეკლესიაში ინახებოდა. წარწერები ქარაგმების გასსნით შემდეგნაირად იკითხება: 1. „წმიდაო გაბრიელ და მთავარანგელოზო შეიწყალე ვახტანგის ძე. მოიკედა მის ნაცვლობას შინა...“ 2. „უხუროთა მთავარო გაბრიელ, მეოქ და მფარველ ეყავ ორთავე შინა ცხოვრებათა მამკობას შენსა რატის რაჭის ერის-

თავსა და ძესსა მისსა კახაბერს და აშენენ აზნაურნი ეკლესიას  
შენსა შემაჟალი, და მოკევენი და კევნი და ეკლესიას შეიღლნი".

ფეოდალური ხანის ქართული არქიტექტურის თვალსაჩინო  
ძეგლს წარმოადგენს კრისის მთავარანგელოზის საყდარი. ივი შოთ-  
შემო კრისში დგას, მაღალი ცაცხვითა და წიფლის ხეებით დაფა-  
რულ ეზოში, რომლის ძეგლი გალავნის ნაშთებმა დღემდე მოაღწიეს.  
მთავარანგელოზის ეკლესიაც X ს-ის უკანასკნელ მეოთხედშია ავე-  
ბული, ივი თავდაპირველად ერთნავიანი დაბაზული ტიპის ნაგე-  
ბობას წარმოადგენდა. რამდენიმე თოული წლის შემდეგ საყდარს  
სამხრეთიდან და დასავლეთიდან მინაშენები გაუჩნდა. 1884 წელს  
დას. მინაშენი უშეალოდ ეკლესიას შემოუერთდა, რისთვისაც ეკ-  
ლესის ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები დააგრძელეს, ხოლო  
დასავლეთის კედელი ხელახლა ააგვს. სამხრეთის მინაშენმა დღემდე  
უცვლელად მოაღწია. მისი კარიბჭე იშვიათი ხელოვნების ჩუქურ-  
თმებითა შემკული. კრისის ეკლესის თავის პირვანდელი სახე და-  
უბრუნა არქიტექტორმა ვ. ცინცაძემ.

კრისის საყდრის ფასადებზე X—XI საუკუნეების ლაპიდარული  
წარწერებია დატანებული. წარწერიანი ქვების ნაწილი თავის ძევლ  
ადგილზეა, ნაწილი კი ეკლესიის განახლების შემდეგ ახალ ადგილზე  
იქნა გადატანილი. ჩრდილოეთის ფასადის აღმოსავლეთ კუთხეში  
ერთ ფილაზე ასომთავრული წარწერა ამოკვეთილი: "უფალო გაუს-  
ვენ სულსა ფეთამსასა", იქვე მეორე წარწერაა: "უფალო გაუსვენ  
სულსა შვილასასა". ამავე ჩრდილოეთის ფასადზე კედლის ახლად  
ამოყვანილ ნაწილში ერთი წარწერის მხოლოდ დასაწყისია შემორ-  
ჩენილი. ქვის ფილა, რომელზედაც ამ წარწერის დასასრულია, დღეს  
დასავლეთ კედელშია ჩასმული. მათი შეერთების შემდეგ წარწერა  
ასე იყითხება: "წმიდაო მთავარანგელოზნო შეიწყალეთ მადიდებე-  
ლი თქვენი თევდორე". ამ წარწერის ფრაგმენტის გარდა დასავლე-  
თის კედელში კიდევ ერთი ლაპიდარული წარწერა ჩასმული: "წმი-  
დაო მთავარანგელოზო კეიტა შეიწყალეთ". შეიძლება კვიტამ კვი-  
ტიაშეილთა საგვარეულოს შორეული წინაპარი იყოს. ყველა ზემოთ  
მოყვანილი წარწერა X საუკუნეს შეიკუთვნება. ამავე ხანისაა წარ-  
წერები ქვის ორ ფილაზე, რომლებიც დღეს ტაძრის შიგნით ინახება.  
ერთი ნუსხახუცურია: "წმიდაო მთავარანგელოზნო შეიწყალეთ გი-  
ორგა", მეორე ასომთავრული: "წმიდანო მთავარანგელოზნო იდიდ-

ნეთ მაღიდებელი თქუენი გრიგოლ". კრიხის საყდრის სამხრეთ მინაშენის აღმოსავლეთ კადელში XI ს-ის ასომთავრული წარწერის ერთი ფრაგმენტია შემორჩენილი: „წმინდან მთავარანგელოზნოუ...“ ამავე მინაშენის სამხრეთ კედელზე ორ ქვაზე ამოკვეთილია, XII ს-ის შემორჩენული წარწერა: „სახელითა ღვთისათა ესე ჰელი დავწერეთ ჩვენ კრიხმა სოფელმან. ვინცა ნაწირავი დაპკუთოს, საპერო და წილი საღმრთო და სალაპირო არა მისცეთ. კრულია ღმრთისა პირით ვინცა მისცე“.

კრიხის მთავარანგელოზის საყდარი შიგნიდან ფრესკებითა შემკული, რომლებიც ქართული მონუმენტური მხატვრობის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენენ. X ს-ის უკანასკნელ მეოთხედში, ეკლესიის ძირითადი ნაწილის აგების დროს, ფრესკებით დაუფარავთ მისი იომისავლეთი ნაწილი — საჯურთხეველი. ამ მხატვრობის მცირე ნაწილი დღესაც შესამჩნევა საკურთხევლის კამარაზე, მომდევნო ხანის მხატვრობის ქვეშ. XI საუკუნეში ეკლესია მთლიანად მოიხატა. ამ ხანის ფრესკების დიდმა ნაწილმა დღემდე მოაღწია. მათი უმეტესობა საკელესიო თემებზეა, მაგრამ საერო პირთა გამოსახულებებსაც ეხვდებით. ჩრდილოეთის კადელზე ოთხი დიდებული დგას, რომლებსაც ხელში ეკლესიის მოდელი უნდა სჭეროდათ, მაგრამ მოხატულობის ეს ნაწილი დღეს თითქმის აღარ გაირჩევა. დიდებულები ქრისტორები უნდა იყვნენ. მათ ფრესკებს შესაბამისი ასომთავრული წარწერები გააჩნდათ. დღეისათვის მეორე და მესამე დიდებულის ფრესკის წარწერა იყითხება მთლიანად: „ეს არის ვაჩიანი“ და „ეს არის შოგაძ“. XIII თუ XIV საუკუნეში კრიხის საყდრის შიდა მხატვრობა ხელახლა შეუკეთებიათ. მხატვრობის აღდგენა სოფელმა ითავა, ხოლო მხატვარი-„ტესტავრატორი“ ვინჩე ჩუბინიძე ყოფილა. ამას მოწმობს წარწერა, რომელიც ამის აღსანიშნავად ქრისტორების ფრესკებთან გაუკეთებიათ: „მოიხატა წმიდან ესე ეკლესიად დეკანოზობასა გიორგი კორცინაისძისა, ასისთავობასა ითანე ...ძისასა და იოვანე დევის ძისასა. შეიწყალენ წმიდათ მთავარანგელოზნო ამისა მოხატვისა ჩუბინსძისა“...

„კრიხულის გაღმა, მთაზე, ← წერდა ზემო კრიხის ტაძრის შესახებ იევლევი, — ქვის საოცარი საყდარია, ძალიან ლამაზი, მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის. საყდარში ხატები ოქროს ცურვებული ვერცხლის მოქედილობაშია ჩასმული. სახეები და სამოსე-

ლი ხატებს ვერცხლით აქვთ მოჭედილი. წმინდანების შარავანდედი  
კი — ოქროსგან აქვთ გაყეთებული და შემცული მინანქრით“. გ. ზო-  
გორიძემ ამ საყდარში სულ სამი დაზიანებული ხატი ნახა. მხოლოდ  
ეს ხატები იქნა შემორჩენილი იმ ქართული კედური ხელოვნების  
უბრწყინვალესი ნიმუშებისაგან, რომელიც კი იევლევის დროს იყო  
დაცული კრიხის ეკლესიაში.

სარესტავრაციო სამუშაოების შემდეგ, რომელსაც გ. ნიკოლა-  
ძე ხელმძღვანელობდა, თავდაპირველი ბრწყინვალება დაუბრუნდა  
ტბეთის ეკლესიას, ამბროლაურის რაიონში, სოფელ ტბეთში. ეს ეკ-  
ლესია რაჭის ერთ-ერთი უძველესი, VIII—IX სს-ის საკულტო ნაგე-  
ბობაა. აღდგენითი სამუშაოების დროს ეკლესიის სამხრეთის ფასად-  
ზე აღმოჩნდა ორენოვანი ქართულ-არაბული წარწერის ერთი ფრაგ-  
მენტი.

„გლეხეაცთა უმეტესობა რომელიდაც ზელობას არის დაუფლებული. ზოგი მათგანი ნაყიღი ბაშისაგან ტილოს ქსოვს, ლებას შეს ძალზე კარგი მინდვრის ენდროთი... ზოგი ამძადებს უხეშ მაულს, რომლისათვის მატყულს ქართლში საქონლის გაცვლით შოულობენ. ამ შაულს ჰყიდიან კაცკისის მთანეთში და ოვთობილიში... რაჭელები აკეთებენ ავრეცვე ნის სახლებს და ჰყიდიან მას მეზობელ მხარეებში“.

გამდა „მოგზაურობა სამხრეთ რუსეთში და ამიერკავკისიაში“.

**მ**ეოვრამეტე საუკუნის დასასრულს რაჭაში დაახლოებით ხუთი ათასი კომლი ცხოვრობდა. მთის რაჭაში და რაჭის სხვა მაღალმთიან სოფლებში ყოველი კომლი ე.წ. „დიდ ოჯახის“ წარმოადგენდა, სადაც ერთად ცხოვრობდნენ მშობლები და მათი ვაჟიშვილები ოჯახებით. „დიდი ოჯახის“ საშუალოდ ოცი სულისაგან შედგებოდა. რაჭის დანარჩენ სოფლებში „დიდი ოჯახები“ კომლთა დაახლოებით ნახევრს შეადგენდნენ. ამიტომ მთელ რაჭაში ყოველ კომლზე საშუალოდ ათი სული უნდა ვიანგარიშოთ. ასე რომ, გასული საუკუნის დასაშუალებით რაჭაში 50 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობდა. იქედან ომის დროს 5600 მეომარი გამოდიოდა, რაც იმ დროისათვის დიდი ძალა იყო.

რაჭაში შედარებით ბევრი შემორჩა IX—X სს-ის ეკლესიები. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ ხანის საკულტო ნაგებობათა უმეტესობამ დღემდე ურ მოაღწია, უნდა ვიფიქროთ რომ ამ ხანაში ეკლესია რაჭის ყველა სოფელში აშენეს. ეს კი შემთხვევითი არაა. ასეთი გაცხოველებული საეკლესიო მშენებლობის დროს სახელმწიფო ღმერთის პატივისცემასთან ერთად თავისი ამქვეუნიური ინტერესებიდან გამოდიოდა. ეგრის-აფხაზეთის სამეფოს შექმნის შემდეგ ამ სამეფოში ტერიტორიულ-აღმინისტრაციული რეფორმა ჩატარდა.

შეიქმნა ხევები, რომლებიც ცალკეული სოფლებისგან შედგებოდა როგორც ხევის ისე სოფლის ცენტრს, საკუთარი ეკლესია წარმო-ადგენდა. ამის გამო იყო რომ IX—X სს-ში საეკლესიო შენებლო-ბაზ ფართო ხასიათი მიიღო. მკითხველი უკვე შეხვდა წარწერაში ფარახეთის, წესის და სორის ხევებს. ერთ წარწერაში ლების ხევი-ცაა მოხსენიებული. რაჭის ხევების რიცხვი ამ ოთხი ხევით არ ამო-იშურებოდა. მთელი ეს საერისთავო ცალკეულ ხევთა კრებულს წარმოადგენდა. ზოგი ხევი რამდენიმე სოფლისგან შედგებოდა, ზო-გი კი ერთ სოფელს მოიცავდა. ყოველი ხევის მფარველად და პატ-რონად მისი ეკლესის მთავარი ხატი ითვლებოდა. ყოველი კომლი ვალდებული იყო ამ ხატის დღეობაზე მისულიყო, რომელიც წელი-წადში ერთხელ ან რამდენჯერმე იმართებოდა, სასმელ-საჭმელი მი-ეტანა და საერთო პურისჭამაში მონაწილეობა მიეღო.

აღრე და შუა ფეოდალურ ხანაში ხევში გლეხებთან ერთად აზ-ნაურებიც შედიოდნენ. მოგვიანებით კი — მხოლოდ ყმა-გლეხები. მიუხედავად ამისა, ფეოდალები იძულებული იყვნენ ანგარიში გა-ეწიათ ხევისათვის, როგორც ადგილობრივი მმართველობის ორგანო-სათვის. ისინი მის ხატს წშირად ყმა-გლეხებს შეწირავდნენ, რომელ-თაც ხატის დღეობაზე გამასპინძლება ევალებოდათ, რათა „სასმელ-საჭმელი სულ სწორად მიიღონ ხევზედ“. XVIII ს-ში რაჭაში ტერმი-ნი ხევი თემბა შეცვალა.

ზემოთ მოყვანილ რამდენიმე წარწერაში „ხელოსანი“ და „ხე-ლოსნობა“ არის მოხსენიებული. ეს ტერმინები ხელთანაა დაკავში-რებული. ხელი ძეველად ძალაუფლების სიმბოლოდ ითვლებოდა. მიი-ტომ დასავლეთ საქართველოში ხელოსანი თანამდებობის პირი იყო, რომელსაც ხევის გამგებლობაში გარკვეული ფუნქცია ევალებოდა. ამის გარდა, ხევს დეკანოზი ან კიდევ ხუცესი გააჩნდა. ირკვევა, რომ რაჭაში ხევისბერებიც იყნენ.

კლდისუბანში, რიცეულას ნარცხენა ნაპირზე, მაღალ მთაზე, დგას IX—X სს-ის „ციხის“ წმინდა გიორგის ეკლესია. იგი ერთნა-ვიანი შენობაა, ნაგებია ტუფის ქვით. დღეს მხოლოდ კედლებილა შემორჩენილი. „წშირა გიორგი ციხისა, — წერს თ. შარაბიძე, — არის ტუფის ქვით აშენებული პატარა ეკლესია, როდის აღშენებულა არა ცნობილ არს. სდგას დიდსა და მაღალს ფითალო კლდის მწვერვალზე... წმიდის გიორგის ხატი არის ვერცხლისა, მოკედილი

ძეირფასი თვლებით, მაგრამ სიძველის გამო ამ ხატის ვერცხლი არის დახული. ეს ხატი ისეთი ძლიერია, რომ მასზედ ჯერ არავის დაუფიცია „შიშისაგან“. ამ ექლესიაში ინახებოდა ოგრეთვე „ზეპლი“ ბი სამი, ძეირფასი თვლებით... ერთი პატარა ღვთისმშობლის ხატი წმინდა ბაჯილო ოქროსი, რომელსაც აქვს სიგრძე და სიგანე თანასწორი თითო ვერშოკი. კიდევ არის სხვა ძეირფასი ქვები, ვერცხლის სტაქნები, ოქროში დაფერილი სამი, ესენი იაშვილებისაგან შემონაწირია. ამ პატარა ღვთისმშობლის ხატს აწერია ხუცური ასოებით „დედოფალი დოფე“.

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა ნივთი დღეს უკვალოდ არის გამჭრალი.

მთის ძირში სადაც ეს ექლესია დგას, თ. შარაბიძის დროს ცხოვრობდნენ „გლეხები გვარად ჩიტალაძეები. ეს ჩიტალაძეები ყოფილან უწინდელ დროში განთავსიუფლებულნი იაშვილისაგან ბეგრის გადასახადით. იმიტომ რომ ამ ექლესის უნდა ემსახურონ, როგორც ყმა ბატონს“.

„ციხის“ წმინდა გიორგის ექლესია საღმელის ხევის მთავარ ეკლესიას წარმოადგენდა. აქ სამ საცეკლესიო დღეობას ბედიდნენ: გიორგობას — ქველი სტილით 23 აპრილს და 10 გიორგობის თვეს ანუ ნოემბერს და ელიობას „აღდგომის შუა ხუთშაბათს“. ამ უკანასკნელი დღეობისათვის საგანგებოდ ემზადებოდნენ. „ამ დღეს უსათუოდ უნდა იყიდოს მრევლმა ერთი კარგი თხა და დაკლავენ ძირს სოფელში და იქვე მოხარუვენ, — წერს თ. შარაბიძე, — წირვის გამოსვლის დროს მღვდელი დალოცავს ექლესიაზევე ხალხს რიგისამებრ. ექლესიიდან გამოიელიან ერთი მეოთხედი ვერსი თუ იქნება. აქ დგას ორი დიდი ხე ცაცხვის და მუხის, მოვლენ ამ ხეებს ქვეშ. იქ დახვდებათ გაშლილი ბაირალი, დიდ გრძელ ჭობზე გაკრული. ამ ბაირალთან დახვდებათ მწვადი შემწვარი თხის გულისა. იქა აქეს ყოველ მოსახლეს თითო კულა დვინო და თითო სართვიანი პური. ამ მწვადიდან თითო პატარა ნათალი უნდა ჩიმოურივონ ყველა მეგვამურთა იმ ექლესის მრევლთა, დალოცვენ ერთიმეორეს და ეუბნებიან: ღმერთმან დაგილოცოს მამული, დედული და სხვანი, მიაწვდიან კულით ლეინოს. ამ ლოცვას რომ გაათავებენ ბაირალით წამოუდგებიან წინ და უკან მოჰყვება ხალხი სიმღერით... იძახიან დიდის ხმით თრპირად ჩამოვლენ ძირს... ჩიტალაძისას დახვდებათ...

თხა მოხარშული. დაჯდებან თუ დარი იქნება კალოზე, თუ ავდარი იქნება სახლში, მაგრამ ჩვეიათად რომ ამ დღეს დარი არ იქნეს. იქა აქუსთ მოტანილი სადილი, გაიმართება სმა და დღეგრძელობა. ბირ რალი ასევა შუაგულს კალოზე და გარშემო შემოუსხდებინ ხალხი, მარტო კაცი. ჭალი ამ დღეს არ ყოფილა მისადღეში თემში. ამ დროს მოადგებათ ხონჩა, რომელიც უჭირავს ორ ბიჭს ხელში და მესამე ჩამოარიგებს თვითო ლუკმას ხორცს თხისას ზეითო მეკვამურზე. მღვდელს მიართმევენ ტყავს, თავს, სათბილოს და ბეჭს... მღვდელი ბეჭს დაუბრუნებს ტყელის ჩელულისამებრ მრევლს და მხარეული თითო ნათალს მეკვამურთა". ნაშუაღლევს აიშლებოდნენ. „აიღებენ ამ ბაირალს და წამოიღებენ... წინ ბაირალი მოდის და უკან ხალხი მოყვება ოპარის სხვა და სხვა ნაირის სიმღერით... მოელენ ეკლესიასთან (კლდისუბნის სოფლის ეკლესიასთან თ. ბ.) და ბაირალს შემოატარებს ხალხი გარშემო ეკლესიას. შეიტანენ შიგნით და მიაყუდებენ ეკლესის კედელზე. ამ ეკლესის ეზოში დახვდებათ ქალები დაირით და მუზიკით. შეიქმნება სიმღერა, ცეკვა ორფეხური და სხვა და სხვა ნაირი თამაშობა"...

დიდი ზეიმით იხდიოდნენ გიორგობას ნოემბერში. ამ დღესასწაულზე მოდიოდნენ აღმოსავლეთ საქართველოდან, იმერეთიდან, გურიიდან, ოდიშიდან, ლეჩესუმიდან და ზემო რაჭიდან. ეკლესიაზე წინა ღამეს მიღიოდნენ „ღამის მთეველები ქალი და კაცი თავის სამისპინძლოთი... დასხდებან ანთებულის ცეცხლის გარშემო, შეექმნებათ დღეგრძელობა, სიმღერა გათენებამდინ". მეორე დილას, 10 ნოემბერს, წირვის შემდეგ „მიღიან ხატის წინ ევედრებიან და იღებენ შარხნას ეს იგი მშიგს... ამ შარხნას შეიძმენ ან შეაბმენ ყელზედ პატარა ბავშვებს". შემდეგ ეკლესის „წალკოტში" მღვდელი შეწირულებებს შეიგროვებდა. შემდეგ „დასხდებოდნენ თემათ სტუმრები თუ მასპინძელი. ქალი თუ კაცი მზის გადახრის ღრომდე, იყო სმა, სიმღერა... ქვითის შემდეგ ყველანი რიცეულას პირას მინდორზე იყრიდა თავს და „შეიქმნებოდა ცეკვა, სიმღერა, ორფეხური, ცხენის ჰენება და სხვა თამაშობა".... თ. შარაბიძის ლროისათვის ქალების დასწრება „ციინის" ეკლესის გიორგობის დღესასწაულზე შედარებით ახალი ამბავი იყო. „წინეთ, — წერს იგი, — ქალი ვერ შევიდოდა. თუ ვისმე ლოცვა უნდოდა მოვიდოდა ამ ეკლესის ქაშ კლდის ძირში და იქიდან ევედრებოდა და ისიც სამი ოთხი დღის

შარხული. ასრე რომე თუ ქმრიანი იყო, ერთ კვირას ქმართან ვერ მოისვენებდა“. ეს აგრძალვა ააშვილთა ქალებზეც ვრცელდებოდა. „ისინც ამ ეკლესიის ძირში დაიჩოქებდნენ და ეველრებოდნენ“ ამ ხატსა.

დღეობების დროს ბაირალი საგანგებო პირს ჰქონდა ჩიბარებული. „ბაირალს ვერა ვეარი ვერც მოკიდებს სხვა ვეარი, გარდა შარაბიძის ვეარისა. ძველთაგან ყოფილა ერთი შარაბიძე სახელად ვიგიტი, ეს ვიგიტი ყოფილა ხეიბერი სოფლისა, ამას ბატონზე ნაკლებად არ ემონებოდნენ და არც ნაკლებ პატივს სცემდნენ მრთელი სიაშვილის კაცი. ვიგიტი ალდგომის დღეს რომ დაჯდებოდა თემში ერთის დიდი ცაცნების ჭვეშ... მას მიართმევდნენ კომლზე თითო ასოს ხორცს, თითო პურს და მის ლვინოს. მეორე დღეს მიბრძანდებოდენ ბატონი იაშვილები ქალბატონებითურთ და ესენი დაჯდებოდნენ ამ ხეს ქვეშ და ამ იაშვილებსაც ისე მიართმევდნენ“.

ვრცელი ამონაწერი თ. შარაბიძის ხელნაწერიდან მკითხველს წარმოდგენას უქმნის თუ როგორ ტარდებოდა სახევო დღესასწაულები რავაში. „ხეიბერი“ დამახინგებული ხევისბერია. მოვაინებით ხევისბერები მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში იყო ცნობილი, ადრე კი ხევისბერი, როგორც ხევის ერთ-ერთი მთავარი თანამდებობა, მთელ საქართველოში იყო გაერცელებული.

ხევის წევრები დღეობებზე იყრიბებოდნენ. საგანგებო შემთხვევაში მათ ბუკით მოუხმობდნენ. „ეს იყო საყვირის მსგავსი, — წერს ფრანგი კომერსანტი და დიაბლომატი გამბა, — ის ძალზე ძლიერ ხმას გამოსცემდა“. ეს ბეკები 1819—1820 წლებში მეფის მოხელეებს მეამბოხეთა უპირველეს იარაღად მიიჩნდათ. ამიტომ აჯანყების ჩატრობის შემდეგ მოსახლეობას მთლიანად ჩამოართვეს.

რავის მოსახლეობის ძირითად ნაწილს გლეხები შეადგენდნენ, რომლებიც აზნაურებს, თავადებს, ეკლესიას ან კიდევ სამეფო ხელისუფლებას ეკუთხნოდნენ. თვითოვეული კომლის კარ-მიდამო თავისი „სახლ-კარითა, კურ-მარნითა, საყანითა, სათიბითა, სასაფლაოით, საწისქვილოით, ტყითა, ველითა, საძებრითა და უძებრითა, ნასყიდითა და უსყიდლითა“ თავისებურ სამეურნეო კომპლექსს წარმოადგენდა. ყოველგვარი ვადისახადი ამ კომლზე მოდიოდა. გლეხთა ვალდებულებანი კი საქმაოდ მძიმე იყო. ასე მაგალითად, 1621 წლის ერთი დავთარის მიხედვით სოფელ ბარის 21 კომლ გლეხს ერთად

„ოთხმოცდაჩვიდმეტი კოდი პური, ოცდათერთმეტი კოდი ქერი, ხსამოცდათხუთმეტი კასრი ლვნო, ოთხმოცდაერთი საკლავი, ოთხმოცდაჩვიდმეტი ქათამი, ორის ორმოცდაჩვიდმეტი კუერცხი; კუამლის თავსა ერბო, ხაჭო და მარილი, თვთო ურემი შეშა, თვთო ქრისტო აქერეცო“ ემართა, დავთარები ჩამოთვლილია ცალკეულ კომლთა ვალდებულებანი. „სამთა ციხისლების 10 კოდი წმინდა პური, ორი კოდი ქერი, 20 კასრი ლვინო, 2 თავი საკლავი და ეძუსი სასტუმრო“ უნდა გადაეხადათ, „გრძელიძეს ნისყიდასა 4 კოდი პური, 1 კოდი ქერი, 4 კასრი ლვინო და 3 კასრი ლვინო, ეიდევ სხვა სამი საკლავი, 3 ქათამი, 6 კუერცხი, ერბო, ხაჭო და სალორე მარილი, შველ კუერცხი“. „ნინიასა და გოჩიასა გიორგობიანსა“ — „3 კოდი წმინდა პური, 1 კოდი ქერი, სამი საკლავი, 6 ქათამი, ეძუსი კასრი • ლვინო, 5 კასრი ლვნო გოწრაულისა; 1 საკლავი, 1 ქათამი, კოდნახევარი წმინდა პური, 12 კუერცხი გოწრაულიანად, მისი ერბო, ხაჭო, სალორო მარილი“ და ა. შ. საბატონო გლეხური საეკლესიო გლეხებზე უფრო მეტად იყვნენ დაბეგრილნი.

ჩაჭაში გლეხები ქვის ან ხის სახლებში ცხოვრობდნენ. მთის რაჭის გარდა ქვის სახლები მის მეზობელ სოფელში იყო გავრცელებული. ასეთი სახლები ონის ზემოთ ზეყვარდა. „მიცვდით ფარავნეშში, — წერდა დიუბუა დე მონპერე, — სოფელში 5—6 კოშკია. თითოეულ მათგანს მიღდგმული აქვს ქვის სახლი. კოშკებს აქვთ სათოფურები. ეს ათის პირველი სოფელი ასეთი უჩვეულო იერით აშენებული“. ფარავნეშის კოშკები XIX ს-ში დაინგრა, ხოლო მათ გვერდზე მდგარი ქვის სახლები ჩენი საუკუნის 50-იან წლებამდე შემორჩა. ეს სახლები ეკუთვნოდა დადა ჯახებს, კერქელიძეთა ექვს განაყოფს. უკანასკნელი სახლი 1951 წ. დაუნგრევიათ.

ონის მეზობელი სოფელების ქვის სახლები, ნაწილობრივ განსხვავდებოდნენ მთის რაჭის ასეთივე სახლებისაგან. „სახლები უწერლებს უდგიათ ქვიტვირის, — ვკითხულობთ ი. ხოტეველის წერილში 1888 წლის „ივერიაში“, — ოთხკუთხა მაღალი და დიდი, ძველს დროში აშენებული. თითოეული ძეელი სახლი სამსართულიანია, ქვემო სართულში პირუტყვი ჰყავთ, მეორე სართულში თვითონვე ცხოვრობენ, მესამე ცარიელია. ძეელს დროში ზემოთ სართულს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ სართულს გვერდზე აქვს პატარა სარქმელები სათოფურები ანუ როგორც უწერლები უწოდებენ „დურო-

ები". ოოცა მტერი ესხმოდა სოფელს, „მცხოვრებნი პდიოდნენ მე-  
სამე სართულზე და იქიდან მტერს პასუხს აძლევდნენ. ზოგი სახლი-  
დან გაყვანილია მიწაში ხვრელი ერთი ვერსის მანძილზე და თუ სამარავა-  
ჭირობა მოითხოვდა მცხოვრებნი იქიდან გაიხიზნებოდნენ“.

რაველ ვლეხთა უმეტესობა ხის სახლებში ცხოვრობდა. „სა-  
ცხოვრებელი სახლები არის დიდი; მთაში — დაწწული და შელესი-  
ლი წნელის კედლებით, ხოლო ბარში — მაგარი ფიცრებით, — წერ-  
და გიულდენშტედტი, — სახლი შედგება ერთი, ოთახისაგან. ცეცხ-  
ლის კერა მოთავსებულია სწორი იატაკის შეა დაგილას. ოთახის ერ-  
თი ნაწილი, ხანდახან მხოლოდ ძელებით გამოყოფილი, თითქმის ყო-  
ველთვის საქონლისათვისაა განკუთვნილი. მარცვლეულის მარაგა  
ინახავენ დაწწულ კალათებში, რომლებიც თიხითა შელესილი და  
ოთახშია მოთავსებული; ასე რომ, ოთახი ერთსა და იმავე დროს  
წარმოადგენს საცხოვრებელს, სამზარეულოს, ბოსელსა და სა-  
წყობს“.

აზნაურები ჩვეულებრივ ციხე-დარბაზებში ცხოვრობდნენ. ეს  
იყო ერთი ან რამდენიმე კოშკი, რომელსაც გალავანი უვლიდა. გა-  
ლავნის შიგნით ციხის ეზოში ხის შენობებიც იდგა. აზნაურთა ციხე-  
დარბაზები ვახუშტის რუკებზეცაა დატანილი. მათი ერთი ნაწილი  
დღემდევ შემორჩენილი, კერძოდ სერთი ციხე-დარბაზების ნაგრევე-  
ბი შემორჩენილია ჯინჯივისა და კომანდელში (გამყრელიძეების) სო-  
მიწოში (იმშეიღების), კვირიე წმინდაში (კვიტაშეიღების). კარგად  
არის შემონახული აზნაურის ციხე-დარბაზი შარლომეთში. ველთეთრ-  
ში დგას ორი კოშკი, რომელთაც ერთმანეთისაგან ღელე ჰყოფს. კო-  
შკებსა და ციხის ეზოს გალავანი უვლიდა. ეს ციხე-დარბაზი ბაქრა-  
ძეებს ეუკუთვნოდათ. აზნაურთა ციხე-დარბაზი პატარა ანშიც დგას.  
იგი დგას სოფლის განაპიროს, ჩრდილოეთით და რიონის ხეობას  
გადაჰყურებს. კარგადა შემორჩენილი გალავანი, კოშკიდან მხოლოდ  
საძირკელილა. გასულ საუკუნეში გოცირიძეების ციხე-დარბაზი —  
იდგა სორში.

თავადების ციხე-დარბაზები თავისი ზომებით აზნაურთა- სა-  
ცხოვრებელზე ბევრად უფრო დიდი იყო.

რაჭის მთავარ ციხე-სიმაგრეს მინდა ციხე წარმოადგენდა. იგი  
დგას სოფ. წესის ომოსავლეთით, ლუხუნის მარცხენა ნაპირზე, მა-  
ღალი გორაკის კლდოვან კონცხზე. აქ არის სამი კოშკი, რომლებიც

გაღიავნით არის გაერთიანებული. სამხრეთ-აღმოსავლეთი და წირული-  
ლო კოშკები ოთხკუთხია, დასავლეთის კოშკი კი მომრგვალებულია.  
აღმოსავლეთის კოშკის გვერდით ციხის ეკლესია დგას. ციხის ეზოში  
ჩანს რამდენიმე ქვეპრი, ორი აუზი წყლისათვის და დილევა ტიხის.  
შესასვლელი სამხრეთი მხრიდანაა და სამანქანო გზიდან კარგად მო-  
ჩანს. ერთი ბილუკი (ძნელად სავალი) ციხეზე სამანქანო გზიდან მი-  
დის, მეორე, უფრო იდგილი გზა ციხეს უკლის გარშემო.

მინდა ციხეს აშენების შესახებ არსებობს ლეგენდა, რომელიც  
სურამის ციხის ლეგენდას წააგავს. შენებლებს დაუჭერიათ ერთი  
ბიჭი წესიდან გვარად მინდელი და ცოცხლად ჩაუტანებიათ ციხის  
კედელში. როდესაც დედამ ეს გაიგო, მიიჩნია ციხესთან და შვი-  
ლის განთავისუფლებას შეეცადა. ბაგრატ ვერაფერი ვერ მოახერხა.  
დედა იდგა ციხის კედლის ახლოს და უყურებდა თუ როგორ ფა-  
რავდა ქვა მის შვილს. როდესაც კველაფერი გათავდა დედამ შემ-  
დეგი სიტყვებით დაიტირა თავისი ვაჟი:

„მინდლის ციხე მინდრა  
ჩემის ცოდვით საცხა,

თავ-წითელა მინდლისშვილი  
კირწისთავით ასეთა“.

მინდა ციხე ადრეცენდალურ ხანაშია აგებული და შემდეგ შრა-  
ვალჭერაა გადაკეთებული. იგი ერთისთავების ციხე-სიმაგრეს წარმო-  
ადგენდა რაჭის საერთოსთავოს დაახსებიდან. XIII ს-ის უკანასკნელი  
მეოთხედიდან, რაჭის საერთოსთავოს გაუქმების შემდეგ, დაახლოებით  
სამი საუკუნე, მინდა ციხე სამეფო ხელისუფლებას ეკუთვნოდა. იმე-  
რეთის მეფემ, ბაგრატ III-მ ეს ციხე კვლავ რაჭის ერთისთავებს გა-  
დასცა. სოლომონ I-მა მინდა ციხე სამეფო ციხედ აქცია, ხოლო სო-  
ლომონ II-მ იგი 1803 წელს სოლომონ ლიინიძეს გადასცა. იმერე-  
თის სამეფოს გაუქმების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ მინდა  
ციხე კვლავ როსტომ ერისთავის შთამომავლობას დაუბრუნა. ამ  
დროდან მას უკვე სამხედრო მნიშვნელობა აღიარა აქეს.

კრისტულის მარჯვენა ნაპირზე მაღალი კლიფის თხემზე, სოფ. ზე-  
მო სხვავის ახლოს, არწივის ბუდესავით მოჩანს კვარა ციხე, რაჭის  
უძლიერესი ციხესიმაგრე. ციხისაერნ მხოლოდ ერთი მეტად ძნელი  
სავალი ბილუკი მიემართება, რომელიც აღგება ერთადერთ შესასვ-  
ლელს. შესასვლელი ზედაპირიდან ორი მეტრითაა დაშორებული. ცი-  
ხეში შესვლა მხოლოდ კიბით შეიძლებოდა. ციხის ეზოში ცენტრა-

ლურ ადგილის აღმართულია საცხოვრებელი ნაგებობა. მის გვერდით დგას ორსართულიანი შენობა, რომლის ზედა სართული დაკავშირებულია. საბრძოლო ბილიკთან. ციხის აღმოსავლეთ მხარეს უმაღლეს უკანასკნელი წერტილზე, აღმართულია მრგვალი კოშკი — გოდოლი. მისგან უფრო მაღალი რო დაბალია, მცირე ზომის დარბაზული ტიპის ეკლესია; თხემს ირგვლივ მიღალი გალავანი უვლის.

კვარს ციხე XI ს-ის დასაწყისში უნდა იყოს აგებული. იგი მოხსენიებულია XI ს-ის შეაწყების ერთ თხზულებაში, რომელიც ცნობილი ბიზანტიული საკულტურის მოღვაწის მაქსიმე აღმსარებლის ცხოვრების ქართულ რედაქტიას წარმოადგენს. აღმსარებელმა და მისმა მოწაფეებმა თავიანთი ცხოვრების უკანასკნელი წელი დასაცლეთ საქართველოში გაატარეს. „ნისტაის წაიყვანეს ციხესა თაკუერისამა კვარს“ — ვკითხულობთ თხზულებაში მაქსიმე აღმსარებელის ერთი მოწაფის შესახებ. ეს ციხე-დარბაზი მრავლის მოშემა თავისი ხანგრძლივი ისტორიის განმავლობაში. სამხედრო მიზნით იგი უკანასკნელად 1819 წ. გამოუყენებით, როდესაც ციხეში გამაგრდა სახალხო აჯანყებისაგან შეშინებული მაიორი ცაცქა.

რაჭის სიმაგრების ერთი ნაწილი ისეთ ციხეებს წარმოადგენდა, სადაც თავს მტრის შემოსევების დროს აფარებდნენ. მათ შორის ერთ-ერთი ყველაზე ძველი — ტოლას ციხე დგას ზემო ტოლაში. იგი ოთხეუთხა კარგად გათლილი ქვის „კვადრებით“ არის აშენებული დაახლოებით VI—VIII სს-ში. ეს ციხე გასული საუკუნის დასაწყიდვამდე გამოიყენებოდა. ამას ვერ ვიტვით „ურუმის ციხეზე“, რომელიც დგას უწერას ჩრდილო-დასავლეთით, 5—7 კილომეტრის დაშორებით. ციხე იმავე ხანაშია აგებული, მაგრამ შუაფეოდალურ ხანაში თავისი მნიშვნელობა უკვე დაკარგული პქონდა. თავშესაფარი სიმაგრები იდგა წედისში, ლაქთაში, იწაში და ა. შ. ასე რომ V ფურდალური რაჭი გლეხთა დუროიანი ქვის სახლებით, აზნაურთა, თავადთა თუ ერისთავების ციხე-დარბაზებით, თავშესაფარი ციხეებით ერთიანი სიმაგრის შთაბეჭდილებას ტოვებდა.

რაჭა მთავრობინი ქვეყანაა და სავარგულებიც ნაკლებია, ამიტომ მოსახლეობა მაქსიმალურად იყენებდა თითოეულ მტკაველ მიწას. ხშირად ტყის ცალკეულ მონაკვეთებს გაიაფავდნენ და ყანებად აქცევდნენ. მიწას ე. წ. რაჭული გუთანით ამუშავებდნენ, რომელიც კარგად იყო მორგებული ადგილობრივ პირობებს. „სამკუთხა რეი-

ნის სახნისი ირიბადაა წამოცმული მოგრძო, მსხვილ ფიცარზე... მის  
უკან არის ტარი და წინ ირიბი ხელნა, რომელსაც 2 ხარი ეწევა", —  
წერდა ამ გუთანზე გიულდენშტედტი.

რაჭაში მოპყავდათ საზაფხულო და საშემოლგომო ხერგალი, სოფლებში  
ქერი და შერია. ეს ორი კულტურა უფრო მაღალმთიან სოფლებში  
იყო გავრცელებული. დაბლობ აღვილებში მოპყავდათ აგრეთვე  
ღომი და ფეტვის რამდენიმე სახეობა, რომელსაც ზოგჯერ მჭადს  
უწოდებდნენ. დიდი იღვილი ეყავა მევენახეობას. კარგი ენახები,  
ისევე როგორც დღეს, ქვემო რაჭაში, რომელსპირა სოფლებში იცო-  
და, უფრო მაღლა ვენახი ნაკლებმოსივლიანი იყო, ხოლო მაღალ-  
მთიან სოფლებში ყურძენი სულ არ მოდიოდა. უნდა აღინიშნოს,  
რომ ქველად ვენახი უფრო მაღალ ზონაში იყო გავრცელებული  
კიდრე დღეს. ბოსტანი და ბალი რაჭის უმეტეს სოფლებში გააჩნ-  
დათ. „ვენახები ამავე დროს ხილის ბალებიცაა, — წერდა გიულდენ-  
შტედტი, — კაკალი, მსხვილი და წვრილი ლურჯი ქლიავი, ალუბალი,  
ვაშლი, მსხალი და კოშში გავრცელებულია, ატაში და თუთა ნაკლე-  
ბადაა, ბოსტენულიდან გვხვდება კიტრი, ნესვი, საზამთრო, ბოთლი-  
სებური კვახი, სარის ლობიო და სწორი თურქეული ლობიო, ბარდა,  
სტაფილო, ბოლოკი, კომბოსტო, ხახვი და ჭარხალი. სალებავებისათ-  
ვის თესენ ნარშავს და სურნელს, ხოლო ძაფებისათვის — ცოტა  
ძანაფს".

რაჭაში საზამთრო საძოებები არაა, რაც ზღუდავს მესაქონლე-  
ობის განვითარებას. ზამთრისათვის თივა სათბიდან ჩვეულებრივ  
ურმებით ჩამოჰქონდათ და ამიტომ მის რაოდენობასაც ასევე ურმე-  
ბით ზომავდნენ. მათი აღწერილობა გიულდენშტედტმა დაგვიტოვა:  
„მოძრავ ლერძს აქვს ორი უძრავი თვალი, გაკეთებული მთლიანი  
შრიული ხისაგან, რომლის დიამეტრი ორ ფუტს უდრის. ლერძე  
გადებულია 2 სარი, რომელიც უკანა ბოლოებით მიწაზე ეთრევა.  
ამ სარებზე დევს ტვირთი, რომელსაც უღელში შებმული ორი ხარი  
სწევს. „თითოეულ კომლს გააჩნდა ხარები და ძროხა, რამდენიმე  
ცხეარი. მზადებდნენ ყველს, ერბოს და ხაჭოს: ხაჭოს საგანგებოდ  
ახმობდნენ და ინახავდნენ. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რაპველები-  
სათვის ღორს. „ღორი სიცოცხლე მათი", — წერდა ვახუშტი. ღო-  
რის ხორცს ამარილებდნენ, შემდეგ კვამლში გამოყავდათ და ზამ-  
თრისათვის ინახავდნენ. ამას ლორი ეწოდებოდა. სალორე ლორებს

საგანგებოდ უგლიდნენ. ასევე მშუშავებდნენ საქონლის, თუ ფრინ-  
ველის ხორცს. ასეთ პროდუქტს ლორისაგან განსხვავებით შაშხს  
უწოდებდნენ.

რაჭაში დიდი ყურადღება ეთმობოდა ნადირობას. თავდაპირვერული  
ლად მშვილდისრით ნადირობდნენ; ციოდნენ მახე-ხაფანგების დავვ-ის და-  
ბა. მოგვიანებით თოფი შემოვიდა. XVIII ს-ში რაჭაში რამდენიმე  
ტიპის თოფი იყო გავრცელებული, ყველაზე უფრო „ყირიმული“,  
რომელიც აღბათ ყირიმიდან მოჰკონდათ. ოდვილზე მაზადებდნენ  
თოფის წამალს. 1819—1820 წწ-ის აჯანყების ერთ-ერთ მთავარ  
მძინად რაჭაში აცხადებდნენ იმას, რომ მათ გამოუტადეს „არ  
დაემზადებიათ და არ გაეყიდათ თოფის წამალი“. „ზამთრობით მის-  
დევენ ნადირობას გარეულ ღორებზე, დათვებზე, ირმებზე, — წერ-  
და ვამბა, — კვერნებზე, მელიებზე და ჯიხებზე. აქ ბეწვეულს შო-  
რის ბევრი ძეირფასია, რომელსაც შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს  
კიმბირის ბეწვეულს. აქ გვხვდება უმშვენიერესი ცისფერი მელიები,  
კვერნები, დათვები და ბევრი სხვა ბეწვიანი ცხოველები. მთებში  
დათვი იშვიათი როდია, გარეული კატებიც ძალზე ხშირია“.

სანადირო ადგილების უმეტესობა მეფეს, ერისთავს ან კიდევ  
თავადებს თუ ეკლესიას ეკუთვნოდა. იაშვილთა სანადირო ლეჩხუმის  
ქედზე იყო, საღმელის ახლოს: „ამ მთაში იყვნენ ურიცხვენი ნადირ-  
ნი, ირემი, არჩევი, შველი, ღორი, დათვი, მგელი, ფოცხვერი და სხვა-  
ნი“, — წერდა თ. შარაბიძე. იაშვილებს ნადირობა ზამთრობით უყ-  
ვარდათ, მაგრამ ნადირის ხორცი წელიწადის ნებისმიერ დროს გა-  
აჩნდათ. მათი ნებართვის გარეშე მათ მიწაზე ვინმე ვერც ითვა-  
ვებდა და ვერც ნადირს მოკლავდა. 1819—1820 წლების შემდეგ  
საიაშვილში ბოქაულად ვინმე ივანე ბაქრაძე დანიშნეს. „ამ მოუ-  
რავის ბრძანებით, ერთ ზამთარში დაეხოცათ ამ საღმელის საიაშვი-  
ლოში, მთაში ორმოცდაათამდის ირემი და ღორის ანგარიში არ ჰქონ-  
და“. ამის შემდეგ ირემი და გარეული ღორი გადაშენდა.

თევზი, განსაკუთრებით კილმახი, რაჭის მდინარეებში ბევრი  
იყო, მაგრამ სათევზაო ადგილების უმეტესობაც საერო თუ სასუ-  
ლიერო ფეოდალებს ეკუთვნოდა. მაგალითად XVIII ს-ის დასას-  
რულს შარეულაზე თევზის კერა კელიშის მონასტრის პრივილეგიას  
წარმოადგენდა, სხვავას წყალზე თევზაობის უფლება ველტყევის  
მონასტერს და მეფეს ეკუთვნოდა.

ჩვეულებრივ ანკესით, ბადით ან ვოდრით თევზაობდნენ, მავრამ ზოგჯერ არც „ბრაქონიერობას“ ერიდებოდნენ. მდინარეს დამწევაში კირით წამლავდნენ. სორში და ალბათ სხვა სოფლებშიც ამ მიზნით ლეშეის ფოთოლსაც იყენებდნენ. ზაფხულის ერთ დღეს მთელი სოფელი სონტარულს პირას შეიქრიბებოდა... ლეშეის ფოთოლს დაკარეთდნენ და სავანგებოდ მომზადებულ ორმოში ჩაყრიდნენ და კეტებით დაამუშავებდნენ. მიღებულ მასას ერთიანად წყალში გადაისროდნენ. ორი-სამი წუთის შემდეგ წყალი მწვანედ შეიღვებებოდა. თევზები ბრმავდებოდნენ და მათი დაჭრა ადვილი ხდებოდა. თევზის შეგროვება წყლის დაწმენდამდე გრძელდებოდა. ნადავლს თანაბრად ინაწილებდნენ.

რაჭველები ძალზე შრომისმოყვარენი იყვნენ. „მკისა და რთველის ლროს მათი ქალიშვილები და ცოლები მამაკაცებს ეჭიბრებიან თავგამოდებული მუშაობით და ეს შრომა ყოველთვის გამოცოცხლებულია სიმდერითა და შეძახილებით, რაც ერთხა და მეორესაც ამხნევებს“, — წერდა გამბა. მიუხედავად ამისა, რაჭა მცირეშიწიანი ქვეყანაა და მოწეული მოსავალი მოსახლეობას წლიდან წლიდა არ ყოფნიდა. ამიტომ თავისუფალ დროს გლეხები შინამრეწველობას შისდევდნენ. ტილოს ქსოვდნენ, ამზადებდნენ უხეშ მაუდს, აშენებდნენ ხის სახლებს და მეზობელ კუთხეებში ჰყიდდნენ. წედისში რკინის საბაღოები იყო, სოფლიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით „სევაწითელაში“ და „სევამულაში“. ჩვეულებრივ შემოდგომაზე და ზამთარში „ამტვრევენ მსხვილ წითელ რკინა ქვას, — წერს გიულდენშტედტი, — სამმაგი გამოდნობის შემდეგ ლებულობდნენ რკინის, რომლისაგან აკეთებენ, ნალებს, ნამგლებს, ნაჯახებს, გუთნის სახნისს, ჯავებს ქვაბებისათვის“... რკინის დამუშავება სპეციალურ ქურებში ხდებოდა. 1820 წლისათვეს წედისში 20 ასეთი ქურა იდგა. თვით სოფლის სახელიც წედისი რკინის მეტალურგიასთან არის დაკავშირებული.

შინამრეწველობის პროდუქციას ბაზრობებზე ჰყიდნენ. რაჭის მთავარ სავაჭრო აღგილს ონი წარმოადგენდა. ეს სახელწოდება საშუალო სპარსული სიტყვიდან ვან-ი მოდის. რაც სადგურს, სამყოფელს აღნიშნავდა. როგორც გამოჩენილ ქართველ ენათმეცნიერ აკადემიურ შანიძეს აქვს აღნიშნული, ზოგ ქართულ კილოში „ვა“ მარცვალი „ო“ ხმოვანში გადადის. ასე მივიღეთ რაჭულ კილოში ვანი-

დან ონი, XIX საუკუნის ცნობილ ქართველ ისტორიკოსს პლატონ იოსელიანს ონი ძევლი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში შეაჩნია დაარსებულად, ფარნავომ მეფის მიერ. სამწუხაოოდ, ასეთი შოთაწერი რების რაიმე დამამტკიცებელი საბუთი არ მოიპოვება.

ონი პირველიც XV ს-ში, ბალს ზემო სვანეთისა და თავად ჯაფარიძეთა სასძლო საქმის წიგნშია მოხსენიებული. თუმცა ონი, როგორც სავაჭრო იდგილი ბევრად უფრო ადრე უნდა იყოს წარმოშობილი, რადგან უმნიშვნელოვანესი გზების თავშესაყარზე დგას. აქედან გზები მიემართებოდა ჩრდილოეთ კავკასიისაკენ, აღმოსავლეთ საქართველოსაკენ, ქვემო რაჭისაკენ და იმერეთისაკენ.

ვახუშტი ბაგრატიონი იძლევა ონის პირველ იღწერილობას: „ჯეჯორის შესართავს ზეით და რიონის სამჯრით არს ონი. სახლობენ ურიანი და ვაჭრობენ. ონი ჰავით არის შშუენი და ზაფხულის ცხელი, ორთა მთათა შინა კლდოვანთა ყოფითა“. გილდენშტედტი კურადღებას მახვილებდა მის სავაჭრო მნიშვნელობაზე: „ონში ცხოვრიბენ იმერლები, სომხები და ებრაელები. ყველანი ლაპარაკობენ ქართულად... სომხები და ებრაელები ვაჭრობენ წედისიდან მოტანილი რკინის ნივთებით; ბამბის ქსოვილებით — ქართლიდან და მარილით და ფეტვით. ამიტომაც მოდიან აქ თები დვალეთიდან და დიგორიდან. მოდიან აგრეთვე ბალყარლები, ბასიანელები, აგრეთვე სეინებიც“. ბალყარლებს და ბასიანელებს ერმანელი მეცნიერი ყარაჩაელებს ეძახის. მისი თხზულების სხვა ადგილიდან ირკვევა, რომ ყარაჩაელები დადაოდნენ ონის ყოველყვირეულ ბაზრობაზე და გასაყიდათ თავიანთი ნაწარმი უხეში მაუდი, ქეჩები და ჩექმები მოქმინდათ, რომელსაც ცვლილენ ბამბის ქსოვილზე და იარაღზე. ხშირად ონიდანაც მიქვენდათ საქონელი ჩრდილოეთ კავკასიაში. „ებრაელები ამხალებენ ბამბის ქსოვილებს და ონში კრედიტი ჰყიდიან თავიანთ ნაწარმს ქართველ ვაჭრებზე, რომელსაც გადააქვთ ეს საქონელი დივორელებისათვის და ბალყარლებისათვის“. ქართველები ხელოსნობასაც მისდევდნენ. მაგალითად 1787 წელს რაჭის ერისთავმა ანტონმა ბაზარინის ეკლესის შესწირა „ონს ვგვარი კაცია მუჯირი თავისი დუქნით“. ონი ერთადერთი დასახლებული იდგილი იყო რაჭაში, რომელიც ქალაქის სახელს ატარებდა. ამიტომ მას ზოგჯერ უბრალოდ ქალაქს უწოდებდნენ. ქალაქს გვიან ფეოდალურ ხანაში

მოურავი განაგებდა. მაგალითად „ქალაქის მოურავი ჭაფარიძე წე-  
უან“ მოხსენიებულია 1788 წლის ერთ საბუთში.

როსტომ ერისთავის გადაყენების შემდეგ ონის დიდი ნაწილი  
სოლომონ I-მა წერეთლებს გადასცა. გასული საუკუნის ათიან  
წლებში გრიგოლ წერეთელმა აქ, რომნის პირას სახსალე იგო და  
თავისი კარის ეკლესიაც მოაწყო. ეკლესის სამხრეთის კარის თავ-  
ზე შემდეგი წარწერა იყო ამოკვეთილი: „ქ. წელიწადი ჩივი აღვა-  
შენე ეკლესია ჩვენი დიდი თავადის სახლობუცესის წერეთლის ძე-  
მან გრიგოლ საოხად ჩემთვის და საყვარელთა შშობელთა ჩემთა, ზუ-  
რაბ წერეთლისათვის და დადიანის ასულ თამარისა და მეულლესა  
ჩვენის დადიანის ასულ ელისაბედისათვის. და ძეთა და ასულთა  
ჩვენთა ალსაზრდელად. მხილველნ შენდობას ვითხოვთ ოდეს ჩვენ  
საფლავს ვიყოთ და თქვენ ქვეყანას“. ჩივი 1813 წ. უძრის. სასახ-  
ლისა და კარის ეკლესის გარდა ჩვენი საუკუნის დასაწყისში ონში  
ჯერ კიდევ იდგა „საჯანის წმინდა გოორგის“ და მოედნის მთავარ-  
ინგელოზის ეკლესია. ღლეისათვის ეს შენობები უკვე აღარ არის.

ონის აღმოსავლეთით, ჯეჯორის პირას მთაზე ციხესიმაგრის ნან-  
გრევებია შემორჩენილი. ვახუშტის ერთ რეკაზე იგი: „ბეჟანის ცი-  
ხის“ სახელითაა დატანილი. შემორჩენილია „ზედა ციხეს“, „ქვედა  
ციხეს“ და ერთი განცალკევებული კოშეის ნანგრევები. „ქვედა ცი-  
ხე“ უშუალოდ ჯეჯორის პირას, მთაზეა აღმართული. სამანქანო გზის  
გაყვანამდე ამ ციხიდან მდინარემდე გვირაბი იყო ამოშენებული,  
რომლითაც თავის დროზე მეციხოვნენი წყალს იმარაგებდნენ.

ქვემო რაჭაში სავაჭრო აღგოლს ხოტევი წარმოადგენდა, რომე-  
ლიც იმერეთისაკენ მიმავალი გზების შესაყარში იდგა: „არს ხოტე-  
ვი... სახლობენ აქა ურიანი და ვაჭრობენ“, — წერდა ვახუშტი. ებ-  
რაელები დღეს ხოტევში აღარ ცხოვრობენ, მაგრამ ვახუშტის ცნობა  
ამის შესახებ სწორი უნდა იყოს. სოფლის ცენტრში არის ადგილი —  
„ურიების კარი“, გადმოცემით აქ ძველად ებრაელებს უცხოვრიათ.

ଶୋଭାଙ୍ଗି	3
ରାଜପାଦ ପରିଚୟ ଓ ପରିପରାଯାନ	17
ପରିପରା ପଦ୍ଧତି ରାଜପାଦ	33
ରାଜପାଦ ଉତ୍ସବାଳ୍ଲଙ୍ଘ ବାହସରଳିତାନ	47
ଅତୀର୍ଥାଳ୍ଲଙ୍ଘ ଏବଂ ଅତୀର୍ଥ ରାଜପାଦ	54
ରାଜପାଦ ପାଠ୍ୟପରିକାଳୀନ ପରିପରାଯାନ	73
ପରିପରା ରାଜପାଦ ଅନୁଭବ ପରିପରାଯାନ ପରିପରାଯାନ	108
ରାଜପାଦାଳ୍ଲଙ୍ଘ ପାଠ୍ୟପରିକାଳୀନ ପରିପରାଯାନ	135

რედაქტორი მ. ერისთავი  
 მხატვარი თ. შარიფაშვილი  
 მხატვრული რედაქტორი ლ. ლვანწვილია  
 რექციური რედაქტორი ვ. ჭიჭიაძე  
 კორექტორი მ. რამიშვილი  
 გამომუშები ნ. ჩხერიანი

ს. პ. № 2800

გადაეცა წარმოებას 5.VII.83 წ. ხელმოწერილია დასაბუქ-  
 და 17.XI.83 წ. უ 05792. საბეჭდი ქაღალდი № 3.  $60 \times 84\frac{1}{16}$ ,  
 გარნირური ვენა. ბეჭდები ხერხმაღალი. პირობითი ნაბეჭდი  
 თაბაზი 8,83+ ჩაყრა 0,93. პირ. სალ.-გატ. 10,12. საალი.-  
 საგამომც. თაბაზი 8,28. რიტუალი 5.000. შეკვ. № 685.  
 ფაზი 40 კა.



გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“  
თბილისი, მარჯანიშვილის 5.

საქართველოს სსრ გამსახუმის, თბილისის № 4 სტამბა  
380060, მედეაცის II კორპ.

Тбилисская типография № 4. Госкомиздата  
Грузинской ССР. Тбилиси 380060. Медгородок II корп.

297/5



Берадзе Тамаз Николаевич

РАЧА

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвелоз»

Тбилиси, Марджанишвили, 5.

1983

